

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

30 მარტი 2007

№7 (33)



დიურენმატის მთვარის დაბნელება  
ბრიტანელთა საყვარელი წიგნები  
სიყვარული სასაფლაოზე  
მოგვიტევე, ჯელსომინა  
ჰუმანიზმის ნოსტალგია  
მთავრობის საქმე

## შინაარსი

<b>აღიონიდან აღიონაგა</b>	<b>2</b>	<b>როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ</b>
<b>ჩვენი ყოფა, წუთისწული</b>	<b>6</b>	<b>მიური ნ. რობარდი მთავრობის საქმე</b>
<b>ქსერას-ინტერვიუ</b>	<b>8</b>	<b>ნოსტალგია კლასიკური ჰუმანიზმისა</b> (საუბარი ვერჯილ ნემოიანუსთან)
<b>პროზა</b>	<b>10</b>	<b>თეა თოფურია პირაქეთა სანიძე</b>
<b>პოეზია</b>	<b>15</b>	<b>ლუკა ბაქანიძე კანდრატა და სხვა ლექსები</b>
<b>ფატაქტივი</b>	<b>18</b>	<b>გიორგი გამსახურდია პოეტის მტკიცეაზულება</b>
<b>უხსოვთის მსოვრებიდან</b>	<b>21</b>	<b>100 ყველაზე პოპულარული ნიგონი</b>
	<b>22</b>	<b>ნიგელ რეინოლდსი ერი თავის საყვარელ ნიგონებს ირჩევს</b>
<b>ღიალოგი</b>	<b>23</b>	<b>ვნარ მხოლოდ იმას, რაც ვიცნო</b> (მაია ჯალიაშვილს ესაუბრება მაკა გოგუაძე)
<b>ესეისტიკა</b>	<b>27</b>	<b>ჟაკლინ სირაძე ინტელექტუალის სოლფაჟიო</b>
<b>ეპისტოლე</b>	<b>29</b>	<b>მარინა ყიფიანი „იმნებ სული ჩაიდგან სიტყვაგა“</b>
<b>რეპორტაჟი</b>	<b>30</b>	<b>სულხან-საბა, როგორც მქადაგებელი</b>
<b>ისტორიის თითქმის ლაქები</b>	<b>35</b>	<b>ანჟელიკა დოდაევა-მაგარსკაია გახსოვდეს ვინც გვარისა ხარ</b>
<b>ქრიტიკა</b>	<b>40</b>	<b>ლია წერეთელი „სადაც ყანა რო ღონიერი“...</b>
	<b>42</b>	<b>ქეთევან გონაშვილი რა რჩება იმისაგან?</b>
<b>დაუინყარი სხელები</b>	<b>43</b>	<b>ლელა ოჩიაური ვნარ იმითომ, რომ სხვანაირად არ შემიძლია</b>
<b>ახალი თარგმანები</b>	<b>47</b>	<b>ფრიდრიხ დიურენმატი მთვარის დაბნელება</b>
<b>მოუნიკა</b>	<b>63</b>	<b>მოგვიტევე, ჯელსომინა!</b>

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 32) 96-20-62  
რეკლამა – (995 77) 48-12-24  
გავრცელება – (995 99) 93-18-52  
ფაქსი: (995 32) 96-20-62  
E-mail: info@mtserloba.ge



დაბეჭდილია საბეჭდო „ომეგა თეგი“  
საბეჭდო, თბილისი, სარაქიშვილის 17  
ტელეფონი: +995 32 53 03 62

PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE  
TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET  
TELEPHONE +995 32 53 03 62

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე პოეზიის რედაქტორი – გიორგი ლობჯანიძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

დიზაინერი – მალხაზ იაშვილი მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია

კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – ლევან ჩხეიძე

ოპერატორი – თამარ ჩიხლაძე სარეკლამო მენეჯერი – მაკა ჯაფარიძე

გავრცელების სამსახური – ლევან ბინაძე

გარეკანზე: ედუარ რუსენკო, „ნიგნები“

ნინო სილაგაძე, ირაკლი ბლუიშვილის ფოტოგრაფიუდი

„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 13 აპრილს

# როსტომ ჩხეიძის გამოსვლები უეკრანოდ

## რატომ არის მწირი ქართული სასკოლო ჟარგონი?

*ჟარგონს დიდი ძალა  
აქვს ლიტერატურაში.  
მიხეილ ჯავახიშვილი*

„ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ ხელახლა რომ განმეორდება („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 2005), ლევან ბრეგვაძე 600 სიტყვას უკვე 1 000-მდე გაზრდის, თუმცა ამჯერადაც შეიკავებს თავს, უშუალოდ მის მიერ მოძიებულ მასალას დაუმატოს ის სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც შესულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

მისი აზრით, ეს მაშინ უნდა მოხდეს, როდესაც გამოიცემა ქართული ჟარგონის ლექსიკონის სრული კორპუსი.

ნეტა ვის ელოდება?

ნესითა და კანონით, ეს სრული კორპუსიც მანვე უნდა მოამზადოს და რომანივიტ საკითხავ თავის „ქართული ჟარგონის ლექსიკონს“ მესამედაც რომ გამოსცემს კიდევ უფრო შევსებული სახით, ბარემ იმ სრულ კორპუსად ივაზადოს და თვითონვე გადმოწეროს ქართული ენის ლექსიკონის რვატომეულიდან შესაფერისი მასალა, თორემ ისეთ რეალობაში გვინევს ცხოვრება, ადვილი მოსალოდნელია, ვინმემ ლევან ბრეგვაძის ამ ნლობით ნაშრომ-ნადაგს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ ვულგარულად სახელდება სიტყვები და გამოთქმებიც მიუმატოს და ასე იოლად მოგვევლინოს ახალ ლექსიკოლოგად, როგორც ქართული ჟარგონის ლექსიკონის სრული კორპუსის შემქმნელი.

და შესაფერისი პატივიც მოითხოვოს, რაც, ცხადია, „ქართული ჟარგონის ლექსიკონის“ თაოსანს არასოდეს არ ერგება.

ამ ლექსიკონის პირველ გამოცემას მაშინვე გამოვებ-მაურე ჟურნალ „ომეგას“ ფურცლებზე – „უმაღური და მშვენიერი საქმე“ (1999, №2), და იქნებ ასე ცალკე აღარც მომენდომებინა მასზე სიტყვის ჩამოგდება, რომ არა ერთი გარემოება, რისთვისაც მაშინ ყურადღება არ მიმიქცევია.

თვითონ შემდგენელმა კი მიუთითა ქართული ჟარგონის ერთი თავისებურება ლექსიკონის წინათქმაში, მაგრამ ახსნით ვერ ახსნა:

„... მასში მეტად მწირად არის წარმოდგენილი სასკოლო ჟარგონი, რაც უცხოენოვანი ახალგაზრდული ჟარგონის ძირითადი ფონდის უდიდეს ნაწილს შეადგენს“.

თვალსაჩინოებისათვის დაიმონებდა გერმანულ სლენგს, სადაც „სკოლას“ რამდენიმე ათეული ჟარგონუ-

ლი შესატყვისი აქვს: მაიმუნების ყუთი, განათლების ბუნკერი, სანამებელი კამერა, საპყრობილე, მეორე სამშობლო, გალია, თავლა, სიბრძნის ტაძარი და სხვა არაერთი. მასწავლებელს როგორღა იხსენიებენ? უგვირგვინო მეფედ, ხალიფად, კულტურის დამამუხრუჭებლად, მცობნელად და ან ამის ჩამოთვლას რა აუფა.

ქართული სასკოლო ჟარგონი კი სულ ორიოდ სიტყვით ამოიწურება: შპარგალკა, შატალო, მასნ! – ვთქვათ, ერთი-ორი კიდევ დაიძებნოს.

ამის გამო ქართული ჟარგონი რაოდენობით ბევრად ჩამოუვარდება სხვაენოვან ჟარგონებსო, – დასძენს შემდგენელი.

არამარტო სასკოლო ჟარგონი, მწირია სტუდენტთა ჟარგონიც, სპორტსმენებისაც, პოლიტიკოსებისაც, მეცნიერებისაც, მწერლებისაც, მხატვრებისაც, მუსიკოსებისაც, ჟურნალისტებისაც, ექიმებისაც, ინჟინრებისაც, რედაქცია-გამომცემლობის თანამშრომლებისაც, მუშებისაც, გლეხებისაც...

რა, იშვიათად იყენებენ ჟარგონულ გამოთქმებს და მათი მეტყველება მნივნილობითა და ენობრივ-გრამატიკული დახვეწილობით გამოირჩევა სხვა ქვეყნების მოქალაქეთაგან?

მაგრამ ასე რომ არ არის და არამარტო სკოლის მოსწავლეთა და სტუდენტების მეტყველებაა ნალექილი ჟარგონით, ხელოვანნიც, მეცნიერებიც, ჟურნალისტებიც, ყველა ხელობის ადამიანიც ლამის მხოლოდ ჟარგონით მეტყველებენ ისე, რომ თავს არ იცხებებენ თავთავის სპეციფიკური გამოთქმების შექმნით?..

მათი ჟარგონი საერთოა, ერთნაირად მოწონებული და აღიარებული ყველა ფენასა და ყველა წრეში, და ეს არის... ქურდული ჟარგონი და ბარბარიზმები, ის, რაც ასე უხვადაა წარმოდგენილი „ქართული ჟარგონის ლექსიკონშიც“, რომელიც რეალისტური სურათია ჩვენი საზოგადოებრივი ცნობიერების ამღვრევისა და დაშლისა. განწყობილება, რაც კომუნისტური ეპოქიდან გადმოგვყვა – რუსული ენის მოძალბა, ერთი მხრივ; და განსაკუთრებით მონივნება ქურდული სამყაროს მიმართ და მათი გარომანტიკულება, მეორე მხრივ, ასე ხელშესახება წარმოსახული ჩვენს ლიტერატურაში, რა გასაკვირია, ჟარგონულ მეტყველებაშიც დადასტურებულიყო.

ასე მოულოდნელად მიგვიყვანა გრამატიკულმა და ენობრივმა მოვლენამ სოციალურ და მორალურ-ეთიკურ განზომილებამდე.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ის დროც დადგება, როდესაც აღარც სასკოლო და სტუდენტური ჟარგონი იქნება მწირი და არაფრისმთქმელი და აღარც პროფესიებისა, აღარც მთელი საზოგადოების მეტყველება აჭრელდება



ქურდული გარემოდან ნასესხები სიტყვებითა და გამოთქმებით, და ის მომავალი „ქართული ჟარგონის ლექსიკონი“ – ამოზრდილი ლევან ბრეგაძის მიერ გაჭრილ საძირკველზე – ამ მხრივაც თამამად დაუდგება გვერდით იმ ქვეყნებს, რომელნიც დამოუკიდებელი სახელმწიფოები არიან და არა ამა თუ იმ იმპერიის პროვინციები.

### თოვლი იისფერი, თოვლი ნარინჯისფერი

პოეტი უნდა იყო, გამორჩეული მხატვრული სამყაროს შემქმნელი, თოვლი თეთრად კი არა, სულ სხვა ფერად რომ აღიქვა.

ვთქვათ, იისფრად.

ნეტა სად ნახა გალაკტიონმა იისფერი თოვლი?

ხილვაში, არაჩვენებურ სიზმარში, და, რაც მთავარია, თვითონაც ირწმუნა ეს ზმანება და ჩვეული ხელგაშლილობით მოინდომა მთელი ქვეყნიერებისათვის მისი გაზიარება. თანაც, გაზიარება არა როგორც უჩვეულოსი და მხოლოდ მისი წარმოსახვისათვის მისანვდომის, არამედ ყველასათვის აღსაქმელის. არა იოლად, ცხადია, მაგრამ ისეთი მშვიდი, სასაუბრო მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ინტონაციით გვიცხადებს ამ უცნაურ ხილვას: მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენაო, – რათა ამ აღმოჩენის შემდეგ თოვლის ამ ახალ ხატს თანდათან გადაეცალოს უჩვეულოსა და უცნაურის შარავანდი და მკითხველის გონებაში ირწმუნოს თოვლის იისფერობა.

რა აუცილებელია ყველგან და ყოველთვის ამ უჩვეულო ფერით მოგველინოს თოვლი.

ხანდახან ხომ იხილავ.

ხანდახან ხომ მაინც გაპოეტდები.

და იკმარე ეს ნამიერი ფერისცვალებანი.

ნეტა ნარინჯისფერი თოვლიც თუ შეიძლება არსებობდეს?

რატომაც არა, თუკი რომელიმე პოეტის ხილვაში სწორედ ამ ფერად გამოჩნდება და ისეთ მშვენიერ, აღმტაც საბურველს შემოუქსოვს ირგვლივ, გალაკტიონის „თოვლი“ რომ ბრწყინავს, თანაც მასავით სასაუბრო მეტყველების ინტონაციით გამსჭვალავს ამ მხატვრულ ზმანებას.

და უკვე შენც იხილავ ნარინჯისფერ თოვლს და გაიოცებ, აქამდე როგორ ვერ შეგემჩნია მისი ნარინჯისფერობა.

ეტყობა, ომსკში გამოჩნდა ის პოეტი, ვინც სწორედ ამ ფერად აღიქვა თავის ხილვაში თოვლი და კიდევ აქცია ეს ზმანება საყოველთაო განცდად, რადგანაც მთელი ომსკი თოვლს მხოლოდ ასე ხედავს.

მოსკოვის ცენტრალური ტელევიზია ერთს კი გამოაცხადებდა: ნარინჯისფერი თოვლი რადიაციის ბრალი არ არისო, – და ამ თემაზე ისე დადუმდებოდა, თითქოს განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს.

არადა, ბარდნის და ბარდნის ომსკში ნარინჯისფერი თოვლი.

რა ხდება ნეტა, რისი მომსწრე ვართ?

ღვთის ნიშანია?

თუ პოეტური ხილვა გამატერიალურდა?

თუ ხილვა არც არაფერ შუაშია და თოვლსაც... რევოლუციონერობა მოუნდომებია?

და ყველგან ერთბაშად ხომ არ გაამყლავნებდა ამ სურვილს – აგერ, ჯერ ომსკში გამოუხატავს, ნარინჯისფრად შეფერილა და გულისფანცქალით ელოდება, რა შთაბეჭდილებას გამოიწვევს. და თუ ისე ააფორიაქა და აიყოლია ხალხი, თვითონ როგორც ჩაუთქვამს, მერე სხვაგან და სხვაგანაც იჩენს თავს ამგვარად გარდასახული.

იქნებ ხვალ თუ ზეგ თბილისშიც მოგვევლინოს.

თუმც რატომ მაინცდამაინც ნარინჯისფერი?

აქ იისფერი თოვლი შეეტაკება და ალბათ გადასძალავს კიდევ, ქალწულებივით ხიდიდან ფენილი.

... ნეტა მართლა თუ ხდება პოეტურ ხილვათა გამატერიალურება?

რატომაც არა, პოეტური ზმანების აცხადებას ადრე თუ გვიან წინ რა გადაელობება?!

ომსკი კი ბანაობს, ბანაობს და ბანაობს ნარინჯისფერ თოვლში.

### სიყვარული სასაფლაოზე

„ტიპი მეზობელი საფლავიდან“, თანამედროვე შევდი მწერლის კატარინა მასეტის რომანი, არსებითად იწყება იქიდან, სადაც მთავრდება გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მესაფლავე“. ლექსს აქვს სიუჟეტური ქარგა, დღევანდელი მოდური ტერმინით – ნარატივი, რაც იშვიათობაა გალაკტიონის ლირიკაში, მაგრამ შეგნებულად მოუნდომებია მელოდრამატული სიუჟეტის გამლა ანუ ხარკის გადახდა სენტიმენტალურ მკითხველთა გემოვნებისათვის.

მესაფლავე პერსონაჟად თითქოს უილიამ შექსპირის ტრაგედიებიდან გადმოსახლებულა მის ლექსში – ორი სამყაროს მიჯნაზე მდგარი, ნუთისოფლის საიდუმლოებასა და ტრაგიზმში ყველაზე ღრმა ჩახედული და, ცხადია, ბრძანადაც მოუბარი. ამიტომაც გიჯობს სწორედ მას დაუგდო ყური და მისი ცხოვრებისეული დაკვირვებანი აღიარო ქეშმარიტებად, თორემ შეკამათებას თუ გაუბედავ, ისევე განბილდები, როგორც „მესაფლავის“ ლირიკულ გმირს ნაუხდება ნირი – პოეტის ალტერ ეგო.

მაშ მგლოვიარე ქალ-ვაჟს რომ შეჰყურებ, რომელთაც თავთავიანთი სატრფო დაუმარხავთ და მათ ხსოვნას სამუდამო ერთგულებას ეფიცებიან, ნუ გეგონება, რომ ფიცი მართლაც ურღვევი დარჩება, რაკილა მესაფლავეს არა სჯერა ხსოვნის მარადისი ერთგულებისა, თუნდაც იმ წამს ქალ-ვაჟის გულწრფელობამ ოდნავადაც არ დააეჭვოს.

ღირიკული გმირის თვალწინ უნდა გათამაშდეს ის სცენა, რასაც არაერთხელ შესწრებია მესაფლავე. რას და: ჯერ ერთმანეთი უნდა აღიქვან მგლოვიარე მიჯნურებმა, მერე თანაგრძნობით განიმსჭვალონ, მერე საერთო ტკივილმა კიდევ უფრო დააახლოოთ და... ამ დაახლოება-დაახლოებაში თანაგრძნობა სიყვარულში გადაიზარდოს. და მათმა ჯვრისწერამ უპატრონო საფლავებად აქციოს ის სამარეები, რომელთაც თითქოს გაუნელებლად უნდა დასდენოდა მათი ცრემლი და მოთქმა.

ლექსის მხატვრული კონცეფცია იქ იკვრის, ლირიკული გმირი მესაფლავის სიტყვის ჭეშმარიტებას რომ აღიარებს მწუხარებითა და სოფლის სამდურავით შეპყრობილი: სამუდამოდ ასამარებს კაც-თა ხსოვნას სამარის ქვაო, – მაგრამ სენტიმენტალურ მკითხველთა ემოციებს თუ არ ავყვებით, შეუძლებელია განსაკუთრებით არ დავაფასოთ ის მარჯვე მიგნება, რომელმაც მთელი ეს სიუჟეტი მოიყოლია: სიყვარულის ჩასახვა სასაფლაოზე, ორი მგლოვიარის მიერ ერთმანეთის აღმოჩენა.

ბელეტრისტული მიგნებაა, შთამბეჭდავი და ორიგინალური სცენა, და რომელიმე პროზაიკოსს ამხელა სამყაროში შესაძლოა თავისითაც მიეკვლია მისთვის.

მიუკვლევია და ეგაა, ოლონდ კატარინა მასეტი გაურბის მელოდრამატიზმს და, ჩასახვით ისიც კი სასაფლაოზე და მგლოვიარეთა შორის ჩასახავს სიყვარულს, მაგრამ ქალი თუ გარდაცვლილი ქმრის საფლავს მოინახულებს ხშირად, კაცი მშობლების სამარეს პატრონობს.

სიყვარულს ჩასახავს?  
სიყვარულს თუ... ნდომას?

რომანის ფინალამდე უფრო ეს მეორე ჰგონიათ მკითხველსაც და... თვითონ პერსონაჟებსაც, რადგანაც დეზირე და ბენი ძალიან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სულიერი მისწრაფებებით, და თუ მათ შორის რაღაც გრძნობა გაჩნდა, წამიერი იმპულსისაგან მოგვრილი უნდა იყოს, მარტოხელა, მოწყვნილი ადამიანების მიერ დროებითი გასართობის ძიება. გაქრება იმპულსი და კიდეც უნდა განწყდეს მათი შემკავშირებელი ძაფებიც.

ერთი მხრივ, ბიბლიოთეკარი, და, მეორე მხრივ, უბირი ფერმერი. თავისთავად ეს განსხვავება შესაძლოა საბედისწერო სულაც არ იყოს, მაგრამ დეზირე და ბენი თავთავიანთ სამყაროში ისე არიან შთანთქმულნი, ძნელია იქ რაიმემ ისე შეაღწიოს, სამუდამოდაც დამკვიდრდეს. ბენისათვის ქალი იმ პიროვნული ხასიათისა და ინტერესების არსებაა, რომელთაც არავინ აძალბებთ, მაგრამ მაინც გაუთავებლად კითხულობენ წიგნებს, თანაც სქელტანიანებს, ნვრილმრიფტიანებსა და უსურათოებს.

არცერთ პერსონაჟზე წარმოდგენაც რომ არა გქონდეს, მარტო ეს ზუსტად მიგნებული და ტევადი ფრაზა წარმოგიჩენს ორივეს პიროვნულ ბუნებას. და როდესაც დეზირე კაცის სულის დახვეწასა და გაფაქიზებას ლამობს და ამის მისაღწევად წიგნები ეგულება, ბენის სასაცილოდაც არა ჰყოფნის მისი მონდომება: წიგნები სულ ერთნაირია, გინდა ერთი წაგიკითხავს და გინდა – ათასი, ჰოდა, ის ერთი შარშან წავიკითხე და მეტი აღარ მინდაო.

კომპოზიციურად რომანი ისეა აგებული, რომ ორივე პერსონაჟი ერთმანეთის მონაცვლეობით ჰყვება – ხშირად ერთსა და იმავე – ამბავს, და სწორედ მათი სრულიად განსხვავებული თვალთახედვა, უფრო კი – თითქოსდა ზედაპირული განსჯაა, მკითხველს რომ აჯერებს, ბულვა-



რული რომანის ნაირსახეობასთან მაქვს საქმეო, ვიდრე ალაგ-ალაგ გაბნეული ზუსტი რეალიები თუ მინიმუზებიანი თანდათან არ მოიყრის თავს და... კიდეც განსაზღვრავს ერთი შეხედვით მოულოდნელ ფინალს, თამაშ-თამაშსა თუ თვით-მოტყუებაში თანდათან ამოზრდილ ნამდვილ სიყვარულს.

თხრობის გაშლა ორი თუ რამდენიმე პერსონაჟის თვალთახედვის კვალობაზე ყოველთვის დამატებით სირთულეს უქმნის მთარგმნელს, რათა ენობრივი მანერით, ინტონაციითა თუ ტემპერამენტით თვითონაც განასხვავოს ეს მონაკვეთები. დავით გაბუნია წარმატებით შეჭიდებია ამ სიძნელესაც და საერთოდ კი „ტიპი მეზობელი საფლავიდან“ ისეთი დახვეწილი ენობრივ-სტილური ნიმუშია, რითაც მაინც და მაინც განებივრებულნი არა ვართ, და

მითუფრო იმედითა და გულისხმიერებით უნდა ვადვენოთ თვალი მის წინსვლას შევდური მწერლობის სამყაროში.

ერთი დეტალი კი, ცოტა არ იყოს, ყურსა ჭრის და, თუ მთარგმნელი შემდგომში აერიდება, ემჯობინება. იგულისხმება მაცალკეებელი კავშირი „რომ“, რომელიც ბენის ტექსტებში ყველგან მეორდება „მან“-ის გარეშე – „რო“ ფორმით. მთარგმნელი ცდილობს ამ სტილური ნიშნითაც განასხვავოს პერსონაჟთა მეტყველება, მაგრამ ეს „რო“ ისევეა ოთარ ჩხეიძის სტილური თავისებურების ერთ-ერთი გამოკვეთილი ნიშანი, როგორც, ვთქვათ, „წავიდაო იგი“ კონსტანტინე გამსახურდიას სტილური სპეციფიკაა. ერთი ხანობა ძალიან მოდური გახდა ეს კონსტრუქცია კონსტანტინე გამსახურდიას გავლენით (თუმც მანამდე ვასილ ბარნოვიც მიმართავდა საკმაოდ ხშირად, მაგრამ სისტემად არ გადაუქცევია, მისი სკოლის მწერლის ხელში კი ეს სწორედ სისტემად იქცა) და ორიგინალური თხზულებანიც, ჟურნალისტიკაც და, უფრო მეტად, თარგმანები წაილეკა ამ სტილური თავისებურებით. გადაიარა ამ მოდამ და, როგორც ჩანს, ახლა შესაძლოა ამ „რო“-თი გადაჭრელდეს ჩვენი ორიგინალური თუ თარგმნილი ლიტერატურული ქმნილებანი. ყოველ შემთხვევაში, ქართველ მწერალთაგან ამ სტილური ხერხით მოიხიბლენ ლადო სულაბერიძე, ზაირა არსენიშვილი, გურამ დოჩანაშვილი თუ ბესიკ ხარანაული და კიდეც გამოიყენეს თავიანთ მხატვრულ ძიებებში („...ცხადსიზმარიანა“, „ვა, სოფლო“, „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა ჰოლივუდი“, „ეპიგრაფები დავინყებულ სიზმრებისათვის“) მთარგმნელთაგან კი სისტემად დაამკვიდრა გია ჭუმბურიძემ ჯერომ სელინჯერის რომანის – „თამაში ჭვავის ყანაში“ – ხელმეორე ამეტყველებისას ქართულ ენაზე. აგერ დავით გაბუნიაც უმთავრესად ამ სტილურ ნიშანს ეყრდნობა და ამითაც განარჩევს ბენის მეტყველებას დეზირეს თხრობის მანერისაგან, სადაც „რომ“ ყველგან თავისი სრული, მნიგნობრული სახით ტრიალებს. ისე სხვა ენობრივი ნიუანსებით მთარგმნელი კიდეც უფრო მარჯვედ და დამაჯერებლად განასხვავებს, რაკილა იმ შემთხვევაში შვედი მწერლის რომანის ქართული ორეული აღარ იწვევს ქართველი მწერლის სტილური მა-

ნერის ასოციაციას, და უფრო იმ ნიუანსებს ჩაუკვირდეს – თავისსავე მიგნებულს.

მონათხრობთა მონაცვლეობა იმ მხრივაც განირჩევა თვალშისაცემად, რომ დეზირეს მონაკვეთებს ყოველთვის ეპიგრაფი ამშვენებს, რათა ბარემ ამითაც გამოიკვეთოს მისი ინტელექტუალური ცხოვრების ყაიდა. და დასაწყისში რომ ეს სტრიქონებია მოხმობილი:

**ვინ მოიგონებს მიცვალებულებს,  
ან ვინ იზრუნებს მათ უფლებებზე,  
ვინ მოუსმენს მათ, რა ანუხებთ, რა ედარდებათ,  
ან მათ ყვავილებს ვინლა მორწყავს?!**

თანდათან ისეთი განცდა ეუფლება მკითხველს, თითქოს ეს იდუმალემა თუ ტრაგიზმი კონტრასტულ ხერხადაა გამოყენებული, რადგანაც თხრობა სრულიად იძარცვება იდუმალეებისაგან და ყველაფერი ყოფითობაში იძირება. ამ ფონზე თუნდ ეს სტრიქონები მწარე სინანულით იმსჭვალება, რომ წყდება უხილავი ძაფები წუთისოფელსა და მიღმურ სამყაროსთან და ეს ორი სინამდვილე ერთმანეთზე ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს. ვინ მოიგონებს მიცვალებულებს? აღარც არავინ. ვინ იზრუნებს, მათ უფლებებს ვინ დაიცავს, ვინ მოუსმენთ ან ყვავილებს წყალს ვინ აპკურებს? არავინ, არავინ და სრულიად არავინ. ზეიმობს ხორცი, ზეობს სექსი და უღმობლად ყლაპავს სიყვარულის დაფანტულ ნამცეცებს.

მაგრამ აკი ფინალი სრულიად ამოაყირავებს თხრობის – გარკვეული აზრით – ერთიან კალაპოტს და თითქოსდა დაშრეტილი სულიერება კვლავ გაიგნებს გზას სიცოცხლისა და არსებობისაკენ.

და ახლა უკვე რწმუნდები, რომ პირველი ეპიგრაფი კონტრასტულ ფონად კი არ გამოუყენებია მწერალს, არამედ გაცილებით დიდი მოვალეობა დაუკისრებია მისთვის – შეჭკრას კომპოზიციური ქარგა და დაგაჯეროს, რომ რომანის დასასრულს პერსონაჟთა განცდები წრფელია და არა მოჩვენებითი. ორმა ადამიანმა მართლა ჰპოვა ერთმანეთი და შეხვედრას სწორედ ის იდუმალემა განსაზღვრავს, რაც არ გვანებებს ყოფითობას შევეჭმევინოთ და ყოველთვის ვეძიებთ უცხო სადგურს სანუგეშებლად თუ ჩვენი არსებობის გასამართლებლად.

ბოლოსდაბოლოს, ყველა ჩვენი ფესვებიდან, აკვნებიდან თუ სამარებიდან მოვიდვართ და ამ გადასახედიდან ყოველ ჩვენგანს მიესადაგება კატარინა მასეტის რომანის სახელწოდება – ტიპი მეზობელი საფლავიდან – ეფექტურ მეტაფორად.

... არა, გალაკტიონმა მაინც როგორ იპოვნა რომანის გასაშლელად ეს ერთ-ერთი სახიერი სცენა, კომპოზიციურ რკალსაც იმთავითვე რომ გულისხმობს?!



ელისაბედ ორბელიანი უცნობი მხატვარი

**ელისაბედ ორბელიანი –  
დაუნარალი მოთხრობის  
პერსონაჟად**

სულხან-საბა ორბელიანის ქუჩის განაპირა სახლი თურმე ისტორიული ძეგლი რომ ყოფილა, გალაკტიონ ტაბიძეს მიხეილ ვადბოლსკი აღმოაჩენინებდა და ჩვენამდეც ის კოლორიტული პიროვნება მოიტანდა ამ ისტორიულობისა და გამორჩეულობის ხსოვნას გალაკტიონზე შექმნილი მემუარული ნარკვევის წყალობით.

აქ უცხოვრია ირაკლი ბატონიშვილს – ალექსანდრე ბატონიშვილის ვაჟსა და ერეკლე მეორის შვილიშვილს, ვის პიროვნებაშიც ხელშესახებადა არეკლილი ჩვენი XIX საუკუნის ტრაგიზმიც და სულიერი ჰეროიკაც.

თავისებურ რელიკვიად შემოგვრჩებოდა კარის მოჩუქურთმებულ გისოსებში ჩატანებული ვენზელი, ლათინურ H-ს რომ გამოხატავს და გულისხმობს ბატონიშვილის სახელს: ირაკლი ანუ ჰერაკლე.

ვერ იჭერაკლევებდა.

სასწაულს ვერ მოახდენდა და რაც მისმა მამამ და პაპამ ვერ შეიძლეს, ვერც ის აღასრულებდა, მითუმეტეს, დაშლილი საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებში, ნელ-ნელა რომ კონინდებოდა სახელმწიფოებრივი იდეალი საყოველთაო სულისკვეთებად.

თავისებური რელიკვიად და: ასეც დაერქმეოდა ჩემს ერთ ნოსტალგიურ ჩანაწერს „რელიკვიად – სახელის ინიციალი“, რომელიც ამ გარემოს ისტორიულობასა და სიძვირფასეს იმ მხრივაც გაამკვეთრებდა, რომ ამ ვენზელს გალაკტიონი მოეფერებოდა და თითქოს სულიერ ხიდს გასდებდა ზნეობრივ საზომად აღიარებულ ირაკლი ბატონიშვილთან.

თურმე კიდევ ერთი გამორჩეული სახელიც გადაჯაჭვია ამ შენობას და ეს მას შემდეგ გამოირკვეოდა, რაც ცალკე წიგნად გამოიცემოდა მიხეილ ჯავახიშვილის უბის წიგნაკის ჩანაწერები, მისი ფიქრებისა და განზრახვათა ნაფლეთებს რომ აირეკლავს 1924 წლიდან 1935 წლამდე.

მოთხრობის დაწერა ჩაეფიქრებინა, რომლის მოქმედებაც ამ შენობაში გაიშლებოდა და მთავარი გმირი კი იქნებოდა ელისაბედ ორბელიანი, ასული ირაკლი ბატონიშვილისა და ბაგრატიონის ქალთა დიდებული კრებულის ალიკვალი, იმ სულიერების შემნარჩუნებელი და მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების დამამშვენებელი გარეგნული და შინაგანი ღირსებებით.

საგულისხმო თემად ივარაუდებდა და ასეც ჩაინიშნავდა 1930-31 წლების გასაყარზე:

„ელისაბედ ორბელიანისა ერეკლე ბატონიშვილის ნასახლარში დაიბადა (სოლოლაკის ქ. ოტენის აფთიაქის

პირდაპირ). შემდეგ ის სახლი ბანკად გადააკეთეს. ბოლოს იქ სახელგამი გადავიდა. ელისაბედი თითქმის გამათხოვრდა და ამ სახლში დაიწყო სიარული. გაახსენდა ბავშვობა, გათხოვება, დედობა...“

სახლის ისტორია ისტორიად და... ესეც მკაფიოდ, რელიეფურად გამოკვეთილი ხასიათი და სიუჟეტური ქარგაა, ეპოქის ტრაგედიისა და ქვეყნის ბედისწერის ამრეკლავი. წვეთმა ამჯერადაც ზღვა უნდა დაიტიოს თავისი შინაგანი სივრცით. და საკუთარ სახლ-კარსა და სამშობლოში ხიზნაქცევის მოტივი ამ სიუჟეტშიც ხელშესახებად გამოსჭვივის – ასერიგად მტკივნეული თემატიკა მიხეილ ჯავახიშვილისათვის, „ჯაყოს ხიზნებს“ რომ ვერ იკმარებდა და „გივი შადურსა“ და „დამპატიყდენი“ დაუბრუნდებოდა – არა ვარიაციებად, არამედ შესავსებად და გასაღრმავებლად, რათა ტრაგიზმის უკიდურესობა ანალიტიკურად დანაწევრდეს და მისი ყოველი შრე გათვალსაზრისწოდეს.

და ამავე რეალში მოექცეოდა ელისაბედ ორბელიანის მწარე ხვედრიც, სამეფო ოჯახის წევრის, ბოგანოდ რომ უნდა გადაქცეულიყო უღმობელი პოლიტიკური რეჟიმის პირობებში და საკუთარ თავზე ეწვნია პეპერას საბედისწერო შეცდომა.

დაკარგული სახლისადმი ნოსტალგია მისთვის დაკარგული სახელმწიფოებრიობისადმი ნოსტალგიას გათანაბრებია და ამიტომაც ეკვრის და ეწებება ყოველნაირად.

მისი ეს მწარე, გაუსაძლისი ხვედრი შეუმჩნეველი არ დარჩებოდა მაშინდელ საზოგადოებას და, ცხადია, არ გამოეპარებოდა მიხეილ ჯავახიშვილის მზერასაც. და იგი არამარტო ღრმა თანაგრძნობით განიმსჭვალებოდა ელისაბედ ორბელიანის მიმართ, ისე გაითავისებდა მის ბედს, რომ ფიქრში პერსონაჟად გარდასახავდა და ეპოქის თავისებურ სიმბოლოდ განაზოგადებდა.

იქნებ მხოლოდ პროტოტიპად გამოეყენებინა მისი სახება. ან იქნებ თავისი გვარ-სახელითაც წარმოესახა მოთხრობაში. დოკუმენტური რეალიების შემოტანა, ისტორიულ პერსონაჟთა უშუალო სახით გამოყვანა უცხო სულაც არ არის მიხეილ ჯავახიშვილის ბელეტრისტიკისათვის და, რა გასაკვირია, სხვა შესაფერისი გვარ-სახელი აღარც ეძებნა.

ფიქრშივე ჩარჩებოდა ეს ხასიათიც და სიუჟეტიც.

მეტად მნიშვნელოვანი ჩანაფიქრის მარტოდენ მინიშნება გვიპყრია ხელთ, ეგაა და ეგ, მაგრამ რაოდენ ტყვადი და სახიერი, ამ უბის ნიგნაკთა სხვა ჩანაწერებისა არ იყოს.

ჩვენი ყოფა, წუთისოფალი

მიური ნ. როთბარდი (1926 – 1995) – ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ისტორიკოსი და ბუნებრივი კანონის თეორეტიკოსი მიეკუთვნებოდა ეკონომიკის ავსტრიულ სკოლას, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ლიბერტარიანიზმისა და ანარქო-კაპიტალიზმის განვითარებაში.

მიური ნ. როთბარდი  
მთავრობის  
საქმა

სახელმწიფო კეთილდღეობის დროსაც კი რჩება გარკვეული ეკონომიკური და სოციალური სატკივარი, ხალხის უკმაყოფილებას რომ იწვევს. სატკივარი ერთნაირია მთელ ქვეყანაში. რას ვგულისხმობთ? გადატვირთულ მოძრაობას, უვარგის გზებს, გადაჭედულ სკოლებს, არასრულწლოვანთა დანაშაულს, უწყლობას. ასეთი მოვლენები მრავალმხრივია საჭირობოტო; სხვა თუ არაფერი, წინააღმდეგობის წარმოშობაა.

ფიცხელი ბრძოლა იმართება ამერიკელთა შეურიგებელ დაჯგუფებებს შორის. ზოგს „პროგრესული“ განათლება სურს, სხვებს მრავალფეროვანი ტრადიციული სურნელის შენარჩუნება სწადიათ; ზოგი სოციალიზმის სწავლებას ითხოვს სკოლაში, სხვები თავისუფალ მენარმეობას უჭერენ მხარს. ზოგი რელიგიის სწავლებას ემხრობა, სხვანი ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნას მოითხოვენ. ამერიკელთა ერთ ნაწილს ფტორმერეული წყალი ურჩევნია, სხვები კი ანკარა წყაროს წყალს ამჯობინებენ.

არის თუ არა რაიმე განსაკუთრებული წყალსა და სკოლაში, მოგვარება რომ ვერა და ვერ შევიძლით? როგორ ხდება, რომ ცხარე კამათი არ იმართება იმის გამო, თუ რა სახის ფოლადი ან ავტომობილები უნდა გამოუშვან, და არც არავი-

თარი ბრძოლები იმართება, თუ რა სახის გაზეთები დაიბეჭდოს? პასუხი ასეთია: დიახ, რაღაც განსაკუთრებული ხდება – რადგან სკოლებისა და წყალმომარაგების პრობლემა იმის ნიმუშია, თუ რა ემართება ხელისუფლებას, როცა, კერძო წარმოებისაგან განსხვავებით, ბიზნესს ჰკიდებს ხელს.

ოდესმე თუ გსმენიათ, კერძო ფირმას თავისი ნაწარმის დეფიციტის „მოგვარება“ იმით ეცადოს, ხალხისათვის ერჩიოს, ნაკლები შეიძინეთ? ცხადია, არასოდეს. კერძო ფირმები ხელგაშლილი ეგებებიან მყიდველებს და ფართოვდებიან, როცა მათ პროდუქციაზე დიდი მოთხოვნილება ჩნდება, რითაც ემსახურებიან და ასარგებლებენ კლენტებსაც და საკუთარ თავსაც. მთავრობა კი ქუჩების გადატვირთულ მოძრაობას იმით „ავგარებს“, რომ სატვირთო მანქანებს (კერძო ტრანსპორტსა თუ ავტობუსებს) ქუჩიდან ერეკება. ამ პრინციპის მიხედვით, გადატვირთული მოძრაობის „იდეალურად“ მოსანსრიგებლად ავტომობილები კანონგარეშედ უნდა გამოვაცხადოთ! და სწორედ ასეთ წინადადებებს უნდა ველოდეთ ხელისუფლების მენეჯმენტის პირობებში.



ქუჩები გადაიტვირთა? აკრძალეთ მანქანები! წყალი გააკლიათ? ცოტა დალიეთ! საფოსტო კრიზისია? შეზღუდეთ საფოსტო გადაზიდვები! ქალაქებში დანაშაულმა იმატა? შემოიღეთ კომენდანტის საათი! ვერცერთ კერძო მომწოდებლის ბიზნესი ვერ გადარჩება, თუკი ასე უპასუხებს მომხმარებელთა სურვილებს. მაგრამ როცა მომწოდებელი ხელისუფლებაა, იმის ნაცვლად, რომ კლიენტის მოთხოვნებით იხელმძღვანელოს, უბრძანებს, ცოტა მოიხმარე ან სულაც ისე გაძელო. კერძო წარმოების დევიზია: „კლიენტი ყოველთვის მართალია“, ხოლო ხელისუფლების დევიზია: „ჯანდაბას ხალხი“!

წინააღმდეგობანი და სიმწვავე სახელისუფლებო საქმიანობის განუყოფელი ნაწილია. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ყველა გაზეთი მთავრობას რომ გამოეცა. პირველი, რადგანაც ხელისუფლება შემოსავალს იძულებითი დაბეგვრიდან იღებს და არა განუული სამსახურისათვის ნებაყოფილობითი გადახდიდან, მთავრობა ვალდებული არ არის ქმედითად მოემსახუროს კლიენტს. და მეორე, გადასახადის გადამხდელთა ჯგუფები შეეჯახებოდნენ სარედაქტორო პოლიტიკის, ახალი ამბების შინაარსისა და გაზეთის ფორმატის გამო. „მემარჯვენეები“, „მემარცხენეები“, „ცენტრისტები“ იძულებულნი რომ იქნებიან ფული უხადონ გაზეთებს, ბუნებრივია, შეეცდებიან წარმართონ მისი პოლიტიკა.

ამისდა საპირისპიროდ, თავისუფალი ბაზრის პირობებში, თვითეული ჯგუფი აფინანსებს და ეხმარება შერჩეულ სფეროს, გაზეთი იქნება, სკოლა თუ ბავშვის საკვები ფუთები. ყველანი, სოციალისტები იქნებიან, თავისუფალი მენარმენი, პროგრესისტები, ტრადიციონალისტები, ჭორიკნები თუ ჭადრაკის მოყვარულნი, პოულობენ თავ-თავის მოთხოვნილებათა შესაფერის სკოლებს, გაზეთებსა თუ ჟურნალებს. არჩევანი თავისუფალია და არავის აიძულებენ არასასურველი პროდუქტის შეძენას. ყოველი პოლიტიკური სურვილი, თვითეული გემოვნება დაკმაყოფილებულია. უმრავლესობის ნაცვლად – ანუ უმცირესობაზე ტირანული პოლიტიკური მძლავრობის ნაცვლად – თვითეულ პიროვნებას შეუძლია აიღოს იმდენი, რამდენის ალებაც ძალუძს, ან აიღოს ის, რაც სურს.

არაქმედუნარიანობისა და დეფიციტის გამო საყვედურებს ხელისუფლება პასუხობს: „გადასახადის გადამხდელს არა სურთ მეტი ფულის მოცემა!“ საზოგადოებას, შეიძლება ითქვას, აიძულებენ გადაიხადოს მეტი ფული გზატკეცილების, სკოლებისა და მისთანათა საჭიროებისათვის. აქ კვლავ წამოიჭრება შეკითხვა: „რატომ არ უჩნდებათ კერძო საწარმოებს ასეთი თავსატეხი?“ რატომ არ უჭირთ ტელევიზორებისა და ფოლადის მწარმოებელ კომპანიებს იშოვნონ კაპიტალი გასაფართოებლად? იმიტომ, რომ მომხმარებლები ფულს იხდიან ფოლადსა და ტელევიზორებში, ხოლო მომჭირნე ადამიანებს შეუძლიათ დაზოგონ ფული და მოახმარონ თავიანთ ბიზნესს.

ფირმები, რომლებიც წარმატებით ემსახურებიან საზოგადოებას, იოლად მოიპოვებენ გასაფართოებელ კაპიტალს; წარუმატებელი, არაქმედუნარიანი ფირმები, რასაკვირველია, ტოვებენ ბიზნესს. ხელისუფლება ვერც ხეირობს ინვესტიციებიდან და არც უნდომს მუშაკს აჯარიმებს. ამიტომ არც ინვესტიციებს იმეტებს და არც თავ-

დებდა უდგება წარმატებული ქარხნების გაფართოებასა და ზარალიანთა დახურვას. სწორედ ამ მიზეზთა გამო უხდება ხელისუფლებას თავისი „კაპიტალის“ მობილიზაცია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით.

მრავალნი ფიქრობენ, რომ ამ დაბრკოლებათა გადაჭრა შეიძლება, თუკი „მთავრობის საქმიანობა ბიზნესივით წარიმართება“. ამიტომაც მოითხოვენ საფოსტო ხარჯების იქამდე გაზრდას, ვიდრე ფოსტა „მოგებას მოიტანდეს“. ცხადია, მომხმარებლებმა რაღაცნაირად უნდა შეუმსუბუქონ ტვირთი გადასახადის გადამხდელებს. მაგრამ **მთავრობა-ბიზნესის** ამ იდეაში საბედისწერო ნაკლოვანებანი მოჩანს. ჯერ ერთი, ხელისუფლების საქმიანობა ვერასოდეს წარიმართება ბიზნესივით, რადგანაც მთავრობა **კაპიტალს** გადასახადთა გადამხდელთაგან მოიზიდავს და ამას ვერაფრით გაექცევა (ფასიანი ქაღალდების გამოშვება მაინც დაბეგვრის ძალას ეყრდნობა, მათი გამოსყიდვის დროს). მეორეც, კერძო წარმოება ხეირობს დანახარჯის შეძლებისდაგვარად შემცირებით.

ხელისუფლებას დანახარჯის შემცირება არა სჭირდება: მას შეუძლია მომსახურება შეწყვიტოს ან ფასები გაზარდოს. სამთავრობო სამსახური ან ყოველთვის მონოპოლია ან ნახევრად მონოპოლია. ხანდახან, ფოსტისა არ იყოს, იძულებითი მონოპოლიაც – ყველანაირი კონკურენცია კანონგარეშეა. და თუ კანონგარეშე არ არის, კერძო ფირმებთან არსებული კონკურენცია ჩახშობილია გადასახადებით, სამოქმედო დეფიციტის გადასაფარად და კაპიტალის გასაზრდელად, დაბეგვრისაგან თავისუფალი სახელისუფლებო მომსახურებისათვის.

არის კიდევ ერთი დაბრკოლება მთავრობის საქმიანობის ბიზნესივით წარმართვაში. კერძო ფირმები ქმედუნარიანობის მოდელები ძირითადად იმიტომ, რომ თავისუფალი ბაზარი აწესებს ფასებს, რაც მათ შეაძლებინებს **დაითვალონ**, რასაც მოგებისათვის და ზარალის თავიდან ასაცილებლად მიმართავენ. ამრიგად, თავისუფალი „კაპიტალიზმი“ ისე აწესებს ფასებს, რომ საქონელი სწორადაა მოთავსებული პროდუქციის განშტოებასა თუ სივრცეში, რაც განსაზღვრავს თანამედროვე ეკონომიკას.

კაპიტალისტური მოგება-წაგების გათვლები შესაძლებელს ხდის ამ სასწაულს – ცენტრალური სააგენტოს დაგეგმვის გარეშე. ცენტრალური დამგეგმავები, რაკი ზუსტი ფასები არ იციან, ფაქტობრივად, ვერ ითვლიან და ვერ მიჰყვებიან თანამედროვე მასობრივი წარმოების ეკონომიკას. მოკლედ, მათ არ შეუძლიათ **დაეგეგმვას**.

არ არსებობს ხერხი იმ პროდუქტის წარმატების გასაზომად, რომლის ყიდვასაც კლიენტები აპირებენ. და ყოველთვის, როცა ხელისუფლება ბიზნესს ხელს მოკიდებს, უფრო მეტად ამახინჯებს ფასებს და ამრუდებს გამოთვლას. ერთი სიტყვით, სამთავრობო ბიზნესს ეკონომიკაში შემოაქვს დამანგრეველი პოლიტიკა **ქაოტური დათვლისა**.

ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ჩვენი ეკონომიკური სატყვივარი თავს იყრის სამთავრობო წარმოებებში. სამთავრობო საკუთრება მრავლად აჩენს გადაუჭრელ კონფლიქტებს, მოურჩენელ ქმედუნარიანობასა და სასიცოცხლო სტანდარტთა ნგრევას. კერძო საკუთრებას მოაქვს მშვიდობა, საყოველთაო ჰარმონია, დიდი ქმედითობა და ნიშანდობლივი გაუმჯობესება სასიცოცხლო სტანდარტებისა.

ვერჯილ ნემოიანუ დაიბადა 1940 წლის 12 მარტს ბუქარესტში (რუმინეთი). ესეისტი, კრიტიკოსი, კულტურის ფილოსოფოსი. მისი მსოფლგანცდა უმთავრესად ეყრდნობა ბერკის, ტოკვილის, მაიკლ ოუკშოთის, ჰანს ურს ფონ ბალთაზარის, ანრი დე ლუბეკისა და რომანო გუარდინის ნააზრევს.

ამერიკის კათოლიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ვერჯილ ნემოიანუ საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც შედარებითი ლიტერატურის სპეციალისტი, მაგრამ ეს მხოლოდ შეზღუდული დახასიათება იქნებოდა მისი მოღვაწეობისა და მიღწევების უფართოესი სივრცისა. მისი სააზროვნო არე მოიცავს ნეოპლატონიზმსა და ნეოკანტიანიზმს, რასაც იგი იყენებს თანამედროვეობის დამახინჯებული ნაკადების – რაშიც მოდერნიზმისა და პოსტმოდერნიზმის ზღვარგადასულობას და აბსურდულობას მოიზარებს – დასახასიათებლად, მოსარჯულებლად და სწორ სადინარში მისაშვებად. მან ორიენტირად თავიდანვე გოეთესა და ლაიბნიცის ინტელექტუალური ჰორიზონტი აირჩია და დღემდე ამ გზას მისდევს.

ვერჯილ ნემოიანუ „ჩვენი მწერლობის“ მეგობარია. ჩვენს მკითხველებს ემახსოვრებათ ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული მისი ესეი და ამას მოყოლებული მიწერ-მონერა გივი ალხაზიშვილთან. რედაქციამ რამდენიმე კითხვით მიმართა ბატონ ნემოიანუს; იგი, მოუცლელობის მიუხედავად, დიდსულოვნად დაგვთანხმდა და პასუხები გამოგვიგზავნა.

## ნოსტალგია კლასიკური ჰუმანიზმისა

\*

### საუბარი ვერჯილ ნემოიანუსთან

**– გთხოვთ მოკლედ გადმოგვცეთ, თუ რა მიმართულებებია დღევანდელ ამერიკულ პროზაში, პოეზიაში, დრამატურგიასა და კრიტიკაში?**

– ამერიკული პოეზიის „ოქროს ხანა“ 1910-1960 წლებია. ეს იყო ეპოქა რობერტ ფროსტისა, უოლეს სტივენსისა, ეზრა პაუნდისა, რობინზონ ჯეფერსისა, ი.ი. კამინგსისა, მერიენ მურისა და სხვათა და სხვათა. 1960 წლიდან პოეზია ამერიკაში დაღმასვლას იწყებს. დღეს გვაქვს პოეზია ქალებისა, სხვადასხვა უმცირესობებისა, „პირდაპირი“ პოეზია (ე.ი. ავტობიოგრაფიული და ფსიქოლოგიური), მაგრამ აღარ გავგაჩნია დიდი პოეზია, საკაცობრიო.

რაოდენობრივად დიდი ადგილი უჭირავს მუსიკის თანმხლებ ლირიკას (რეპი, ჰიპ-ჰოპი, როკი და სხვა), მაგრამ ეს, მაინც პრიმიტიული ლექსებია. იმავდროულად გვემის „პოსტ-მოდერნიზმის“ გამოძახილი, მაგალითად, დერეკ უოლკოტის შემოქმედებაში, ვინც დაწერა ერთგვარი ვარიანტი ჰომეროსის „ილიადასი“, სადაც მოქმედება კარიბის ზღვის აუზში ხდება, თავის წარმომავლობით ფესვებს რომ ეძებს ავტორი; ან კიდევ რუსულ-ებრაული წარმოშობის იოსიფ ბროდსკის ხმა.

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი პოეზია იწერება სამხრეთელი პოეტების მიერ (მაგალითად, ანგარდაცვლილი ჯეიმს დიკი, ჩარლზ რაიტი, დეივ სმიტი).

სხვაგვარი მდგომარეობაა პროზაში. სამი დიდი მწერალი: სოლ ბელოუ, ჯონ აპდაიკი, უოლკერ პერსი (მხოლოდ აპდაიკია ცოცხალი და მოქმედი) ეუდორა ველტისთან ერთად (ველტიც სამხრეთელია) წარმართავენ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარს რეალისტურ-ექსისტენციალური მიმართულებით (ვგულისხმობ, რომ პრო-

ზაიკოსი სვამს შეკითხვებს კაცობრიობის, სიცოცხლის აზრის, კეთილისა და ბოროტის შესახებ... ეს დიდი მწერლები გარშემოტყმულნი იყვნენ მრავალი კარგი და საინტერესო მწერლით, რეალისტურ ტრადიციას რომ მიჰყვებოდნენ (ან ოდნავ სახეცვლილ რეალიზმს; დავასახელებდი ჯ.ფ. პაუერსს, ტონი მორისონს, ან ახალგაზრდა რონ ჰანსენს).



იმავდროულად, მაგრამ ამისდა საპირისპიროდ, არსებობდა (და ეს დღემდე გრძელდება) ბრწყინვალე სკოლა ამერიკული პოსტმოდერნიზმისა, რაც, ჩემი აზრით, საუკეთესოა მსოფლიოში: ჯონ ბარტი, ტომას პინჩონი, უილიამ გედისი, ჯილბერტ სორენტინო, ჯონ ჰოკსი, რონ დელილო, რობერტ ქუვერი, უილიამ გასი ან (უფრო იდეოსინკრეტული მიმართულება) დ. კით მენო, გაი დევენპორტი, ედუარდ ები და მრავალი სხვა.

საგულისხმოა, რომ ბოლო ხანებში რამდენიმე შედარებით ახალგაზრდა ავტორი შემობრუნდა ლიტერატურული ნაზავისაკენ, რაც აერთიანებს მეცნიერებასა და ისტორიას: მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ბრწინვალე ნილ სტივენსონი, დევიდ ფოსტერ უოლესი, ნიკოლსონ ბეიკერი. ეს ალბათ უნდა აიხსნას სამეცნიერო პროზის გავლენით, რაც სწრაფად განვითარდა და აფეთქებასავით ამოისროლა მრავალი სახელი, ბევრი გამოცემა, მრავალფეროვანი და პოპულარული.

ამერიკულმა სამეცნიერო პროზამ მნიშვნელოვანწილად შეითვისა ისტორიული რომანი, სათავგადასავლო რომანი, და ხანდახან ექსპერიმენტული პროზაც.

რაც შეეხება ამერიკულ დრამას, ვფიქრობ მასაც ჰქონდა სიძლიერისა და სიუხვის ჟამი. მომწონს ედუარდ ოლბი, როგორც ნამყვანი დრამატურგი; ზობ უილსონიც (იგი ძირითადად ევროპაში მუშაობს) ნაყოფიერი შემოქმედებით გამოირჩევა, იგი ერთმანეთს უხამებს დიზაინს, რეჟისურას, მუსიკას, ბალეტს, ტექსტს ახალ ფორმაში და ქმნის თანამიმდევრულ, შეკავშირებულ ერთიანობას.

მთლიანობაში ამერიკული ლიტერატურა ოცდამეერთე საუკუნის დამდეგს, მეტისმეტად მდიდარია რაოდენ-

ნობრვიად, საღია და მრავალფეროვანი, მაგრამ ძნელია გავარჩიოთ გამოკვეთილი სტრუქტურა.

**– რას ფიქრობთ 2006 წლის ნობელის პრემიის ლაურეატ ორჰან ფამუქზე; ხომ არ ფიქრობთ, რომ მასაც პოლიტიკური მოსაზრებით მიანიჭეს პრემია?**

– ვფიქრობ, ორჰან ფამუქი გაბედული, არსში მწვდომი და, გარკვეული აზრით, საინტერესო მწერალია, მაგრამ ის უფრო ლოკალური და რეგიონული მნიშვნელობის შემოქმედია. ნობელის პრემიის კომიტეტი ბოლო 10-20 წელია მიმართულია უფრო რეგიონული, გენდერული, იდეოლოგიური წონასწორობის დასაცავად, ვიდრე პირნიშნადად ესთეტიკური და ლიტერატურული ღირებულებებისაკენ (პირადად მე ესთეტიკური ღირებულებანი მირჩევნია).

ამიტომ, ჩემი აზრით, პრობლემა არა ორჰან ფამუქი, არამედ ნობელის პრემიის კომიტეტის არჩევანის კრიტიციზმი.

სამართლიანობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ თავიდანვე, ასი წლისა თუ მეტი, არსებობის მანძილზე, ნობელის პრემიის არჩევანი ლიტერატურაში საეჭვო იყო, ორმაგი და განუჭვრეტელი. ასი წლის მანძილზე გამარჯვებულების სიას თუ დავაკვირდებით, აღმოვაჩინებთ მრავალ გამორჩეულ სახელს, რომელთაც მარადიული ღირებულება აქვთ, მაგრამ აქვე ვიპოვით სახელებს, რომლებიც უკვე მივიწყებულია, ან დროის გასვლის შემდეგ, მიჩნეულია მეორხარისხოვნად თუ სრულიად არაფრისმთქმელად. ზოგიერთი მწერლად არც კი ჩაითვლება, არამედ, ვთქვათ, ისტორიკოსად. მე პირადად ნობელის პრემია მრავალთა შორის ერთ-ერთ ინდიკატორად, მაგრამ არ მესახება საყოველთაო და საბოლოო შეფასებად. რა თქმა უნდა, სასურველია ნობელის პრემიის მოპოვება, მაგრამ თუ შორს გავიხედავთ, დარწმუნებული არ უნდა ვიყოთ, რომ „ლიტერატურული უკვდავების“ საწინდარია.

**– კლასიკურ ამერიკულ ლიტერატურაში ევროპული გარემო, ბუნება, პეიზაჟები უფრო პოპულარული იყო, ვიდრე მშობლიური, ამერიკული; რა არის ამის მიზეზი და რას ხედავთ დღეს ამ მიმართულებით?**

– ეს მხოლოდ გარკვეულ დონემდეა მართალი. გავიხსენოთ, რომ ერთ-ერთი უდიდესი ამერიკელი მწერალი, როგორცაა ჯეიმზ ფენიმორ კუპერი, მთლიანად ამერიკულ მოვლენებშია შთანთქმული. გვიანდელი დიდი მწერლები, როგორებიცაა მელვილი, ჰოთორნი, მარკ ტვენი, უიტმენი, უილა კატერი და მრავალი სხვა აგრეთვე ამერიკული გარემოს აღწერით იყვნენ დაკავებულნი (ამერიკელი ინდიელებით, „ძირძველი ამერიკელებით“ და სხვა ადგილობრივი ჯგუფებით, ადგილობრივი სოციალური და ბუნებრივი გარემოთი).

ისიც მართალია, რასაც თქვენ ამბობთ, რომ მეცხრამეტე საუკუნეში ამერიკული ლიტერატურა ძალზე ახალგაზრდა იყო, ამბიციური და ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ შეეძლო შეექმნა თხზულებები ღირსი ხანგრძლივი და დიდებული, დასავლური (კერძოდ, ინგლისური) ტრადიციისა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ყურადღების ღირსი იყო და მისი საზომები სხვებისას უსწორდებოდა.

ამიტომაც ზოგიერთი დიდი მწერალი ტოვებდა თავის სამშობლოს (ტ.ს. ელიოტი, ჰენრი ჯეიმზი, ჯულიან გრინი

და სხვები ნარსულში, აგრეთვე სულ ახლახან აფრო-ამერიკელი ჯეიმზ ბოლდუინი, ვინც დიდი ხანი არ არის, რაც გარდაიცვალა, ან პოლ ოსტერი, ვინც ჯერაც წერს). სხვა მწერლები (ჰემინგუეი და ეზრა პაუნდი) დიდი ხნით გაემგზავრნენ ამერიკიდან და მოგვიანებით დაბრუნდნენ.

**– ხომ არ გაგიჩნდათ ერთგვარი ნოსტალგია ძველი თემების, მოტივებისა თუ ლიტერატურული მიმართულებებისადმი და თუ ასეა, რას ისაკლისებთ ყველაზე მეტად?**

– მრავალი ჩემი საყვარელი მართლაც მწერალი ნარსულს ეკუთვნის და უთუოდ განვიციდი ნოსტალგიასა და ერთგვარ წუხილს: თორნტონ უაილდერის, უილა კატერის, ალბათ ვლადიმერ ნაბოკოვის (თუ ამერიკელად ჩავთვლით) გამო. ვწუხვარ, რომ დღეისთვის აღარ ცდილობენ მიიხედონ კლასიკური ჰუმანიზმისკენ, ადამიანური სიქველენი აღარ არის ასახული საკმარისი დახვეწილობითა და სიცხადით (სტილისა თუ შინაარსის მხრივ). ზოგადად მისწრაფება სიკეთის აღიარებისაკენ აღარ არის გამოკვეთილი, ადამიანთა აღწერილობა არ არის დამაჯერებელი, განახლების კავშირი ტრადიციასთან ნაკლებად მტკიცეა, ვიდრე ვისურვებდი, რომ მეხილა.

მადლობას გიხდით ძალზე საინტერესო შეკითხვებისათვის. ძნელი იყო მათზე პასუხის გაცემა, მაგრამ მაინც შეეცადა.

ვაშინგტონი,  
2007 წლის იანვარი.

**ჩვენი ფოსტა**

ძვირფასო როსტომ, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ თქვენი ჟურნალის ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია ჩემი ლექსი, „მომავალი“ და მასთან მშვენიერი კომენტარი. ვილაცამ გამოუგზავნა ამ გვერდის ქსეროკოპიო ერთ ჩემს ნიუ-იორკში მცხოვრებ თბილისელ ნაცნობს, რომელმაც მე დამირეკა და ტელეფონით წამიკითხა ეს კომენტარი.

ვერ აგინერთ, როგორ გამახარა ამ ფაქტმა, განსაკუთრებით კი იმ კომენტარმა. ასე კარგად და კეთილად ჩემს ლექსებზე არავის დაუწერია. თუმცა საერთოდ ჩემს ლექსებს საქართველოში მაინცდამაინც არც იცნობენ. ამიტომ ეს კომენტარი კიდევ უფრო სასიამოვნო და გასახარელი იყო ჩემთვის. კინაღამ ვიტყვი, ღმერთმანი!

ძალიან გთხოვთ, გადაეცით ამ კომენტარის ავტორს, ბატონ ლუკას ჩემი გულითადი მადლობა. არ ვიცი, შევხვედრივარ მას თუ არა. თუ შევხვედრივარ, არ მახსოვს და ბოდიშს ვიხდი მის წინაშე. თუ არ შევხვედრივარ, ძალზე მესიამოვნება მასთან შეხვედრა, როდესაც ჩამოვალ. თქვენც უღრმესი მადლობა, რომ ეს ლექსი თქვენს შესანიშნავ ჟურნალში დასაბეჭდ მასალად ჩათვალეთ.

გადაეცით ჩემი გულთბილი მოკითხვა ბატონ ოთარს, რომლის უღრმესი პატივისმცემელი ყოველთვის ვიყავი, ვარ და ვიქნები.

კარგად და ბედნიერად ბრძანდებოდეთ. გისურვებთ ყოველგვარ წარმატებას თქვენს საქმიანობაში.

**დოდონა კიზირია**  
ინდიანა

თეა თოფურია

# პირაქეთა საიქიო

– ვკვდებით არაა!...

გაბრიელას სიკვდილის არ სჯეროდა. მოკვდაო, ვინმეზე ეტყოდნენ და სიცილისგან აღარ იყო. სატირალში და პანაშვიდში არ აჭაჭანებდნენ, აბა, როგორია ჭირისუფალს რომ დაუფინებ, ცოცხალია შენი მიცვალებული.

– რას ჰქვია არ ვკვდებით, აგერ ჟორჟიკა რომ ჩავდეთ მინაში, არ მომკვდარა?

– არა, არ მომკვდარა ჟორჟიკა, არა.

– მა სად არის?

– მინაშია, მინაში.

– ცხრა ძმა ხერხეულიძეებიც ცოცხლები იქნებიან, ჰა?

– ცოცხლები არიან, ცოცხლები.

– სად არიან ცოცხლები, მინაში?

– გულში, გულში, მაგათ ვენაცვალე, მაგათა – გაბრიელა გულზე ხელს დაირტყავდა თვალბგაბრწყინებული, – ცხრავე აქ არის.

– ვინროდ იქნებიან მანდ?

– რადა კაცო, ერთი თხილის გული ცხრა ძმამ გაიყო, არ გაგიგიათ, განა საიქიო ადამიანის გულზე ფართოა?!

– არც მერე დაიხოცებიან?

– მერე რაღა დახოცავთ, წავიდა მტერი.

– არც შენ მოკვდები?

– მოვკვდები, არა!..

გაბრიელა ანდაზად ჰყავდა სოფელს, გაბრიელასავით უკვდავი ჰგონია თავი; გაბრიელა სააქაოს ვახშობს, საიქიოს სადილობს; გაბრიელ, პერანგი გაიძრე, ბიჭოო... ეს პერანგი გაიძრე კიდევ ცალკე ამბავი იყო. ტბა ჰქონდა სოფელს, პატარა, მაგრამ კაი ღრმა. ვილაცას ეთქვა გაბრიელასთვის, აქ ეკლესიაა ჩაძირული. მას შემდეგ შიშველი აღარ შესულა წყალში, სხვები თუ ტბასთან იხდიდნენ, ეს პირიქით იცვამდა ხოლმე. გამოვიდოდა სალამოს პირს ყანიდან თუ ვენახიდან, მუხლებამდე აკაპინებულ შარვალს ჩამოშვებდა, პერანგს ჩაიცვამდა, პირჯვარს გადაინერდა და შეცურავდა ჩუმად.

რაღა გაბრიელა და რაღა ქეთო ბებოო... ასეც იტყოდნენ ხოლმე. ოღონდ ქეთო ბებო დიდი წიოკა ვინმე იყო. თუკი გაგიგებდა, ვერ გაასწრებდი. ქურდების ემინოდა ქეთოს. ნასაღები არაფერი ებადა, მაგრამ მოხუცი ხომ წუნურაქი ხდება და ქეთოს ახალგაზრდობაშიც ორი კოვზი ერთდროულად არასდროს დაუდვია მაგიდაზე. მაგის ღამის ძილი ვინმეს ენახა, ან სიცილით მოკვდებოდა ან ტირილით. ჯერ ხომ ტანგაუხდელი ინვა გაუშლელ ლოგინზე, მერე თუ სახლში რამე მჭრელი იყო ყველაფერი გვერდით ელაგა: ლომი, ნაჯახიო, წალდიო... ტამპით წყალიც ჰქონდა მომარაგებული, ქურდისთვის თავზე რომ დაესხა. ზაფხულში წყალი თბებოდა და ცივის ჩასამატებლად ღამე ორჯერ წამოინევდა ხოლმე. ჟღერიალებდა კაბაზე ასხმული დანა-წალდი, ისეთი ზანზარი იდგა, მეზობლები ყოველ მის ლოგინში გადბრუნებებს ითვლიდნენ.



ერთხელ ძალღიჯ ჩამოუყვანეს მწყემსებმა, ღამეებს რომ აუთოებ, საბანქვეშ დაიძინე, ანი ეს გიდარაჯებსო. მეცხვარე ნაგაზი იყო, ბეხვერა. ინვა თავისთვის წინკარში. წააგულიანებდა ქეთო, ნაკრავდა წიხლს, გადანვებოდა ახლა სხვაგან. ქოთქოთებდა ხოლმე გულმოსული: «გენაცვათ, ბატკანი უფრო დაიყუფებდა... ამის მომყვანმაც უნდა თქვას, ძალღიჯ მიუყვანეო. განა, რასაც კუდი არ უსწორდება, ყველა ძალღიჯა...?!»

ქეთო ავი და შარი კი გახლდათ, მაგრამ სოფელში სიტყვაზე მაინც არავინ მოსდევდა. შვილმკვდარი დედა იყო და ეხატებოდათ ხოლმე. თან განა მარტო ერთი, რამდენიც გავაჩინე ყველამ გამასწრო საიქიოშიო: ალექსანდრემო, ვალერამო, ჭუტამო, – იტყოდა ხოლმე, – ყველა ჩემს წინ წავიდო. გაბრიელამ უთხრა ერთხელ, წავიდნენ არაო... და მას შემდეგ ვერ იტანდა გაბრიელას, ეგ ჯოჯობის გოგირდი ეგა, ცაში რომ ვარსკვლავებს ითვლის და საიქიოში მიცვალებულებს, მაგის სიკვდილსაც უნდა დაველოდო, ზალამი იატაკს ავყრი და კუბოს შევუკრავო...

შემოდგომაზე მაჩვი იყო თუ სინდიოფალა, რაღაც პატარა ცხოველი კი შემოეჩვიო ქეთოს სახლს. ღამე მოვარდებოდა ხოლმე და აფხაკუნდებოდა ფანჯრებთან. წამოფახფახდებოდა ქეთოც თავისი აბჯარ-იარაღით, გადააქცევდა წყალს ეზოში და ატეხავდა ყვირილს: ეცი ძალო, ეცი, რას მომჩერებხარ... ქურდი დაიჭირე, ქურდი... ფუი, შენს მომყვანს... არიქა, ალექსანდრე, ჩქარა, ჩქარა... ვალერი, ჭიშკარში ჩადექი, არ გაგასწროს... ჭუტა, შვილო, თოფი გამოიტა, თოფი...

ამ განამანაში დაათენდა რამდენჯერმე, შემდეგ დაზამთრდა თუ სხვის ეზოს შეეჩვიო სინდიოფალა, სიმშვიდე კი ჩამოვარდა ქეთოსას. მაგრამ მარტში ძალღიჯ მოუკვდა და ახლა ამან გააფაციცა დედაბერი, ქურდებმა ნემსი გადააყლაპეს, ჩემს სახლში შემოპარვას აპირებენო.

იმ პერიოდში იყო, მეზობელი თევდორე გვიან ღამით რომ მიადგა ღვინის სასესებლად. ძუნწ ქეთოს ვინ რას ესესებოდა, მაგრამ სულ რომ არ ელოდა ისე მძახალი მოუვიდა სტუმრად. გამოლეული ჰქონდა ყველას ღვინო, ალდგომისთვის ინახავდნენ რამდენიმე ლიტრს. თევდორეს ფიქრით, მარტოხელა ქალს, უკაცო ოჯახში ერთი დოქი სასამელი მაინც უნდა შემორჩებოდა და ამ ანგარიშით გადავიდა ქეთოსკენ.

დაძახებაც არ უცლია, ჭიშკრის ჭრიალზევე ფანჯარასთან დადგა მასპინძელი. მიითრია ტამპი და ატეხა ისევ განგამი: ალექსანდრე, ჩქარა, ჩქარა... ჩქარა, ვალერი... ჭუტა, ძალღიჯ ფრთხილად ახსენი ყელი არ გამოგლადროს...

იმ სიცივეში განუნული და დოქცარიელი რომ დაბრუნდა თევდორე, მაშინ თქვა სწორედ, რაღა ქეთო ბებო და რაღა გაბრიელაო. თან ტანსაცმელს იხდიდა საჩქაროდ, გაოგნებულად მძახალის წინ.

პირში ვინ გაუბედავდა, მაგრამ ზურგს უკანაც არ სიამოვნებდა ქეთო ბებოს გაბრიელასთან შედარება. უფრო ამოიჩემა, სადაც სიტყვა მოიტანდა და არ მოიტანდა ყველ-

გან იქადნებოდა ხოლმე – ერთი, ტელევიზორი გამიფუჭდა, ხელოსანი მომაძებნინეთ, სანამ გაბრეილა არ მოკვდება არც მე უნდა მოკვდე, წინ უნდა გავიმძღვანო პატარძლის ცხენივითა...

საათიც რომ გეკითხა, მაშინაც გეტყოდა, ჯერ გაბრეილა და მერე მეო. ჩემი სამი შვილის სულს ფიცავარო, დააყოლებდა ხოლმე. ხო როგორი ძუნწი იყო, მაგრამ ნამლებში არ ენანებოდა ფული. ეს რაუმატინიო, კორვალოლიო, ენაფხაშიო... იჭყიებოდა გაბრეილას ჯინაზე. გამოიტანდა აივანზე ჯორკოს, დაადებდა ერთ პატარა და მეორე კიდე უფრო პატარა ბალიშს, დააჯდებოდა ზედ და ნაყავდა ვალერიანის ფესვებს. ამ დროს მეზობლის კატები სულ ერთიანად მასთან მოგროვდებოდნენ ხოლმე. თვითონაც მიერულებოდა ვალერიანის სუნიტ გაბრუებულს, ჩამოკეცავდა თავს და ეძინა ასე, ქვით ხელში, კატებით გარშემორტყმულს.

\* \* \*

ქეთოს მეპურე იოსებაც ჰყავდა გადამტერებული. მისგან სამ დღეში ერთხელ ყიდულობდა ერთ ლავაშს და იმასაც სამი დღის მერე ჭამდა, დაობებულს, ობმა ფული იცი-სო. ერთმანეთზე წუნურაქები იყვნენ მეპურეც და ქეთოც, ერთი ხომ რვაასგრამიანის ნაცვლად, ექვსასგრამიან პურებს აცხობდა, მეორე კიდე ისე არ წაიღებდა სახლში ლავაშს, სასწორზე არ ჰქონოდა ანონილი. სასწორს თან ატარებდა ქეთო, ჩამოაცვამდა ყუას კაუჭზე, გაიკეთებდა ორმაგლინზიან სათვალეებს და მიაშტერდებოდა ყურადღებით. ისე გაუნვრილა იოსებას გული, რომ ერთ რვაასგრამიანს მართლაც ამზადებდა ქეთოსთვის, თუ იმ დღეს არ გამოჩნდებოდა, სახლში მიჰქონდა ხოლმე. ამის გამო, ხშირად იოსებას ოჯახი მხოლოდ გვიან ღამითა ჭამდა პურს, დილით არ გაატანდა შვილებს, იქნებ ქეთო არ მოვიდეს და რვაასგრამიანი დაგვრჩებაო. ის კი არა, ხანდახან კერძადაც პური მიჰქონდა სახლში. მიუჯდებოდა მაგიდას, დაგლიჯავდა ლავაშს, ჩამოურიგებდა ოჯახობას თეფშებზე და ცალკე ქარხნის პურს დაჭრიდა, თონე ჭამეთ, ქარხნისა მიაყოლეთო.

სულ აყალ-მაყალში იყვნენ იოსება და ქეთო. სულ მატყუებ, არ გატყუებო, ისმოდა მაგათი ვაჭრობისას. ქეთო არ დაენახა და თუნდაც მზე არ ამოსულიყო იმ დღეს იოსებასთვის. თავის თონეს რომ გაალებდა, ცომის მოზელვასაც ამ სიტყვებით იწყებდა ხოლმე, ქეთო – იქა, ფქვილი – აქაო.

კიდე უცხო და გაქექილი ხალხი არ უყვარდა იოსებას. ზარად დაამახსოვდა ის დღე, შეიღმა ცოლი რომ შეირთო.

დგას იოსება თონეში, ქეთო-იქა, ფქვილი-აქას ლილინებს და უმცროსმა გოგომ ახარა, ჯაბამ ცოლი მოიყვანა, ერთი ლტოლვილი სოფიკოო. ჯერ რძალი რად უნდოდა იოსებას და ახლა კიდე ლტოლვილი. მეგრელების ისედაც ეშინოდა, პა, პა, პა, პა... ისე მოგატყუებენ, იქით მადლობელი დარჩებიო. მართალიც გამოდგა. ბევრი არ ალაპარაკა რძალმა იოსება, ერთი-ორჯერ გასინჯა პურს შეტანებული პური და გამოუცხადა ქმარს:

– ახლა ან დაჭკვიანდით, ან საიდანაც მოვსულვარ იქით წავალ, ან სულაც იმის იქით.

იმის იქით არა, მაგრამ იქვე გვერდზე კი აიშენეს პატარა სახლი, ცოტა იოსებას მოუხდა წელში განყვეტა, უფრო გო-

გოს მშობლებმა გზავნეს ფული და მერე თვითონაც მოყვნენ იმ ფულს. ერთი, შვილთან უნდოდათ ყოფნა და მეორეც, ისეთ ადგილს ეძებდნენ, თვითმფრინავის ჭაჭანება რომ არ იქნებოდა.

ხო ყველას რალაცა ეჯავრება და თვითმფრინავებს კიდეც სოფიკოს მამა ვერ იტანდა. თავისი თვალთ ჰქონდა ნანახი, როგორ აფეთქდა ერთ-ერთი მათგანი სოხუმში და როგორ ცვიოდნენ აღრიალებული მგზავრები შუაზე გადახსნილი სალონიდან. ხშირად ამბობდა, ვინც ამ ამბავს შეესწრო შემდეგ ყველა კიბოთი და ლეიკოზით გარდაიცვალაო. თვითონ არც ერთი არ სჭირდა, მაგრამ ბედის ირონიით, მთავრობამ აეროპორტის დასახლებაში გამოუყო ბინა. პირველად რომ დაიძინეს იმ ბინაში და შუალამისას თვითმფრინავმა გადაუშხუილათ თავზე, საცვლების ამარა დაინყო კაცმა სირბილი. მთელი ოჯახი უკან დასდევდა და აწყნარებდა.

დიდი ფოეფოე ქალი იყო სოფიკოს დედაც, რუსულად ლაპარაკობდა და მალალქუსლიან ფეხსაცმელს არ იხდიდა სოფლის გზებზე. თქვენ ის უნდა გენახათ, კოდორის ხეობას შიფონის კაბით რომ მოუყვებოდაო, კისკისებდა ხოლმე სოფიკო, კვდებოდა სიცილით.

– შენახული მაქვს ეგ კაბა, დაბრუნება რომ იქნება, ისევე უნდა ჩავიცვა და ნავიდე, – ნიშნისმოგებით იტყოდა ხოლმე დედამისი და თორმეტი წლის წინანდელ კაბას ყოველ ზაფხულს ამზერებდა, ჩრჩილს რომ არ შეეჭამა.

ამ ქალმა ლამის ქეთო დაავინყა იოსებას. რამდენი დაბრუნებას გაიგონებდა, იმდენი დაფეთდებოდა ხოლმე. ომის ეშინოდა, ისე, ისე რომ მეტი არ შეიძლება.

– დაგავინყდათ, ხან ფქვილი რომ არ გვექონდა და ხან წყალი პურის მოსაზელად, რა დაბრუნება რის დაბრუნება, ნეტა, სადაცა ვართ იქ დავეტიოთ, – ამბობდა და თან რძალს მისჩერებოდა მუცელზე, – ჯერ ბავშვი არ დამანახოთ, მაგის რჩენის თავი არა მაქვს. ვერ ხედავთ, რა დროა, აბა, ამ დროს კაცი მიენდობა და ბავშვს გააჩენს?!

მაგრამ ვინ უსმენდა იოსებას. სულ მატყულობდა და მატყულობდა ბავშვების ტანსაცმელი შიფონის კაბის გვერდით. სოფიკოც ომისგან იყო შემინებული, აჩენდა და აჩენდა შვილებს.

– ერთი რომ გავაჩინო და მოკვდეს? აგერ ჩვენს გვერდით ყუმბარა რომ მოხვდა სახლს, სამი კუბო გაიტანეს ერთად. ოჯახში იმდენი უნდა იყოს, სააქასაც ეყოს და საიქიოსაც, – იტყოდა ხოლმე ყოველ ორსულობაზე. ხუთი ბავშვი გააჩინა საბოლოოდ. ორივე ეზოში ყურთასმენა აღარ იყო მაგათი ჭყივილისგან.

კიდეც ერთი „გასართობი“ ჰქონდათ სოფიკოსიანებს. სამ თვეში ერთხელ რამდენიმე გვერდიან წერილს წერდნენ და ავტობუსს ატანდნენ თბილისში, იქიდან ნაცნობს ეს წერილი აფხაზეთში, სოფიკოს დეიდასთან მიჰქონდა. დეიდა აფხაზეთში იყო გათხოვილი. ომის დროს მთელი ოჯახი რომ აყარეს, მათ დასაცავად თითოც არ გაუნძრევია. სამაგიეროდ, რალაც სასწაულად გადარჩენილები თბილისში რომ ჩამოვიდნენ, სოფიკოს დედამ პირველი რაც ქნა ის იყო, რომ დას წერილი მისწერა, ბავშვები გზაში დამელუპაო, გაემწარებინა უნდოდა. იმანაც პასუხი შემოუთვალა, მერე მე რაო. რას ჰქვია, რაო და ატყდა წერილების გაგზავნა-გამოგზავნა. აქეთ ერთი და არ ჩერდებოდა, იქით – მეორე. ორი წლის წინ ქმრის ხელით საკუთარი „გარდაცვალება“ აცნობა და

მერე უკვე სოფიკოს მამის სახელზე მოდიოდა წერილები, ჩემთვის დაგეგმვებიანათ, ცოლიც ცოცხალი გეყოლებოდა და შვილებიცო.

კიდევ კარგა ხანს გაერთობოდნენ, ყველასათვის მოულოდნელად აფხაზზე გათხოვილი დეიდა თავზე რომ არ დადგომოდათ. სოფიკო ხუთი ბავშვის სარეცხს რეცხავდა ეზოში, უცხო ქალმა ჭიშკრიდან მათი გვარი რომ დაიძახა. აილო თავი ტაშტზე დახრილმა, ქაფიანი ხელებით გამოწია საკეტი, დედას ჰგავდა იმით იცნო დეიდა.

- აქ არ ცხოვრობს, მაგ გვარის არავინ, - უთხრა ჩუმად.
- სიძეა ჩემი, გავიკითხე თბილისში და აქ მომასწავლეს.
- ამ სოფელში მაგ გვარის არა მგონია, ვინმე იყოს.
- ქვრივი კაცია, შვილებიც მკვდარი ჰყავს, დევნილია...
- ...?

- მენახა მინდოდა, ვიფიქრე...

- იქით სოფელში ხომ არ იქნება, გაღმა?

დაფიქრდა ქალი, გადავლო, ჩაილაპარაკა. წყალი სთხოვა სოფიკოს. ერთ-ერთმა ბავშვმა მოუტანა ჭიქით.

- ყველა შენია?

- ჩემია.

- ცხელა თქვენთან, ზღვაზე არ დაგყავს ხოლმე?

- აქ არ არის ზღვა.

- თუ დაიბრუნებთ აფხაზეთს, ჩამოდით ჩემთან, მარტო ვცხოვრობ დიდ სახლში, არ შემანუხებთ.

- მაღლობა!

მისამართი დაუტოვა და გასვლისას წერილად გამოკითხა, მეორე სოფელში რომელი გზა მიდიოდა. მისწავლა სოფიკომ. სახლში რომ შევიდა, გათეთრებული იყო დედამისი, დაჯდა ესეც, მართლა მკვდრებს ჰგავდნენ იმ წუთას. ჩაიც ალარ დაუღევიათ ისე დაიძინა ყველამ ცალ-ცალკე.

\* \* \*

რალა ქეთო ბებო და რალა გაბრიელაო და მეორე სატკივარად გაბრიელა გამოუჩნდა იოსებას. მის ეზოსთან ნანწალს მოუხშირა ბოლო დროს. მანამდე სოფელში ხმა დადიოდა, გაბრიელას სახლს ერთი ჯადო აგური აქვს, იმას თუ ცოტას ჩამოაფშენი და წყალში გარეულს დაღვე, დიდი კაცის გულს მოიგებო. ამის გამო იყო გაბრიელასთან მისული სტუმრები სკამზე დაჯდომის მაგიერ კედლებზე იყვნენ აკრულნი, ზურგით ამონებდნენ, რომელიმე აგური ხომ არ ყანყალებდა. მაგრამ გაბრიელასთან იმდენი აგური იყო მოფაშფალებული, რომ იმის ფშვნით და სმით მთელ სოფელს ფალარათი გაუჩნდა. გადაეკიდნენ და მიაჭიჭინდნენ, გვითხარი სად მაღავე მაგ აგურსო, მაგრამ არ ამბობდა გაბრიელა არაფერს. ის კი შეამჩნიეს, იოსებას ეზოში რომ დაძვრებოდა ღამლამობით და გაჰყენენ ერთხელაც უკან. აგურს არა, მაგრამ იოსებას გოგოსთან ჩახუტებულს მართლაც გადააწყდნენ ეზოში. ეძინათ ორივეს. ისე დაადგა ნახევარი სოფელი თავზე და ისე გაბრუნდა უკან, არაფერი გაუგიათ.

ჰა, სად ჰქონია გაბრიელას აგურიო, ზანტად ჰკითხა ცოლმა ერთ-ერთ მაძიებელს, გვიან ღამე სახლში რომ მივიდა.

- გაბრიელას სად რა ჰქონია, ეგ იოსებას გოგოს უნდა ჰკითხო.

- იოსებას გოგო რა შუაშიაო ვითომ?

- იმისთანა შუაშია, რომ იმის იქით მამალი აღარ ყოვის, - ჩაიხითხითა ქმარმა, თავისკენ ჩამოიჩოჩა ნახევრადმძინარე ცოლი.

მამალი ყიოდა-არ ყიოდა ერთია, მაგრამ გაბრიელა მართლა წერას ჰყავდა ატანილი. გადავიდოდა ყოველ ღამე თონის იქით და ეგრევე მოფარებულში უცდიდა იოსებას უმცროსი. ჩაკოცნიდა გოგო, ჩახევეოდა, გაბრიელ, პერანგი გაიძრე, ბიჭოო - ჩასჩურჩულებდა ტკბილად, ტკბილად და დაუსვამდა მერე ხელს იმ უპერანგო ზურგზე. ხერხემალი აენვებოდა ხოლმე გაბრიელას. გაისუსებოდნენ ქეთო ბებოს კატებივით. ნეტა, მართლა სადმე ახლოს იყოს ის აგური, დაფშენიდი, დაღვევდი, წმინდა გიორგის ვთხოვდი, თან წავეყვანეთო, ნატრობდა ხოლმე გაბრიელა, ნეტარეზისგან ხმანართმეული.

მერე ხომ მოკვდებოდი, - ყოველ ჯერზე შეიცხადებდა იოსებას ქალი.

მოკვდებოდი არაა, - იცინოდა გაბრიელა, ჩაიხუტებდა მამამისის თონესავით გახურებულ გოგოს და თვითონაც ისე შეეკვრებოდა სუნთქვა, თითქოს იონასავით ვეშაპის მუცელში იჯდა სამი დღე. ვინ თქვა, რიცხვი არა აქვს ვარსკვლავებსო, გადათვლილი ჰქონდათ მთელი ზეცა, სულ იცოდნენ, რომელი როდის ამოდიოდა, რომელი როდის ჩადიოდა. ზედ აცვიოდათ მომწყდარი ვარსკვლავები, ერთხელაც არ მოუფიქრებიათ, რამე ჩავუთქვათო...

\* \* \*

ერთი მოზვერივით ცხვარი ჰყავდა იოსებას. ბავშვები იყვნენ მაშინ მისი გოგო-ბიჭი, ბატკანი რომ მოუყვანეს. დაკვლა ენანებოდა და იმხელა გახდა, შემთხვევით რომ წამოდებოდი, გადაგაყირავებდა. რაც თავი ახსოვდათ ბავშვებს ეს ცხვარიც სულ სადღაც ება ეზოში. ება და იცოხნებოდა, თორემ ცოტა თვალში გამოუხედავს შეიძლება ღრუბელიც ჰგონებოდა. რამდენი წლის იყო, აღარც ახსოვდათ უკვე. სოფელში იცინოდნენ კიდევ, თუ რჩევა გინდა, იოსებას ცხვართან უნდა მიხვიდე, მაგაზე უხუცესი აღარავინ დაიარებაო. საშველი რომ დააყენა და დაკლა იოსებამ, იმხელა ტყავი დარჩა ცხვარს, ერთი ხიდან მეორემდე გაჭიმეს გასაშრობად. ახლაც ამ ტყავს გამოიტანდა ხოლმე იოსებას გოგო, ხან ზედ იწვენენ და ხან ზედ ეფარათ, მაინც თავიდან ფეხებამდე წვდებოდა ორივეს.

ფიქრობდა იოსებას გოგო. რაზე ფიქრობო, ჰკითხავდა გაბრიელა და ვერ პასუხობდა ვერასოდეს. გაბრიელაც სულ ზევით იყო აშტერებული. ინვა გულაღმა, იგრინავდა თითზე მატყლს და ფიქრობდა, ფიქრობდა... თან თითქოს თავისი ნებით კი არა, ეს სოფელგადაძოვილი ბებური ტყავი აიძულებდა ფიქრს. თითქოს კარნახობდა რალაცას, ზრდიდა ორივეს, როგორც დღენაკლული ამირანი გამოზარდეს ხბოს ტყავში.

ისედაც თავისებური ფიქრის იყო გაბრიელა, ხელახლა აწყობდა და ალაგებდა ქვეყანას. ღამეებს ჭოტივით უძალიანდებოდა, წამოყოფდა ხოლმე თავს ლოგინიდან და დაიძახებდა: აქა ვარ, აქაა... მიჩვეულები იყვნენ სოფელში მაგის წამოძახილებს. ღამეს აფრთხოდა ასე გაბრიელა, უღმერთოა ღამეო, იტყოდა ხოლმე.

- აი, ღმერთი ხომ სინათლეა, სინათლე მზისგან მოდის, ღამე და სიბნელე კი არაფრისგან, მიზეზი მაგას არა აქვს და

დასაბამი. სხივმა რომ დილით ქათმები დააღვიძოს, იმხელა მზე ცაში გამოკიდებულა და ცეცხლი უკიდია, სიბნელისთვის კი როდის რა გარჯილა სამყაროში. აბა სხვა რა იცი, მაგის გარდა წარმომავლობა არ ჰქონდეს და მაინც არსებობდეს, – ასე ამბობდა ხოლმე გაბრიელა. ასე დაანყო თავის გუნებაში ლამის და დღის ამბავი. ემინოდა თან ლამის, იმიტომ ემინოდა, რომ მიხვდა, სადაც არაფერი არ არის იქ არის ლამე. რომ არ იყოს არაფერი, არც მზე, არც დედამინა, არც ეს ცა, ზუსტად იოსებას ეზოს სიფართოზე როა გამოჭრილი და ღმერთო შენ მიშველე, ღმერთიც რომ არ იყოს, სიბნელე მაინც ხომ იქნება, აბა მაშინ იქნება სწორედ, უფსკერო და არაფრით განათებული, უზარმაზარ, არსად დაწყებულ და არსად დასრულებულ სივრცეში, უადამიანო, უყველაფრო, მთელ სიგძე-სიგანეზე გადაჭიმული უკუნეთი...

წარმოიდგენდა ხოლმე ხანდახან ამას გაბრიელა და ემინოდა, ჯოჯოხეთიც კი ჯობია ამას, იქ ხალხი მაინცაა და ეშმაკების თვალები მაინც ანათებსო. დაფიქრდებოდა ხოლმე და ამ დროს ისე შორეულად ეჩვენებოდა უამრავი და უსხეულო მზით განათებული სასუფეველი, რომ ლამისაა ეტირა უილაჯობისგან. ამიტომაც წამოვარდებოდა ხოლმე ბნელ ღამეში და აქა ვარო, აყრუებდა ქვეყანას. იცოდა, სანამ ერთი ციციანთელა მაინც დაფოფხავს და სანამ ჰაერი ადამიანის ხმას ატარებს, არ დაბნელდება.

- გაბრიელ, ბიჭოო...
- ჰა, რა იყო?
- მითხარი რამე, ღამის მეშინია.
- რისი გეშინია, ხომ გითხარი, არ არსებობს ღამე-მეთქი?

- რო ღამდება ხოლმე?
- ღამდება არა!

დაიხვევდა ისევ ცხვრის მატყლს თითებზე, ახლა სხვა ფიქრი აეკრობოდა ხელისგულს. მეორე ცხოვრებას თელავდა იოსებას ვერძი. აბა, ვის გაუგია, ცხვარი თხუთმეტი წელი გებას ეზოში, შეეჩვია სიცოცხლეს, დაკლეს და ვერც გაიგო, რა დაემართა...

\*\*\*

იმ ხანობას იყო, ქეთო ბებო ჩავარდა ლოგინად. მეზობლებს მისი რკინა-ჟესტის ხმა შემოაკლდათ და შეაკითხეს სახლში. სააქაო პირი აღარ უჩანდა ქეთოს, თავის ხარა-ხურინანად ინვა და თვალებსაღ ატრიალებდა საცოდავად. ცო-

ტა რომ მოასულიერეს, ჯერ გაბრიელაო, ამოიხავლა. ჩაიქნით მეზობლებმა ხელი, ხან ერთი ყარაულობდა, ხან – მეორე.

სოფლის ექიმის ვარაუდით, სამ დღეზე მეტი არ უნდა ეცოცხლა ქეთოს, მაგრამ კაი ორი კვირის მერეც აცეცებდა თვალებს. ხანდახან მონდომებული წამოინევდა, გაბრიელა ხომ არ მომკვდარაო, იკითხავდა. გაუქნევდნენ თავს და მიესვენებოდა ისევ კრუსუნით. უყურეს, უყურეს დედაკაცებმა და ძალიან რომ შელონდნენ ქეთოს ღამის ქოთნების ზიდვით, გაინენეს თმები:

- ვაიმე, გაბრიელა მოუკლავს იოსებას, ვაიმეე...
- ვაიი... აბა, არ მოვკვდებიო, ბიჭოოო...
- ....

ჯერ უნდოდ იყურებოდა ქეთო, მერე რომ მოუმატეს და მოუმატეს კივილს, წამოჯდა ისევ.

- მართლა ჩაძაღლდა?
- მართლააა...
- მორჩით ერთი ღნავილს,
- განყრა ქეთო და მერე საზეიმოდ დაასრულა. – რახან გაბრიელა მოკვდა, სულ სიმღერით და ცეკვა-თამაშით დამმარხეთ. იცოდეთ, თუ არ გიმღერიათ, თქვენს შვილებს წავიყოლებ საითთაოდ. თქვენები შემეცოდება, ჩემი სამი დამიმარხავს?!

და უკვე საბოლოოდ მიესვენა...

ქეთოს დაკრძალვაზე ამბავი იყო, ხალხი პირდაფრენილი დარჩა. აუგეს წესი, გაიდეს კუბო მხარზე და ჭიშკარში რომ გამოდიოდნენ, გაჩერდნენ ფეხარეულები.

- ჰა, ახლა ვინ დაინყებს?

- დაინყე, ქალო, შენ კარგი ხმა გაქვს.
- შენ დაინყე, თუ კარგია.
- აღარ გადარჩებით, ჩამოგვანყდა მხრები, – კუბოს ქვეშიდან გამოიღრინა ერთმა.

მეტი რალა ჩარა იყო და დაინყეს: „გადავალ, გადავფრინდებიი ბახტრიონს გალავანზედაა“...

თან დაიძრნენ კიდეც. კაი შორი იყო სასაფლაომდე, ისე შევიდნენ ეზოში, ერთმანეთს უჭრიდნენ შაირებს. სამ ხმაზე ნაკლებში არ უმღერიათ არც ერთი. ვილაცას ქეთოს ტაშტი წამოეყოლებინა, ჩასატანებლად, გადმოაპირქვავა და დასცხო დიმიტიკაური. ახლა ჩამოუარეს კიდეც წინ და უკან, ზოგი თავში მიხტოდა, ზოგმა ბოლოში ჩაბუქნა. სასაფლაოზე რომ მივიდნენ და კუბო დადეს, იმის ილაჯიც აღარ ჰქონდათ, ლურსმანი ჩაერჭოთ სახურავზე. პირდაპირ მოამხეს, მეორედ მოსვლისას უფრო იოლად ამოვარო...

ზუსტად იმ დღეს იყო ვილაც უცხოელი ჩამოვიდა სოფელში. კი არ ჩამოვიდა, გზა აერია უბედურს. იმ უღრანში



მხატვარი ინა ქელიძე

ინგლისური აბა საიდან და სანამ ვინმეს რამე გააგებინა კი მოადგა ჯერ პროცესიას და მერე იოსებას თონეს. კაი დაღამებული იყო უკვე, სოფიკოს რომ შესჩიოდა, აზერბაიჯანში მივდივარ და მგონი კი დავიკარგეო.

შემოიპატიჟა სოფიკომ სახლში, ლობის გადმოლმიდან რას გააგებინებდა საით არის აზერბაიჯანი. მოუტანა ჩაი, დაელაპარაკა. ენას არ აჩერებდა უცხოელი, გალალდა ინგლისურის ბაიბურში მყოფის დანახვაზე. თან გაცეცხული იყო, ანსამბლი შემხვდა გზაში, მაგრამ კუბო რალად უნდოდათ ვერ გავიგეო.

– ეგ, ქეთო ბებო დავმარხეთ, – გაიცინა სოფიკომ, გამოუცვალა სტუმარს თევში.

ჯერ პირი დაალო უცხოელმა. მერე გაიფიქრა, ალბათ ასეთი წესი აქვთ, მე ვინ მეკითხება, სადღაცინდან ჩამოვხეტილებულვარო... ისედაც რცხვენოდა, ორბილიკიან ქვეყანაში გზა რომ აერია ამხელა კაცს.

– რითი გარდაიცვალა ქალბატონი? – იკითხა, რამე რომ ეკითხა იმიტომ.

– გაბრიელას სიკვდილის ამბავი რომ უთხრეს იმან მოკლა.

– გაბრიელა?

– გაბრიელა ჩემი მულის საყვარელია, მამამთილი ეძებს და ვერ პოულობს, სადღაცას იმალებიან ორივე.

მკვდარი იმალებო? მაინცდამაინც ცხელი არ იყო ჩაი, მაინც კინალამ დაიხრჩო უცხო. ეს რა ქვეყანაში მოხვდა. რუკაზე თითქოს ყველაფერი წესრიგშია. გაივლი საბერძნეთს, თურქეთს, საქართველოს და ჩახვალ აზერბაიჯანში. არავის უთქვამს, თურქეთის საბაჟოს რომ გამოცდები, ეგრევე საიქიო იწყებო, იჯდა ახლა პირგამხეხებული.

სოფიკო კი პირიქით გამხიარულდა გაბრიელასა და მულის გახსენებაზე. უნდა გენახათ იოსებამ რა ამბავი შექნა, ისეთი მტვრის ბული დააყენა, სულ ყვავები და კაჭკაჭები დაქსოვა ჰაერში. მერე დაჯდა და იმასლა იძახდა, სადაც უნდათ იქ წასულან, მაგრამ ცხვრის ტყავი რომ აუნაბნავთ, უკან დააბრუნონო. ამ ტყავზე ბჟირდებოდა სწორედ სოფიკო:

– ან იმათ რას მიჰქონდათ კაი ოქროს საწმისივით, ან ეს რას არ ეშვება, მართლა საწმისს არ გამოვდევენბივართ ქართველები ასეთი თავის გადაკვლით.

ახლა ის გაუკვირდა სტუმარს – ქართველებს რატომ უნდა ედევნათ ოქროს საწმისისთვის. აუხსნა სოფიკომ, ჩვენი იყო, ის კოლხეთი ახლა ეს ქვეყანააო. ლამის გაბრაზდა უცხო, რალად დროს ის ქვეყანა იყო, როდინდელ ამბავს ჰყვებოდა ეს გოგო.

– ის არის, ის. აქ არის, – უმტიციებდა სოფიკო, დაბეჯითებით უქნევდა თავს.

– რას ამბობთ, ქალბატონო, ის ქვეყანა ანტიკურ სამყაროში არსებობდა, აქ როგორ იქნება? – თავისას იმეორებდა უცხოელი და ამ დროს უცებ დაფთხა სინათლე ოთახში. ჭიქა ხელში ჰქონდა შერჩენილი ისე დაიკლო ძაბვამ და გაოგნებული კაცის წინ სათელივით ნარნარად ჩაქრა ნათურა ჯერ მათ ოთახში, მერე ნახევარ სოფელში და მერე მეორე ნახევარში. უმთვარო ღამე იყო. გაუვალი, შავზე შავი კუნაპეტი ჩამოწვა ირგვლივ. ყველაფერი გაჩუმდა, ყველაფერი გადაიკარგა. მოეჩვენა, რომ უკვე აღარ სუნთქავს, უკვე საკუთარ არსებასაც ველარ აღიქვამს... გავიდა წამი, ორი... ნუთი და უცებ ამ განწირული სიშავის შუაგულში ვილაცამ მთელი ხმით ილრიალა:

– აქა ვაააარ!...

ჩვენი ფოსტა

„ჩვენი მწერლობის“ მე-5 ნომერში დეტექტივის რუბრიკით უილიამ ფოლკნერის მოთხრობას „შეცდომა ქიმიასში“ რომ მოვკარი თვალი, მაშინვე ის ვიფიქრე, რომ ესეც კრიმინალური პროზის ნიმუში უფრო იქნებოდა, ვიდრე დეტექტიურისა; ისეთივე, როგორც თქვენივე ჟურნალის შარშანდელ ბოლო ნომერში გამოქვეყნებული ჯონ სტაინბექის „მკვლელობა“.

ეტყობა, დეტექტიურ ანთოლოგიათა გამომცემლები დიდ მწერალთა სახელებს ხარბდებიან და ცდილობენ ამ რანგის შემოქმედნი როგორმე დაუკავშირონ დეტექტივის ჟანრს; ამისათვის კი მართლაც ხელსაყრელია, თავისებური გარდამავალი საფეხურია, კრიმინალური მოთხრობა.

ანთოლოგიებისა თუ ამ ტიპის კრებულების შედგენისას ასეთი „ცოდვები“ ხან აუცილებელიც კი არის, რათა წიგნის მნიშვნელობა ამაღლდეს, ასე რომ, ფოლკნერის მოთხრობა მართლაც დეტექტივი იქნებოდა თუ კრიმინალური პროზის ნიმუში, ამით კაცმა რომ თქვას, არც არაფერი შავდება.

რაკილა იგი ერთ-ერთი უსაყვარლესი მწერალია ჩემთვის, გატაცებით შევუდექი კითხვას, მითუმეტეს, ლაშა გიორგაძის შესანიშნავი თარგმანი იმ დახვეწილობითა და შინაგანი სილალით გამოირჩევა, როგორი მხატვრული ძალითაც უნდა ითარგმნებოდეს ქართულად ფოლკნერის გარეგნულად „ართული“ შემოქმედება.

კითხვამ ჩამითრია და თანდათან აღმოვაჩინე, რომ „შეცდომა ქიმიასში“ ნამდვილი დეტექტივი ყოფილა, კლასიკური ყაიდისა, თავისი ყველა ჟანრობრივი ნიშნით.

მთარგმნელის მინანქრში აღმოვაჩინე, რომ ამ მოთხრობას თავის დროზე დეტექტიური მოთხრობების კონკურსშიც მიუღია მონაწილეობა და უილიამ ფოლკნერი მეორე ადგილს დასჯერებია ჟიურის გადაწყვეტილებით.

ნეტავი უკეთესი რა უნდოდათ, ეს ბრწყინვალე მოთხრობა ასე რომ დანაგრეს? როგორც ჩანს, მარტო ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში შექმნილი ლიტერატურული ჟიურები და კომისიები არ გამოირჩევიან უკიდურესი მიკერძოებითა და ხშირად ყოვლად უხერხული გადაწყვეტილებით.

იქვე ისიცაა აღნიშნული, რომ „შეცდომა ქიმიასში“ ერთ-ერთი ნიმუშია ამ ყაიდის ქმნილებათაგან გაერთიანებული კრებულისა „მხედრის გამბიტი“. ეს მოთხრობა ისეთი ნარმატებით ითარგმნა, ალბათ თანდათან მთელი წიგნი ამეტყველდება ქართულად. იმედია, „ჩვენი მწერლობა“ ხელს შეუწყობს ამგვარი განზრახვის აღსრულებას თითოეული მოთხრობის თანდათანობითი გამოქვეყნებით და უილიამ ფოლკნერი წარმოგვიდგება ახლებური კუთხით, როგორც დეტექტივების ავტორიც. თუმცა საერთოდ დეტექტიური ხერხები უცხო არ არის მისი იოკნაპატოვას საგისათვის.

„მხედრის გამბიტის“ მთავარ გმირს გვეინ სტივენსს კი ისევე მოვიხსენიებთ, როგორც ედგარ ალან პოს ოგიუსტ დიუპენს, არტურ კონან დოილის შერლოკ ჰოლმსს, აგატა კრისტის ერკოულ პუაროსა თუ ჟორჟ სიმენონის კომისარ მეგრეს.

თამარ ჩიტაიკი  
ყელქვეული



დაიბადა 1980 წლის 27 ივნისს, თბილისში. დაამთავრა მე-6 გერმანული გიმნაზია, შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი – „მცირე აკადემია“ ჟურნალისტიკის განხრით. მუშაობდა ჟურნალისტად. მისი ლექსები დროდადრო იბეჭდებოდა ჟურნალებში: „არილი“, „ალტერნატივა“, „ლიტერატურული პალიტრა“.

**ლუკა ბაქანიძე**

**შიზოფრენია**

აი, ისევ მოვიდა. როგორც ყოველთვის, ჯერ ძაღლს მიეფერება, გაეთამაშება. მერე მე შემომხედავს დამნაშავე თვალებით, გაუბედავად ხელს ჩამომართმევს; ეშინია, რამე არ ვკითხო – რატომ, ასე... ყოველდღე, თან დილაბნელზე... არ გინდა, არ გჭირდება ეს „რატომ“. ლამის ყურებში დაიცო თითები, რომ დაიფარო ის ვილაც. სადაც, ქვეცნობიერში მოყუჩებული, ტკბილად მფეთქავი. არაფერს გკითხავ, ნუ გეშინია...

ზიხარ მაგიდის კიდესთან უმწეოდ დიდი. დაჭიმული, სკამის ძვიდეს ხელებჩაფრენილი. ჩამორეცხილ სახეებზე დააცეცებ თვალებს. ეგებ წაანყდე ვინმეს მზერას, ეგებ მერე მაინც გაბედო, ასწიო ჭიქა და შენც თქვა. მოჰყვე, დილაბნელზე როგორ გამოდიხარ ფეხაკრეფით ნინა ოთახში, როგორ დგახარ გატრუნული, ბედნიერი და უსმენ წყნარ ფშვინვას. ფეხს როგორ გაჰკრავ ეჭვით სანოლის წინ დანყობილ ჩუსტებს, იატაკზე გააბრახუნებ – საკუთარ თავს შეეხმანები, რომ დარწმუნდე: მართლაც შენია, შენთანაა, შენს ჭერქვეშ ისმის ეს სუნთქვა. გინდა მოჰყვე მთვლემარე ქუჩაზე, მეეზოვის ცოცხის ფხაჭუნზე, ქვაფენილ აღმართზე და პატარა ბაღზე, სადაც იცი, რომ ყოველთვის, ყოველთვის დაგხვდება შენიანები. სადაც ყოველთვის მოგეფერებიან და არაფერს შეგეკითხებიან. გინდა მოჰყვე, მაგრამ ვერ ბედავ. შენ ხომ იცი... ხომ გითხრეს... დაგადანაშაულებს, ყველაფერი წაგართვეს და მიგატოვებს. რომ თქვა, იქნებ რამე დააშავო. იქნებ ეს ბოლო, უკანასკნელი გზაც წაგართვან, სუნთქვიდან სუნთქვამდე, შუქიდან შუქამდე ასე სათუთად, რუდუნებით გაკვალული გზა. და ზიხარ ჩუმად მაგიდის კიდესთან, უმწეოდ დიდი...

ვილაც, ჩვენი აღვირახსნილი სიმთვრალით დამფრთხალი, ნაკლებ შემთვრალი, ცდილობს რომელიმე საკრალურ სადღეგრძელოს ამოეფაროს: „... ხსოვნა იყოს“. მყისვე თანაზიარობის გამომხატველი, ლამის რეფლექსად ქცეული მიმიკა: დასერიოზულებული სახე, წყნარი ხმის ტემბრი. და უცებ... შადრევანივით ამომსკდარი რაღაც უცხო, სულ სხვა, შიშველი. სიცილი. სიცილი კი არა ხარხარი, შიგნიდან ღრიალით წამოსული, ყელში ძლივძლივობით შენანყვეტებული ისტერიული ხარხარი. შიში...

„ცარიელი წინა ოთახი, ცარიელი სანოლი და მხოლოდ სუნი. სანოლის გადასაფარებელზე შერჩენილი სუნი. აღარც დილა, აღარც აღმართი. მხოლოდ მარტოობა, აუტანლად ძლევამოსილი მარტოობა...“

ხელში შეყინული ჭიქები. ერთგან პერანგზე დაღვრილი არაყი. აჰა. ხომ იცოდი... ხომ იცოდი... შენი ბრალია. ახლა აქაც მოგიშორებენ და დამთავრდება ყველაფერი. თავზე ჩამოგექცევა ეს ბოლო, უკანასკნელიც.

ასე სათუთად, რუდუნებით შეკონინებული ნათელი. „რატომ წავიდნენ?“ მეკითხები მიამიტად, სასონარკვეთილი თვალებით მიყურებ. – რატომ წავიდნენ და... – მოშორდნენ... წავიდნენ, წავიდნენ, წავიდნენ ამათი...

ისევ ცარიელი სკამები, სანახევროდ შესმული ჭიქები. ისევ მე და შენ, ჩვენი დილა, ჩვენი აღმართი...

**№4**

რომ მიმტკიცებდი – „მივდივართ, მივქრივართ!“ ბეტონში ჩაშენებულს რომ მიმტკიცებდი, რომ მატყუებდი. აჰა, თქვენთვის მომიძღვნია, რაც თქვენ გჭირდებათ. თქვენთან გამომიშვია სახეტილოდ შარვალი, ქურთუკი... მივიპარები ჩემს ჭიშკართან, ჩემს გალავანთან, მივადგები ტრაფარეტს წარწერით „№4“, შევევედრები იქნებ ერთხელ, კიდევ ერთხელ შემიშვას შიგნით, მერვე სართულზე... მერვე სართულზე...

ტალახით მოსვრილი პალტო, ხელში ატატებული ძაღლი, ნითლად მოხრეშილი სკვერი, თუთის წვენიტ პირმოთხუპნული გოგო, ხეზე გასული აგერ იქ, გალავანთან. და ქარიც... ქარიც პირველად აქ შემეყვარდა, მაშინ მხოლოდ ფანჯრის მინებს აზრიალებდა.

მერვე სართული... მერვე სართული... მანამდე და შენს მერეა სხვა დანარჩენი, სხვა ყველაფერი შენს გარშემო ხეტიალია...

**მოვალ**

ნუ გეშინია. ვიცი, საბნისქვეშ მოკუნტული, ხმელ ფოთლებში როგორ ეძებდი ჩემს ნაკვალევს. თვალდახუჭული როგორ აფათურებდი ხელებს, ჩემი ქურთუკი რომ მოგეხელთებინა. ნახე, გამხმარი ფოთლები მოგიტანე. ჩემი გაკვამლული ქურთუკიც შენს თავითი ჰკიდია. აგერ, ჩემი ნაფეხურებიც, ტალახიანი ნაფეხურები, მოვედი, შენთან ვარ, ნუ გეშინია!

**დადლილი**

უცებ მიხვდა, შეინჯლრა, გაიბრძოლა. გარშემო ისევ ნიღბების ფერხული. მაინც შემოიპარა ვილაცის მზერა. ბებერი, უიმედობით დადლილი.

შეხედა. მოუნდა ხელში აეყვანა და გაქცეულიყო. მასთან ერთად გარიდებოდა ანკმუტუნებულ, ბინძური საუკუნით დასერილ სამყაროს. მზის ამოსვლა, განთიადი ნახა. აღარ დაუჯერა. განთიადი ჰოლოგრამული თუ დოღბის ეფექტებით. სეანსები პირველ, სამ და ექვს საათზე. ბილეთის ფასი ხუთი ლარი.

„გახსოვს ჩვენი განთიადი იქ, ნავში რომ ამოგვხედავდა ხელში ანკესებშეყინულებს. კალიების ჭრიჭინი და ბაყაყების ყიყინი, თითქოს თან ამოიყვანაო. თევზიც კი ამოტყლაშუნდებოდა ხოლმე მის სანახავად. გახსოვს?“

დაილალა, ძალიან დაილალა. მათაც შეატყვეს, რომ არაფრის გამკეთებელი აღარ იყო. ცოტა ხანიც დასტრიალებდნენ. მერე შეეშენენ. მარტო დატოვეს. იჯდა და თავის განთიადს იხსენებდა, იქ, ნავში. უცებ დაინახა ნიღბებით გარშემორტყმული. აქეთ-იქით ეხეთქებოდა, იბრძოდა. და მიხვდა, ის ახლა ხვდებოდა ნელ-ნელა. მოუნდა შეეხლიჩა, ხელში აეტატებინა და გამოეტაცა იმათვის,

სანამ ბოლომდე მიხვდებოდა ყველაფერს. მაგრამ არაფრის გაკეთება აღარ შეეძლო. იჯდა და აღარ იხსენებდა თავის განთიადს. მტვერნაყრილივით გაუხდა თვალები.

**ტყე**

ათასი კედელი აღვმართე ჩვენს შორის, რომ ვერ გიხილო იდუმალების ბოლო ძონძებში გამოხვეული. არ დავტოვე სიჩუმის არცერთი ხვრელი, შენი ჩურჩული რომ ვერ შემოძვრეს და აჰა, მაინც მოხვედი, სულ იოლად, სიზმარ-სიზმარ გამოუყვიე.

**ჩემი ლექსი**

მოდი ვიყვიროთ, სანამ ასე ვართ, ერთმანეთზე გადახლართულნი. სანამ ერთად ვფეთქავთ, ერთად ვსუნთქავთ. ვიყვიროთ, სანამ ჩვენც მოგვდგებიან ისინი, სამყაროს რომ ანაგლეჯებენ და ნაკუნებში ეძიებენ ჭეშმარიტებას. ვიყვიროთ, სანამ შენს თავს წამართმევენ, შეფუთულს, იარლიყაკრულს გამოგფენენ სასეიროზე... სანამ ერთად ვფეთქავთ, ერთად ვსუნთქავთ, ვიყვიროთ, ვიყვიროთ!

**თავზი**

თევზო, ვიცი, რატომ მეძალავები. მენვეცი, მქაჩავ, თითქოს მე ვიყო თევზი და შენ კიდევ ადამიანი. ტალღებს ებლაუჭები, ოღონდ ასე არ დამენახო პირდაფრენილი, ძუაზე უმწეოდ დაკიდებული. ვიცი, თევზო, რატომაც მებრძვი – ისევ ისეთი გინდა მასსოფდე, შორს, მზისფერი ტალღიდან წამიერად ამოსხლეტილი. მაგრამ რა ვქნა, ადამიანი ვარ, შენ კიდევ თევზი.

**კანდრატა**

ახლა აღარ არის, დაანგრის თუ თვითონ დაინგრა ფუნის და იასამნის სურნელში ჩაფლული სახლი. გლეხური, პატარა ქოხი, ჩატეხილი სარკმლებით. მაგიდაზე ჩაიჩარჩენილ ჭიქის პირზე მბობლავი ფუტკრებით. ვნევიარ ძველ, დანჯღრეულ დივანზე. არ ვიცი, კარგად ვარ თუ ცუდად, ვიპოვე თუ დავკარგე. დაბადების დღე მაქვს დღეს. დილასისხამ შემომძახებს რუსი კანდრატა. ჯერ სახლთან არ მოსულა და ხმამალა ყვირის შორიდანვე. თავს იმხნეებს, ეუხერხულება. ჰგონია, მძინავს.

ჭიშკარს მაინც ფრთხილად შემოაღებს.  
ფეხაკრეფით მოვა ფანჯარასთან – იცის, სადაც ვწევარ.  
შემოყოფს თავს და დააყენებს არყის ოხშივარს.  
„ნუ, ჩივო, რიბაკ, სპიშ?“  
ლოთი კანდრატა.  
შუა სოფელში, ნაკელის გროვაში ჭიებს რომ ეძებს  
თევზის სატყუარად.  
საქმიანად ჩიჩქნის ფუნას. ნირპლიან თვალებს ახამხამებს.  
სულ სირზე ჰკიდია თანასოფლელების ხითხითი.

წავალთ მე, კანდრატა და მისი განუყრელი ძმაკაცი, ბიმკა.  
მანანწალა ძალი.  
გავცდებით სოფელს. შარაზე გავალთ.  
მერე გადავუხვევთ და მინდორ-მინდორ გაუყვებით.  
სველ, ნამიან ბალახზე გვისრიალებს ფეხი.  
დილის ბინდ-ბუნდში ვერ შევამჩნევთ ბუჩქებში ჩამალულ  
ნაკადულს.

ორივე ერთდროულად ჩავვარდებით, გავინუნებით.  
ცხვრის ფარა შემოგვხვდება გზაზე.  
ახერბაიჯანელი მეცხვარე კანდრატას ესალმება.  
მე ვეუცხოები, უნდობლად მათვალეირებს,  
ხმადაბლა ლაპარაკობენ და ჩემკენ იყურებიან.  
მოვა მერე მეცხვარე, ხელს ჩამომართმევს.  
ყველანი იქვე, ბალახზე მოვირთხავთ ფეხს.  
ამოალაგებს მეცხვარე აბგიდან პურს, ყველს და არაყს.  
სადლეგრძელოებს ვიტყვით, გავხურდებით.  
„ზა ტიბია, ბიმკა, ბრატან!“ – კანდრატა ბიმკას ყურს  
უქექავს.

დათვრა კანდრატა.  
ჩვენც ვიტყვით ბიმის სადლეგრძელოს.

უკვე საკმაოდ ინათა, „კლიოზე“ არ დაგვაგვიანდეს.  
დავემშვიდობებით მეცხვარეს და ველზე მივყანყალბთ.  
ტბისკენ მივეშურებით.  
მალე გამოჩნდება ნავთობსადენი მილი.  
მინდვრებზე გაჭიმულა. თავი და ბოლო არ უჩანს.  
მიადგება კანდრატა, ზედ ასვლას ცდილობს.

ძლივს აცოცდება, კაცის სიმაღლეა თითქმის.  
ბიმკაც მიჰყვება.  
მიაბიჯებს კანდრატა მილზე, წონასწორობას ძლივს  
იცავს,

თან ტურის გარმონზე უკრავს.  
ვუყურებ და ვხვდები:

ახლა არ ამძვრალა კანდრატა მილზე,  
შორიდან, სულ თავიდან მობარბაცებს ასე.  
მთვრალი, მხარზე ანკეგადებული, თან ტურის გარმონს  
ანრიპინებს.

უკან ბიმკა მოჰყვება, მისი განუყრელი ძმაკაცი.  
ჩამოივლიან და გაჰყვებიან მილს შორს, ძალიან შორს.  
მერე შეხვდებით ჩემნაირი, ბრმა, ყრუ და მუნჯი  
ადამიანები.

შეხედავს კანდრატა თავისი ნირპლიანი, მხიარული  
თვალებით და ეტყვის:  
„ნუ ჩიო ბრატან, ზალეზეშ?“

ამ დაჭაობებულ ადგილს გავცდებით და ტბაც აქვეა.  
კანდრატამ კარგი სათევზაო ადგილები იცის.  
ლერწმებში მიძვრება და მეც მივყვები.  
ბიმკა ნაპირზე რჩება, კუ იპოვნა და ყნოსავს.  
შუადღეა. მზე შიშველ ბეჭებს მწვავს.  
მაინც გაუნძრევლად ვდგავარ, ტივტივას მივჩერებივარ.  
კანდრატა ისევ თავის ტურის გარმონზე უკრავს,  
თევზს აფრთხობს.

ბიმკა აღარ ჩანს. ვეძახი, არ მეხმაურება.  
„კუდა გულიაემ, ბრატანაგა!“  
მომორებით, შარაგზა გადის გორაზე.  
ჩამოიხრივინებენ ხანდახან საბარგო მანქანები.  
იშვიათად მსუბუქი მანქანაც ჩამოივლის:  
ან მეთევზეები არიან, ან მონადირეები.  
ერთი საბარგო მანქანა ჩერდება, ძრავა ჩაუქრა ალბათ.  
ცოტა ხანში ისევ აგრძელებს გზას

შებინდდება და გამოვძვრებით ლელქაშებიდან.  
მთელი ზურგი და ბეჭები დამწვარი მაქვს.  
მინაზე დაყრის კანდრატა თევზს. ნადავლის გაყოფას  
აპირებს.  
ჩემს დაჭერილ თევზს მთლიანად მივცემ. არ მიყვარს  
თევზის ჭამა.  
დავილაღეთ. შარაზე გავდივართ. იქნებ გაგვიყოლოს  
მანქანამ.

ბიმკა ისევ არ ჩანს.  
„დამოი უგნალ, ბლინ!“

ვილაც გვიჩერებს ბოლოს.  
ვკალათდებით ძარაში, კიტრის ტომრებზე და  
მივხრივინებთ.

ჩვენ გადასახვევთან ჩამოვხტებით. სოფლისკენ ვეშვებით.  
ჩვენი სახლი მოჩანს. ჭიშკართან საბარგო მანქანა დგას.  
კანდრატა დამემშვიდობა და წავიდა.  
შევდივარ და მესმის ხმაური, სიმღერა,  
გახურებული ქეიფია.  
მივიხედ-მოვიხედე. არავის ვიცნობ. უცხოები არიან.  
„მოვიდა რიბაკი!“ მეგებება მასპინძელი.  
მხრებს ვიჩეჩავ. „კლიოვი არ იყო“.  
სკამებს აქეთ-იქით აჩოჩებენ, მაგიდასთან მსვამენ.  
გავიცანით ერთმანეთი.

კარგი, უბრალო ხალხია, სოფლელები.  
ვზივარ დალილი, მშიერი, დამწვარი.  
მაინც კარგად ვგრძნობ თავს.  
ხორცის ნაჭრებს ყრიან ტაფაზე, მწვადს წვავენ.  
არაყს მისხამენ. სადლეგრძელოებს ვამბობთ,  
ვლაპარაკობთ.  
მაგრად ვთვრები.

მწვადს ვლეჭავ, ძლივს მესმის თანამესუფრეების  
ლაპარაკი.

„გრევად შეუფგზავნი ჩემს ძმას, ციხეზე...“  
„ძნელია ძმაო, ძნელი...“  
„შენი ძმის ჯანმრთელობისა იყოს...“  
„ჭლექი ჰქონდა ცხონებულ ბაბუაჩემსაც.  
ფილტვებისთვის მისწრებააო, ამბობდა...“  
„რა გემრიელი ყოფილა ოხერი...“

## პოეზია

„ეი, რიბაკ, როგორ მოგწონს დელიკატესი?“  
 ვზივარ გამშრალი.  
 რაა? სად...  
 „ტბასთან, გზაზე ვნახეთ, გრუზავიკით ვიყავით და...“  
 ვარწყევ...  
 „ეჰ, არ შეუძლიათ დალევა თბილისლებს...“

მივდივარ სოფლის შუკაში. ლობეებს ვეხლები სიბნელეში.  
 შუქი უნთია კანდრატას.  
 იატაკზე ზის. გადახსნილი თოფი უჭირავს და ლულას  
 წმენდს.

სანადიროდ აპირებს წასვლას ხვალ.  
 გვერდით ოთახიდან ხმაური ისმის.  
 შვილიშვილი სტუმრობს კანდრატას.  
 პატარა, ხუთი-ექვსი წლის გოგონა.  
 „ნუ, რიბაკ, რიბუ ჟარენუიუ ზახატელას ხავან?“  
 სკივრზე ვჯდები.

მიდი, კანდრატ, წმინდე შენი თოფი, დიდი ხანი წმინდე,  
 მთელი ღამე წმინდე.  
 ოღონდ არ შემომხედო ახლა.  
 გეხვევები, არ შემომხედო, კანდრატ.

არ მიყურებს, თოფს უკირკიტებს.  
 უნდა ვთქვა.  
 ბიშკა...  
 „და ხუი ს ნიმ, ბიშკა, შატაეტსა ნახრენ!“  
 არაფერი იცის კანდრატამ.  
 არ იცის, რომ მე შევჭამე მისი ძმაკაცი,  
 ჩვენი ძმაკაცი, ბიშკა.

არ იცის, რომ ხვალ ჩვენს ძმაკაცს ვილაც ტუბიკიანი  
 დაარჭობს ჩანგალს.

არც ის იცის ჯერ, რომ ძალიან ავადაა.  
 ექიმები სასიკვდილო დაავადებას დაუდგენენ ცოტა ხანში.  
 ვერაფერს გაიგებს კანდრატა.

მაგრამ მე ვიცი.  
 მოვკიდებ ხელს კანდრატას და ბიშკას.  
 ხელში ავიყვან, გულში ჩავიხუტებ და თან წავიყვან.  
 ვატარებ მინდვრებში, შარაგ ზებზე.  
 ნავთობსადენის მიღზეც ვატარებ.  
 შეიძლება დავიღალო, დავტოვო შუაგზაზე და მარტო  
 წავიდე.

მსუბუქად.  
 მაგრამ მერე მივხვდები, რომ ეს მე დავრჩი შუა გზაზე.  
 მივხვდები, რომ ჩემია. მე ვარ ეს.  
 დავბრუნდები, ისევ ავიყვან და ვატარებ სულ.  
 ბოლომდე.

კანდრატა დგება, მეორე ოთახში გადის.  
 ცოტა ხანში ბრუნდება, თოფის წმენდას აგრძელებს.  
 მისი შვილიშვილი შემოდის. პატარა, ხუთი-ექვსი წლის  
 გოგონა.

ჩუმად დგას, განითლებული.  
 ხელში რალაცას ჭმუჭნის.  
 უცებ მანვდის დაკუჭულ ქალაღდს და გარბის  
 დარცხვენილი.

გალიმებულ კანდრატას ვუყურებ გაოცებული.  
 შემდეგ ქალაღდს ვშლი და ვკითხულობ:  
 „გილოცავ დაბადების დღეს“.

## დეტაქტივი

გიორგი გამსახურდია

# პოეტის მტკიცეულება

სად სამართალმცოდნეობა და სად პოეზია?.. ერთი  
 რომ ალთას არის, მეორე... ბალთასაც ვერ იტყვი, სულ  
 სხვა სიბრტყეზეა, გინდაც განზომილება იყოს. საბალ-  
 თაო სხვაც ბევრია, საბალთაო მათ გაიყონ. პოეზია კი  
 არის თავისთვის, ცალკე. საკვირველია, სად პოეტი და  
 სად სამართალდამცავი? „სად?“ – პოეტს ჩვენში გალაკ-  
 ტიონს რომ მოაგონებს, ჩვენშივე სასჯელალსრულებითი  
 დანესებულების მუშაკს აწერია ქურთუკზე. აბრევიატუ-  
 რა ყოფილა. ასეა, ენაც განსხვავებული აქვთ და ხედვაც.  
 ამ მოსაზრების გასამყარებლად, შეიძლება რამდე-  
 ნიმე ღვანლმოსილი პიროვნების დამონებაც. მათი გა-  
 მონათქვამების ციტირება, კიდევ უფრო მკაფიოსა და  
 ურყევს გახდიდა სათქმელს, მაგრამ უეცრად ჩეხი მწერ-  
 ლის, კარელ ჩაპეკის „ლიტერატურული პოლემიკის

თორმეტი ხერხიდან“ მეცხრე ხერხი Testimonia (დამონ-  
 მება – ლათ.) გაგახსენდება „ჩვენი მწერლობის“ №3 რომ  
 დაიბეჭდა და მკითხველებზე გათვლილ სახელმძღვანე-  
 ლოდ მიიჩნევს ავტორი. „ეს ხერხი გულისხმობს ავტორი-  
 ტეტის მოშველიებას (რომელიც გნებავთ). მაგალითად,  
 განაცხადი – „ჯერ კიდევ პანტაგრუელი ამბობდა“, ან  
 „როგორც ტრეიჩკემ დაამტკიცა“. წიგნიერებით თავმო-  
 ნონებისას ყველა შემთხვევაზე შეიძლება მოიძებნოს ესა  
 თუ ის ციტატა, რომელიც მოცელავს მონინაალმდეგს“.  
 როგორც უნებლიეთ აღმოჩნდა, სხვისას კი, მაგრამ ჩაპე-  
 კის სიტყვებს მაინც ვერ გავუქეცი. მართალია, რაც იმ  
 სახელმძღვანელოს ქვემოთ, რედაქტორის მინაწერშია  
 აღნიშნული. „ჩაპეკის ღრმა და ირონიული მზერა „თით-  
 ქმის ახლაც თავს დაგვტრიალებს“ და საიდან სად შემოგ-  
 ვცინის თავისი ლალი იუმორით“. ისევ ციტატა... ანებე  
 თავი და საკუთარი სიტყვისა და გაქანების ამარად დარ-  
 ჩენილი, პირდაპირ სათქმელზე გადადი.

ჩაპეკის იუმორისტულ ნოველაში „პოეტი“ – ახალ-  
 გაზდა გამომძიებელ დოქტორ მეიზლიკს, საქმის გახსნა-  
 ში 141 ნომერი პოლიციელი ეხმარება. ეს ტანდემი, ძალ-  
 ზე წააგავს გურამ პატარაიას ყველასათვის საყვარელი  
 კინოფილმის – „რეკორდის“ – გმირებს, ხუტა უფროსსა  
 და ლინტუს, რომელიც ჩეხი მწერლის ნოველის მოტივებ-

ზეა გადაღებული. დოქტორი მეიზლიკი რთული ამოცანის წინაშე დგას. საქმე ისაა, რომ გათენების ხანს, გაშმაგებული სისწრაფით მიმავალმა ავტომანქანამ, მთვრალი დედაბერი გაიტანა და სასწრაფოდ მიიმალა. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, ავტომანქანის ამოსაცნობი ნიშნები (მარკა, ფერი, ნომერი) ვერავინ შენიშნა. მათ შორის ვერც ამ ამბის შემსრე 141 ნომერმა პოლიციელმა, რომელიც დაჯახებისთანავე, უპირველეს ყოვლისა, დედაბერთან გაჩნდა პირველი დახმარების აღმოსაჩენად.

„უპირველეს ყოვლისა, თქვენ მანქანის ნომერი უნდა შეგენიშნათ, – ჩაიბზულუნებს მეიზლიკი, – და მხოლოდ შემდეგ მიგეხედათ იმ დედაკაცისთვის... თუმცა, ალბათ, მეც ასე მოვიქცეოდი...“

ძიება ჩიხში შედის, რადგან ერთადერთ მოწმეს, იან კრალიკს, სტუდენტ მექანიკოსს, ასევე არაფერი ახსოვს, გარდა იმისა, რომ ძალზე აღშფოთდა მძღოლის თავგასულობით და რომ მანქანა ოთხტაქტოვანი შიდაწვის ძრავიანი იყო. მექანიკოსს შეიძლება კიდევ შეემჩნია რაიმე, მაგრამ იმ დროს მარტო არ ყოფილა. მას თან ახლდა იაროსლავ ნერადი, პოეტი. კრალიკს მთელი ყურადღება პოეტზე გადაეცა, რადგან იგი მთვრალი იყო, ხოლო უბედური შემთხვევის შემდეგ, ბავშვივით ავარდნია ტირილი, ბოლოს კი შინ გაქცეულა.

141 ნომერი პოლიციელი პოეტს შინ ეწვევა და სთხოვს პოლიციაში გაპყვეს მას. ახლადგაღვიძებული ნერადი, შეშინებულ თვალს მიაპყრობს კარებში მდგომ პოლიციელს და ვერაფრით იხსენებს, რა ჩაიდინა კანონსაწინააღმდეგო. თუმცა მალე განუმარტავენ საქმის არსს.

„ნუთუ აუცილებელია ჩემი წამოსვლა? მე ხომ, სულ ერთია, არაფერი მახსოვს. ღამით ცოტათი...“

– ზარხობად იყავით, – მრავალმნიშვნელოვნად დაანეგს პოლიციელი, – მე, ბატონო ჩემო, ბევრი მინახავს ჩემს სიცოცხლეში პოეტები. გთხოვთ, ჩაიცვათ. აქ დაგელოდოთ?“

პოლიციის განყოფილებაში მისული პოეტი, ძიებისთვის ღირებულს ვერაფერს გაიხსენებს, რითაც სასონარკვეთილებაში ჩაადგებს გამომძიებელს.

„მაშინ, ერთი ეს მაინც მიბრძანეთ, საერთოდ თუ შეამჩნიეთ რამე? – ირონიულად ჰკითხავს მეიზლიკი.

– საერთო განწყობილება, – ბუნდოვნად პასუხობს პოეტი, – წარმოიდგინეთ, აი, ის ქუჩა. დაცარიელებული... უსასრულოდ გრძელი... განთიადის ჟამს... და მიწაზე ქალის სხეული... მოიცაო! მე რომ შინ დავბრუნდი, მაშინვე რაღაც დავნერე“, – უეცრად გაიხსენებს ნერადი და ჯიბეებში დაიწვეს ქეჭვას. დოქტორი მეიზლიკი მოუთმენლად ელის თუ რას ამოიღებს ჯიბიდან პოეტი. ის კი მრავალნაირ ქაღალდში, კონვერტსა და ანგარიშში ერთს გამოარჩევს და დარცხვენით ნაიკითხავს:

**სართულ-სართულ გაფრენილი შენობების  
ბნელი რიგი,  
სადღაც საარი დააკვნესეს საგანთიადო,  
რად შეგეფაკლა, ქალწულო, სახე?  
120 ძალიან სწრაფი მანქანით  
ერთად ვიაროთ ქვეყნის კიდემდე,**

**თუნდაც შორეულ სინგაპურამდე  
ჰოი, შეჩერდით!  
რა შეაჩერებს მანქანის სრბოლას,  
გზა მტვერში ბოლავს;  
იქვე აგდია ვნებაჩამქრალი  
ქალწულის გვამი.**

**გადამტყდარა რტო ყვავილის  
შერხეულა ყელი გედის,  
მკერდზე ორი კოკობი ჩანს გაუშლელი,  
დაფდაფი და საცემლები.  
მწარე ბედი...  
ცრემლი... ცრემლი...**

თუკი პოეტისათვის ამ ლექსის შემდეგ ყველაფერი ნათელია, გამომძიებელი მეიზლიკის გონში სრული ბუნდოვანება დაისადგურებს.

„როგორღაც მე ყოველივე აქედან ვერ დავადგინე, რომ ივინის თხუთმეტს, დილის ოთხ საათზე, ჟიტნას ქუჩაზე ესა და ეს ნომერი მანქანა დაეჯახა მთვრალ სამოციწლის მათხოვარ დედაკაცს ბოჟუნა მახაჩკოვას. დაშავებული ქალაქის საავადმყოფოში წაიყვანეს და ამჟამად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. ამ ფაქტებზე თქვენს ლექსში, ბატონო ჩემო, რამდენადაც მე შევძელი გავრკვეულიყავი, არც ერთი სიტყვა არ არის თქმული, დიას!

– ყოველივე ეს მხოლოდ გარეგანი ფაქტებია, ბატონო, – პასუხობს პოეტი, – ხოლო პოეზია ეს შინაგანი რეალობა გახლავთ, პოეტის ქვეცნობიერებაში წარმოშობილი თავისუფალი სურრეალური სახეები, მხედველობითი და სმენითი ასოციაციები, რომელთაც უნდა ჩასწვდეს მკითხველი. აი, მხოლოდ მაშინ თუ გაიგებს იგი ლექსის არსს. – საყვედურის კოლოთი დაასრულებს იაროსლავ ნერადი.

– აბა რაზეა აქ ლაპარაკი. ჰმ, „სართულ-სართულ გაფრენილი შენობების ბნელი რიგი...“ ამიხსენით აი ეს, თუ შეიძლებოდეს“, – მოთმინებას ჰკარგავს მეიზლიკი.

აღმოჩნდება, რომ ეს ჟიტნას ქუჩაა და ვერაფრით იქნება იგი, ვთქვათ, „ნაროდნი პროსპექტი“, რადგან ეს უკანასკნელი სწორი არ არის. ქალწულს იმიტომ შეეფაკლა სახე, რომ ცისკარი იყო. 120 ძალიან სწრაფი მანქანაა, სწორედ ის, რომელმაც ჩაიქროლა, ხოლო შორეული სინგაპური ნახსენებია ლექსში იმიტომ, რომ იქ მალაიელები ცხოვრობენ და შეიძლება აქედან დავასკვნათ – ავტომანქანა ყავისფერი იყო.

„გადამტყდარი რტო ყვავილის“ – და ეს არის მთვრალი მათხოვარი დედაბერი? – კითხულობს გამომძიებელი.

– მე ხომ არ შემეძლო ჩემს ლექსში ვიღაც მთვრალი დედაკაცი დამენერა – იგი ქალი იყო, მორჩა და გათავდა! გასაგებია? – შეუვალა პოეტი.

რაც შეეხება მეტაფორას „შერხეულა ყელი გედის, მკერდზე ორი კოკობი ჩანს გაუშლელი, დაფდაფი და საცემლები“, – პოეტისათვის შთაუგონებია ციფრებს, ორიანს, რომელიც ძალიან ჰგავს გედის ყელს, სამიანს, ის ხომ ორი სიმრგვალისგან შედგება, როგორც ორი კოკობი და ხუთიანს, რომლის ქვემოთ მყოფი რკალი თითქოს დაფდაფია, მასზე კი ზემოდან საცემლებია გამოსახული.

„– მოიცათ, თქვენ დარწმუნებული ხართ, რომ მანქანის ნომერი არის 235? – ჰკითხავს დოქტორი მეიზლიკი.

– მე საერთოდ არავითარი რიცხვი არ დამინახავს, მაგრამ რაღაც ამის მსგავსი უთუოდ იყო, თორემ საიდან გაჩნდებოდა ეს ციფრები?... იცით, რა გითხრათ: ჩემი აზრით, ეს ყველაზე სრულყოფილი ადგილია მთელ ლექსში, არა? თქვენ რას იტყვით? – აღტაცებულია იაროსლავ ნერადი“.

ორი დღის შემდეგ პოლიცია მართლაც დააკავეს ყავისფერ ავტომანქანას, რომლის ნომერიც 235-ია. დოქტორი მეიზლიკი პირადად ეწვევა პოეტს, რათა მადლობა გადაუხადოს განეული დახმარებისთვის და ამცნოს, რომ დანაშაულის იარაღი ამოღებულია.

„– რომელი მანქანა? – გაიკვირვებს ნერადი.

– ყელი გედის, მკერდზე ორი კოკობი, დაფდაფი და საცემლები... – სულმოუბრუნებლად წარმოთქვამს გამომძიებელი.

– აჰა, გამახსენდა, აი, ხომ ხედავთ, რას ნიშნავს შინაგანი რეალობა! გნებავთ, კიდევ რამდენიმე ლექსს წაგიკითხავთ? ახლა კი უთუოდ გაიგებთ.

– სხვა დროს იყოს, სხვა დროს, – აჩქარდება პოლიციის მოხელე, – როცა ასეთივე შემთხვევა კვლავ მომეცემა“.

ასე სრულდება ეს იუმორითა და ორიგინალურობით სავსე ნოველა.

კარელ ჩაპეკის ნოველათა კრებულის კითხვისას, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებში შალვა გვინჩიძემ თარგმნა (ზემოთ დამონშემული ლექსის თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ ნადარეიშვილს), ამ რამდენიმე თვის წინათ მომხდარი ერთი ამბავი გამახსენდა.

თბილისის ერთ-ერთ სკოლაში, ქართულის მასწავლებელმა მეშვიდე კლასელებს შემდეგი დავალება მისცა: მოსწავლეებს უნდა დაენერათ თავისუფალი თემა. ორიდან ერთი, არა აქვს მნიშვნელობა, რომელს ამოარჩევთო. პირველი, გამორჩენილი ადამიანის ცხოვრებას და მის ტრაგიკულ ბედს უკავშირდებოდა. მეორეში, მოცემული იყო ზღაპრული სიუჟეტი, თუ როგორ გადაიქცა ნაბოლარა დინოზავრი ჟირაფად. ადამიანის შექმნას მზის ცქერა ერჩივნა თურმე და მანათობელმაც ოქროსფერი ზოლებით შემოსა მეოცნებე. ბავშვებს ამ თემაზე საკუთარი, ორიგინალური ამბავი უნდა აეგოთ. ნუთისოფლის სამდურავს ბევრმა ჟირაფის ისტორია არჩია. ერთმა მოსწავლემაც სხვათა მსგავსად, ჟირაფების ამბავი დაწერა.

გადმოსახლა ისინი საქართველოში, დინოზავრებად აქცია, დაადევნა პატრულის თანამშრომლები და სათაფლიას მიდამოებში, ცხელ კვალზე დააპატიმრებინა. ეს მონათხრობი იმდენად იუმორისტული და კარგად წასაკითხი გამოსვლია, რომ თანაკლასელთა მონონება დაუმსახურებია.

დაიწყო გაკვეთილი და მოსწავლეებმა თემები ჩააბარეს. მაგრამ ყველაზე საინტერესოა პედაგოგის დასკვნა, რომლითაც მან ნიშნების დაწერისას იხელმძღვანელა: „ბავშვებო, ვინც გამორჩენილ ადამიანზე დაწერა, ის სერიოზულად მოეკიდა საკითხს და შეფასებაც კარგი აქვს, ხოლო ვინც ჟირაფებზე (და იმ ბავშვს გადახედა) სასაცილო ისტორია შეთხზა, მან მიაფურჩნა საშინაო დავალება და საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულებით თავიდან მოიცილა ზედმეტი ტვინის ჭყლეტა“.

როგორც ჩანს, ეს განათლებული პედაგოგი არაფრად აგდებას გროტესკსა და იუმორს და რატომღაც მიიჩნევს, რომ მეშვიდეკლასელი ბავშვი მაშინ უფრო იქნება მართალი, როდესაც გენიოსის ხედვრსა და მის ტანჯვას გაისიგრძეგანებს, ვიდრე მაშინ, როდესაც ეცდება ერთი ზღაპრული ამბის თავისებურ გააზრებას და გარკვეული მინიშნებით მის იუმორისტულ ქარგაში მოქცევას. კიდევ კარ-

გი, არც სერვანტესი ფიქრობდა ასე და არც ილია. ალბათ, მაინცდამაინც არც ჩაპეკი დაუგდებდა ყურს შიშველი ტრაგიზმის მქადაგებელი პედაგოგის ჩაგონებას. იქნებ თავად ის მასწავლებელი კითხულობდეს ამ წერილს და თავი იცნოს, მაგრამ ვეჭვობ, პირველივე სტრიქონებში ჩაპეკის გვარის ხსენებისას, გაეგრძელებინა მასზე დანეროილი არასერიოზული პუბლიკაციის კითხვა.

საერთოდ, კარელ ჩაპეკისთვის როგორც იუმორია მახლობელი, ასევე დეტექტიურ სიუჟეტში შემოქმედებითი, თვითმყოფადი სახის შემოყვანა, მისი თვალით დანახული სამყაროს შეთავაზება მკითხველისათვის. იქნება ეს გმირი პოეტი, მუსიკოსი თუ მსახიობი, თითოეულ მათგანს მოწოდებითა და პროფესიით ნაკარნახევი, გამორჩეული ხედვა გააჩნია, რომელსაც მექანიკურ აზროვნებას ნაჩვევი საზოგადოება, ალოგიკურად აღიქვამს. თავად ბრწყინვალე მწერალს, კარგად ესმის, რომ არაორდინარული გონი და შემოქმედებითი აქტივობა თუ ისინის ადამიანს მისივე ხელით აგებული რობოტისაგან.

აი, პოეზია და აი, სამართალმცოდნეობა... ასე დაუკავშირა ერთმანეთს ორი თვისობრივად განსხვავებული სამყარო კარელ ჩაპეკმა, აქცია რა უტყუარ მტკიცებულებად პოეტის ლექსი.



მხატვარი დიმიტრი ერისთავი

# 100 ყველაზე პოპულარული ნიბნი

1. სიამაყე და წინასწარწმენა – ჯეინ ოსტინი
2. ბექდების მბრძანებელი – ჯ. რ. რ. ტოლკაინი
3. ჯეინ ეირი – შარლოტ ბრონტე
4. ჰარი პოტერის სერიები – ჯ. კ. რაულინგი
5. მოკვდეს ჯაფარა? – ჰარპერ ლი
6. ბიბლია
7. ქარიშხლიანი უღელტეხილი – ემილი ბრონტე
8. ათას ცხრას ოთხმოცდაოთხი – ჯორჯ ორუელი
9. მისი ბნელი მასალები – ფილიპ პულმანი
10. დიადი მოლოდინი – ჩარლზ დიკენსი
11. პატარა ქალი – ლუიზა მ. ოლკოტი
12. ტეს დ'ერბერვილი – ტომას ჰარდი
13. ხაფანგი 22 – ჯოზეფ ჰელერი
14. შექსპირის სრული თხზულებანი
15. რებეკა – დაფნე დე მორიე
16. ჰობიტი – ჯ. რ. რ. ტოლკაინი
17. ჩიტის სიმღერა – სებასტიან ფოლკსი
18. თამაში ჭვავის ყანაში – ჯ. დ. სელინჯერი
19. დრო, მოგზაურის ცოლი – ოდრი ნიფენგერი
20. შუა მარტი – ჯორჯ ელიოტი
21. ქარნალეზონი – მარგარეტ მიჩელი
22. დიდი გეტსბი – ფ. სკოტ ფიცჯერალდი
23. ცივი სახლი – ჩარლზ დიკენსი
24. ომი და მშვიდობა – ლევ ტოლსტოი
25. ჰიჩ ჰაიკერის მეგზური გალაქტიკაში – დუგლას ადამსი
26. ბრაიდშედთან დაბრუნება – ივლინ ვო
27. დანაშაული და სასჯელი – ფეოდორ დოსტოევსკი
28. მრისხანების მტევნები – ჯონ სტაინბეკი
29. ელისი საოცრებათა ქვეყანაში – ლუის კეროლი
30. ქარი ტირიფებში – კენეტ გრემი
31. ანა კარენინა – ლევ ტოლსტოი
32. დევიდ კოპერფილდი – ჩარლზ დიკენსი
33. ნარნიას ქრონიკები – ქ. ს. ლუისი
34. ემა – ჯეინ ოსტინი
35. დარწმუნება – ჯეინ ოსტინი
36. ლომი, ჯადოქარი და კარადა – ქ. ს. ლუისი
37. ფრანების გამშვები – ხალედ ჰოსეინი
38. კაპიტან ქორელის მანდოლინა – ლუი დე ბერნიე
39. გეიმას მოგონებები – არტურ გოლდენი
40. ვინი პუჰი – ა. ა. მილნი
41. პირუტყვთა ფერმა – ჯორჯ ორუელი
42. და ვინჩის კოდი – დენ ბრაუნი
43. ასწლიანი მარტოობა – გაბრიელ გარსია მარკესი
44. ოუენ მინის ლოცვა – ჯონ ირვინგი
45. ქალი თეთრებში – უილიკი კოლინზი
46. ენი მწვანე ფრონტონიდან – ლ. მ. მონტგომერი
47. შორს შეშლილი ბრბოსაგან – ტომას ჰარდი
48. შინამოსამსახურის ამბავი – მარგარეტ ეტვუდი
49. ბუზების მეუფე – უილიამ გოლდინგი
50. საზღაური – იან მაკევანი
51. ნეტარის ცხოვრება – იან მარტელი
52. დიუნა – ფრენკ ჰერბერტი
53. ცივი კომფორტული ფერმა – სტელა გიბონსი
54. გრძნობა და განცდა – ჯეინ ოსტინი
55. შესაფერი ბიჭი – ვირკამ სეტი
56. ქარის ჩრდილი – კარლოს რუიზ ზაფონი
57. ორი ქალაქის ამბავი – ჩარლზ დიკენსი
58. მშვენიერი ახალი ქვეყანა – ოლდოს ჰაქსლი
59. ძაღლის უცნაური თავგადასავალი ლამით – მარკ ჰადონი
60. სიყვარული შავი ჭირის დროს – გაბრიელ გარსია მარკესი
61. თავგებება და ადამიანებზე – ჯონ სტაინბეკი
62. ლოლიტა – ვლადიმერ ნაბოკოვი
63. საიდუმლო ამბავი – დონა ტარტი
64. საყვარელი ჩონჩხი – ელის სეპოლდი
65. გრაფი მონტე კრისტო – ალექსანდრე დიუმა
66. გზაზე – ჯეკ კერუაკი
67. ჯუდ უჩინარი – ტომას ჰარდი
68. ბრიჯიტ ჯოუნსის დღიური – ჰელენ ფილდინგი
69. შუალამის შვილები – სალმან რუშდი
70. მობი დიკი – ჰერმან მელვილი
71. ოლივერ ტვისტი – ჩარლზ დიკენსი
72. დრაკულა – ბრემ სტოკერი
73. საიდუმლო ბალი – ფრენსის ჰოჯსონ ბარნეტი
74. ბარათები პატარა კუნძულიდან – ბილ ბრაისონი
75. ულისე – ჯეიმზ ჯოისი
76. უსიამო ზარი – სილვია პლატი
77. მერცხლები და ამაზონები – არტურ რენსომი
78. ჟერმინალი – ემილ ზოლა
79. ამაოების ბაზარი – უილიამ მეიკვის თეკერეი
80. მოჯადოება – ე. ს. ბაიატი
81. სამობაო ამბავი – ჩარლზ დიკენსი
82. ღრუბლიანი ატლასი – დევიდ მიჩელი
83. მენამული ფერი – ელის უოლკერი
84. დღის ნარჩენები – კაძუო იმიგურო
85. მადამ ბოვარი – გუსტავ ფლობერი
86. ჩინებული წონასწორობა – როჰინტონ მისტრი
87. შარლოტის ქსელი – ი. ბ. უაიტი
88. ხუთი ადამიანი, ვინც შეგხვდება ზეცაში – მიჩ ოლბორნი
89. შერლოკ ჰოლმსის თავგადასავალი – სერ არტურ კონან დოილი
90. ფარაუეის სამი კოლექცია – ენიდ ბლაიტონი
91. წყვილიაღის გული – ჯოზეფ კონრადი
92. პატარა პრინცი – ანტუან დე სენტ ეგზიუპერი
93. კრაზაბის ქარხანა – იან ბენკსი
94. გემი ჩაუშვით – რიჩარდ ადამსი
95. ბრიყვების კონფედერაცია – ჯონ კენედი ტული
96. ელისის მსგავსი ქალაქი – ნევილ შუტი
97. სამი მუშკეტერი – ალექსანდრე დიუმა
98. ჰამლეტი – უილიამ შექსპირი
99. ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა – რუალ დალი
100. საბრალონი – ვიქტორ ჰიუგო

ნიგელ რეინოლდსი\*

# ერი თავის საყვარელ წიგნებს ირჩევს

ამ დღეებში ბრიტანულმა საზოგადოებამ ჯეინ ოსტინის ჩვეულებათა კომედია „სიამაყე და წინასწარწმენა“ და ჯ. რ. რ. ტოლკინენის ეპიკური ფანტაზია „ბექტების მბრძანებელი“ თავის საყვარელ წიგნებად აღიარა „მსოფლიო წიგნის დღის არჩევნებზე“.

ზუსტად ერთი ათწლეულის წინ ლიტერატურული ფავორიტების დასადგენად ჩატარებულ კენჭისყრაზე - BBC-ს „დიდი კითხვის დღე“ - იმავე ორმა სათაურმა დაიკავა სანყისი ადგილები, მხოლოდ სხვა თანამიმდევრობით.

კენჭისყრის დროს ლიტერატურის მოყვარულ საზოგადოებას სთხოვეს დაესახელებინათ 10 წიგნი „ურომლისოდაც სიცოცხლე ვერ წარმოუდგენიათ“, როგორც BBC-ს გამოკითხვის დროს, აქაც, სიაში, კლასიკური ნაწარმოებები დანიშნულა; რაც იმაზე მეტყველებს, რომ სატელევიზიო წიგნის კლუბის, „რიჩარდისა და ჯუდის აზრი“, წამყვანთა მიერ თანამედროვე მხატვრული ლიტერატურისათვის წარმატებით განუღმამა ავითაცხიამ იმაზე ნაკლები გავლენა მოახდინა „საყვარელ წიგნებზე“, ვიდრე მოსალოდნელი იყო.

ერთი დიდი სიურპრიზი - ბიბლიამ მეექვსე ადგილას გადაინაცვლა ხმების 9 პროცენტით. დურჰამის ეპისკოპოსმა, მისმა უწმინდესობამ ტომ რაითმა გუშინ განაცხადა: „არ უნდა გვიკვირდეს ბიბლიის ურყევი პოპულარობა. ის სიბრძნით, იმედითა და ახალი აღქმებით არის საესე. თუ თქვენ ჯერაც არ ნაგვიკითხავთ ის, დღესვე დაინყეთ.“

კლასიკის გარდა ათეულში აღსანიშნავია ეს სამი სათაური: „ბექტების მბრძანებელი“, „ჰარი პოტერი“ და ტრილოგია „მისი შვიი მასალები“, რომლებიც ბავშვებისათვის შექმნილ ესკაპისტურ (გასართობი), ფანტასტიკურ ნაწარმოებებს წარმოადგენს.

გავლენას უდავოდ ახდენს ის გარემოებაც, რომ ათივე ნაწარმოები გადაღებულია ფილმად, ან მათ მიხედვით შექმნილია სატელევიზიო სერიალები. „სიამაყე და წინასწარწმენა“, რომელშიც ელიზაბეტ ბენეტის როლს კეირა ნაითლი ასრულებს, 18 თვის წინათ გამოვიდა კინოეკრანებზე.

„დიდი კითხვის დღე“ და ახალი გამოკითხვა ძირითადად ჩატარდა მკითხველთა წასახალისებლად. უეჭველია, რომ ამ სახის გამოკითხვების შემდეგ უფრო მეტი წიგნი იყიდება, ისიც ნათელია, რომ წიგნისა და ფილმის პოპულარობა გავლენას ახდენს ერთმანეთზე.

მას შემდეგ, რაც გაიმართა „დიდი კითხვის დღე“, წიგნის მალაზიებმა განაცხადეს, სიის მიხედვით ყველაზე პოპულარულ ნაწარმოებთა - ჯოზეფ ჰელერის „ხაფანგი 22“ და ლუის დე ბერნიეს „კაპიტან ქორელის მანდოლინა“

- გაყიდვის რიცხვი 24 და 155 პროცენტით გაიზარდა. ხოლო იმავე ნაწარმოებთა CD-სა და ვიდეო ჩანაწერების გაყიდვის რიცხვმა კი 1 500 და 1 533 პროცენტით მოიმატა.

ყველაზე პოპულარულ, არასაბავშვო რომანად ახალი გამოკითხვის დროს დასახელდა სებასტიან ფოლკსის ბესტსელერი, 1993 წელს გამოქვეყნებული „ჩიტის სიმღერა“, რომელმაც 2000 ხმა დააგროვა არჩევნებში და მე-17-ადგილი დაიკავა.

მას მოჰყვება 3 წლის წინათ გამოქვეყნებული ოდრი ნიფენგერის „დრო, მოგზაურის ცოლი“, ამერიკული რომანი, რომელიც

რომანტიკულსა და მეცნიერულ ლიტერატურას აერთიანებს. ორივე ზემოხსენებული ნაწარმოები წინ უსწრებს ისეთ დიდებულ, კლასიკურ ნაწარმოებებს, როგორებიცაა „შუა მარტი“ (20), „ომი და მშვიდობა“ (24), „დანაშაული და სასჯელი“ (24) და „ანა კარენინა“ (31).

42-ე ადგილს იკავებს ბოლო წლებში ყველაზე მეტად გახმაურებული დენ ბრაუნის „და ვინჩის კოდი“.

სიუჰორნერმა, ინგლისურის კათედრისა და კვალიფიკაციისა და პროგრამების ხელმძღვანელმა, რომელიც არაერთხელ გააკრიტიკეს საშუალო სკოლების პროგრამებში შექსპირის ნაწარმოებთა შემცირების გამო, განაცხადა:

„თითოეული ამ 10 ნაწარმოებიდან უცვლელი ხარისხით გამოირჩევა და მნიშვნელობა არა აქვს, როდის დაინერა ისინი.“

უდავოა, რომ ამ წიგნების უმრავლესობა, რომლებსაც პირველად სასკოლო პროგრამიდან ვეცნობით, ჩვენს მუდმივ ფავორიტებად რჩება“.



„სიამაყე და წინასწარწმენის“ სატელევიზიო ვერსია 1995 წელს შეიქმნა

ინგლისურიდან თარგმნა  
ქატი ჩხეიძე

\* „არტს“-ის კორესპონდენტი

# ჰენრი მსოლოდ იმას, რაც ვიცო

\*

აინა ჯალიაშვილს  
ესაუბრა  
მაკა გოგუაძე

– ახლახან წავიკითხე თქვენი ორი რომანი „ერზაცი ისევ ხუმრობს“ და „ქვრივი-94“ და ძალიან მომეწონა. ჩემი აზრით, საინტერესო მწერალი ბრძანდებით, საკუთარსა თუ სხვების ცოდნასა და გამოცდილებას, ნანახსა და წაკითხულს იშვიათი ოსტატობით რომ გარდაქმნით მხატვრულ სახეებად. ჩემს ნათქვამსა და ნაფიქრს მეტი წონა რომ შეეძინო, ავტორიტეტს დავიმონებ და კითხვას ისე ჩამოვყალიბებ.

ერთგან ფოლკნერი ბრძანებს: „ადამიანი განა უკვდავია იმიტომ, რომ სხვა ქმნილებათაგან განსხვავებით, მსოლოდ მას აქვს დაუდუმებელი ხმა, არამედ იმიტომ, რომ სული აქვს მომადლებული, სული, რომელსაც თანაგრძნობის, თავგანწირვისა და ამტანობის უნარი შესწევს. მწერლის ვალი ამაზე წერაა. მისი დანიშნულებაა შეენიოს ადამიანს, გული გაუმაგროს, კვლავაც მოაგონებდეს სიმამაცეს, პატიოსნებას, იმედს, სიამაყეს, თანაგრძნობას, ლმობიერებას–დიდებით რომ მოსაუდა ადამიანის წარსულს. მწერლის ხმა უსარგებლოდ არ უნდა იხარჯებოდეს, საყრდენად, ბურჯად უნდა ედგეს ადამიანს, შეეშველოს და გააძლიეროს“.

თქვენი რომანების კითხვისას რაღაც ამგვარი გაცდა გამიჩნდა. ჩანს, რომ ადამიანია თქვენთვის მთავარი, მისი სულიერი განვითარების მტანჯველი გზის ჩვენება, დაცემის მწუხარებითა და განახლების სიხარულით. რას გვეტყვი, რას ფიქრობთ დღევანდელ საზოგადოებაში მწერლისა და, საერთოდ, მხატვრული ლიტერატურის როლსა და დანიშნულებაზე. ხომ არ მიდის ყველაფერი იქითკენ, რომ ნამდვილი ლიტერატურა მსოლოდ „განდობილთა“ საქმედ იქცეს? არადა, როგორც ერთი თქვენი პერსონაჟი იმონებებს ბორხესის ნათქვამს: „ლიტერატურა შხამსანინააღმდეგოა“, შხამის სახელი კი წარმავალია. რაც უფრო მძაფრია ვერატანა წარმავლის, მით უფრო ღრმად ტრაგიზმი და მით უფრო მძლავრი ფსიქოთერაპიაა საჭირო გადასარჩენად. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად ვერ იღებდა ფარნავაზი წარმავალს, რომ გადასარჩენად მას მზე დასჭირდა, წარმოიდგინეთ, როგორ უჭირდა რუსთაველს, რომ ზეციდან „ვეფხისტყაოსანი“ გამოიხმო.

– თბილი სიტყვებისთვის – მადლობა. რაც შეეხება თქვენს მოხმობილ ციტატებს, მათი შეჯერებით დაახლოებით ასეთ სურათს ვიღებთ: არის მ ხ ა მ ი (სულერთია რას დავარქმევთ: წარმავალს, ილუზორულს თუ იგივე რ ე ა ც ს), რომლის წინაშე შედეგობის აღზრდაში, წარ-

სულის ანუ იდეალური კოსმოსის შეხსენების გზით, მდგომარეობს მწერლობის მაცოცხლებელი მისია.

ცხადია, ოდენ განდობილთა საქმედ ქცეული ლიტერატურა შეზღუდული იქნება ამ მისიის აღსრულებაში. მაგრამ ეს განდობილების პრობლემაცაა – თუ მისთვის განდობილის შემდგომი ემანირება არ ძალუძს, რაღა განდობილია. მეორეს მხრივ, თუ განდობილში არ აღიძრა მხნეობა საემანაციო ღვაწლისთვის, მაშინ ლიტერატურა ტყუის, ესე იგი ის კაპიტულანტურად ჩაჰყვება თავს მოხვეულ დულიზმს, აღმოჩნდა უუნარო დროის გამონკვევებთან სინთეზის. მწერლის ვალი კი ეპოქის უმთავრესი შხამების (განსაკუთრებით მათგან ყველაზე შეფარულთა) გაუფნებელყოფაა მათთანვე უკომპრომისო ანუ სათავისო სინთეზით.

სხვანაირად ლიტერატურა ვერ შესდგება როგორც იმპერიული გაქანების პროექტი. ამ დეფინიციაში მარტივ რამეს ვდებ – მწერალს გასიგრძეგანებული უნდა ჰქონდეს თავისი კასტორივი ადგილი და ღირსეულად ეთანადებოდეს მას, რადგან ყველაფერი ეპატიება ლიტერატურას, თავის მოსაწყობის გარდა, მითუმეტეს საქართველოში – მშვენივით განმკითხავი მესიანიზმის ქვეყანაში.

– როგორი იყო თქვენი პირველი ნაბიჯები მწერლობაში? რამ გიბიძგათ ამ საქმისკენ, ამ რომანებამდე რა გაქვთ დანერბილი და ვინ იყო თქვენი პირველი მკითხველი.

– ცხრამეტი-ოცი წლისამ დავწერე ფილოსოფიურ-ესეისტური თხზულება (169 ნაბეჭდი გვერდი), რომელშიც, შეიძლება ითქვას, სრულად დალაგდა ჩემი მსოფლმხედველობის საყრდენი. მის პირველ მკითხველად აკაკი ბაქრაძე ავირჩიე. შეხვედრის დროც შეთანხმებული იყო. მაგრამ ბოლო მომენტში გადავიფიქრე – შემრცხვა! (სირცხვილი ჩემი პოეტიკის კარდინალურ ცნებათაგანია).

სწორედ დანაშაულის მტანჯველმა გრძნობამ ნაშრომის არასრულყოფილების გამო გაზარდა ჩემში მწერალი. ამ ზრდის ეტაპი პირველ პროდუქტამდე („ქვრივი-94“) წლები გრძელდებოდა. ვკითხულობდი და ბევრი მეძინა... შემოქმედებითი ძილით.

დღეს მე არ ვისურვებდი ამ ნაწარმოების გამომზეურებას, თუმცა „ქვრივი-94-ში“ – მკვლევარის გეში თქვენც უეჭველად წავიყვანთ მისკენ და სწორიც იქნებით – მისი ძალზე მიახლოებითი კომპენდიუმი თეას ესეიდ წარმოვადგინე.

„ქვრივი 94-ის“ პირველი მკითხველი რეზი თვარაძე გახლდათ. მისმა აღიარებამ ჩემი ზრდის შემდგომ ეტაპს დაუდო საფუძველი.

– „ერზაცი ისევ ხუმრობს“ მრავალპლანური და დიდტანიანი რომანია, თავისებური კომპოზიციით. მისი პრობლემატიკა თითქმის მთელ XX საუკუნეს მოიცავს. ეპოქა გარდატეხილია პერსონაჟთა ბედში და თითოეული თავისი თავგადასავლით წარმოაჩენს ამ ეპო-



ქის სულს სხვადასხვა რაკურსით. ასე რომ, მიუხედავად ერთგვარი ფრაგმენტულობისა, ჩანს მწერლის სურვილი მთლიანი სურათის შექმნისა.

თამაში აქ კომპოზიციის საყრდენია. ამ შემთხვევაში ბანქოს პრინციპით იკვრება საერთო სურათი. ეს არის ორიგინალური ხერხი სხვადასხვა ადამიანთა და ამბავთა ერთმანეთთან დაკავშირებისთვის. ცხოვრება – როგორც ბანქოს თამაში, თითოეული კარტის შესაძლებლობებითა და ნაირგვარი კომბინაციით.

პერსონაჟთა მოქმედების ჰორიზონტალური დრო-სივრცე საკმაოდ ვრცელია, მაგრამ მთავარი ვერტიკალური ჩაღრმავებებია, როდესაც პერსონაჟები ჰყვებიან თავიანთი ოჯახების, ნაცნობ-მეგობართა ამბებს. ასე რომ, რომანში ავტორი-მთხრობელის ფუნქცია მინიმუმადეა დაყვანილი, აქ ხან ერთი პერსონაჟი მთხრობელი და ხან მეორე, თანაც თითქმის ყველა პერსონაჟი მთავარია. რა თქმა უნდა, ლეო ერთგვარი კომპოზიციური საყრდენია, რადგან ყველა პერსონაჟის გზა ან მისკენ მიიმართება ან მისგან გამოდის, მაგრამ სხვებიც არანაკლები ინტენსივობით არიან წარმოდგენილი.

**როგორ იქმნებოდა ეს რომანი?**

– სამწუხაროდ, პირველ პუნქტში ვერ დაგვეთანხმებით – თამაში, მითუმეტეს ბანქოს პრინციპი, რომანის საყრდენი არ არის. ბანქოს ამბავი შემთხვევით მოხვდა ტექსტში (ნოვეიჩის ჩამონათვალში), ხოლო რაკი მოხვდა, კიდევ უნდა დამორჩილებოდა მის წესრიგს – ამიტომ მასში ნაწარმოების პოეტიკა დაიშიფრა (ისევე, როგორც, მაგალითად, იავენანაში).

ლეო კი ნამდვილად გახლავთ კომპოზიციის საყრდენი, უფრო ზუსტად, მისი განდრთობის (მეორედ შობის) ჩავარდნის ისტორია. თხრობა იწყება ამ ისტორიის შედეგით (საექსპოზიციო ნაწილი), პირველი თავიდან კი იშლება მისი გზა ამ შედეგამდე.

თვით „ერზაცის“ შექმნის ისტორია ორი სიტყვით ასეთია:

1999 წლის გაზაფხულზე „ქვრივი-94-ის“ გამოქვეყნებისთანავე („ლიტერატურული საქართველო“) გამიჩნდა სურვილი მისადმი სიმეტრიის გამართვისა – მიწუს ნიშნით. აკვიატებული მქონდა სახე ოდესღაც საყვარელი, არცთუ უზადო აქსიოლოგიის წიგნის ტირაჟირების შიშით შეძრული ყმანვილისა, ამ შექმნის უტირირებული სურათებითურთ. რაკი, დავესესხები ჩემს პერსონაჟს, „კარიკატურის, ნიჰილიზმისა და ცინიზმისადმი არავითარ მიდრეკილებას არ ვავლენდი“, ჩავიფიქრე ამ სახის პოზიტიური მოტივირება ვიდრე მის სრულ დამაჯერებლობამდე. სწორედ არეული ბიჭის სახემ და მხატვრული დამაჯერებლობის ჩემეული გაგების ხარისხმა შექმნეს რომანი „ერზაცი ისევე ხუმრობს“.

წერა დავიწყე 1999 წლის აგვისტოს მეორე ნახევარში. მახსოვს, იმავე წლის 14 სექტემბრისთვის ლიკანის საბილიარდოს სცენა დამთავრებული მქონდა.

რომანი დაყოფილია ათზე მეტ თემად, რომლებიც ჩემთვის ერთგვარი ამოსუნთქვებია ჩემივე შემოქმედებითი რიტმის თავისებურებასთან თანხმობილი. თითოეული მათგანის ტარებას თვეები დასჭირდა. გამონაკლისია ინ-

დურ პოეტიკაში შესრულებული ნაწილი – მასთან ალბათ ოთხი-ხუთი წელი მივდიოდი. უკვე გასრულებულ თემას აღარ ვუბრუნდებოდი – უცვლელად რჩემოდა ტექსტში და შემდგომ მიმართულებას განმისაზღვრავდა.

რაც შეეხება **ერზაცს** ვით იდეას სათაურში გამოტანილს – ჩვენი საუბრის დასაწყისში მას შხამი ვუწოდებ: მართლაც, ადამიანს, მეტადრე შემოქმედს არ ჰყავს არანამდვილზე, სუროგატზე დიდი მტერი. ლიტერატურა კი უმალესთაგანი კატეგორიის ფსიქოთერაპიაა.

**საჩემო** ფსიქოთერაპიის თვისებამ ბიძგი მისცა სპეციფიკურ მხატვრულ მიზანს: უკიდურესად დახვეწილი მომენოდებინა ერზაცი, ანუ მით განმსჭვალულიყო მთავარ პერსონაჟთა მაღალინტელიგიბელური არეები, რადგან რომანის პათოსი ასეთია: თუ წარმოდგენილ გმირთა ნატიფი სულების ნაყოფი ერზაცია, რა არის ის, რაც ჩვენს სინამდვილეში მძლავრობს?!

ამავე დროს ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო და არის კიდევაც, რომ ერზაცი არანამდვილის, ცრუის, მარცხნივის აღმნიშვნელი სოციოლოგიური ტერმინია, რადგან დღეს სწორედ სოციოლოგია სცოდავს მეტწილად არსად არასის დაკანონებაში.

– რომანის უმთავრესი თავისებურება მაინც ვრცელი განსჯანია, რომელსაც ინტელექტუალი პერსონაჟები ხშირად მიმართავენ. თხრობისას. ხშირი ექსკურსებია სხვადასხვა რელიგიის, ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, კულტურის სფეროებში. ამგვარი ნიაღვრეები მკითხველს უბიძგებს, პერსონაჟები სიმბოლურ-ალეგორიულ პლანში გაიაზროს. ასე რომ, პოსტმოდერნისტულ ორმაგი კოდი აქ რეალურად მოქმედებს. ყველა მკითხველი თავისას გაიგებს და აიღებს. თქვენ როგორ მკითხველს ისურვებდით?

– ამ ექსკურსების თუ ნიაღვრეების ფასი კაპიკი იქნებოდა, ისინი რომ პერსონაჟთა ფსიქოლოგიური მოძრაობის ლოგიკას არ მისდევდნენ მთელი სიმკაცრით. აქედან გამომდინარე, მათი (პერსონაჟების) სიმბოლურ-ალეგორიულ პლანში გააზრების დიდი მომხრე ვერ ვიქნები – თუმცა ვერც მკითხველს შევზღუდავ ინტერპრეტაციის თავისუფლებაში.

საერთოდ კი ვისურვებდი ნებისმიერ მკითხველს, ვინც ბოლომდე ჩაიკითხავს ტექსტს.

– რომანში ერთი პერსონაჟი ადამიანის გზას გაიაზრებს, როგორც ოთხი ელემენტის ერთობლიობას. დაბადება, კვდომა, ჰადესში ჩასვლა, მეორედ დაბადება (ჰაერი, ცეცხლი, წყალი და მიწა). თქვენი რომანის პერსონაჟები ცდილობენ ამ გზის გავლას სრულყოფილების, მშვენიერების, „სიმრგვალის“ მოპოვებას. მეორედ შობის მხატვრულ ასახვას დიდი ტრადიცია აქვს ქართულ ლიტერატურაში, ამჯერად მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგს“ დავასახელებ. თქვენი რომანის გმირიც ბოლოს ამ მეორედ შობის მოლოდინშია, როცა სარკმელთან მიმდგარი მზის ამოსვლას ელის. რა თქმა უნდა, რომანში ერის განწმენდაზეც არის საუბარი, თქვენი აზრით, მოხდა თუ არა მეოცე საუკუნის მიწურულს მომხდარი მოვლენებით ქართველთა ჯოჯოხეთში შთაფვლა და მეორედ შობა? თქვენ თვითონ თუ გაციცდით ამგვარი რამ?

– ის, რომ ჩვენი თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობა, პირველივე ჩვენამდე მოღწეული ძეგლებიდან მოყოლებული, ინტენსიურად და ღირსეულად ამუშავებს ამ თემას, უტყუარი ნიშანია იმის, რომ ის მართლაც დიდი მწერლობაა.

რაც შეეხება ლეოს, მისი ბოლო ჟესტი უფრო სარკასტულია, ვიდრე ხელახლა დაბადების მოლოდინის გამომხატველი. მან ჯერ კიდევ გაბრიელ ეპისკოპოსის მიმართ სიზმარეულ გამოცდილებაში მიაკვლია საკუთარი ნატურის იმ ხარვეზს, რომელიც უცილობლად შეუშლიდა ხელს ჭეშმარიტ განახლებაში – ეს მაქსთან საუბარშიც დასტურდება. საკუთარი ზღვრების უზუსტესი შეფასებისთვის განეული იუველირული სამუშაო მას პატივისცემის ღირსს ხდის ჩემს თვალში.

მეოცე საუკუნის მინურულს ქართველი ერი, რალა თქმა უნდა, შთაიფლა ჯოჯოხეთს და, შესაძლოა, ეს პროცესი გრძელდება კიდევ, მაგრამ ვაი, რომ კოლექტიური მეორედ შობა კიდევ უფრო სათუთა, ვიდრე ცალკეული პიროვნების. თუმცა ამ წლების განმავლობაში ქართულ გონში დაგროვდა საშური გამოცდილება, რომელიც დროდადრო უეჭველად ამოხეთქავს მაცოცხლებელი გეიზერებით.

პირადად ჩემს გამოცდილებასთან დაკავშირებით კი დიდი სიფრთხილით გიპასუხებთ: მაინც მგონია, რომ ძველების ოქროს რჩევას მივყვები პატიოსნად – ვწერ მხოლოდ იმაზე, რაც ვიცი.

**– კონკრეტულად რა მასალას ეყრდნობით რომანის წერისას? ჰყავთ თუ არა ამ პერსონაჟებს პროტოტიპები, დასახელებას არა გთხოვთ, უბრალოდ, ზედმიწევნით მიჰყვებით რომელიმე რეალურ სახეს თუ ისე ცვლით, რომ მისი ცნობა შეუძლებელია?**

– მასალა, რომელსაც წერისას ვეყრდნობი, ჩემი მეხსიერებაა – სულის, გულის, გონების.

ცხადია, ზოგიერთ პერსონაჟს ჰყავს პროტოტიპი, მათი დასახელება არავითარ უხერხულობას არ მიქმნის, მითუმეტეს უმრავლესობას პირადად არც ვიცნობდი. ჩემი სახეები, ძირითადად, მაღლიერი მიძღვნილი პროტოტიპებისადმი, მათგან ცხოვრებაში გატარებული სილამაზის წილ. შესაძლოა, ამიტომაც არ უკადრისობენ. რეზი თვარაძე, მაგალითად, კმაყოფილებას ვერ ფარავდა, როცა პროფესორ *comme-il-faut*-ში თვას სიზმრიდან („ქვრივი-94“) საკუთარი თავი ამოიცნო.

რეალური ადამიანის სახეს ზედმიწევნით ვერასგზით ვერ გავყვებოდი მიზეზთა გამო: ჯერ ერთი, ელემენტარული ეთიკა, მეორე – ცხოვრებისულ „შპარგალკას“ და ციტატებს არ ვსაჭიროებ – მწერლობას სუბსტანციურ ეკვივალენტის შექმნის ხელოვნებადაც ვსახავ, მესამე ის, რომ ნაწარმოებს ურთულესი მხატვრული ამოცანები ჰქონდა, შესაბამისად, ერთ სახეს, შესაძლოა, ორი ან მეტი პროტოტიპი ჰყოლოდა...

**– რომანში თხრობისას ხშირად არის ჩართული სიზმარი, როგორც პერსონაჟის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი, მისი მომავლის წინასწარმჭერეტი თუ განვლილი ცხოვრების ამსახველი. ალბათ, ამ თვალსაზრისითაც, საინტერესო იქნება პერსონაჟთა ხასიათების კვლევა. თქვენზე პირადად რა გავლენა მოახდინეს**

**სიზმრის ახსნის ყველაზე დიდმა ოსტატებმა, ფროიდმა და იუნგმა, იმის გათვალისწინებით, რომ ერთ-ერთის წიგნი ლეოს სულიერ განვითარებაში დიდ როლს თამაშობს.**

– ფროიდის და იუნგის წვლილის გადაფასება სიზმრის ახსნის მეცნიერებაში (ბევრ სხვაშიც) შეუძლებელია, მაგრამ: ფსიქოანალიზის მთავარი გასაღები სიზმრის ახსნისა შემდეგი დებულებაა: ნებისმიერი სიზმარი არის **ს უ რ ვ ი ლ ი ს** ასრულება (იუნგმა ეს დებულება გაამდიდრა არქეტიპებით, კულტურის, მითების და ა.შ. კომპონენტებით). ეს კარგად იცის ლეომაც. ამიტომ როცა მას, სიზმრის ჩანერის ოსტატს, უჭირს გაბრიელის სახიანი სიზმრის აღდგენა, ის ეჭვს გამოთქვამს: ეტყობა, მეტისმეტად **რ თ უ ლ ი ა** ის სურვილი, რომლის აღსრულებასაც მიექლენა ჩემი სიზმარიო. და მეც, ლეოსთან სინქრონიში, ვფიქრობ, რომ ყველანაირ სიზმარს ვერ სწვდება ფსიქოანალიზი. თუ მეხსიერება არ მალაატობს, თავად ფროიდის შემოქმედებაშიც მოიძებნება მსგავსი ფრაზა – სადაც ის უნდა საუბრობდეს მალალშემოქმედებით ნატურათა სიზმრების ახსნის შეუძლებლობაზე.

**– ჭაბუა ამირეჯიბი, ეტყობა, გამორჩეულად გიყვართ. ყურადღება მივაქციე, რომ რევან თვარაძეა თქვენი წიგნის რედაქტორი, გამახსენდა ისიც, რომ „დათა თუთაშხიას“ პირველი რედაქტორიც რევან თვარაძე იყო. რა გაკავშირებთ ამ ადამიანებთან?**

– რევან თვარაძე! აი ვინ იყო ჭეშმარიტად იმპერიული გაქანების გრანდი.

ერთი კვირის წინათ მისი საფლავის მოსანახულებლად გახლდით მე და დედაჩემი. ზუსტად ვერ აღვიდგინე, მომვლელ ქალს ვკითხე. რეზი თვარაძის სახელის ხსენებაზე ყველა იქ მყოფი (ოცამდე სული) შემოტრიალდა – შეუბღალავი რეპუტაციის და მაღალი ღვანლის მაგნეტიზმი!

ბატონი რეზი 1998 წელს გავიცანი. აგვისტოში წერილით მივულოცე 70 წლისთავი. დაუყოვნებლივ მოინდომა ჩემი ვაცნობა. პირველი შეხვედრა გადაიზარდა ოჯახებით მეგობრობაში, რომელსაც ურთიერთობათა პოეზიის მწვერვალს უწოდებდა თვითონ. მითუმეტეს შეუგუებელია მისი გარდაცვალება ჩემთვის. თუმცა ზესთასოფელი დიდი პატივით მიიღებდა თავის ნარჩინებულ რაინდს!

ჭაბუა ამირეჯიბზეც მკითხეთ. მასთან, შეიძლება ითქვას, ჩემმა ბანქომ (მხატვარი - გიორგი იაშვილი) დამაკავშირა. იყო კიდევ შარშანდელი გაზაფხულის დაუფინყარი დღე მის სათნო ოჯახში, როცა დაბეჭდილი ბანქოს ეგზემპლარები გადავეცი საჩუქრად.

თუ საბოლოოდ არ შეგანყენთ თავს, ბანქოს დასტასთან ურთიერთობის პატარა ინსტრუქციასაც გავაცნობთ, რადგან ის რომანთან კავშირშია:

ფერთა ნაკითხვის სწორი თანმიმდევრობა: აგური, ჯვარი, ყვავი, გული. ვალეტები: მზეჭაბუკი სხვადასხვა ასაკში, ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე სახეს იცვლის მისი მტერი, შესაბამისად იცვლება მისი იარაღიც; ქალები: ოთხი ელემენტის მპყრობელი (აგურის – წყალი, ჯვრის – მინა, ყვავის – ცეცხლი, გულის – ჰაერი); მეფენი: აგურის – პლატონი, ჯვრის – ავგუსტინე, ყვავის – დანტე, გულის – მიქელანჯელო; ტუზები: მზეჭაბუკის გზა ვიდრე მის განდმრთობამდე: დაბადება (აგური), ილუზორულთან შე-

ჯახების გამო მისი კვდომა (უკიდურესი დეპრესია) – ჯვა-რი, ქვესკნელს შთასვლა – ყვაფი, მეორედ შობა (კალმით განღმრთობა) – გული; მასხარები – ლენინი, სტალინი (შდრ. ერზაცი ისევ **ხ უ მ რ ო ბ ს**).

– ჩვენს დროში არ არის იმის ფუფუნება, რომ მწერლის ხელობით ადამიანმა თავი გაიტანოს, თქვენ სად და რას საქმიანობთ?

– 1992 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ კატეგორიული უარი ვთქვი ე.წ. შრომით ბიოგრაფიაზე. ოჯახის ორი წევრის შეწევნით დღემდე ვახორციელებ ამ ახირებას.

– სხვა პოეტთაგან რომანის გმირები ყველაზე ხშირად ბლოკს ახსენებენ. ხომ არ გიცდიათ მისი თარგმნა, თუ საზოგადოდ, თარგმანს ეჭვით უტყვერით, ამას მონ-მობს რომანში რუსულ ენაზე ჩართული ვრცელი პასა-ჟები და ციტატები. ეს ბილინგვიზმი, რა თქმა უნდა, ქართველთა სულიერ გაორებას კარგად წარმოაჩენს, მაგრამ ახლა ბლოკზე მინდა გვითხრათ ორიოდ სიტყვით, რას ნიშნავს მისი პოეზია თქვენთვის, რომანში ერთი პერსონაჟი ამბობს მასზე: „ის არა მხოლოდ პოე-ტია ჩემთვის, არამედ ბედისწერა ჩემი“; და იქვე, რომ „მხოლოდ პოეტია ადამიანი“.

– ჩემი რუსული პასაჟების გარდა არაფერი მითარ-გმნია. მართალია – თარგმანს რამდენადმე ეჭვით ვუყუ-რებ, თუ ისეთ სასწაულებთან არ გვაქვს საქმე როგორც ლოზინსკი, პასტერნაკი, ბაჩანა ბრეგვაძე, თამაზ ჩხენკე-ლი. . . მახსენდება ჟორჟი ამადუს მოსწრებული ნათქვამი: ვგიჟდები ჩემი პროზის ქართულ თარგმანებზე.

აღქვსანდრ ბლოკზე რა გითხრათ იმაზე მეტი, რაც დავწერე, არ ვიცი. ცოცხალი ემოცია აღარც დამრჩა მი-სადმი. ნოევიჩის ფრაზა რომ გადავასხვაფერო, ის ახლა უბრალოდ დიდი პოეტია ჩემთვის. თუმცა ბოლო ექვსი თვე მის ქალაქში ვცხოვრობდი და იქ არაერთხელ დავ-ფიქრებულვარ მისი ხანმოკლე ცხოვრების დაისის ტრა-გიკულ ეკლექტიკაზე.

როგორც ჩანს, თავიდან, გენიოსის ამპარტავნებაში, მაინც სჯეროდა რომ დანთქავდა ეპოქას. მაგრამ სადღა იყო ე პ ო ქ ა (როგორი კეთილშობილად კეკლუცი სიტყვაა), ეპოქა დამთავრებული იყო – იდგა ჟამი კაციჭამია დემონების აწყვეტილი თარემის. და მიიცვალა პოეტი. სხვანაირად ის ალბათ არც იქნებოდა ბლოკი.

– თქვენი ფართო ერუდიცია ჩანს ამ ნივნში და, აღ-ბათ, პერსონაჟთა სულიერი ძიებანი პირადად თქვენს გამოცდილებასაც ირეკლავენ, რადგან იმგვარი სილ-რმით, ვნებითა და გატაცებით არის წარმოჩენილი ძველი ქართული ლიტერატურის ძეგლები, შუა საუ-კუნეების ღვთისმეტყველება, ნიცში, დოსტოევსკი, „ბჰავავატგიტა“... ვინ არიან ამ თვალსაზრისით, თქვენი ყველაზე ძვირფასი „მოძღვრები“, თუმცა ერ-თი მოძღვარი გამორჩეულად მოჩანს – გაბრიელ ქი-ქოძე. სხვათა შორის, ერთი პერსონაჟი საინტერესოდ განარჩევს ერთმანეთისაგან მოძღვარსა და მასწავ-ლებელს: „მოძღვარი – ეს არის აღორძინების დიადი ცოდნის მცოდნე, დამტვევი. მასწავლებელი ამ ცოდნას ფლობს რამდენადმე, მაგრამ მას ვერ იტყვს–ინროა საამისოდ“, იქვე: „ჩემი იდეალი: „თვითონ ვუმოდ-

ღვრო თავს“. ამასაც გავიხსენებ რომანიდან: „არაფე-რი ისე კაცს არ ზრდის, როგორც კონკრეტული ადამი-ანი ცხოვრების გზაზე“. ვინ იყო თქვენთვის ამგვარი ადამიანი?

– ჩემი სიყმანვილის მწველი ოცნება იყო მოძღვარი. ისე მოხდა, აღორძინების საიდუმლოს დამოუკიდებლად მივაკვლიე. შესაძლოა, ჩემი პროფესიული აღმასვლის-თვის ეს ზედგამოჭრილი იყო, მაგრამ სევდა ამ ვითარების გამო დღესაც მომერევა ხოლმე (მას ყველაზე ზუსტად ნა-ტას „ბრაჰმანარიას“ ერთი პასაჟი ასახავს). იმ მაღალმა პიროვნებებმა კი, რომელთა დარადაც მესახებოდა ჩემი სავარაუდო მოძღვარი, მხოლოდ მაშინ მიმიშვეს თავის-თან, როცა ჩემში აღორძინების საიდუმლოს ადებტი იაზ-რეს. გამოდის, მოძღვარს, თუ ის ნამდვილია, თავისთან არ მიშვებიათაც შეუძლია უმოძღვროს მწყურვალს. წინა-აღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობის მნათობებს მოძ-ღვრებს ვერ დავარქმევდით. მათგან ძვირფასები? – პლა-ტონი, ორიგენე, ფსევდო დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერი), დანტი, ერაზმუს როტერდამელი (მისი პოლემიკა ლუთერთან ძალზე საყურადღებოა დღევანდელი მისი გა-აზრების მხრივ. ვისურვებდი, რომ ქართველმა მკვლევა-რებმა ყურადღებით შეისწავლონ ეს საკითხი), ვივკანან-და, პოლ ვალერი. . . აღარ გავაგრძელებ, თქვენი ნებარ-თვით.

– ახლა რაზე მუშაობთ, ისევ რომანის წერას აპი-რებთ თუ ჟანრულად გაამრავალფეროვნებთ თქვენს შემოქმედებას. როგორც ერთგან შენიშნავს რომანის პერსონაჟი: „რომანში რომანული იწყება იქ, სადაც გმირის სული კონფლიქტს იწყებს რეალობასთან“. ამისთვის ჯერ ავტორი უნდა აჯანყდეს რეალობის წი-ნააღმდეგ, რამდენად გაქვთ ამის შეგრძნება და რეა-ლურ ცხოვრებაში როგორ გამოხატავთ ამბოხს რეა-ლობის წინააღმდეგ.

– ისევ რომანზე ვმუშაობ – „არქივარიუსი“.

რეალობა სამყაროს წესრიგი არ არის, მისი უდარესი ნაწილია მხოლოდ. მასთან დაზავება მწერლის სირცხვი-ლია. ჩემი ამბოხი კი მტკიცედ დგომაა.

– რომანის ერთი გმირი საუბრობს თავის „ვერბა-ლურ გურმანობაზე“. ამ თვალსაზრისით, თქვენზე, რო-გორც მწერალზე, იმავეს გამოვრება შეიძლება. ქარ-თველ მწერალთაგან ვის მიიჩნევთ ამგვარად?

– ყველა ტექსტი, რომელიც ყურს არ ჭრის და ამავე დროს არსებობის სიხარულს შეახსენებს ადამიანს, ვერ-ბალური გურმანის ხელიდანაა გამოსული. ასეთი ტექსტი ბევრია ქართულ ლიტერატურაში.

– პლატონის საფლავზე წარწერაა: „ორი დიდი ძე ჰყავდა აპოლონს –ასკლეპიოსი და პლატონი, ერთი სხეულის მკურნალია, მეორე სულია“. რომანის პერ-სონაჟები კარგად იცნობენ პლატონს. ამჯერად მაინ-ტერესებს, იქონია თუ არა გავლენა პლატონის ფილო-სოფიამ რომანის სათაურზე და რამდენად შემთხვევი-თია, რომ რომანში მთავარი პერსონაჟები ან ექიმები არიან ან „სულის მკურნალნი“?

– პლატონის ფილოსოფია იმდენად ყოვლის გამჭოლია, საზოგადოდ, რომ მისი გავლენის დაძებნა ყველაფერში შეიძლება, მათ შორის ჩემი ნაწარმოების სათაურშიც.

## დილოგი

ექიმ პერსონაჟებს რაც შეეხება, ამას უფრო მარტივი ახსნა აქვს – ექიმები ქართული დარგობრივი ინტელიგენციის ნაღებია, მათგან უფაქიზესი ვნებებით გატაცება არადაამაჯერებლად არ გამოიყურება. ლიტერატორთა ოჯახის საგა პრინციპულად არ მინდოდა, ლიტერატორის ფსიქოტიპი მაინც განსხვავებულია.

სულის მკურნალებს ძალზე დიდი დატვირთვა აქვთ რომანში – მათი მეოხებით ჩემი გმირები ხორციელდებიან რგოლებად კულტურული ტრადიციის ჯაჭვში.

– **წარმოიდგინეთ, რომ დროის მანქანით მოგზაურობა შემოგთავაზეს, მხოლოდ ერთ კონკრეტულ ეპოქაში. რას აირჩევდით: მომავალს თუ წარსულს, ან ვისთან შეხვედრას მოისურვებდით (გასაგებია, რომ წიგნები ერთგვარი დროის მანქანებია). გიფიქრიათ თუ არა ასე, მიხეილ ჯავახიშვილივით, მე ან ადრე უნდა**

**დავბადებულიყავი ან გვიანო. რას იტყვით, დღევანდელ „თვითშექმნილ“ თუ „ღვთისშექმნილ“ ადამიანებსა და რეალობაზე.**

– მჯერა, სწორედ მაშინ დავიბადე, როცა უნდა დავბადებულიყავი (სხვათა შორის, ათი წლით გვიან, ვიდრე ჩემი მშობლები ელოდნენ). ფატალისტი არ გახლავართ, მაგრამ სამყაროს წესრიგის სიმკაცრის მიმართ მშვიდობაში ვიმყოფები, ესე იგი ანმყოს მიმართაც. მოგზაურობა არ მიყვარს.

თვითშექმნილ ადამიანს მაშინ ედება ფასი, როცა თავისთავში ღვთისშექმნილს იგზნებს. დღევანდელი თვითშექმნილები იშვიათად ეშურვიან ამ მდგომარეობას, ამიტომ რეალობაც შესაბამისია.

დასასრულ, მსურს გამოვხატო მადლიერება პროფესიული ბრწყინვალეებით აღბეჭდილი შეკითხვებისთვის.

## ინტერვიუ

ჟაკლინ სირაძე

# ინტელექტუალის სოლფეჯიო

## საუბარი საუბრამდე

სამყარომ როგორი სახეც უნდა მიიღოს და როგორი იდეები, ფაქტები თუ ტენდენციებიც უნდა წამოსწიოს წინ, აუცილებლად დასჭირდება თავისი შედეგების ხელახალი გადაკითხვა, გადახედვა და გადაფასება იმ წიგნებიდან, რაც სხვადასხვა რელიგიურმა აღმსარებლობებმა სულიერ საფეხურებად დააღაგა.

ზეაღმართული ტალღა, თავის უკიდურეს წერტილზე მოქცევისას, იძულებულია ჯერ შემოირკალოს და შემდეგ კი მიწას დაენარცხოს, რათა თავდავიწყებით დაუბრუნდეს იმ მთელს, საიდანაც დაიბადა.

აი, ასეთი უნებურ-ინტუიციური და, ამავე დროს, იძულებით-კანონზომიერია ხელოვანისა თუ ფილოსოფოსის მიბრუნება სულისმიერ საფეხურებთან, საღვთო, წმინდა წიგნები რომ იუნჯებენ.

I

## ვეარსონის გულმტკივნეულობა

და

## თანამედროვეობის გაუცხოება კლასიკასთან

როცა ემერსონი ცდილობდა განესხვავებინა კლასიკოსი თანამედროვეთაგან, გულმტკივნეულად წერდა:

– „ჩვენამდე მცხოვრები ადამიანები ღმერთსა და ბუნებას პირისპირ ჭვრეტდნენ. ჩვენ კი დავკარგეთ უნა-

რი მათი თვალებით აღვიქვათ ღმერთი და ბუნება“ („ბუნება“).

თუმცა თანამედროვეობა ემერსონს შეიძლება გაუჯიუტდეს კიდევ და არ დაეთანხმოს, რომ ჩვენს დრომდე მცხოვრები ადამიანები ღმერთს და ბუნებას პირისპირ უმზერდნენ. რადგან თანამედროვეთათვის პირველი ფრაზა მხოლოდ მომხიბლავი და საზარელი ილუზიაა, რომლისგანაც ის დიდი ხანია გათავისუფლდა. მაგრამ უდავოა, მეორე ფრაზა მისთვისაც კი ჭეშმარიტებაა. ჩვენ, თანამედროვენი აღარ ვიმზირებით ჩვენი წინაპრების თვალთახედვით. თითქოსდა ჩვენი ხედვა დაშორდა სხვა საუკუნეებს და იმ დედამიწას, რომელიც აქამდე არსებობდა.

თანამედროვეთა ახლებურმა ხედვამ აქ, ღამის სიშავეში დაბადა საგანთა და ახალ სინათლეთა სხვაგვარი „სიკაშკაშეები“ და დაინახა კოსმოსის უსასრულობასთან შეპირისპირებული „უუმცირესი საგნები“.

ვილაც კვდება... ვილაცას სამყაროს სიმძიმე სრესს... მაგრამ „დღეს“ ამ ვილაცის გასასრესად სულაც აღარ არის საკმარისი კოსმოსის ის თავზარდამცემი უსასრულობა, რაც პასკალის უფსკრულმა დაბადა. აქ უნდა დაემატოს რაღაც, რაც თითქოსდა უმნიშვნელოა ერთი შეხედვით, მაგრამ სავსებით საკმარისი. რადგან რეალურად ეს რაღაც ამოძრავებს ადამიანურ სამყაროს – მის დედამიწას.

ალბერ კამიუ ამიტომაც წერდა:

– „ისიც საცოდნელია, თვითმკვლელს იმ დღეს მეგობარი გულგრილი კილოთი ხომ არ ელაპარაკა“ („სიზიფეს მითი“).

და უნებურად ამ ფრაზას მიმყოლი სულისმიერი თვალი აღმოაჩენს, რომ ამჟამინდელი დედამიწა სადღაც წყვედადმი ჩაექანა.

წყვედადმი ჩაექანა დედამიწა? რაღაც უმნიშვნელო ამოძრავებს დღევანდელ სამყაროს?

– კი მაგრამ, რას ნიშნავს ეს?

– რას ნიშნავს რაღაც უმნიშვნელო? ან უმნიშვნელოს როგორ შეუძლია სამყაროს ამოძრავება?

მე უნებურად ოქტავიო პასს დავესესხები, რათა განვმარტო მოვლენა, რომლის ახსნასაც ამაოდ ვცდილობ:

„თუკი ატომურმა ბომბმა არ დაანგრია სამყარო, მან დაშალა სამყაროზე ჩვენი წარმოდგენები“.

ეს აზრი ოქტავიო პასიმ ორ თანაბარ ნაწილად წარმოგვიდგინა, – და ამით უნებურად ასოციაცია შეგვიქმნა ნიუტონის ცნობილი კანონისა „ქმედება უკუქმედების ტოლია“.

ქმედებით – ატომურმა ბომბმა თუმც სამყარო გარეგნულად, ფიზიკურად ვერ დაანგრია, მაგრამ უკუქმედებით ჩვენში შემოაღწია, ანუ ძალა, რომელიც შეკავდა, ჩვენში დამანგრეველი ენერჯის სახით ჩაიღვარა. ცხადია, ამ სიტყვების გაუთვალისწინებლად ვფიქრობ, შეუძლებელია თანამედროვე ტექსტის ამოკითხვა-გააზრება.

კიდევ გავიმეორებ: ძალა, რომელიც სამყაროს შესამუსრად იყო მიმართული, თუმც ხელოვნურად დამუხრუჭდა, მაგრამ სურვილის სახე მიიღო და ჩვენი სულიერი გზის მთლიანობა ნაწილებად დაშალა, რადგან მაერთი დაიკარგა. ეს იმასაც ნიშნავს, რომ ადამიანი იქ „გაჩერდა“, სადაც უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა „შეჩერება“.

კითხვა ასეთია:

– რას ნიშნავს, რომ ადამიანი „იქ“ „შეჩერდა“?

– ან რას ნიშნავს, რომ ეს „შეჩერება“ უმაღლესი ძალებისგან აკრძალული ჰქონდა?

II

ადამიანი „იქ“ „შეჩერდა“

ანუ ატომის უსასრულოებაში მოგზაურობა

ახლა შევეცდები ვუპასუხო პირველ კითხვას:

– რას ნიშნავს, რომ ადამიანი „იქ“ „შეჩერდა“?

ეს „შეჩერება“ სინამდვილეში გულისგამომფიტავ სისწრაფეში ჩაეგრძნა, ანუ ატომის უმცირესობისგან მოგვიდოდა დაღლილობაში მოქცევა.

თითქოსდა უსასრულობაში მივექანებით უუდიდესი სისწრაფით და ამ სისწრაფეში, ვერც კი ვხვდებით თუ სადა ვართ? ეს კაშკაშა სინათლეა? ეს განუზომელი წყვილია-დია? ზოგი უფრო სწორ გზას ადგას, რადგან ფიქრობს, რომ ამ მდგომარეობაში წყვილი და განუზომელი სინათლე ერთიდაიგივეა, თითქოსდა ჩვენ ატომს მოვიხილავთ, მის განუზომელ სივრცეში ვითქვიფებით, ვნეტარებთ, მოულოდნელად კი სივრცე უსასრულოდ მცირდება, ვიდრე ჩვენი არსებობის შემზღვეველ ბორკილად არ გარდაიხსნება. ასე ვმოგზაურობთ ამ გულისგამყინავ სივრცეში, სადაც შეყოვნება ეს უუსწრაფესი მოძრაობაა, რომელიც გვთოშავს და გონიუწვდომელ სიცარიელეში გვაგდებს.

გულისგამყინავ სივრცეში ჩვენი აქ შეჩერება, რომ სურდა აღენერა მ. ჰაიდეგერმა დაწერა ფრაზა:

– „ყველაფერი პესიმისა და ოპტიმიზმის მიღმა დგას“.

როცა სული შემოქმედისა თავისი სულის შემოქმედებით ღიაობაში იხედება. მაგრამ რატომ ამბობს მ. ჰაიდეგერი:

– „პესიმისა და ოპტიმიზმის მიღმა?“

თანამედროვე ადამიანი არსად დგას, არსად არის დაფუძნებული და ამიტომაც კანონზომიერია, რომ ადამიანს არ გააჩნია თავისი პოზიციის გამომხატველი განწყობა. ის, ვერც პესიმისა და ვერც ოპტიმიზმით – სიხარულის და იმედოვანი განწყობის საბურველში ვერ გაეხვევა. ეს ორივე მხოლოდ ნაწარმოებში, შემოქმედის სათქმელში გამოსჭვივის, როგორც ღვთაებრივი, სულიერი მზით გასხივოსნებული, ერთგული გზის მიყოლის შედეგის თანმყოფი და გამომხატველი თვისება.

პესიმისა და ოპტიმიზმის მიღმა – ამ მდგომარეობაში ყველა საგანი გზაშია, ანუ არსად არის დაფუძნებული. ეს ნიშნავს, რომ ყველა საგანი ყველგანაა და არსადაა და ეს ერთდროულად. გაჯიუტებული სული შემოქმედისა კი „იქ“ „გაჩერდა“ – სადაც არ უნდა „შეჩერდეს“.

ეს არის შთაგონების, მზის ღიაობაში ჩამზერის მცდელობა და ამ პოზიციიდან არც არის გასაკვირი, რომ ს. კირკეგორი მელანქოლიას, შთაგონებაში შესასვლელ, მოსამზადებელ სულიერ მდგომარეობას ასეთ არასწორ ინტერპრეტაციას აძლევს:

„მელანქოლია ცოდვაა, სწორედაც ცოდვა *instar omnium*, რომელსაც შეუძლია ყველაფრის იავარჰყოფა, რომლის დროსაც ადამიანი ისეთ მდგომარეობაში ვარდება, რომ მას არც ნება არა აქვს და ცნობიერებაც წაერთმევა. უფრო ზუსტად კი ეს ისეთი მდგომარეობაა, რომლის დროსაც ადამიანმა თვითონაც კი არ იცის, თუ რა სურს მას, ან, არ უნდა რომ იცოდეს რა სურს და ეს ცოდვათა შორის იქნებ ყველაზე უმძიმესი ცოდვაცაა.“

მამ ასე, კირკეგორი გარკვევით წერს, რომ ეს არის უმძიმესი ცოდვა, მაგრამ რატომ მიაჩნია ასე?

მართალია და უდავო, რომ შთაგონებისას ადამიანს საკუთარი ნება არ გააჩნია, მაგრამ ამ დროს ხომ ადამიანში ღვთაებრივი ნება შემოდის და ის ღვთაებრივი მზის, სულიერი გზის ერთგულების თანმყოფი ხდება.

ს. კირკეგორი კი ღვთაებრივი ნების შემოსვლას ადამიანში, მხოლოდენ აბსურდული სიტყვებით თარგმანს ახერხებს:

– ცნობიერი ნების უქონლობა.

და ბოლოს იმასაც კი დაუმატებს:

– „ადამიანმა თავად არ იცის, რა უნდა მას, ან არ უნდა, რომ იცოდეს.“

ადამიანს არ შეუძლია იცოდეს, ის, რაც მას აღემატება და რაც, ღვთაებრივი სხივის თანმყოფი „ცოდნაა“, მისი სხივის შემომტანია, ამიტომაც მას ინტუიცია კარნახობს, არ ისურვოს ეს ცოდნა, ის ცოდნა, რაც მის ადამიანურ შეაძლებლობებს აღემატება.

ადამიანს არ შეუძლია იცოდეს, თუ როგორ მიუყვება თვალახვეული ღვთის ნებას, და ამ მაღლით აღვსილი ვარდება იღუმალებით გაბრწყინებულ სამყაროს სისავსეში, სადაც ის აღმოაჩენს სიყვარულით გამთლიანებულ სამყაროს და აზრმიცემული საგნები თავისთავად დალაგდებიან მისსავე სამყაროში.

ადამიანი „იქ“ შეჩერდა – სადაც ღვთის ნებას ვერ მიუყვება, და ცხადია შთაგონებით ვერ აღივსება. მან ზურგი შეაქცია ღვთის ნებას და გაჯიუტებული ჩააცქერდა იმ იგავიუწვდომელ გზას, რომლის აღქმა მის ძალებს აღემატება.

მარინა ყიფიანი

# „იქნებ სული ჩაიდგან სიტყვებმა“

გამარჯობათ!

„ისევ ამიტანა წერამ...“

მაკა ჯოხაძის სამშობლოდაკარგული კაცის ტკივილმა მისივე „სისხლიანი მეტაფორა“ გამახსენა: „მოდი, ცხადზე ვილაპარაკოთ, ანუ სოფელზე, ბინდისფერზე, ტკბილმწარე კვამლზე, უფრო და უფრო გამწარებულზე, რადგან ბადაგივით იკლო სიყვარულმა და მონინებამ ქალის წინაშე, კაცის წინაშე, ხატის წინაშე...“

რამდენიმე წლის წინათ მონატრებულმა საუბრებმა სიყვარულზე, სიცოცხლეზე, სიზმარზე, ცხადზე – არ დაგვაფიქრა, არ შეგვაჩერა... მწარე გამოცდილება გაკვეთილებად არ გამოგვადგა და სამშობლოც დაკარგეთ!

რა უფრო მწარეა და მტკივნეული: უსამშობლობა და მთელი სიცოცხლე მისი ძებნა, თუ უკვე შენი სულის და ხორცის ნაწილის დაკარგვა?! როცა გზააბნეული უმწეოდ იხედები აქეთ-იქით, გარშემო კი მხოლოდ შენი სამშობლოს ნაგლეჯებილია შემორჩენილი?!

„ნეტავ, რა უფრო მეტი იყიდება დღევანდელ საქართველოში – პური თუ წამალი?...“

„რა ოპოზიციური დანყვილება“ – ცხვირს აიბზუებენ „ამა ქვეყნის ძლიერი“... მათ მხარს აუბამენ ჩვენი „ელიტური“ ქალები, რომლებსაც არად დაკლებიათ აფხაზეთის ნატურალური „ზაგარის“ დაკარგვა, ერთმანეთის შეჯიბრში ისე იბრანებიან, საკუთარ სახეს და იერს თვითონაც ვეღარ პოულობენ... რა ჰქვან, „ფარაონთა ცოლობა-ნა“ მსხვერპლს მოითხოვს!..“

მაკა ჯოხაძის ნათქვამი ყოველთვის გამოირჩევა საოცარი სიმართლით, სითამამით. სიმართლის მიგნებას კი სწორედ რომ დღეს უჭირს ყველაზე მეტად.

„ო, ბედნიერი! ვისაც სამშობლო გაქვთ და თანამემამულენი გყავთ! მაზიარეთ თქვენს ბედნიერებას და მინილადეთ... სად არის ჩემი სამშობლო?!“ მეი ზიადას ესოდენ მტკივნეულ და მოუგვარებელ პრობლემას არანაკლებ მტკივნეული ესეი მიუძღვნა მაკა ჯოხაძემ.

„მადლობის მაგიერია, წყვიდადში ჩაძირული ქალაქი რომ განათდა???“

რა უმადურობაა, ისევ „აიბზუებენ ცხვირს“... „ჩტო ზა სტრანაიაა ნოსტალოგია“ – რუსებზე მეტად სწორედ ჩვენს დემოკრატებს გაუკვირდებათ.

„თითქოს გაგვაჩნია და თითქოს არცა გვაქვს ეს დალოცვილი სამშობლო. ზღაპარს ჰგავს, უფრო ზუსტად ქართული ზღაპრის დასაწყისს „იყო და არა იყო რას“...“

მაკა ჯოხაძე დროისა და სივრცის, ლანდშაფტისა და პეიზაჟის ეროვნულობაზე (?) ლაპარაკობს. და ეს იმდენად დამაჯერებელია, ოდნავადაც არ გეპარება ეჭვი. „... უფრო მეტიც – ჩემთვის თვით მეგობრობა, ანდა სიყვარულიც ამ ნიშნის ქვეშ მიედინება და ღრმად ვარ დარწმუნებული – ქართველ კაცს, ანდა ქალს იმ სიღრმითა და სე-

რიოზულობით უყვარს, რა სიღრმითა და სერიოზულობითაც აღიქვამს დროსა და სივრცეს, პროცესებსა და მოვლენებს საკუთარ სამშობლოში – და მხოლოდ ამის შემდეგ – მსოფლიოში...“

ისევ განვალეხს კითხვა – რა უფრო მწარეა და მტკივნეული: უსამშობლობა თუ სამშობლოს დაკარგვა?!

უსამშობლობის პრობლემამ (თუნდაც არსებულის დაკარგვამ) არ შეიძლება ედუარდ ჰეილის „უსამშობლო კაცი“ არ გაგახსენოს... უსამშობლოდ დარჩენილ მთავარ გმირს აღარ შეეძლო ყოფნა და სიცოცხლე სამშობლოს გარეშე და თვითონ, როგორც შეეძლო, ისე შექმნა თავისი სამშობლო. „ადამიანი ჰგავს იმ ქვეყანას, რომელსაც მისი სამშობლო ჰქვია...“ ფილიპ ნოლანს უმძიმესი განაჩენი გამოუტანეს – არვინ უხსენოს შეერთებული შტატები არასოდეს! მას კი სჯერა, „ოციტრების მიღმა, მთავრობის მიღმა და მთელი ხალხის მიღმა არის თვით სამშობლო, შენი სამშობლო და შენ მისი შვილი ხარ, ისევე, როგორც შენი მშობელი დედისა და ისევე ეკუთვნის მას, როგორც მშობელ დედას“ (ე. ჰეილი).

\*\*\*

მიუხედავად უსაშველო იმედგაცრუებისა და გულგატეხილობისა, ისევ მაკა ჯოხაძისა არ იყოს „მოდი, სიყვარულზე ვილაპარაკოთ, მხოლოდ სიყვარულზე ვილაპარაკოთ და იმდენხანს ვილაპარაკოთ, იქნებ მოხდეს სასწაული! იქნებ სული ჩაიდგან სიტყვებმა, რომლებიც რა ხანია მკვდრადშობილი ჩვილივით ყრია სუდარებზე...“ და იქნებ ბოლოს და ბოლოს „მოხდეს სასწაული“ და „ლია ჭრილობაზე მარილმოყრილ სახეში ქვიშაშეყრილ საქართველოს“, სადაც „ყველა ნერვი და ყველა ნაღდი გული ნალმზე ზის და საცაა აფეთქდება“ აუცილებლად ეწვევა თავისუფლების საყოველთაო სურნელი, თორემ შემოქმედებასთან დაკავშირებული ადამიანები თავისუფალნი ისედაც არიან, რადგან სწორედ „შემოქმედება – ერთადერთი თავისუფლებაა“. თავისუფალი კი ყოველთვის მძაფრად განიცდის სამშობლოს დაკარგვით მიღებულ ტკივილს... ტკივილს, რომელიც ძალზე უცნობია ჩვენი დროების ფარაონებისა და მათი ლურჯი სხივებით გარუჯული ნეფერტიტებისათვის.

## P.S.

„ჩვენი მწერლობის“ მიერ დანყებული იდეა „სხვადასხვა ენობრივ-კულტურული სივრცის ლიტერატურის“ გასაცნობად იმთავითვე მომეწონა. მაშინ მხოლოდ „სპარსული“ ნომერი მოესწრო. ძალიან კარგია, რომ ისევ მიუბრუნდით ამ თემას და ახლა იგი უკვე ტრადიციად იქცევა.

იმედია, შეგვისრულებთ დანაპირებს და მომავალი ნომრებიდან სხვაენობრივ-კულტურულ ლიტერატურას შემოგვთავაზებთ.

არა მგონია, საკამათო იყოს, რატომ მაინცდამაინც აღმოსავლური მწერლობაო...

მთავარია კარგი საქმე გაკეთდეს და რა მნიშვნელობა აქვს, რომელი იქნება პირველი, მეორე თუ მესამე. აქ ხომ რიგითობაზე მნიშვნელოვანი მისი შინაარსია...

მადლობა მოსალოდნელი სასიამოვნო შესვენებისთვის.

გისურვებთ წარმატებებს.

რედაქციის მინაწერი

ამ ოცის წლის წინათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქართველ ლიტერატორებზე ვირჯინია ვულფის ესეების გამოჩენამ, საჭაშნიკოდ მომზადებულმა ქართულმა ვერსიამ იმ მრავალფეროვანი და აზრის ცხოველმყოფელობითა და გაქანებით აღბეჭდილი ნიმუშებისა, რომელსაც ჰქვია ამ თვალსაჩინო ინგლისელი მწერლის კრიტიკულ-ესთეტიკური სამყარო.

არანაკლებ შთაბეჭდილებას იწვევს მაკა ჯოხაძის ესეისტიკა, ეგაა, უნდა შევეჩვიოთ, რომ ჩვენს თანამედროვე ქართველ მწერალსაც მივაგოთ ის პატივი, რისი ღირსიცაა, და არ ველოდეთ ორი და სამი საუკუნის გასვლასა და მაშინაც მორიდებით საუბარს, თუ აღიარებულ უცხოურ სახელთა გვერდით მოგვიწევს მათი ხსენება.

მაინცდამაინც ოდესმე უნდა გამოვუტყდეთ თავს, რომ „ჩვენი მწერლობის“ წლებანდელ მე-4 და მე-5 ნომერებში გამოქვეყნდა მაკა ჯოხაძის ორი დიდებული ესეი – „სამშობლოდ ქცეული ბავშვობა“ და „სამოთხე უსიყვარულოდ“?

ორი შედეგრი ზედიზედ ორ ნომერში!..

ერთის შექმნის საბაზი აღმოჩნდა არაბი მწერლის მეი ზიადას ესეი „სად არის ჩვენი სამშობლო?!“ მეორისა – გერმანელი მწერლის პერმან ჰესეს ლიტერა-

ტურული ზღაპარი „დოქტორ კლინგეს აღსასრული“.

ერთი აღმოსავლელი და მეორე დასავლელი.

ერთი აღმოჩენა ჩვენი სამწერლო სინამდვილისათვის, მეორე კი მსოფლიო კლასიკოსად შერაცხული.

ერთი პირველად გაცნობილი მაკა ჯოხაძისთვისაც და მეორე – სიყმანვილიდანვე შეთვისებული და უსაყვარლესი.

და ორივე ერთნაირად მარჯვე დასაყრდენი აღმოჩნდა ქართველი მწერლისათვის, თავისი უღრმესი ტკივილის, ფიქრის, ძიების ამოსატანად მზის სინათლეზე, ამოსატანად ისეთი მხატვრული ძალით, ქართული აზროვნების უკეთეს ნიმუშთა წყებას რომ შეჰფერის, ისეთი მღელვარებითა და სინრფელით, რაც ასე ნიშანდობლივია მაკა ჯოხაძის ზნეობრივი და ესთეტიკური მრწამსისათვის.

სხვაგვარად ასეთი წარმატებით ვერ შეახებდა ხელს ადამიანის სულის უფაქიზეს სიმებს.

ამიტომაც არ გვიკვირს მკითხველის აღტაცებული გამოხმაურებანი სატელეფონო ზარითა თუ პირადი შეხვედრებისას. რედაქციაში მივიღეთ რამდენიმე ბარათიც, რომელთაგან დასაბუჭდა შევარჩიეთ ჩვენი ქუთაისელი მკითხველის გამოხმაურება, მარინე ყიფიანის, ვისი მოსაზრებანიც ყოველთვის ანგარიშგასაწევია რედაქციისათვის.

რეპორტაჟი

სულხან-საბა, როგორც მქადაგებელი

„ჩვენი მწერლობის“ მორიგი თავყრილობის თემა ელისო კალანდარიშვილის წიგნია: „ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბა ორბელიანის ჰომილიები“.

როსტომ ჩხეიძე:

„ეს ერთ-ერთი თვალსაჩინო წიგნია, რაც გამოქვეყნდა ბოლო წლებში. ამის თქმა თამამად შეიძლება და დამეთანხმება ყველა, ვინც მას იცნობს.“

რამდენიმე წლის წინათ ყველა მოველოდით რეფორმას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო. მოგვწონს თუ არ მოგვწონს, ამ მოლოდინს ერთი კარგი მხარე აღმოაჩნდა. მოხდა ისე, რომ მეცნიერებს ატესტაციისთვის დასჭირდათ გამოცემული წიგნები და კიდევ დალაგდა წიგნი წიგნზე. მათგან ძალიან ცოტაა სუსტი თუ არაფრისმთქმელი, უმეტესობა მართლაც შესანიშნავია. ბევრს, მათ შორის, ელისოსაც, მივინყებულები ჰქონდა თავისი ნაშრომები, ჯერ შეიძლება არც გამოეცათ, მაგრამ ვითარებაში აიძულათ და ამ იძულებამ გაამართლა.

ელისო კალანდარიშვილის წიგნი არის ერთ-ერთი მეტყველი საბუთი იმისა, რომ არ შეიძლება ასეთი ნაშრომები რჩებოდეს მკვლევარის უჯრაში, იმიტომ, რომ ის სჭირდება არა ერთსა და ორ ადამიანს. თავისი შინაგანი

ხედვით, აზროვნების მასშტაბურობით, მსჯელობის, კვლევის ოსტატობით ეს წიგნი გამორჩეულია.

ის ნაწილიც, კომპილაციური, რომელიც აუცილებელია ამ ყაიდის ნაშრომისათვის, მშვენივრად დაწერილი, მიმოხილვა მქადაგებლობისა, მჭევრმეტყველება საერთოდ ანტიკური ჟამიდან შემდგომ დრომდე, ცვლილებანი თუ სრული გადახალისება ამ ჟანრისა... ელისო არ იზიარებს იმ მკვლევართა თვალსაზრისს, რომელიც ქრისტიანულ ქადაგებებს მიიჩნევს ანტიკური მჭევრმეტყველების უშუალო გაგრძელებად.

ბევრი რამ შეიძლება საერთო იყოს, მაგრამ განსხვავებული არის სული, არსება და იესო ქრისტეს ქადაგებებით სულ სხვა სამყარო იხსნება.

რაც შეეხება ქრისტიან მქადაგებლებს, მათთვის პირველხატი, ცხადია, იესო გახლდათ, მის გზას აგრძელებდნენ და იმ თემატიკის წრეში ტრიალებდნენ. სულხან-საბაც ერთ-ერთია მათ შორის. მისი „სწავლანი“ მთლად მიყრუებული სულაც არ არის, დამეთანხმებთან ჩვენი ცნობილი მკვლევარები, მაგრამ ისეც არ არის დაფასებული, როგორც ეს თხზულება იმსახურებს. ელისომ იმიტომაც მოკიდა ხელი, რომ, ერთი მხრივ, მქადაგებლობის ისტორია წარმოეჩინა და ამ საერთო ფონზე სულხან-საბა ორბელიანის ღვაწლი და, მეორე მხრივ, სულხან-საბას პიროვნება წარმოესახა ახალი კუთხით. ეს ორმაგი მნიშვნელობა კარგად ჩანს ამ წიგნში, და კიდევ ის, რომ სულხან-საბა ერთი მთლიანი მოვლენაა. როგორც ყველა ცოცხალი წიგნი, ეს ნაშრომიც ახალ-ახალ საკითხებს წამოჭრის, რომელთაც პასუხები სჭირდება – ზოგზე თვითონ ელისო გააგრძელებს მუშაობას და ზოგს სხვები ჩაუღრმავებდნენ მომავალში. ერთი სიტყვით, ეს ნაშრომი ნამდვილი კვლევის ნიმუშია. ეს არ არის შემთხვევითი, იმიტომ, რომ ელისო მრავალმხრივი პიროვნებაა. არავინ დაიჯეროს, თუ მეცნიერი

ჩაკეტილია საკუთარ ნაჭუჭში, მან შეძლოს თავის სფეროში სრულყოფილად შეისწავლოს ესა თუ ის მოვლენა. ფართო თვალსაზრისი გარეშე ეს ყოველად შეუძლებელია, ის, რომ ჩვენ ვკითხულობთ ელისოს მიერ თარგმნილ რუსული პოეზიის ნიმუშებს, ის, რომ ქართველი მკითხველი მალე გააცნობა მის პროზაულ ქმნილებას, ის, რომ ჩინებულად ერკვევა დღევანდელ სამწერლო პროცესებში – მიუთითებს მის მრავალმხრივობაზე, მისი ინტერესების სიღრმეზე, გემოვნებაზე და ყოველივე ეს წარმატებით მჟღავნდება მის სამეცნიერო კვლევებშიც“.

**ზოგიერთი ფრაგმენტი მაია ჯალიაშვილის მოხსენებიდან:**

„განსაკუთრებული უნარი მჭევრმეტყველებისა წარმოჩნდა სულხან-საბას „სწავლანშიც“, რომელიც მან 1698-1710 წლებში დავით გარეჯის უდაბნოში მოღვაწეობისას შექმნა. კრებული შეიცავს ნათლისმცემლის მონასტრის ბერ-მონაზონთა წინაშე წარმოთქმულ 46 ქადაგებას. ყველა-სათვის ცნობილი და აღიარებული „სიბრძნე სიცრუისას“ თუ „სიტყვის კონის“ ფონზე აშკარად დაჩრდილულია ამ ქადაგებათა ღირსება და მნიშვნელობა, თუმცა ეს რომ ასე არაა, ამას ამტკიცებს ელისო კალანდარიშვილის წიგნი „ქრისტიანული მქადაგებლობა და სულხან-საბას ჰომილიები“ (თბ. 2005). ეს წიგნი კიდევ ერთხელ დაგვაფიქრებს ჩვენი კულტურის რაობაზე და შეგვაგრძობინებს მომავლისთვის წარსულის გამოცდილების ღრმად ცოდნის აუცილებლობას.

ელისო კალანდარიშვილი წიგნში გამოწვლილივით აანალიზებს „სწავლანის“ ზოგადქრისტიანულ ხასიათს, ამისთვის საგანგებოდ მიმოიხილავს ქრისტიანული მქადაგებლობის თეორიულ ასპექტებს, განმარტავს ჰომილიტიკის არსს, მის კავშირს ბერძნულ-რომაულ ორატორულ ხელოვნებასთან...

ავტორის დაკვირვებით, საგულისხმოა ის, რომ საბა ძველ აღთქმას ადარებს მხატვრის მიერ გამოსახულ კონტურებს, რომელსაც „აჩრდილს“ უწოდებს, ხოლო „ახალ რჯულს“ კი „ფერებით შესრულებულ ნახატს“. „შესრულება“ გააზრებულია, როგორც გასრულება, სრულქმნა. წიგნში გამოკვლეულია, თუ როგორი მნიშვნელობით იყენებს საბა ცნებებს: „სახე“ და „ხატი“. იგი განარჩევს რელიგიურ და „მსოფლიო“ სახეებს. საგულისხმო და მნიშვნელოვანი დაკვირვებები აქვს ავტორს, თუ როგორ მოიზრებს საბა ძველი აღთქმის სხვადასხვა ეპიზოდს, მაგალითად, ნოეს მიერ ყორნის გაშვება ადამიანის სულიდან ეშმაკის განდევნას ნიშნავს, ხოლო მტრედი, ზეთისხილის რტოთი, სულიწმინდას განასახიერებს. ავტორი გამოკვეთს პარალელურ სახეებს:

- კიდობანი – ეკლესია,
- ყორანი – ეშმაკი,
- მტრედი – სულიწმინდა,



ელისო კალანდარიშვილი

ზეთისხილის რტო – სულიერი პოხიერებაა ანუ სინმინდე. წიგნში შესანიშნავადაა განხილული ის ქადაგებანი, სადაც საბა მიმართავს სიმბოლურ-ალეგორიულ მეთოდს. მაგალითად, საბა მაცხოვრის მიერ ზიარების დაწესებას ადარებს სამყაროს შექმნის აქტს, რომელშიც ქრისტი მონაწილეობდა, როგორც სამების ჰიპოსტასი.

რა თქმა უნდა, არ არის გასაკვირი, რომ ენციკლოპედიურად განათლებული სულხან-საბასთვის (ამგვარი ცოდნის გარეშე გაუჭირდებოდა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის შედგენა) ქადაგება გახდა მისი განსაკუთრებული ნიჭიერების გამოვლენის კიდევ ერთი ფორმა. ამიტომაცაა მისი ქადაგებები თემატურად მრავალფეროვანი (ეხება დოგმატიკის, მისტიკის, მორალისა და ეთიკის პრობლემებს). ელისო კალანდარიშვილი გამონაკლისად მიიჩნევს ორ ქადაგებას „სწავლა ეკლესიათა შინა დუმისათვის“ (I და II). საზოგადოდ, იგი ცალ-ცალკე არ განიხილავს ქადაგებებს, არამედ გამოყოფს საერთო მოტივებს, ზოგადქრისტიანულ საკითხებს. ამგვარად, იგი სხვადასხვა დანიშნულებისა და მიზნის ქადაგებებს ერთ თემატურ რეკალში მარჯვედ მოაქცევს და ამგვარად წარმოაჩენს „სწავლანის“, როგორც ქრისტოლოგიური კრებულის მთლიანობას.

მკვლევარის ანალიზით ცხადი ხდება საბას მსოფლმხედველობისა და ესთეტიკური კრედოს რაობა...

სულხან საბას შემოქმედებაზე არსებულ გამოკვლევებს კიდევ ერთი შესანიშნავი ნაშრომი შეემატა. ეს წიგნი არის „წარსული მომავლისათვის“. ის ნებისმიერ ქრისტიანს სულიერ საზრდოდ მიეწოდება.“

**ელგუჯა ხინთიბიძე:**

„არისტოტელეს აქვს ასეთი გამონათქვამი: ოლიმპიურ შეჯიბრებებზე სხვადასხვა ხალხი მიდისო. ზოგი იმიტომ, რომ იასპარეზოს, ზოგიც იმიტომ, რომ ივაჭროს, ზოგიც იმიტომ, რომ უყუროს და ეს მესამენი ყველაზე მაღალნი არიანო...“

არ მინდა ამით ჩემი სიმაღლე წარმოვაჩინო, მაგრამ მინდოდა თავი მენუგეშებინა, რომ დღეს მხოლოდ მსმენელად ვიყავი მოსული...“

ასეა თუ ისე, ელისო კალანდარიშვილმა ქრისტიანულ სამყაროში შეგვიყვანა და ამტკიცებს, რომ ეს ქადაგებები და საერთოდ, ქადაგების ჟანრი ნაკლებადაა დამოკიდებული საკუთრივ ანტიკურზე და თავისი არსით მთლიანად ქრისტიანულია.

მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ ელისოზე, როგორც საუკეთესო შემოქმედზე, საუკეთესო მკვლევარზე, მისაბაძ პიროვნებაზე, მოქალაქეზე... მართლაც სანიმუშოა მისი დამოკიდებულება საქმისადმი.

მოსაწონია, რომ მის საქმიანობას დამნახველიც ჰყავს. კიდევ მინდა ვთქვა, რომ ჩვენი აქ ყოფნა, ჩვენს დღევანდელ ყოფაში საზოგადოდ, ალბათ, მისაბაძია. მისაბაძია,

რომ ეს საზოგადოება ახერხებს შეკრიბოს ხალხი, შეკრიბოს წიგნით დაინტერესებული მკითხველი, რომ ეს დიდი ინტერესი წიგნისადმი, მეცნიერებისადმი, ძველი ქართული კულტურისადმი საზოგადოებაში არ მომკვდარა. არ გაგვანჩია დღეს ისეთი პირობები, რომ გახარებულები, ამაყად ვუცქეროდეთ ერთმანეთს. და, მითუმეტეს, ასეთ ფონზე ორმაგად დასაფასებელია „ჩვენი მწერლობის“ რედაქციის მოღვაწეობა.

მაია ჯალიაშვილმა იმდენად კარგად გაგვაცნო ეს წიგნი, რომ, ალბათ, არც უნდა მეტყვა, რომ არ ვიცნობ ნაშრომს“.

**ლაურა გრიგოლაშვილი:**

„ის, რომ ელისომ, ჯერ კიდევ დამწყებმა, ახალგაზრდა მეცნიერმა თავის ეს არჩევანი გააკეთა და საკვლევად შეარჩია ჰომილეტიკური ჟანრი, ურთულესი სფერო – ამით თავიდანვე გვამცნო, როგორია მისი ინტერესები, მისი გემოვნება, როგორია მისი სწრაფვა. აქ, ვფიქრობ, უნდა ვახსენოთ მისი ხელმძღვანელი, ბ-ნი რევაზ სირაძე, რომელიც შემთხვევით არ ესწრება განხილვას, თავის დროზე კი ძალიან მოუწონა ეს არჩევანი და ხელმძღვანელობაც გაუწია.“

თუ ძალიან შორს არ წავალთ, თავს მოვალედ მივიჩნევ ვთქვა: დღევანდელ პირობებში, როცა საყოველთაო ნიჰილიზმია გაბატონებული წარსული კულტურული ფასეულობების მიმართ, გამოჩენილ პიროვნებათა მიმართ – ქართული ლიტერატურის ისტორიის იმ ორტომეულში კორნელი კეკელიძეს რომ არ შეეტანა ეს დარგი, ეს ჟანრი ცალკე თავად, მაშინ ვერ ვიხილავდით ასეთ გამოკვლევებს, ამ მხრივ მოჭრილი გვექნებოდა გზა, ლიტერატურულ მოვლენად ქადაგებებს ვერ მივიჩნევდით.

სწორედ კორნელი კეკელიძის ამ გადაწყვეტილებამ მყარი ნიადაგი მოუმზადა ასეთ ხედვას ამ ჟანრისა.

შეიძლება მაინც დაისვას კითხვა, არის კი ლიტერატურული მოვლენა, არის ლიტერატურული ღირებულების, ესთეტიკური ღირებულებისა ჰომილეტიკა, ქადაგება?

ნამდვილად არის და ეს ელისოს წიგნმაც, კვლევამაც კიდევ ერთხელ დაადასტურა.

ქადაგების წარმომთქმელსა და მსმენელს შორის, თვითონ პროცესში ქადაგების წარმოთქმისა, იქმნება რალაც განსაკუთრებული ველი, რომელსაც ესთეტიკური ღირებულება აქვს. ესთეტიკური არ ნიშნავს, რომ აქ გამოირიცხება საღვთისმეტყველო, ზნეობითი, მორალური ასპექტები, მაგრამ რალაც განცდა, ამამალღებელი იბადება ამ მიმართებაში, ამ ურთიერთობაში – ეს აშკარაა.

ამას უპირველესად განაპირობებს ის, რომ ქადაგებას გასდევს დიდებისმეტყველებითი ინტონაცია, რომელიც მიემართება ღმერთს, შემოქმედს და ეს ინტონაცია, რა თემაზეც უნდა იყოს ქადაგება წარმოთქმული, უსათუოდ იკვეთება.

ამავე დროს ქადაგებაში იგრძნობა გაცეცხის, გაკვირვების ინტონაციები იმისა, რაც შექმნა, გვიბოძა ღმერთმა.

სახისმეტყველებითი, სახესიმბოლოების მოხმობა და ამ გზით შეპირისპირება რეალურად მომხდარი ფაქტებისა ბიბლიურ მოვლენებთან – ეს კიდევ ერთი გზაა, რომ ჰომილია სრულყოფილი იყოს და მსმენელმაც შესაფერისად აღიქვას.

ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს, რომ ეს ტექსტები ლიტერატურულ ტექსტებადაც ვიგულოვოთ.

სხვათა შორის, ჰომილიამ რომ ჰიმნოგრაფიასთან ერთად ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა ღვთისმსახურებაში, უდავოა და ამას თავისი ახსნაც აქვს.

ამიტომაც იყო, როდესაც ივლიანე განდგომილმა აუკრძალა ქრისტიანებს ესარგებლათ ამ რომაულ-ბერძნული კულტურის მონაპოვრით – მჭევრმეტყველური, ორატორული ხელოვნებით, ეკლესიის მამებმა მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიეს. მათ შორის გრიგოლ ნაზიანზელი აცხადებდა, მან შეიძლება აგვიკრძალოს მჭევრმეტყველება, მაგრამ ვერ აგვიკრძალებს მართლის თქმას, მართლადმეტყველებასო.

მართლადმეტყველება ეკლესიის მამებისათვის მჭევრმეტყველებაც იყო. როგორ შეეძლოთ ეკლესიის მამებს უარი ეთქვათ სიტყვაზე, სიტყვის ხელოვნებაზე, მაშინ, როდესაც ქრისტიანობამ სიტყვა გამოაცხადა ყოველივეს დასაბამად – „პირველითგან იყო სიტყვა“ – ეს არის ამოსავალი ქრისტიანული კულტურისათვის, ქრისტიანული მსოფლალქმისათვის.

ელისოს წიგნი იმით არის ძალიან მნიშვნელოვანი, რომ მისი კვლევა აქეთაა მიმართული, რომ ესაა ლიტერატურული მოვლენა, რომ მას ესთეტიკური ღირებულება აქვს.

განსაკუთრებით საინტერესოდ მესახება ის სახისმეტყველებითი პასაჟები, რომელთაც დიდი ადგილი ეთმობა წიგნში.

ასევე ელისო საგანგებოდ მსჯელობს სულხან-საბას ქადაგებათა წყაროების შესახებ და მისი დაკვირვებანი და დასკვნები ამ შემთხვევაშიც ანგარიშგასაწევია“.

**ლალი დათაშვილი:**

„წიგნი წავიკითხე დიდი სიამოვნებით. ქადაგებათა ჟანრი ძალიან რთულია, ამიტომ ის ნებისმიერი ადამიანისთვის უნდა იყოს გასაგები, საინტერესო. არ მიგრძენია ზედმეტი მეცნიერული კეკლეცობა, მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო მისი საკანდიდატო დისერტაცია. ქალბატონმა ლაურამ აღნიშნა და მეც გავიმეორებ, მოველოდი, რომ უნდა ყოფილიყო შეხვედრა იოანე ოქროპირთან, ბასილი დიდის სწავლანი. ამაზე ცალკე თავია ჩართული. წიგნი უაღრესად მნიშვნელოვანია და ვურჩევდი ქრისტიანული კულტურით დაინტერესებულთ, ამ წიგნში ჩაღრმავებან.“

ქადაგების ჟანრში ძალიან კარგად ჩანს თვითონ მქადაგებელი, ანუ ამ შემთხვევაში რა იცოდა საბამ, როგორი გემოვნება ჰქონდა, როგორი კულტურა მრევლთან ურთიერთობისა, იმიტომ, რომ, იგი, გარდა იმისა, რომ მეცნიერია და ლექსიკოგრაფი, სასულიერო პირიცაა, მქადაგებელი ამბიონიდან და შესაბამისად ბევრი რამის გათვალისწინება უწევდა.

ჩემთვის, მკითხველისთვის, წიგნს უნდა გავეცოცხლებინა არა მხოლოდ ის, ელისომ რა ამოიკითხა ამ ქადაგებებში, არამედ ზოგადად საბას მრწამსი, მისი, როგორც პიროვნების, მქადაგებლის, მოძღვრის შეხედულებანი, თავისი ადგილი, აი, ამ ქრისტიანულ სამყაროში.

წიგნი ამითაცაა ღირებული, რომ ამ ჟანრს ძალიან კარგად მიმოიხილავს, ალაგებს, მშვენიერ კომპოზიციურ სტრუქტურაზე აგებული.

ერთადერთი, რაზეც დამრჩა უკმარობის განცდა, ეს არის საბას ორმაგი ქადაგებანი, რომლებიც მგონია, რომ

განსაკუთრებით საინტერესოა. ვისურვებდი, რომ ამ ტიპის ქადაგებებზე უფრო მეტი საუბარი იყოს“.

**როსტომ ჩხეიძე:**

„ეს ყოველივე მომდევნო წიგნში ვივარაუდოთ...“

**მაკა ჯოხაძე:**

„ყველაზე რთული ყველა დროში კოლეგებისმიერი აღიარებაა. ელისო კალანდარიშვილი ფილოლოგიურ სამყაროში კარგა ხანია აღიარებული სახელი და გვარია. ამ მშვენიერ ქალში იშვიათი წონასწორობითაა შერწყმული ადამიანური დიდბუნოვნება და სამაგალითო პროფესიონალიზმი. იგი პიროვნებად რჩება ნებისმიერ სიტუაციაში და ამის მოწმე ქართული ჰუმანიტარული სამყარო კიდევ ერთხელ გახდა, როდესაც ტელეეკრანზე მისი მშვიდი, ყოველგვარ გაღიზიანებასა და ემოციას მოკლებული, მაგრამ მკაცრად არგუმენტირებული გამოსვლა იხილა. ელისო კალანდარიშვილმა მისთვის ჩვეული პროფესიონალიზმით გააბათილა ჰაგიოგრაფიულ ძეგლებზე მიტანილი იერიში და მოსაზრებები, რომ თურმე – „ამ ტექსტებს ლიტერატურა მხოლოდ იმიტომ ეწოდება, რომ ისინი წერილობითი ფორმისაა...“

რომ არა მხატვრობის შეგრძნების, სიტყვის ძალის, კომპეტენციისა თუ უბრალოდ ნიჭიერების დიდი დეფიციტი, როგორ შეიძლება „შუშანიკის წამების“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“, „აბო თბილელის წამების“ ტექსტებში მხატვრული სიტყვის ზემოქმედების ძალა ვერ დავეინახოთ.

რა თქმა უნდა, ასეთი აზრი უნდა გასჩენოდა მეცნიერს, რომელსაც თავად აქვს არაჩვეულებრივად გაფაჩიზებული მხატვრული სიტყვის გრძნობა. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია (უბრალოდ ძალიან გამიხარდა), როდესაც ელისო კალანდარიშვილის, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტის, ქართული ქრისტიანული კულტურისა და სიტყვიერების კათედრის დოცენტის თარგმანები აღმოვაჩინე თავის დროზე.

ელისომ ბრწყინვალედ თარგმნა დიდი რუსი სიმბოლისტის ვალერი ბრიუსოვის პოეზია ქართულ ენაზე და მთარგმნელთა აღტაცებაც გამოიწვია. ასევე თარგმნა გუმბელიოვი და რუსული პოეზიის „ვერცხლის პერიოდის“ სხვა გამოჩენილი ავტორები.

მე საშუალება მქონდა საპატრიარქოს რადიო „იბერი-აში“ მიმენვია ელისო კალანდარიშვილი. გადაცემის ბოლოს ვთხოვე ღია ეთერში ჯერ რუსულად, შემდეგ კი მის მიერ ქართულად თარგმნილი ლექსები წაეკითხა. ამ გადაცემას მაშინ დიდი გამომხაურება მოჰყვა და სტუდიაში ზარები არ წყდებოდა.

მაღე ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე მკითხველი ელისო კალანდარიშვილის მეტად საინტერესო პროზას გაცნობა.

რაც შეეხება დღევანდელი წიგნის განხილვას – როცა წარმოვიდგენ გარეჯის ნათლისღების მონასტერში სულხან-საბა ორბელიანი ბერების წინაშე თავის 46 ქადაგებას როგორ წარმოთქვამდა, ჟრუანტელი მივლის და სუნთქვა მეკვრის.

მადლობა ელისოს ამ წიგნის გამო, მისი ინტერესების გამო, იმის გამო, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა,

სტუდენტობის დროს დაინტერესდა ქართული მქადაგებლობის ისტორიით.

ისე როგორც ყველა არჩევანი საიდუმლოა, შემთხვევითაც არაფერი ხდება. ეს წიგნი სწორედ დღეს უნდა გამოჩენილიყო ჩვენს სინამდვილეში. დღეს, როცა კრიზისი თუ არა (უმცირესი გამოწვევის გარდა) ჭეშმარიტი მქადაგებლობის დეფიციტი ნამდვილადაა საქართველოში.

ელისო კალანდარიშვილის ეს შესანიშნავი წიგნი არა მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურისათვისაა შენაძენი, არამედ ზოგადად, ღვთის სიტყვის განვრცობისა და გაძლიერების საქმესაც შეეწევა...

პირადად მე, თითებზე ჩამოსათვლელ პიროვნებებთან ერთად, ელისო კალანდარიშვილის არსებობა და მოღვაწეობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩვენი მომავლის საიმედო გარანტიად მიმაჩნია.“

**მაია ნინიძე:**

„ამ წიგნში ყველაფერს თავისი ადგილი აქვს მიჩენილი, გონივრულად დალაგებული მეცნიერული თვალსაზრისით. თითოეული ტერმინი განმარტებულია თავისი მეცნიერული ნიაღვრებით, ამდენად, ყველაფერი ნათელია და სტუდენტებისთვისაც იქნება არაჩვეულებრივი ნასაკითხი. ამის დასტურად მინდა გადმოგცეთ თქვენი სტუდენტებისგან და ყოფილი სტუდენტებისგან დიდი მაძლობა.“

დიდი ღირსება ამ წიგნისა სულიერებაა, ის ქრისტიანული საფუძვლები, რაც ქართულ ლიტერატურას, როგორც ბ-ნმა რეზი თვარაძემ უწოდა: ამ თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობას მთლიანად გასდევს.

ამდენად, ეს არის საფუძველი არა მარტო სულხან-საბას გასაგებად, არამედ მასში ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ ახსნა არაერთი ლიტერატურული მოვლენისა.

ამ წიგნში დევს კეთილი, სიღრმისეული მუხტი, რომელიც შემდგომ გამოძახილსაც ჰპოვებს...“

**შოთა ბოსტანაშვილი:**

„თავიდანვე მინდა აღვნიშნო, რომ სერიოზულ ნაშრომთან გვაქვს საქმე – მეცნიერულად სრულთან და აბსოლუტულ სულთან. სულ თან გდევს შეგრძნება, რომ საბა ჯერ კიდევ „ნასაკითხია“. რა საკითხია, რა **ზრახვა**, (საბას ენაზე რომ ვთქვათ), საბა რომ არ მოიცავდეს – **განრჩუნვიდეს?** ან ელისო კალანდარიშვილს რომ გამოეპაროს?..

ენაზე ჩამოვარდა ლაპარაკი და აკი ლიტერატურაც, მით უმეტეს მქადაგებლობა – ჰომილიები, უპირატესად ენაა. მეორეს მხრივ მოციქული პავლე თავის ქადაგებათა მთავარ თვისებად მიიჩნევს არა სიტყვათხელოვნებას, ან სიბრძნეს, არამედ სულსა და ძალას; ქალბატონი ელისო კი განსაკუთრებულ ყურადღებას სწორედ იქ იქცევს, იმ ფრაგმენტებში, სადაც ენის სივრცეში რჩება, (რაც დისკურსს მოგვაგონებს); რასაც არა ნარატიულ, არამედ ნიშნურ მანიფესტაციებად წარმოადგენს.

მაგალითად „**ზრახვით უწყება**“ საიდუმლო უწყებას, საიდუმლო წინასწარცნობას გამოხატავს (ზრახვა – ლაპარაკს, საუბარს ნიშნავს ძველ ქართულში, მაგრამ მოქმედებით ბრუნვაში მისი მნიშვნელობა იცვლება და ნიშნავს „საიდუმლოს“); თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ

„განრჩუნ“ განიმარტება როგორც „მოცვა“, „დაფარვა“. შესაბამისად, მსგავსება-იგივეობით „იგავით განრჩუნ-ნვა“ – იგავით დაფარვაა.

მოცვა და დაფარვა, შეფუთვის სემანტიური რიგის ტერმინებია. საბას ლექსიკონის „სამყაროში“ (მყარში) ცხრა ცა – ცხრა სფეროა შეფუთული, რომლის იქით სასუფეველია. იგავის იქითაც იგვევა – სასუფეველი, საიდუმლო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ზრახვა სხვა მნიშვნელობით შეთხზვას ნიშნავს, ხოლო უწყების მეორე კოდი მხილება გამოდის, რომ საიდუმლო შეთხზულია და ქმნის მხილების მიზანსცენას. თუ უფრო სხარტად ვიტყვით – დაფარვა ამხელს და გამხელა ფარავს.

სხვა მაგალითი – სიტყვა შეტყუებას რამდენიმე მნიშვნელობა აქვს: შეტყობა, მხილება, შესიტყვება, შედარება, შეფერება. ფრაზაში „იხილე ძველი იგი სჯული ვითარ ახალსა მას შეეტყუების“ მკვლევარი აღნიშნავს: „შეტყუება ამ შემთხვევაში გამოხატავს ძველსა და ახალ აღთქმას შორის არსებულ სახეობრივ კავშირს...“ შეტყუების სხვა მნიშვნელობა – მხილება, საპირისპირო კოდების შემცველია: ერთის მხრივ ეს გახლავთ „უწყება“ და მეორეს მხრივ ყვედრება, განკიცხვა, პირში თქმა, დაცინვა და აღნიშნული ფრაზის დეკონსტრუქციის შედეგად სხვა კონოტაციით წარმოსდგება – დადებითი კონტექსტიდან უარყოფით კონტექსტში აღმოჩნდება. ამ ვითარებას აკონტროლებს ეგზეგეტიკა, როგორც ნაკითხვის რეგლამენტი, უფრო მარტივად კი კონსტრუქციული ახსნა-განმარტებითი საუბარი. ეგზეგეტიკა-ანაგოგის და პატრისტიკის საკითხებს წიგნის ავტორი გამონვლილვით წარმოადგენს, ანაგოგის ანალოგიას კი ქართულშიც მოიძიებს. ეს გახლავთ შესანიშნავი სიტყვა – ალყანებითი, რაც ზემოთა სიბრძნის ამოცნობის ნაღილია.

კიდევ ერთ მაგალითზე შევეჩერდები მოკლედ „იგი (საბა – შ. ბ.) ძველ რჯულს ადარებს მხატვრის მიერ გამოსახულ კონტურებს, რომელსაც აჩრდილს უწოდებს, ხოლო ახალ რჯულს კი – „ფერებით შესრულებულ ნახატს“ საგულისხმოდ, რომ ამ კონტექსტში სიტყვა „შესრულება“ ნიშნავს არა ხატვის პროცესს, არამედ დამთავრებას, აღსრულებას, სრულქმნას. ამას საბას ლექსიკონიც ადასტურებს, სადაც „შესრულება“ „გასრულებად“ არის განმარტებული“.

უნდა აღინიშნოს, რომ განმარტება – კომენტარი თანამედროვე პოსტსტრუქტურალისტური დისკურსის არსებითი ნიშანია და ეს ნიშანი, როგორც საბასთან ასევე ელისო კალანდარიშვილთან მიმართებაში პარადიგმატულად მნიშვნელობს. განსხვავება იმაშია, რომ ჰომილია ერთად-ერთი შინაარსის ერთგულია, დისკურსი კი ლიბერალურია განსხვავებულ ვერსიათა თანაბარუფლებიანობის მიმართ. მიუხედავად ამისა საპრეზენტაციო წიგნში ყველაზე ჟღერადია ფრაზა „ხომ არ იყო საბა მომხრე ნაირსტილოვანი ლიტერატურული ენისა და ხომ არ ატარებდა იგი ამ შეხედულებებს პრაქტიკულად?“. ისიც გავიხსენოთ, რომ ეს აზრი ბატონ ივანე გიგინეიშვილს ეკუთვნის. სხვაგან ქალბატონი ელისოც აღნიშნავს, რომ „მისი (საბას – შ. ბ.) ქადაგება ვერ თავსდება გარკვეულ ჩარჩოებში, ამიტომაც ძნელდება მკვეთრი მიჯნის გავლენა მათ შორის, ქადაგებათა ამა თუ იმ ტიპისადმი მიკუთვნება“. ეს კი იმიტომ ხდება, რომ „სიტყვის კონის“ ავტორი სულით პოეტია, თავისი ეპოქის ავანგარდის თავკაცია. ამითვე აიხნება საბას ქადაგებების ზოგადქრისტიანული ხასიათი, სადღესო ტერმინით – მათი გლობალიზმი.

საბას ქადაგებების ანალიზისას „დროის სიმეტრიულობისა“ და „მსგავსების“ საკითხებთან ერთად წმინდა ლიტერატურათმცოდნეობითი პრობლემის გამოტანა – როგორცაა: ალეგორია, ჰიპოზონია (დაფარული), დიანოია (შიდა მნიშვნელობა), მისტერია, აპოკრიფი, აჩრდილი, პარაბოლე (იგავი), ტროპული, ანუ არაპირდაპირი ინტერპრეტაცია – სერიოზული სპეციალისტის განსჯის პრე-როგატივია და წარმოდგენილი წიგნის ავტორიც სწორედ ასეთ პერსონად გვესახება.

ზაზა შათირიშვილი თავის ახალ წიგნში „კლასიკური ტრადიციის მცირე უწყება“ მიანიშნებს, რომ თვითოეული ფილოლოგი თავად უნდა იყოს მაცნე, უწყების შემოქმედი; უწყება კი მხილების ანგელოსური კოდია. დია, „მინიერი რეალობანი ღვთაებრივი ქვეშაირიტების მიმნიშვნელები არიან“ და უნდა ვივარაუდოთ, რომ საბას ჰომილიებზე დანერგილი წიგნის ცა მზიან ამინდს გვპირდება, ლიტერატურულ ახალ წელს – კალანდას.

ამბობენ, რომ ამ შესანიშნავი წიგნის ავტორი – ვინც ეს ყოველივე დალანდა და ვისი გონებაც აშკარად არ არის მინიერით შეპყრობილი და ღვთაებრივისკენ სწრაფვის დროს მინაზე არ დაენარცხება – კალანდარიშვილი ელისო, ელისო „კალანდას“.

ქრონიკა

14 მარტს ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართა ტრადიციული „გალაკტიონის დღე“. ღონისძიება გახსნა გალაკტიონოლოგიის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელმა თეიმურაზ დოიაშვილმა. მან დამსწრე საზოგადოებას გააცნო ცენტრის გეგმა, თქვა, რომ განახლებული კრებული „გალაკტიონოლოგია“ ორ წელიწადში ერთხელ გამოვა, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება პოეტის შემოქმედების ადრეულ პერიოდზე, რომელიც სათანადოდ არ არის შეფასებული და რომელსაც მიეძღვნება IV ტომი.

შემდეგ სხდომას გაუძღვა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე მაცა ელბაქიძე. გალაკტიონის შემოქმედების უხუცესმა მკვლევარმა აკაკი ხინთიბიძემ წაიკითხა მოხსენება „მთანმინდის მთვარე“. ლევან ბრეგვაძემ წარმოადგინა გამოკ-

ვლევა „ხელოვნება და ხელოვანი გალაკტიონის ადრეულ შემოქმედებაში“. დამსწრეებმა ინტერესით მოისმინეს პოეტ ელა გოჩიაშვილის გალაკტიონისადმი მიძღვნილი ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსი.

თეიმურაზ დოიაშვილმა მსმენელთ მოუთხოო ამბავი გალაკტიონის ერთი უცნაური ლექსისა („სადაც კი“), რომელშიც თავიდან ბოლომდეა ციტირებული იოჰან ვოლფგანგ გოეთეს „მინიონი“.

სიტყვები და მოგონებებით გამოვიდნენ: პოეტი და მკვლევარი ემზარ კვიციანიშვილი, კრიტიკოსი ზაზა აბზიანიძე, თსუ-ს სტუდენტი ნათია სიხარულიძე.

სალამოს დასასრულს აკაკი ხინთიბიძემ წაიკითხა გალაკტიონის ლექსი „სანამ არ დამსხვრეულა“.

ანჟელიკა დოდაევა-მაგარსკაია

## გახსოვდეს ვისი გვარისა ხარ

იოსები – სოლომონის იმედი და სიამაყე თბილისში, მისი ოჯახის მხარდაჭერა და საყრდენი ვიატკაში, მისი შვილების აღერსიანი ძიძა, ელენას ერთგული მეგობარი და ძმა, საოჯახო მეურნეობის ყველა კაცური საქმე და მოვალეობა თავის თავზე რომ იტვირთა, ოღონდაც მის მასწავლებელს არ ედღევა – იქცა ვიატკიდან თბილისს დაბრუნებული ელენას თავს დატრიალებული ტრაგედიის მიზეზად.

– სოლომონი თავზარდაცემული იყო გერცენის ასეთი სამარცხვინო დაცემით – მიაბობდა ბებია. – აღზრდილი-სათვის იმ ადამიანთა წრეში, თავიანთ უცილობელ მოვალეობად პატრიარქალური ქართული ოჯახის ქრისტიანულ მცნებათა მიერ დადგენილი ტრადიციებისა და წესჩვეულებათა დაცვა რომ მიაჩნიათ, ყოვლად გაუგებარი გახლდათ მოტივი, რამაც ადამიანი ამ ცოდვის უფსკრულში გადაჩენა!

განრისხებული სოლომონმა გერცენი მხოლოდ მეთათე მცნების უზენაესობის ღალატში კი არა, სტუმარმასპინძლობის კანონთა უგულვებლყოფაში, მედვედევას სწეული მეუღლის უმწეო მდგომარეობის ბოროტად გამოყენებასა და „მოყვასისა თვისისა“ ცოლის შეცდენის ბოროტ განზრახვაშიც დაადანაშაულა.

ასეთი სახით, საბრალდებო დასკვნის ყველა მუხლი რომ ჩამოაყალიბა, სოლომონმა გერცენი ოჯახში პერსონა ნონ გრატად – გამოაცხადა და აქ გამოამჟღავნა ბუნების სიმტკიცე და უკომპრომისობა.

მეუღლის უჩვეულო რისხვით შეშინებული ელენა ცდილობდა გადაეთქმევინებინა ნაჩქარევი გადანყვებილება, იმედოვნებდა, ხმები შესაძლოა სულაც უსაფუძვლო აღმოჩნდესო. მაგრამ მისი მხრიდან მეუღლის დამშვიდების მცდელობამ კიდეც უფრო გააღიზიანა სოლომონი. ელენა ლამის იმ მეძავის ხელშემწყობად შერაცხა. უძლიერესი ხველის შემოტევა მძიმე სისხლდენით რომ კინალამ გაგუდა, დიდი ხნით ჩააგდო ლოგინად. ამის გამო გერცენისათვის ოჯახში სტუმრობაზე უარის თქმა იოსებ მამაცაშვილს დაევალა, რაც როგორც ჩანს, დიდი სიამოვნებით შეასრულა.

თვითონ გერცენიც საკმაოდ შეძრული და განერვიუებული იყო ამ თავისი მრუშობის შედეგებით.

1835 წლის 24 ივლისს ამ მოვლენათა შთაბეჭდილებით თავის კუზინასა და მომავალ მეუღლეს ნ.ა. ბერეზინას მოსკოვს მისწერა:

„ჩემო მეგობარო ნატაშა... სევდიანი, ძალზედ სევდიანი ვიყავ... მთელი გამოცდილებისდა მიუხედავად ჯერ კი-

დასასრული. იხ. „ჩვენი მწერლობა“ №6

დევე ვერ დავრწმუნდი ადამიანთა სიმდაბლეში: ამ დღეებში ერთმა აქაურმა ნაცნობთაგანმა, ისეთივე უბედურმა და გადმოსახლებულმა, თავისი უნამუსობით გამაოგნა. გული გამეყინა, ყველაფერთან ერთად კიდეც ერთხელ შევცდი ადამიანში და ყინული გასქელდა...“

ის, რომ ამ წერილში საუბარია სოლომონ დოდაშვილ-მალაროელზე, მტკიცდება გერცენის თხზულებათა გერმანელი კომენტატორის – ლეკმეს მიერ და თვით გერცენის უფრო გვიანი კომენტარებით: „ვერაფრით გავიხსენა გადასახლებული ქართველი თავადი...“

ვერ გაიხსენა, რა იყო თავადის „სიმდაბლისა და უსინდისობის“ მიზეზი!...

ბუნებრივია, საცოლესთან გაგზავნილ წერილში ვერ ახსნიდა „სიმდაბლისა და უსინდისობის“ მიზეზს იმ ადამიანისა, ვინც მასთან ურთიერთობა განწყვიტა და ოჯახში სტუმრობა აუკრძალა.

დღეს, III ათასწლეულის ზღურბლზე, როდესაც დაოჯახებულია, ცოლიანთა თუ ქმრიანთა ყოვლად უზნეო, დაუჯერებელი „ცისფერი“ თუ „ვარდისფერი“ სექსუალური თავგადასავლები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და ცინიკური გულახდილობით თვალსაჩინოვდება კინოსა და ტელევიზიის ეკრანიდან და ჭაშნიკდება ე. წ. მასობრივ ინფორმაციათა საშუალებებით, გერცენის მრუშობის დრამატული ელფერი და სოლომონ დოდაშვილის რეაქცია, შესაძლოა გადაჭარბებულად ან სულაც დაუჯერებლად მოგეჩვენოთ...

მაგრამ მაშინ, 22 წლის გერცენი, გულის გაყინვა რომ დასძლია, თავის „გამოცდილებაზე“ დაყრდნობით ენერგიულად შეუდგა მცდელობას, რათა ასეთი სკანდალით განხაურებული მისი „მრუშობა“ არ გამხდარიყო დაცილების მიზეზი საცოლესთან, რომელიც იმხანად აპირებდა ვიატკაში ჩასვლას. გერცენმა სასწრაფოდ შეიცვალა მისამართი; ჩარუშინის სახლიდან, რომლის მეზობლადაც ცხოვრობდნენ მედვედევები, გადავიდა და გადასახლებულ ვიტბერგსა და მის ოჯახთან ერთად იქირავა ბინა. ვიტბერგის ოჯახთან ერთად თავის ცხოვრებას რომ აღწერს, გერცენი, როგორც ჩანს, დროსა და ადგილს ურევს: „ჩვენი სახლის მეპატრონეს სამი სახლი ჰქონდა, – წერს მოგონებებში ვიატკის გადასახლებაზე, – ბალი საერთო იყო. ორი სახლი დაკავებული გახლდათ: ერთში ჩვენ ვცხოვრობდით, თვით სახლის პატრონი და მისი დედინაცვალი, მეორეში – სამი ქალიშვილი მშობლებთან ერთად, მესამე კი ცარიელი იყო...“

სინამდვილეში ვიტბერგს არასოდეს უცხოვრია ჩარუშინის სახლში. მედვედევის გარდაცვალების შემდეგ მათი სახლიც დაცარიელდა, რადგანაც მისი ქვრივი, პრასკოვია პეტროვნა, იძულებული გახდა ვიატკიდან გამგზავრებულიყო...

მოგვიანებით დაცარიელდა დ.ი. ჩარუშინის მესამე სახლიც, როცა სოლომონის გარდაცვალების შემდეგ ვიატკა დატოვა ელენამ.

ბინის შეცვლის შემდეგ გერცენი ყველა კოლეგას წაეჩხუბა, გუბერნატორ ტიუფიაევის ჩათვლით, ვისაც, მისი აზრით, საცოლის, ზახარინას, წინაშე მისი მხილება შეეძლო.

შემდგომ ცხოვრებაშიც გერცენმა არაერთხელ გამოავლინა თვისება, ლაფში ამოესვარა, დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მიეყენებინა და დაეცინა საზოგადოებაში პატივცემული ადამიანებისათვის, ვისთანაც მეგობრული ურთიერთობაც ჰქონდა, განსაკუთრებით კი მათთვის, ვისაც, როგორც მარიამ მალაროელი-დოდაშვილი ამბობდა, შეეძლო უღირსი საქციელის გამო გაეკიცხა.

ასე დაკარგა სამუდამოდ მეგობარი ტ. ნ. გრანოვსკი. განხეთქილება უეცრად არ მომხდარა, მაგრამ უთანხმოების ნაპერწკალი, დიდხანს რომ ღვიოდა ფერფლში, საბოლოოდ ააღდა გრანოვსკის პროტესტის ალით გერცენის წინააღმდეგ, რომელიც სულის უკვდავებას უარყოფდა: არასოდეს გავიზიარებ თქვენს გამოფიტულ, ცივ აზრს, თითქოს სული და ხორცი ერთი იყოს, ამ აზრთან სულის უკვდავება ქრება. შესაძლოა ის თქვენ არც გჭირდებოდ, მაგრამ მე საკმაოდ ბევრი მივაბარე მინას, ამ რწმენას რომ გადავუხვიო. პირადი უკვდავება ჩემთვის აუცილებელიაო – ნერდა გრანოვსკი.

ბევრად სკანდალური გახლდათ ტურგენევთან განხეთქილება, რომელსაც ნათლად წარმოაჩენს ი. ს. ტურგენევის თხზულებათა კრებულის II ტომში წარმოდგენილი სრული დოკუმენტაცია.

გერცენმა მის მიერ გამოცემულ „კოლოკოლში“ გამოაქვეყნა შენიშვნა, რომელშიც თავს უფლება მისცა, ტურგენევის მიმართ უხამსი შედარებები მოეყვანა „ერთ ჭაღარათმიან მაგდალენაზე (მამრობითი სქესისა), ხელმწიფეს რომ სწერდა, ძილი, მადა, მოსვენება, თეთრი თმა და კბილები დავკარგე, რადგან ვიტანჯები ფიქრით, რომ ხელმწიფემ ჯერ არ იცის ჩემზედ გარდამოსულ მონანიებაზე, რომლის ძალითაც სიყრმის მეგობრებთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტეო.“

სიცოცხლის ბოლოს გერცენი მარტო დარჩა, მიტოვებული ყველა ახლობლისა თუ მეგობრის მიერ, მეორე ცოლის, ნ. ოგარევას ჩათვლით, რომელიც თავის ბავშვობის მეგობარს, ნიკის – ნიკოლაი პლატონოვიჩ ოგარიოვს – „ნაართვა“.

თუმცა, როგორც მქადაგებელი და მაცნე „თავისუფალი სიყვარულისა“ და ქალსა და მამაკაცს შორის ახალი, პროგრესული ურთიერთობებისა, საკუთარ თავთან მიმართებით, როგორც ჩანს, უფრო კონსერვატიულ შეხედულებებს ანიჭებდა უპირატესობას. მარიამ მალაროელმა, გერცენის გულღვარდლიანობის კიდევ უფრო ნათლად წარმოსაჩენად, მიაბზო, 1836 წლის იანვარში დაქვრივებული პრასკოვია მედვედევას მფარველობისათვის გერცენმა კ.ი. ტიუფიაევიცე შური იძიაო. ვიატკაში ჩასულ ბატონიშვილ ალექსანდრეს თან ახლდა ვ.ა. ჟუკოვსკი, რომელიც გერცენის მამის, ი. იაკოვლევის, მეგობარი იყო. გერცენმა ამით ისარგებლა და ბატონიშვილთან აუდიენციის შედეგად ვიატკიდან ვლადიმირში გადაიყვანეს, გუბერნატორი ტიუფიაევი კი... მოხსნეს.

გერცენმა ვერც თავისი პირველი მეუღლის, ნ.ა. ზახარინას, „თავისუფალ სიყვარულს“ გაუგო პოეტ გეორგ გერვევისადმი. როგორც ჩანს, ნ. ზახარინას გულის გაციების მიზეზი მეუღლის სასიყვარულო ურთიერთობა გახდა მსახურ ქალთან მათსავე საკუთარ სახლში, რაც ნატალია ალექსანდროვნას არ დავინწყებია და არც აპატია...

\*\*\*

იმ დროისათვის კი სოლომონის ოჯახში ერთი მწუხარება მეორემ შეცვალა. სწრაფად განვითარებული ქლექისაგან გარდაიცვალა პატარა კოტიკო.

ძილის წინ ბავშვები მამას, როგორც წესი, ძილი ნებისას უსურვებდნენ ხოლმე. კოტიკოს არყოფნას მამასთან საღამოს შეხვედრებზე ელენა იმით ხსნიდა, მოსალონიერებლად ერთ ოჯახს მივაბარე, სადაც მენველი ძროხა ჰყავთ, ახალ-ახალი რძე რომ დააღვინონ და ხველა შეუმსუბუქდესო. სოლომონის მდგომარეობის გაუარესებას რომ ხედავდა, ელენას შეეშინდა, შვილის გარდაცვალება ეცნობებინა მისთვის, და ბავშვი ისე დაკრძალა, მამისათვის არაფერი უთქვამს.

გერცენმა კი, ყველანაირად რომ ცდილობდა სოლომონთან მეგობრული ურთიერთობის აღდგენას, თანაგრძნობის გამოხატვა შვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საკმარის მიზეზად მიიჩნია და გადაწყვიტა სტუმრობის აკრძალვა დაერღვია, თუმცა ძალზედ ნარუმატებლად. ელენა სოლომონთან არ უშვებდა და იძულებული იყო თავისი ტყუილის გამო ახსნა-განმარტებანი დაენყო. მაგრამ, როდესაც დამაჯერებლად ვერ შეძლო ქმრისათვის აეხსნა მიზეზი გერცენის სტუმრობისა, რომელიც ოჯახის უფროსის ნებას გადავიდა, და ვერც ცრემლების ნამდვილი მიზეზი გაამხილა, ოჯახში ისევე ჩხუბი ატყდა, რაც უფალმა უწყის, რით დასრულდებოდა, მეუღლის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის ანგარიში რომ არ გაენია ელენას.

იქნებ ჯობდა სიმართლე ეთქვა? – წამოვიძახე, თითქოს ახლა რაიმეს გამოსწორება ყოფილიყოს შესაძლებელი.

იქნებ, – სევდიანად დამეთანხმა ბებია.

მის თხრობას გულმოკლული ვუსმენდი და ცხადად წარმომედგინა: უბედური ელენა, ერთი მხრივ, მომაკვდავ ქმარსა და შვილს შორის განამებული, ყველანაირად რომ ცდილობდა მათში სიცოცხლის ნაპერწკალი შეენარჩუნებინა თუ ტანჯვა შეემსუბუქებინა, მაღლიერებისა და თანაგრძნობის ნაცვლად კი დაუმსახურებელ ეჭვიანობასა და საყვედურებში ჩავარდნილი, ხოლო მეორე მხრივ, ქანცგანყვეტილი, მეუღლის სასიკვდილო სენით. სოლომონმაც, როგორც ჩანს, თავის ყოფაში მედვედევების შეურაცხყოფის მსგავსება დაინახა და ყველაფერი იღონა ოჯახის ღირსებისა და პატივის შესაძლო შელახვის აღსაკვეთად ახალგაზრდა დარდიმანდის მხრიდან, რომელსაც, სოლომონის აზრით, წარმოდგენაც არ გააჩნდა ქრისტიანულ მორალსა თუ სტუმარმასპინძლობის კანონებზე.

### სოლომონის გარდაცვალება

დადგა 1836 წელი

19 იანვარს პრასკოვია მედვედევას მეუღლე გარდაიცვალა. სახელგატეხილმა ქვრივმა ვერავის მიმართა დახმარებისათვის და უკანასკნელ გზაზე მედვედევს მხოლოდ ცოცხალ-მკვდარი სოლომონ დოდაშვილი მიაცილებდა.

გერცენი საცოლეს თავის ქარაფშუტულ გატაცებაში გამოუტყდა, ურთიერთობის გაგრძელების თაობაზე პრასკოვია მედვედევას იმედებისათვის ბოლო რომ მოე-

ლო. ნ. ზახარინამ მიუტევა საქმროს, და ქვრივსაც კი უთანაგრძნო, როცა გერცენს ვილაც ნაცნობებთან მის გუვერნანტად მოწყობაში დაეხმარა.

1836 წლის მარტში იოსებ მამაცაშვილს გადასახლების ვადა დაუმთავრდა და სამშობლოში დაბრუნდა.

ელენა დახმარების გარეშე, თავის საზრუნავთან მარტოდმარტო დარჩა.

იმხანად სოლომონის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, მიუხედავად ჩრდილოეთის მოკლე ზაფხულის სითბოსა თუ ელენას ძალისხმევისა, ბავშვებისა და თავის საზიანოდ, სრულფასოვნად ეკვება ავადმყოფი.

გერცენის დღიურის იმდროინდელი ჩანაწერების მიხედვით, სოლომონის ოჯახში მისი სტუმრობა როგორცაც ისევე განახლდა.

1842 წლის 25 მარტს პარიზში, ვიატკის გადასახლებას რომ იგონებდა, გერცენმა ასეთი რამ ჩაინიშნა: „ვიატკაში ცხოვრობდა გადმოსახლებული ქართველი თავადი, რომელმაც მკაცრი ჰავა ვერ გადაიტანა და მძიმე ქლექით დაავადდა. სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე მოვინახულე. ცოცხალმკვდარმა ღრმა რწმენით მითხრა, მთავარია გაზაფხულამდე უარესად არ შევიქნე, თორემ ქლექი დამემართებაო“ (გერცენის თხზულებანი, ტ. II, გვ. 203).

შემონახული საარქივო დოკუმენტებიდან ჩანს, რომ კ. ი. ტიუფიაევმა კიდევ ერთხელ სცადა მიემართა უმაღლესი ხელისუფლებისათვის თხოვნით, დახმარებოდნენ სოლომონს:

„პირი მიწერილობით ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორისა ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს. აგვისტოს 19-ს, 1836 წლისა, 406.

1836 წლის ივნისის 19-ს მოხსენებით პატივი მქონდა თქვენი აღმატებულების კეთილგანსახილველად წარმომედგინა თხოვნა, უმაღლესის ნებით ქ. ვიატკაში მომსახურე, საკლასო ნოდებაჩამორთმეულ სოლომონ დოდაშვილის ჯანმრთელობის გაუარესების გამო მისი ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში გადაყვანასთან დაკავშირებით. ამას შედეგად მოჰყვა მიწერილობა თქვენი მაღალაღმატებულებისაგან (იმავე წლის 30 ივლისი), რომლითაც ნება იბოძეთ ჩემთვის გეცნობებინათ, რომ ხელმწიფე იმპერატორთან ბატონი სამხედრო მინისტრის უმორჩილეს მოხსენებას დოდაევის აღნიშნულ თხოვნაზე მისი უზენაესობის თანხმობა არ მოჰყოლია.

ამჟამად, ჯანმრთელობის სრულიად შერყეული მდგომარეობისაგან იძულებულმა დოდაევმა კვლავ მომმართა თხოვნით.

რადგანაც დროთა განმავლობაში დოდაევის სენი ისე გაძლიერდა, რომ სამსახურებრივ მოვალეობას ვეღარ

აუდიოდა, მივმართე საქეიმო გამგეობას, რათა მათაც დაემონებინათ ავადმყოფის მდგომარეობა.

საქეიმო გამგეობის მიერ წარმოდგენილი მოწმობა წარმოაჩენს, რომ სოლომონ დოდაევის ძლიერი, უკვე შორს წასული სენი აქვს, ასე რომ, მედიცინას არ შეუძლია არავითარი სარწმუნო საშუალების შემოთავაზება ასეთი რთული და შორსწასული სენის განსაკურნად, განსაკუთრებით აქაურ, ჩრდილოური ჰავის პირობებში, რის შესახებაც მაქვს პატივი უმორჩილესად მოვახსენო თქვენს მაღალაღმატებულებას, ამასთან, წარმომავადგინო სამედიცინო მოწმობა სოლომონ დოდაევის სნეულებისა და მისი უძიმესი მდგომარეობისადმი სიბრალულის გრძნობით აღვსილმა კვლავ უმორჩილესად გამოვითხოვო თქვენი უაღმატებულებების შუამდგომლობა წინაშე ხელმწიფე იმპერატორისა, დაერთოს ნება სოლომონ დოდაევის, გადაინაცვლოს ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში, რომელიც ხელისუფლების მიერ იქნება შერჩეული მისი სრულიად გატეხილი ჯანმრთელობის გასაუმჯობესებლად

თუმცა არა მგონია, დოდაევმა ამა მიწერილობაზე პასუხის მიღებამდე იცოცხლოს, რადგანაც სიცოცხლის ნიშანწყალი ძლივსა შერჩენია.

დამონებულია მაგიდის უფროსი: ხელმოწერა“ (ფონდი 1457, რვეული XXIX, ფურცელი 226, შესრულებულია მეღნიტით).

სოლომონმა მართლაც ვეღარ იცოცხლა ზემოთ მოყვანილი შუამდგომლობის პასუხამდე. პასუხის შედგენის მეორე დღეს – 1836 წლის 20 აგვისტოს – გარდაიცვალა და მიწას მიაბარეს შორს თავისი სამშობლოდან, რომელიც ასე მგზნებარედ უყვარდა და ასე უსაზღვროდ ერთგულობდა.

ეკლესია სოლომონის უკანასკნელ გზაზე გაცილების მსურველთ ვერ იტევდა. მისულიყვენ არა მარტო სამსახურის კოლეგები გუბერნატორის კანცელარიიდან, არა მარტო გადასახლებული პოლონელები, ფრანგები თუ რუსები, ვიატკელებიც, უბრალო ადამიანები, რომელთაც სოლომონი უშურველად ეხმარებოდა გასაჭირსა თუ ამა ქვეყნის ძლიერებთან დავისას, თანაუგრძნობდა და გულშემატკივრობდა ისევე, როგორც წარსულში, თავისი ქვეყნისა და ერის შვილთ.

სოლომონი კოტიკოსა და უფროსი ანას გვერდით დაკრძალეს. 40 დღის შემდეგ კი მათ ახალშობილი ანა შეუერთდა.

ჩემს მოვალეობად მიმანია სოლომონისადმი ვიატკის გუბერნატორის, კირილ იაკოვლევიჩ ტიუფიაევის, კე-



ვიატკის საავადმყოფო, რომლის ახლო სასაფლაოზეც დაკრძალა სოლომონ დოდაშვილი 1836 წელს

თილგანწყობის დასადასტურებლად კიდევ ორი საარქივო დოკუმენტი დავიმოწმო:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს.  
საიდუმლო განყოფილება, 1836 წ.  
26 აგვისტო, 417.

მის აღმატებულებას, ბატონ შინაგან საქმეთა მინისტრს. ამა წლის 19 აგვისტოს თხოვნის შედეგად უმაღლესის ბრძანებით ქ. ვიატკაში მომსახურე, საკლასო წოდებაჩამორთმეულ სოლომონ დოდაევის თაობაზე თხოვნის შედეგად თქვენი უაღმატებულებობისაგან გამოვითხოვე ხელმწიფე იმპერატორის წინაშე შუამდგომლობა, დაერთო მისთვის ნება, გადასახლებულიყო ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში.

აღნიშნული მოხსენების გამოგზავნის მეორე დღეს, სწორედ აგვისტოს 20-ს სოლომონ დოდაევი გარდაიცვალა; დარჩა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, რომლებიც ვიატკაში იმყოფებიან.

მეუღლის დაკარგვით გულმოკლული დოდაევის ქვრივი, მისთვის სრულიად უცხო მხარეში გადმოხვეწილი, საშინელ სიღატაკეშია ჩავარდნილი ორ მცირეწლოვან ობოლთან ერთად და არავითარი საშუალება არ გააჩნია, დაბრუნდეს ნათესავებთან საქართველოში.

დოდაევის ქვრივის გაჭირვებული მდგომარეობისადმი თანაგრძნობით აღვსილი ვბედავ, უმოწილესად გამოვითხოვო თქვენი უაღმატებულებობისაგან განკარგულება, ხომ არ შეიძლება დოდაევას დაენიშნოს რაიმე დახმარება, რათა შეძლოს ორ ობოლთან ერთად თავის ნათესავებთან დაბრუნება“.

1836 წლის 23 სექტემბერს ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორის ბრძანებით შედგა შემდეგი შინაარსის ცნობა:

„ტფილისის გიმნაზიის მე-10 კლასის ყოფილ მასწავლებელს (წოდება) სოლომონ დოდაევს 1834 წლის 20 მარტს დამტკიცებული კავკასიის კორპუსის მეთაურის უმაღლესი კონფირმაციით საქართველოში ხელისუფლების წინააღმდეგ არსებული შეთქმულების გავრცელებაში მონაწილეობისათვის ჩამოერთვა აღნიშნული წოდება, რათა ერთ-ერთ ჩრდილოეთ გუბერნიაში გამწესებულიყო კანცელარიის მდაბალ მოხელედ საუკეთესო მსახურობამდე, სულ მცირე, 10 წლით, საქართველოში დაბრუნების სამუდამო აკრძალვით.

ამა ინფორმაციის აღსრულების შედეგად დოდაევი გადმოსახლებულ იქნა ვიატკაში და გუბერნიის იქაურ სამმართველოში გადამწერად გამწესდა, შემდეგ კი გადაყვანილ იქნა სამოქალაქო გუბერნატორის კანცელარიაში და სათემო გადასახადთა კომიტეტში მაგიდის უფროსად დაინიშნა.

ამა წლის აგვისტოში ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორი შემოვიდა შუამდგომლობით, დაერთო ნება სოლომონ დოდაევისათვის, გადასულიყო ერთ-ერთ სამხრეთ გუბერნიაში გასაუმჯობესებლად ჯანმრთელობისა, რაც ისე შეერყა, რომ სიცოცხლის ნიშან-წყალი ძლივსღა შერჩენოდა.

ამ შუამდგომლობას, შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ თქვენი ბრწყინვალეობისათვის პატივით გადმოცე-

მულს, ამა წლის სექტემბრის 19-ს მოჰყვა ხელმწიფე იმპერატორის უმაღლესი ბრძანება:

სოლომონ დოდაევი სამსახურად გადაყვანილ იქნას ხერსონის გუბერნიაში.

ამასობაში ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორმა მოახსენა შინაგან საქმეთა მინისტრს, რომ დოდაევი მიმდინარე აგვისტოს 20-ს გარდაიცვალა, ხოლო ვიატკაში დარჩა მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი, და რომ საშინელ სიღატაკეში მყოფ მის მეუღლეს ორი ობოლით არ გააჩნია არავითარი საშუალება და შესაძლებლობა, დაბრუნდეს საქართველოში თავის ნათესავებთან.

მისი აგრევიგად გაჭირვებული ყოფისადმი თანაგრძნობით სამოქალაქო გუბერნატორი შუამდგომლობს, რათა გაუწიონ დახმარება ბავშვებთან ერთად საქართველოს გასამგზავრებლად.

ყოველივე ამის თაობაზედ შინაგან საქმეთა მინისტრი ამცნობს თქვენს ბრწყინვალეობას და შემდგომ ითხოვს შეტყობინებას.

დასკვნა: სააუდიტორო დეპარტამენტი მიიჩნევს, რომ დაკმაყოფილება ვიატკის სამოქალაქო გუბერნატორის შუამდგომლობისა გადამწერ დოდაევის გასაჭირში ჩავარდნილი ქვრივისათვის დახმარების განევის თაობაზედ ვიატკიდან საქართველოში გასამგზავრებლად ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად, ერთადერთი, ხელმწიფე იმპერატორის უმაღლეს ნებაზედ დამოკიდებული და თავის მოვალეობად მიიჩნევს, ყოველი თქვენს ბრწყინვალეობას წარედგინოს კეთილგანსახილველად.

3558

23 სექტემბერი 1836 წელი“

(ფონდი 1457, რვეული XXIX, ფურცელი 233-234, დედანი შესრულებულია მეღნი, აშიაზე იკითხება: 469, 25 სექტემბერი 1836 წელი, და ქვემოთ: „ყოვლად მოწყალებით ებოდოს გადამწერ დოდაევის ოჯახს ერთჯერადად 800 მანეთი საქართველოში ნათესავებთან გასამგზავრებლად. 26/IX“)

ბებია გაჩუმდა. ჩანდა, სევდიანი თხრობა დაასრულა, მაგრამ თითქოს ძალა მოიკრიბა რალაც უზილავი წინააღმდეგობის გადასალახადო, განაგრძო:

საქართველოში დაბრუნებული ელენა უარეს დღეში აღმოჩნდა, ვიდრე ვიატკაში იყო.

რატომ? – გავიკვირე მე.

როგორც ჩანს, იოსებ მამაცაშვილის მიერ გავრცელებულმა ხმამ სოლომონის ოჯახში გერცენის სახელთან დაკავშირებულ უთანხმოებათა შესახებ, სოლომონის ახლობლები ელენას წინააღმდეგ განაწყობ – იფიქრეს, სწორად ვერ მოიქცა გერცენთან და ამან ალაშფოთა სოლომონი.

უნდა გითხრა, – განაგრძო ბებია უკმაყოფილოდ, – რომ დოდაშვილთა ოჯახში ელენას შესახებ არსებულ აზრებსა და შეფასებებს ყველაფერში არ ვეთანხმებოდი, მაგრამ მან ისეთი ნაბიჯი გადადგა, რომლითაც სამუდამოდ მოიკვეთა სოლომონის სახელისაგან. ასე არ შეიძლება მისი ხსოვნისა და წესის უგულვებლყოფა.

ლმერთო ჩემო, ასეთი რა ჩაიდინა?

გათხოვდა, – მიპასუხა ბებია. – მეუღლის გარდაცვა-  
ლებიდან ერთწლიანი გლოვის წესი დაარღვია და გათ-  
ხოვდა.

ენა ჩამივარდა.

ბებია კი უეცრად გაბრაზდა:

– როგორ არ უნდა გესმოდეს, როგორ ყოფაში ჩავარ-  
და ეს ქალი?! არც სახლი გააჩნდა, არც არსებობის რაიმე  
საშუალება, არავის ჰქონდა უფლება, პენსია დაენიშნა გა-  
დასახლებულის შვილებისათვის. დედამისი მეორედ გათ-  
ხოვდა, სასამართლოს მდივანს, ვინმე კუზოვკინს გაჰყვა  
ცოლად. ამიტომაც ქალიშვილს პირველი ქორწინებიდან,  
თანაც ორბავშვიან ქვრივს, ქმრის სახლში ვერ მიიყვანდა.  
არც რაიმე სამსახურის იმედი შეიძლებოდა არსებულებით  
თბილისში! ჭლექმაც დარია ხელი: ქორწინებიდან წელი-  
წაღწავევარში გარდაიცვალა...

– ვინ სთხოვა ხელი? – ვკითხე ჯერ კიდევ გაოგნებულ-  
მა თავსდატეხილი ამბით

– თბილისის პოლიცემისტერმა ლვოვმა, – მიპასუხა  
ბებია.

კვლავ დავმუწვდი.

არ ვიცი, რით იყო გამოწვეული პოლიცემისტერის და-  
ქორწინება სახელმწიფო დამნაშავეს ქვრივზე, მაგრამ  
დარწმუნებული ვარ, ლვოვი ახალგაზრდა, ლამაზი, თუმც  
ავადმყოფი ქალისადმი თანაგრძნობით განიმტყვალა და  
თავისი წინადადებით წყალწაღებულს დახმარების ხელი  
გაუწოდა.

ელენა? მან ხომ არ იცოდა, რომ ბედისწერისაგან მხო-  
ლოდ წელიწადნახევრის სიცოცხლე მისცემოდა...

შვილები?

რაც შეეხება ივანეს, საქართველოს სახელმწიფო არ-  
ქივში შემონახულია დოკუმენტი, დათარიღებული 1839  
წლის 17 ნოემბრით:

„საქართველოს იმერეთის სინოდალურ კანტორას  
კოლეგიის მდივნის მეუღლის ანა კუზოვკინას  
თხოვნა

ჩემმა სიძემ, ქალიშვილის – ელენას მეუღლემ, ტფი-  
ლისის გიმნაზიის ყოფილმა მასწავლებელმა სოლომონ  
დოდაევმა 1834 წელს სინოდალურ კანტორაში გამოით-  
ხოვა ჩემს ქალიშვილთან ქორწინებაში დაბადებული თა-  
ვისი შვილების – ივანესა და კონსტანტინეს დაბადების  
მონუმბები. მაგრამ ისე მიიცივალა, მათი მიღება ვერ მოას-  
წრო. ეს ვეღარ შეძლო ვერც ჩემმა ქალიშვილმა ელენამ,  
რომელიც შარშან, 1838 წელს გარდაიცვალა. რადგანაც  
მე, ბუნების ვალით მათი მეურვეობა დამეკისრა, შევიტყ-  
ყვე, რომ შვილების – ივანესა და კონსტანტინეს – მონუმ-  
ბები, გამოთხოვილი ჩემი ანგანსვენებული სიძის – დო-  
დაევის მიერ, არ გაიცა სინოდალურ კანტორაში კონსტან-  
ტინეს ნათლის – კარის მრჩევლის – ლხოვსკის პასუხის  
მიუღებლობის გამო. მე საჭიროდ მივიჩნიე, სინოდალური  
კანტორისათვის მეცნობებინა, რომ ვინაიდან ჩემი შვი-  
ლიშვილი – კონსტანტინე გარდაიცვალა, უკვე აღარ წარ-  
მოადგენს საჭიროებას გაიცეს მასზე დაბადების მონუმ-  
ბა, ისევე, როგორც არც ბატონი ლხოვსკისაგან პასუხის  
ლოდინა საჭირო: რაც შეეხება ჩემი სხვა შვილიშვილის,  
ივანე დოდაევის დაბადებისა და ნათლობის დღის მონ-

ობას, მისი მიღება ჩემთვის ფრიად აუცილებელია მის ჩა-  
სარიცხად ტფილისის გიმნაზიაში ხაზინის ხარჯზედ. ამი-  
ტომაც უმორჩილესად ვთხოვ სინოდალურ კანტორას,  
დააჩქაროს ჩემთვის მეტრიკის მონუმბის გაცემა ჩემი  
შვილიშვილის – ობოლი ივან დოდაევის სახელზედ“

(რადგანაც ანა კუზოვკინამ წერა არ იცოდა, მის ნაც-  
ვლად ხელი იქ დამსწრე სპირიდონ დოდაშვილმა მოანერა).  
(ფონდი 489, საქმე 4420, ფურცელი 33, შესრულებუ-  
ლია მელნით)

სხვა რაიმე ფაქტი მამის ძმებისა და დების მონაწილე-  
ობისა ივანეს ბედის განკარგვაში, ჩემთვის უცნობია. მაგ-  
რამ ვიცი, რომ ტფილისის გიმნაზიაში სწავლისას სოლო-  
მონის ხარჯზე იყვნენ მისი ძმისშვილები, რომელთაც გა-  
დასახლების შემდეგაც კი ვიატკიდან ტფილისში სწავლის  
ფულს ურიცხავდა და თავის მწირ ბიუჯეტს თანხას აკ-  
ლებდა.

ივანემ გიმნაზიის განათლება მიღო, რაც იმ დროისათ-  
ვის უმაღლესს უტოლდებოდა; მუშაობდა, მგონი, სასა-  
მართლო თარჯიმნად. 1850 წელს გამოსცა ლექსების კრე-  
ბული რუსულ ენაზე. დაქორწინდა მამამისის მეგობრის,  
ვისთან ერთადაც სასულიერო აკადემია დაამთავრა სო-  
ლომონმა, ტფილისის სიონის საკათედრო ტაძრის დიაკ-  
ვნის, – გრიგოლ ჭრელაშვილის ქალიშვილზე.

ივანე მაღაროელ-დოდაშვილსა და სოფიო ჭრელაშ-  
ვილს შეეძინათ ჩემი პეპერა – სპირიდონ ივანეს ძე, სპი-  
რიდონ ივანეს ძე დაქორწინდა თავადის ასულ თამარ სა-  
გინაშვილზე, რომელსაც შეეძინა ვაჟი – ალექსანდრე სპი-  
რიდონის ძე – სოლომონის შვილთაშვილი. ალექსანდრე  
სპირიდონის ძე დაქორწინდა ბებიაჩემ მარია მიხაილოვნა  
რუტკოვსკაიაზე, დედით – ოგინსკაიაზე...

ივანე 34 წლისა გარდაიცვალა ჭლექით.

წინოს ბედი ჩემთვის უცნობია.

თარგმნა  
მანა ჯაფარიძემ

**შენიშვნები:**

1. ფეოდორ ბარიშკინი – საქართველოს უმაღლესი ხელისუფ-  
ლების სახაზინო ექსპედიციის არქიტექტორი, ელენას მამ-  
ობილი.
2. ნიკოლაი მარტინოვიჩ სიპიაგინი – თბილისის გენერალ-  
გუბერნატორი, ვის ოჯახშიც გააცნეს სოლომონს ელენა.
3. ეს დოკუმენტი ჩართული აქვს გიორგი გოზალიშვილს  
„1832 წლის შეთქმულების“ I ტომში (1935 წელი გვ. 499-500).
4. დიმიტრი იურიევიჩი (გეორგიევიჩი) შემიაკა – დიმიტრი დო-  
ნელის შვილიშვილი, გალიჩისა და უგლიჩის მთავარი. მამასთან ერთად აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის მთა-  
ვარ ვასილი II-ს წინააღმდეგ ბრძოლაში. რუსული მართმა-  
დიდებლური ეკლესიის მიერ გადაეცა ანათემას. ზოგიერთი  
მატიანის ცნობით ვასილი II-ს ბრძანებით მონამლეს.  
„ამბავი შემიაკას სასამართლოსი“ – ასეა დასათარებული  
ერთ-ერთი ძველრუსული მოთხრობა, რომელშიც დიმიტრი  
შემიაკა უსამართლო, მექრთამე მსაჯულადაა დახატული.  
აქედან მოდის გამოთქმა „შემიაკას სასამართლო“, რომე-  
ლიც უსამართლობის სინონიმად იქცა.

ლია წერეთელი

# „სადაც ყანა რო ღონიერია“...

\*

ოთარ ჩხეიძის  
ნოველა „ოდოჟლერი“

„სიტყვის კონა“ სიტყვათა განძისა (ცავია).

„სიტყვის კონა“ მეტია, ვიდრე ლექსიკოგრაფიული ნაშრომი, განმარტებითი ლექსიკონი. თითოეულ სიტყვას სულ-ხან-საბა ორბელიანი იუველირის თვალთახედვით ჭვრეტს. კონკრეტული, რაციონალური შინაარსის მიღმა სიმბოლური საზრისის, ხატსახოვნების გარდამოფენია. განმმარტებლის თვალსაწიერი გულისხმობს დიდ ღვთისმეტყველთა ცოდნასა და გარდათქმას. ამით განსხვავდება „სიტყვის კონა“ ჩვეულებრივი განმარტებითი ლექსიკონისაგან.

ქართული ენის ღვთისმეტყველება „მზის წილად“ სწამდათ ქართველ ჰაგიოგრაფებსა და ჰიმნოგრაფებს. მთაწმიდელთაგან მითოსური ცნობიერების ფერადხატოვნებიდან ქართული ენა საბოლოოდ გარდაისახა ნათელღებულ ენად და ბერძნულის გამომსახველობითობას გაუთანაბრდა. შესაძლოა, ქართული ენის გაცოცხლებლადაც მოვიზოროთ ჰაგიოგრაფის თხრობა:

უცხო ენის საუფლოში სიკვდილის პირას მყოფ ყრმა ექვთიმეს ღვთისმშობელმა ქართულად მიმართა: „აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“.

ეს ეპიზოდი მთაწმიდელთა მრწამსს აცხადებს – ადამიანის სიცოცხლის უდიდესი წილი დედაენის ღვთისმეტყველებას უპყრია ხელთ. დედაენა ადამიანის ამაღორძინებელი, „ხედვისა და აღქმის“ მიმნიჭებელია. ეს ნიშნავს, რომ „ადამიანში მისი წილხვედრი ლოგოსი არსებობს მშობლიური ენის წყალობით“ (რევაზ სირაძე).

რუსთველისათვის დედაენის მადლი „ტკბილქართულია“.

სამშობლოს მოწყვეტილი ადამიანი დედაენით ინარჩუნებს ლოგოსურ სამშობლოს, წინაპრებთან სულიერ თანხმირებას. ასე შეიცნო გრიგოლ რობაქიძემ ქართული ენის განსახოვნების იდუმალი ძალა, მიეახლა „თაურმდგენს“. ერთი სიტყვა ზოგჯერ „მთელ მითოსად“ წარმოუდგა, ზოგჯერ ფერწერულად სრულქმნილ ხატად.

გრიგოლ რობაქიძემ ქართული ენის ზე-ცნობიერი მადლი განაცვიფრებდა.

\*\*\*

თითოეული მწერლის სიტყვის განძისა (ცავი) განსხვავებულია. განსხვავდება სიტყვასთან მიმართების, სიტყვათქმნადობისა და განსახოვნების უნარი. შეუძლებელია მწერლის მხატვრული აზროვნების შესწავლა იმის გაუთვალისწინებლად, თუ როგორ მიემართება იგი ენის მუდმივთანხმებ, ირაციონალურ, განსახოვნებით პოტენციალს. შედეგრი მხოლოდ იმ რჩეულის კალმით იქმნება, ვინც ენის ზე-ცნობიერ ძალას შეიგრძნობს და მარადმყოფობის საიდუმლო უნარს სწვდება. სიტყვის ხატსახოვნების, ღვთისმეტყველური სუნ-

თქვის თანხმირი ხილვადობის მიღწევა, კონკრეტული საზრისის მიღმა სულიერი შინაარსის თანხვდომა „არა ეგზომ ადვილ არს“ (ანტონ I).

\*\*\*

ოთარ ჩხეიძის „ოდოჟლერი“ ჩემი სოფლის ეტიუდების ციკლის მოთხრობაა. ამ ციკლის მოთხრობათა ქარგა გულისხმობს ყოფით-რეალური ამბის უმაღლეს ეროვნულ ჭრილში მოხილვას, სოფლის რეალობის მოქცევას მარადისოფლის განზომილებაში.

მწერალი „სიტყვის კონით“ გვესიტყვება: ოდოჟლერი – „საბა ოდოჟ უწოდებს“... ესაღბუნება მივინყებულ და დასავინყებულად განწირულ სიტყვებს. თანდათან ცხადდება, რომ სიტყვა მწერლისთვის მთელი სამყაროა. „მკვეთრი, სახიერი, მორჭმული, მხნე“... სიტყვის გაქრობა „მზის დავესებას“ მოასწავებს: „შინაარსი რამ იდო სიტყვაში“...

ნელ-ნელა შეჰყავს მკითხველი ენის ღვთისმეტყველ ველში. კონკრეტული რეალობა ხატოვნად იშლება:

ახალღმელერებულმა გოგონებმა ყანაში ზღვასავით შეცურეს: „აშოლტილნი, სახემწყაზარნი, მოქნეულნი და მოზიდულნი“...

ოდოჟლერი – სინორჩისა და შეთვალვის, მწიფობაში შესვლის ჟამია. ყანა ოდოჟლერი, გოგონებიც – ოდოჟლერი...

ფერწერულად სრულქმნილია ყანა – იხატება ტალღებად, ელვად, ზღვად... ფერადოვნება უხვია – ოქროსფერი, მწვანე, მუქი ლურჯის გარდასახვანი. სიო არწევს და მზის სხივები ათასფრად აელვარებს. შუადღის მზეში გოგონები მოიქანცნენ, „შეუცნობელი და მახლობელი, იდუმალი და შორეული განცდა“ დაეუფლათ.

ფერწერულად სრულქმნილი ხატი:

„შემოინყვეს ხელები გულმკერდზედა, მალლა ატყორცნეს, თითქოს სხივებს ჩამოეკიდნენ“.

ფერწერული ხატქმნა, სიტყვის განსახოვნება, ხილვის ირაციონალური ძალა მატულობს.

სრბოლით დაქანცული, მზით გათანგული გოგონები ყანაში ჩაცვივდნენ. ყანა აკვნად გარდაისახა: „ქარი უმღეროდათ ნანასა“, მზეს ყანები არ ეთმობოდა, იქით მთები ელოდებოდა.

მწყერი აფრინდა ყანაში, ისიც ოდოჟში, გოგონით იხატება შეთქვირებული მწყერი.

ყანა ახლა მორევად იქცა, „ჩაიტანა, ჩაიხვია გოგონები“. იდუმალი ძალა მკითხველსაც იპყრობს – „არცთუ შორეული, არცთუ უცნობი, თანდაყოლილი, არსებითი, ჯერგანუცდელი და საცოდნელი“.

იდუმალი მადლმოსილება ფერით, სუნთქვით, ცხოველმყოფლად გააცოცხლა მწერალმა. ეს განცდა გოგონებისთვის და მკითხველისთვისაც „სისავესის მოჭარბებით“ ცხადდება...

თავთუხის ფხებმა დაკანრა გოგონები და ყველაფერი შემოიძარცვეს... მწყემსებმა ჩაიარეს...

სოფლის პირველქმნილი გარემო იხატება მკვეთრად რეალისტურად. სიმიშველც ესოდენ ნატურალისტურად მზეში, ყანაში, მთებისა და სივრცის განფენილობაში.

ამ სიმარტივესა და უბრალოებაში ნელი-ნელ ქსოვს მწერალი ენის ღვთისმეტყველ ველს. რეალობის მიღმა სულიერი შინაარსით წარმოდგება ყანა, მინა, მზე, მთები... ევანგელური ხატსახოვნება. იგავური თხრობის საზრისი ცხადდება.

ორი მიმართება მიზანმიმართულად იკვეთება – სულხან-საბას „სიტყვის კონა“ და გურამიშვილის „დავითიანი“, „სიტყვის კონა“ სიტყვის ღვთივსულიერ ველს ცხადად ქმნის, „სიბრძნე სიცრუისა“ სახარებისეული იგავთმეტყველების კვალში დგას, საღვთო სიბრძნეს მიეახლება. დავით გურამიშვილი ყოფით სურათებს ერთნამიერ ღვთის თვალსაწიერში აქცევს – ტალახში ჩაფლობის რეალობას უმაღლ ცოდვით-დაცემულობის მორევი ეთანადება... სიმბოლურ-ალეგორიული, მისტიური სურათბატოვანება... პირველქმნილების ღვთიური მადლის განცდა...

ვფიქრობთ, სიტყვის განსახოვნების, რეალურის მიღმა სულიერი შინაარსის განვინის დიდი ტრადიციის კვალშია მოსაზრებელი „ოდოჟლერი“. მნიფობააღვსილი, მზითსავსე და მინითსულდგმული განცდა წარმოდგება მუდმივთანხმლებ გრძნობად. პირველქმნილებით ცხადდება უმანკოება, სინოფობა და სიმშველ გოგონებისა – უვნებო, ცოდვითდაცემამდელი მადლითსავსეობა, უკრძალველობა ანუ სრულქმნილება.

ეს ყანა, სავსე მზითა და ფერადოვნებით, იგივე ქვე-ყანაა. თვითონ სიტყვაში უკვე განსახოვნებულია ერის სამკვიდროს საზრისი. სახელდება გულისხმობს ქვე-მყოფობას, მიწიერ საცხოვრისს წუთისოფელში და გულვობს ზე-ცას, მარადიულ სამყოფს.

უფრო შორეული „თავ-ყანის-ცემა“ – თავყანისცემა ანუ მინისადმი რიდი, კრძალვა, სადიდებელი, დედა-მინად განცდა.

დედა-მინა, ქვე-ყანა, წუთი-სოფელი, ზე-ცა... სიტყვის ღვთივსულიერი ველი და ხატსახოვნება.

მწერლის სათქმელი ამ სიღრმეებს მიემართება.

ყანა და პური, წინაპართა შრომა და გარჯა განსახლვრავდა უძველესი მინათმოქმედი ერის მყოფობას. „ერი გულადი, პურადი“ იყო მინით, მინაზე მკვიდრობით, მინის დაცვის ძალით, სიტყვის განძთსაცავით:

„ლამის ჯეჯილიც დავიწყებულა“ ...

„ეს თავთუხიო, ეს ფზაო, ეს მარცვალიო, ეს იფქლიო, ეს ხორბალიო, ეს ნაკმაზიო, ეს ფქვილიო... და ახლა წისქვილსაც თუ გაუყევი სახეთქელიდან სარეკელამდისა“...

სიტყვის განძთსაცავი თუ დალეულა, განსაცდელი ცხადია: ყანაში შრომა, ჯაფა და ლოდინი... დავიწყებულა... „პური არსობისა“ – საზრდო მინიერი და სულიერი ერის სიცოცხლისუნარიანობის განმსახლვერელია.

სიტყვის გაქრობა მადლის-მოკლებად, საზრდოს დაღვევის ტოლფასად განიცდება. გარდუვალობაც ცხადია:

„ცივილიზაცია!.. დასავლეთი!.. გლობალიზაცია!..“

კიდევ კარგი რო პური შემოგრჩა... ლამის ესეც რო წაგლიჯეს პირიდანა. აბა! ჯერ როდის იყო რო ჩაგანვეთეს: „დაიხლებო ლაზარი!“ გახსოვს? რა თქმა უნდა „რუსულად ხლება პურს ერქვა, უწინამც გამეგონაო“...

წარსული მწერლისათვის განსაპეტაკებულია.

შორს ციხე-კოშკი მოჩანს, გოგონები ესწრაფოდნენ, ახლოს ეგონათ.

პაპა-დიდედასაგან თქმულ სიბრძნეს უმცროსი უმოდ-ღვრებთ:

„რაც გინდათ, ახლოს ნუ გეჩვენებთ, რაც გინდათ, შორს არის, ძალიან შორსა!“

ციხე-კოშკი განმმენდილი წარსულის ხატ-სახედ ცხადდება. იგი გიზმობს, ახლობელია და შენეული, მაგრამ ვერ მიუახლოვდები, არ გიშვებს. „ზვიადი ციხე“, იგივე დიადი წარსული, რომელსაც უკვე ჩამოსცილდა დრო-ჟამის ლექი, ამოიბის ხავსი, შურისა და ამპარტავნების, სირცხვილისა და უამურის ავადმოსაგონარი... დგას ციხე-კოშკი, – უზადო და ნმიდა.

(„ზვიადი ციხე“ არც იხატება „ბორიყში“)

მომავალიც განსაპეტაკებულია მწერლისთვის, სასოებით მოიხილება: „ამასაც გადაიტან. რა არ გადაგიტანია. რა არა... ამასაც გადაიტან!“

ქვე-ყანის მყოფობას ეს სასოება მზის მადლად ეფინება.

\*\*\*

მზეკაბანი – ატალღული ოქროსფერი ყანა პოეტურმა ხილვამ სრულქმნა: „ყანა ლელავს, ტალღა ტალღას მისდევს, იკეცება ყანა და ფერსა და ფერს იცვლის“ (თედო სახოკია).

მზითსავსე პურის თავთავი, მნიფობამოჭარბებული ვაზის მტევანი ღვთაებრიობასთან წილნაყარობად, მინიერისა და ღვთიურის შერწყმად ცხადდება ქართულ ჩუქურთმასა და ორნამენტში, ხალხურ განსულიერებულ ყოფით რეალობაში.

ფიროსმანის კალოობა, მკა როდია ოდენ სოფლის იდილია, – მზითსავსეობა, სიუხვობის განცდაა, ღვთიური მადლის მოფენა და წყალობა. თეთრი საყდარი შემალღებულზე ნათელმოსილებით ამთლიანებს მის პირველქმნილ გარემოს.

ქართული საგალობლები „ურმული“ და „ჰოროველა“, ქება-დიდებას უძღვნის სახნის-საკვეთელს, გუთანს, ღირღიტას:

„შენი ჭირი მე გუთანო, გათლილო სუფთა ხისაო, შენ აჭმევ პურსა ცოცხალსა, დამმარხველი ხარ მკვდრისაო“

„სახნისმა თქვა: „ქვესკენელს დავალ, მზისა შუქი მენატრება“

„ხარმა თქვა: „მეხრე მიზის ღვთიანია“.

ხედვა და აღქმა სიტყვით სკენელთა გადამლახველი, სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარდაუდები და ღვთიურია.

„ზეპური“ – სპარსული წარმომავლობის სიტყვაა, მაგრამ ქართულში დამკვიდრდა სწორედ ღვთივრჩეულობის, მადლმოსილების, სულიერი პურის საზრისის.

ყანის ღონეს, მზიურობას, მინის ძალას ქართველთა მყოფობის განმსახლვრელად მოიაზრებს „ოდოჟლერი“.

ერთქმნილა მადლი სიტყვისა და ღონე ყანისა.

სამშაბათს, 3 აპრილს  
 ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“  
 დარბაზში გაიმართება  
**მერი ტიტვინიძის**  
 საჯარო ლექცია

**„პირანდელო და უნამუნო  
 (თეატრი თეატრში)“**

დასაწყისი 14 საათზე  
 ჩუბინაშვილის №41

ქეთევან გონაშვილი

## რა რჩება იზისაბან?

„იგი“ ჯემალ ქარჩხაძის ერთ-ერთი მოთხრობაა, რომელიც ბევრ საფიქრალს გაუჩინებს მკითხველს.

ადამიანი ღმერთის მიერ სიტყვით შექმნილი სამყაროს გვირგვინია და ყველაზე უკეთ შეიგრძნობს სიტყვის ძალას; უხილავ და ხილულ საგნებს შეიმეცნებს სიტყვის საშუალებით და ექმნება განწყობა ამა თუ იმ მოვლენისა თუ საგნის მიმართ. ფაქტობრივად, ადამიანის ხორციელ და სულიერ ბუნებაში ადამიანის შექმნიდან დღემდე დიდი ცვლილებები არ მომხდარა. ახლა დაბადებული ბავშვები არსებითად არაფრით არ განსხვავდებიან საუკუნეების წინ დაბადებული ბავშვებისაგან, მაგრამ ცივილიზაცია ახდენს გავლენას და ბევრად სწრაფად და ადრეულ ასაკში ხერხდება ინფორმაციულად შეისწავლოს ადამიანმა სამყარო. თუმცა ძნელი სათქმელია, რომელია უკეთესი. პირველყოფილი, განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ადამიანის აღქმული, შემეცნებული თუ ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის შეგრძნობილი სამყარო? ვფიქრობ, ერთმანეთს არც კი უნდა დავუპირისპიროთ ეს ორი რამ, რადგან გიორგი ლეონიძის თქმისა არ იყოს, ყოველი თავისი დროის სილამაზით არის სავსე.

ადამიანი არის შემოქმედი, მეტყველების უნარი ადამიანს აძლევს შესაძლებლობას, სიტყვებით გამოხატოს სათქმელი, რადგან ადამიანს აქვს სათქმელი. სათქმელი არის სადღაც, ვილაცისთვის და რალაცნაირად. სიტყვები ჩნდება ადამიანის სულში, რომელიც ავსებს სხეულს, პროცესი ამ ყველაფრის ფორმირებისა ამგვარია იგივე:

„ახლა უცნობ სიტყვებს იოლად და სწრაფად ალაგებს, სიტყვები გამწკრივდებიან და ისე მიუყვებიან მათთვის მიჩენილ გზას, როგორც ნადირი მიუყვება გაკვალულ ბილიკს წყაროსკენ.“

სიტყვები არის რალაცის ცოდნა და რალაც არცოდნა. არცოდნა იგის აკვირვებს და ეს გაკვირვება იქცევა ცოდნად. „იგიმ არ იცის რატომ არასოდეს ილვიძებს დიდი დაძინებით დაძინებული, მაგრამ იცის, რომ არასოდეს ილვიძებს, რაკი უკან დაბრუნებული არავინ უნახავს.“ არცოდნა რალაცისა უდრის ცოდნას. კითხულობს იგი საკუთარ სხეულში გაჩენილ სიტყვებს: „რატომ ადის დამარცხებული ბელადი დიდი დაძინების ქარაფზე?“ პასუხი იქვეა: „იმიტომ რომ დამარცხებული ბელადი მაინც ბელადია, მაგრამ რაკი დამარცხდა, ბელადი აღარაა, ხოლო როცა ბელადია და თან ბელადი აღარაა, ეტყობა რალაც ირღვევა, რისი დარღვევაც არ შეიძლება. ამიტომ ადის.“

უცნობი სიტყვები, რომლებიც იგიში გაჩნდა და მათზე ფიქრმაც დაღალა, რალაც სასიამოვნოს და თან ძალიან მტკივნეულ განცდას იწვევს იგიში. რა არის ეს განცდა?

იგი მიაცილებდა დამარცხებულ ბელადს დიდი დაძინების ქარაფისკენ და ფიქრობდა, აინტერესებდა, მოიხე-

დავდა თუ არა უკან ძველი ბელადი, მაგრამ მოსახედი ალბათ არაფერი ჰქონდა. წვიმდა და იგი თვალს ადევნებდა ბელადის მიერ დატოვებულ ნაკვალევს, რომელიც ციური ცრემლით ივსებოდა, ფიქრობდა ნაკვალევზე... და გაჩნდა იგიში სიტყვები: „კვალი ხომ ძველი ბელადის ფეხისა იყო; როგორღა დარჩა? თუკი ბელადის ფეხი ბელადთან ერთად გაქრა, რატომ კვალი არ გაქრა ფეხთან ერთად? ნუ-თუ კაცი რომ დიდი დაძინებით იძინებს, მთლიანად არ ქრება?“ ეს გაკვირვება იყო, რომელმაც მთელ სხეულში დაუარა იგის. შეხედა თავის მოძმეებს და დაინახა, როგორ დასთრევდათ ხელები მიწაზე მოხრილობისგან, ყველაზე უფრო კი – ბელადს; ე.ი. თვითონ წელში გამართულა, გაშლილა. კვლავ აწრიალდა იგი... იგი უნდა მოხრილიყო... ტანში ცივმა შიშმა დაუარა. იგრძნო მარტოობის სუნი, წუხილი შევიდა მასში. მოიხარა... ეტკინა... ისე დააყვირა ამ ტკივილმა, რომ ყველამ მისკენ მოიხედა. მიუხედავად მცდელობისა, იგის მოხრა აღარ შეუძლია, მასში წუხილია. მას უკვე სიტყვებით დაერქვა სახელი. და თქვა იგივე: „იგის მაინც ტკივილი ურჩევნია წუხილს!“ ერჩია ტკივილი, რადგან იცოდა, რა იყო. წუხილისთვის კი არ იცოდა, რა მოეხერხებინა. არადა, ღრღინდა მის სხეულს წუხილი. ეს ტანჯვა გაშლის იგის, კი არ ანადგურებს, არამედ ზრდის, განასხვავებს სხვებისგან. ადამიანი-პიროვნება, ანუ ინდივიდუალობის ნიშნით აღბეჭდილი ადამიანი არის ძალა, რომელიც წინ აღუდგება მასას. იგი ასრულებს გარკვეულწილად იმ დამშლელი მექანიზმის როლს, რომელმაც ე.წ. „წესრიგი“ უნდა დაარღვიოს, „უნესრიგობა“ შეიტანოს, რომ კვლავ „წესრიგი“ დამყარდეს. აზროვნების განვითარება სწორედ დაშლისა და შემდეგ შეერთების, გამთლიანებისკენ მისწრაფებაა. ყოველი სრული ნაწილი ხდება მთელის განუყოფელი ისევე, როგორც ხდება იგის სხეულში სიტყვების დაწყობა-დალაგების დროს აზრის სილამაზის შეგრძნება „სინტაქსური თანმიმდევრობით გამთლიანებული სიტყვებისა“.

იგიმ ისწავლა ღიმილი... იგიში შედიოდა სიტყვების კორიანტელი, ისინი ერთმანეთს „ანყდებოდნენ, იმსხვრეოდნენ და ნამსხვრეები უნესრიგოდ ირეოდნენ ერთმანეთში!“

სიტყვები გრძობიერად არსებობენ ადამიანის სხეულში, წამის დაჭერაა საჭირო, რომ აღმოაჩინო სიტყვა, შეიგრძნო, გაითავისო. სიტყვების ღვთაებრივი ბუნება განა არ არის ის, რომ იგი მარადალმოჩენადი და მარადგანახლებადია? ჩვენში უნდა შემოვუშვათ სიტყვებად გაცხადებული არსნი და გავასაგნოთ შემოქმედებითი უნარით. ეს უნარი შეაძლებინებს იგის გამოდევნოს მის სხეულში მყოფი დამახინჯებული ნი, „თუმცა ენის მიმართება მხატვრობასთან უსასრულოა, არა იმიტომ, რომ სიტყვა არასრულყოფილად და არასაკმარისად გამოხატავს ხილულს, არამედ სიტყვა და რეალობა ერთმანეთზე არ დაიყვანება, რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ იმის შესახებ, რასაც ხატავენ, სინამდვილე ვერასოდეს ჩაეტევა თქმულში, რამდენსაც არ უნდა იყენებდნენ სახეებს, მეტაფორებს, შედარებებს, ნათქვამის ნათელსაყოფად, ადგილი, სადაც ხილული და უხილავი ვითარდება, იქნება თუ არა თვალისთვის სახილველი სივრცე, არამედ ის სივრცე, რომელიც განსაზღვრულია სინტაქსური თანმიმდევრობით.“

ამიტომ ალაგებს იგი სიტყვებს... ზოგი დანყოფინს დროს შემოემსხვრევა, ზოგიც ახალ ცოდნად იქცევა და მარად მოისწრაფის იგი, ამიტომაც ფიქრი უფრო მოსწონს იგის. ფიქრი ნიზე უფრო ღირებული და მნიშვნელოვანია მისთვის, ვიდრე ხორციელი კავშირი ნისთან, რომლის დროსაც თბილი სუნი ქალურ მჭახე სუნად იქცევა. ცდილობს ფიქრში გაალამაზოს ნი, მაგრამ ვეღარ შეძლებს. ამიტომ სხეულიდან გამოდევნის შემოქმედების უნარით, ხატავს სილაზე, თითი არ არის ნი, მაგრამ თითმა დახატა ის! დაკვირვება კვლავ ცოდნად იქცევა.

იგი ეწირება პიროვნულობისკენ სწრაფვას. იგი არ ჰგავს სხვებს. ამიტომ იგი საშიშია ყველასთვის, განსაკუთრებით კი წელში ყველაზე მოხრილი ბელადისთვის. ზოგჯერ ცნობიერად და ზოგჯერ გაუცნობიერებლად თუ დაიწყება ჭიდილი ადამიანში იმისა, რომ შეგანუხებს განსხვავებულობა, რადგან არ იცი, კარგია თუ ცუდი, მაგრამ ვეღარ შეძლებს უკან მობრუნებას, ვეღარ დაემსგავსები მასას, გაშინებს, მაგრამ იმარჯვებ შიშზე და წელგამართული მიდიხარ წინ, თუმცა შეიძლება არც იცი სად, მაგრამ ინტუიციით, წინათგრძნობით, საკუთარ თავში, სულის სიღრმეში მიდიხარ და დგება „მზიანი ღამე“, შეცნობილი შეუცნობლობის ნიაღში იკარგები.

თავისი განსხვავებულობის გამო უნდა ავიდეს იგი დიდი დაძინების ქარაფზე და ფიქრობს, რა დარჩება მისგან?

ქარაფის წვერზე იგი გამართული დგას და მიხვდა, რა დარჩებოდა იგისგან. მას აქვს უკან მოსახედი (რაც არ ჰქონდა ბელადს). ერთხელ მოუნდება მოხედვა, გამომშვიდობება ყველაფერთან და იმის შეგრძნება, რომ იქ მისი წარუშლელი უხილავი კვალი რჩება.

მან დაინახა წელში გამართული ზუ იდგა თანამოდმეებს შორის, მთელი ტომი სხეულით შეიგრძნო, როგორც გრძნობდა საკუთარ სხეულში ჰორიზონტს, მზეს, ცას, ზღვას. ამ ფიქრმა იგი ბედნიერი გახადა და როცა ფეხქვეშ მინა ვეღარ იგრძნო, იფიქრა თავის სხეულში იგი: „იგისგან სწორედ ის დარჩა, რაც იგიში იგი იყო“.

ბოლო წინადადება ნაწარმოების სათაურის გახსნაა, იგი ეძებდა თავის საუკეთესო

„მე-ს“, ზე-„მეს“-ს იდეა რჩება იგისი ტომში და ეს უკვე ბევრს ნიშნავს.

ადამიანის მოვალეობაა დატოვოს კვალი განათებულში. ზუ დარჩა ნათელ წერტილად, რაც არის იმის შესაძლებლობა, რომ დანარჩენებში შევიდეს ცოდნისმომტანი ნუხილი, ტანჯვა, ტკივილი. ერთეულებისთვის პიროვნულობისკენ სწრაფვა სიკვდილით მთავრდება, თუმცა გამართლებულია ზოგჯერ ასეთი მსხვერპლი, თითქოს აუცილებლობაა, ამის დასტურია სპექტაკლ „ძმებში“ ნათქვამი ფრაზა: „აღბათ, ჩვენ იმიტომ ვართ ცუდად, რომ მთელი საქართველო იყოს კარგად“.

დაუპინძარი სახელები

ლელა ოჩიაური

წნარ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემიძლია

ესმა ოჩიანი. მხატვარი. პოეტი. ხელოვნების კრიტიკოსი. ყოველმხრივ გამორჩეული შემოქმედი და, უპირველესად, პიროვნება. იგი 1999 წლის 31 იანვარს, 60 წლისა, მოულოდნელად გარდაიცვალა.

მისი პერსონალური გამოფენა, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, ათასობით ადამიანმა ნახა.

ინტერესი ესმა ოჩიანის შემოქმედების მიმართ ბუნებრივია, რადგან მას აქვს ის მიზიდულობის ძალა, რომელსაც ვერაფერს აკლებს ვერც დრო, ვერც მანძილი, ვერც განშორება. პირიქით, რაც უფრო გადის წლები, რაც უფრო დიდია დისტანცია, მეტად აფასებ და აცნობიერებ მხატვრის მემკვიდრეობის ჭეშმარიტ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

2005 წელს ირინე ოჩიანმა გამოსცა უნიკალური ალბომი, რომელშიც შევიდა ესმას ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები, ლექსები, ჩანაწერები, ესეები. გამოფენებიც სწორედ ირინე ოჩიანის უშუალო ძალისხმევით ეწყობა. ექ-

სპოზიციის ავტორი (ესმა ოჩიანის სახელოსნოში მუდმივმოქმედი ექსპოზიციის) ყოველთვის მხატვარი გოგი წერეთელია.

მიუხედავად იმისა, რომ ესმა ოჩიანი, 1962 წლიდან მონაწილეობდა ჯგუფურ გამოფენებში, მისი ნამუშევრები არაერთი პრემიითა თუ მედლით დაჯილდოვდა, მხატვრის პირველი პერსონალური გამოფენა მხოლოდ 2000 წელს გაიმართა, გარდაცვალებიდან ერთი წლისთავზე. იმავე წელს, სახელმწიფო პრემიის მინიჭებასთან (ასევე, გარდაცვალების შემდეგ) დაკავშირებით, მეორე პერსონალური მოენყო, 2002-ში – მესამე. ყველაფერი ესმა ოჩიანის „შემდეგ“, მის გარეშე, მაგრამ საოცარი ისაა, რომ „მასთან ერთად“.

ესმა ოჩიანმა გარდაცვალების შემდეგ შეძლო ის, რაც ბევრ ცოცხალ მხატვარსაც არ ძალუძს. მაგრამ ფაქტია, რომ მას ნამდვილი დაფასება, სახელი და, ვიტყვოდი, დიდება (ისევე, როგორც არაერთ დიდ მხატვარს) მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ და ისიც დის, ირინე ოჩიანისა და ერთგული მეგობრების ხელშეწყობით ხვდა წილად.

როდესაც ესმა ოჩიანის ნამუშევრებს უყურებ და მის ლექსებსა თუ ჩანაწერებს ეცნობი, გიჩნდება შეგრძნება, რომ მათი ავტორი ცოცხალია. ისინი არ ატარებენ სიკვდილის დამლას (რაც თავისთავად ჩნდება, როდესაც ადამიანი ამქვეყნად აღარაა). პირიქით, ისინი სიცოცხლის სურვილს აღვივებენ, რადგან ნამუშევრებში ცხოვრების სიყვარულის ინტენსივობა ძალიან ძლიერია.

ეს საოცარი სამყარო, გაჯერებული ესმას მახასიათებელი ინტენსიური, მდიდრული, მრავალი ტონალობის მენამულით, ოქროსფერით და, როგორი უცნაურიც უნდა

იყოს, „თბილი“, „მანათობელი“ შავი ფერის, ფაქტურის, ხერხთა მრავალგვარობითა თუ მკაფიოდ გამოკვეთილი სტილით – ორგანული, ლირიკული, სრულიად გულწრფელი და ყოველგვარ ყალბ ეფექტურობას, ზედაპირულობას (რამაც თანამედროვე ქართული მხატვრობა აქტიურად მოიცვა), ოსტატობით თამაშს სრულიად მოკლებულია. ესაა „ფერწერა – ერთბაში ყველაზე! აი, რა ყოფილა მისი უდიდესი თვისება“ (ესმა ონიანი „მუსიკის, პოეზიისა და ფერწერის“ შესახებ).

იშვიათია შემოქმედი, ვისი ნამუშევრებიც ასეთი ინტენსიობით იყოს აღსაყვებელი სიყვარულითა და სითბოთი, სიკეთითა და გაუნელებელი ინტერესით ადამიანების, გარემომცველი სამყაროს, მისი შემადგენელი ყოველი ობიექტის მიმართ.

იგი ადამიანებში ხედავდა იმას, რაც სხვისთვის შეიძლება დაფარულიც კი იყოს. ხედავდა საუკეთესოსა და რაც გვიზიდავს, ამოუცნობს. ეს სამყარო მშვენიერია, მომხიბლავია, რადგან ესმა ონიანს – მხატვარსა და პოეტს – შეიძლო ცხოვრების სილამაზის შეგრძნება და სხვაც ამ საოცარი, ზოგჯერ სევდიანი, ღრმა სულიერებითა და სიკეთით აღსაყვებელი, ნათლითმოსილი სინამდვილის მონაწილე გაეხადა.

ჭვრეტის, აღმოჩენის, ცხოვრების ყოფითი რეალობის მხატვრულ რეალობად, სურათად, პოეზიად, მუსიკად გადაქცევის ასეთი საოცარი და ამგვარი შეგრძნებებით ცხოვრების უნარი ძალიან ცოტას აქვს. სამყარო მხოლოდ მაშინ ხდება მშვენიერი, როდესაც ასეთად ადამიანები აღიქვამენ, ის ისეთია, როგორსაც ჩვენ ვხედავთ.

აღბათ ამიტომაცაა, რომ ესმა ონიანი ხშირად უბრუნდება ერთსა და იმავე ადამიანებს, მათ, ვინც განსაკუთრებით უყვარს და მოსწონს. მაგრამ ეს დამოკიდებულება არაა მხოლოდ გარეგნული ნიშნებით ესთეტიკური ტკობის გამოხატულება (თუმცა, ბუნებით ესთეტი, ვერ რჩება გულგრილი ასახული პიროვნების, ობიექტის ფაქტურის მიმართ და ვიზუალურ მხარესაც მნიშვნელობას ანიჭებს), არამედ მთავარი და განმსაზღვრელი შინაგან სამყაროში ნედომისა და იმ ახალი, მომხიბლავი ნიშნების აღმოჩენის ნიჭი და სურვილია, რასაც მუდამ მაძიებელი მხატვარი განუწყურვლად ატარებს.

აღბათ ამიტომაცაა, რომ მისი პორტრეტებისა თუ კომპოზიციების გალერეაში, მის ნატურმორტებსა თუ ჩანახატებში ახალი სახეები, ახალი ობიექტები, ახალი სივრცეები იშლება და ავტორიც თამამად და უშფოთველად მიგვიძღვის ახალი სამყაროს, გზების აღმოსაჩენად.

თუ მხატვარზე იტყვიან, რომ ფერმწერია, ეს ნამდვილ მხატვარს ნიშნავს. ესმა ონიანი ჭეშმარიტი ფერმწერი იყო და, ამავე დროს, კოლორისტი. ჰქონდა კიდევ ერთი და ასევე ღირებული თვისება – ფერის საოცარი, თავისთავადი და სრულიად მისეული გრძნობა.

თუ ფერმწერი პორტრეტისტიცაა, მისი ფასეულობა კიდევ უფრო იზრდება. თუ ინდივიდუალობით გამორჩეული ხელწერა აქვს, მას უკვე მნიშვნელოვნად შეუძლია უკან ჩამოიტოვოს თითოეული ნიშნით დაჯილდოებული ესა თუ ის ხელოვანი. თუ ამას გრაფიკული ხაზის, მტრისხის, მასალის ფლობის მოხდენილ უნარს მივუმატებთ, ფაქტურის გადმოცემის მხოლოდ მისეულ მანერას და ა.შ. შედეგად მივიღებთ ხელოვანს, რომელიც სახვითი ხელოვ-

ნების ნებისმიერ მიმართულებასა და მთლიანობაში გამორჩეულად ძლიერია. და მას მხატვარი, შემოქმედი ჰქვია, ამ განსაზღვრების ყველაზე მთავარი და არსობრივი მნიშვნელობით.

ესმა ონიანის მიერ შექმნილი ფერწერული პორტრეტები თუ პორტრეტთა სერიები – „გურამ რჩეულიშვილი“, „სალომე ბოლქვაძე“, „მანანა გედევანიშვილი“, „ირინე ონიანი“, „ჯანრი კაშია“, „ოთარ იოსელიანი“, „გოგა შხვაცაბაია“, „მამა“, „დავით კაკაბაძე“, „მანანა კოვირიძე“, „დედა შალით“, „თამარ მამულაშვილი“ და მრავალი სხვა; კომპოზიციები (რომლებიც პორტრეტებსა თუ სხვადასხვა უანრულ ელემენტს აერთიანებს) – „დედა ცხვირსახოცზე აპკურებს სუნამოს“, „ქართველები“, „ჩემი და ხატავს“, „მამა ბოლო ხანებში“, „აივანზე“, „სტუმრად ზაქარია კიკნაძესთან“, „ფერწერის სენსი – მანანა“, „დღის მეორე ნახევარში“, „სუფრასთან“, „მოხუცი“; პეიზაჟები, ქალაქის ხედები თუ ოთახები, ნატურმორტები ყვავილებით და მრავალრიცხოვანი ეტიუდები – რთული მხატვრული ამოცანების, ფერის, ფაქტურის, მასალის შესაძლებლობათა ძიებისა და უწყვეტი აღმოჩენების პროცესის შედეგია. თითოეული მათგანი ცალ-ცალკე და ყველაფერი ერთად საოცარი მთლიანობის, მონოლითურობისა და თავისუფალი შემოქმედებითი აზროვნების უტყუარ შთაბეჭდილებას ქმნის.

ეს არამინიერი სამყარო შინაგანადაა გასხივოსნებული და საოცარ ენერგეტიკას ატარებს. ფერწერა და გრაფიკა, პორტრეტები, კომპოზიციები, ჩანახატები ერთნაირი ზემოქმედებისაა. ნამდვილი მხატვრობა, ძლიერი, დახვეწილი მანერა და თავისთავადი სტილი მომწუსხავად მოქმედებს მნახველზე და ნანახთან კვლავ და კვლავ მიბრუნების სურვილს ბადებს.

ნამუშევრებში ათასობით კაჟკაჟა და მიმალული ვარსკვლავი და მზე ანათებს, ისევე, როგორც მის ერთ-ერთ ლექსშია: „ეს იმ ვარსკვლავის ცეცხლია – უსურვილოსი, გულმშვიდად ცივის, უდრტვინველად, მომაკვდინებელ-შეუსმენლად გამოვრცობადის. აქ მზედ იქცევა ქედებზე და ქლიავების ლურჯ სიტკობში, მწვანედ მრეკავი ზღმარტლის ზარებს ლპობის ფერით ჩამოამნიფებს. აქ მზედ იქცევა, მზედ სახეობს, ახლობლურად, მშობლიურად ჩავგვისმინება...“

ესმა ონიანის ფერწერული ტილოები დღესასწაულის განწყობას ქმნიან, რომლის სურნელიც, შეგრძნებაც მოაქვს ქარს, მუსიკას (რომელიც ძალიან უყვარდა), ლექსებს, ფერებს, ვარსკვლავებს და მზეებს და ყოფის ამოების, ადამიანის მარტოსულობისა თუ გარესამყაროსთან შეუთავსებლობის, იმედგაცრუებათა თუ სევდის, შეუმდგარი შეხვედრებისა თუ განშორებების ტკივილისგან გვათავისუფლებს, ჯადოსნური შუქით ანათებს და ყველაფერს ათბობს.

მრავალმხრივი ინტერესები, უნარები და ნიჭი ახასიათებდა ესმა ონიანის პიროვნებას, ცხოვრებასა და შემოქმედებას. მისი ფერწერა და პოეზია ერთმანეთისგან თითქოს განუყრელია, თითქოს ერთი და იგივეა, რაღაც თვალსაზრისით, თითქოს ორი სხვადასხვა პიროვნების შექმნილია, იმდენად მრავალფეროვანი და თავისთავადია, მაგრამ, ამავე დროს, საცხებით იდენტურია დამოკიდებულებებში სამყაროს, ადამიანების, მოვლენების მიმართ. ოღონდ ერთ შემთხვევაში მხატვარი გრძნობების გადმო-

საცემად ფერსა და საღებავს იყენებს, მეორე შემთხვევაში – სიტყვას.

თუ პოეზია უფრო მეტ სევდას, ტკივილსა თუ ლირიკულ ინტონაციებს ატარებს, თუ მასში უფრო ძლიერია ფილოსოფიური საფუძველი და მისი იარაღი სიტყვის მიღმა შეფარული გრძნობაა, ინტონაციური გამომსახველობის თავისებურებით, ფერწერა – ესაა მომავადობელი, ცოცხალი და საოცარი შინაგანი ენერგეტიკის მატარებელი სულიერების ვიზუალური ხატი, სადაც სივრცე უამრავი დაპირებითაა დასერილი, როგორც მანათობელი კომედიებით, როგორც მრავალი მზითა და ვარსკვლავებით, იდუმალი ელვარებითა და აქტიურად მთრთოლვარე სხივებით გაცისკროვნებული.

დღეს არავინ კამათობს, თუ სად იყო ესმა ონიანი უფრო ძლიერი – მხატვრობასა თუ პოეზიაში. ყველა აღიარებს, რომ ორივეში თანაბრად ძლიერი იყო, მაგრამ ის, რაც მხატვარმა სახვით ხელოვნებაში შეძლო, ცოტამ თუ გაიმეორა. აქ ისეთი კანონები მოქმედებს, რასაც სხვასთან (სხვაგან) ვერ შეხვდებით, რასაც ვერავინ შეძლებს, რადგან ისინი ესმა ონიანის შექმნილია. უფრო ზუსტად, მისი პიროვნების განუყოფელი ნაწილია, შიგნიდან, სულის სიღრმე-დან გამომდინარე და, ამდენად, სავსებით არაორდინარული. ისეთია, როგორც უნდა იყოს საერთოდ ნამდვილი მხატვრობა – გულწრფელი, ლალი, თამამი და ახალი.

ეს მრავალბუნებოვნება, მრავლისმომცველობა, ისევე, როგორც მისი ფიზიკური და სულიერი სილამაზე, ისევე, როგორც ერთდროულად სიხარულისა და სევდის გრძნობა, ესმა ონიანთან კავშირში, დღეს განუყრელია. ტკივილისმომგვრელია, რომ იგი აღარაა ამქვეყნად, მაგრამ სიხარულს გვანიჭებს იმის გაცნადა, რომ იგი არსებობდა.

ნოდარ ნათაძემ ესმა ონიანს „დედოფლად დაბადებული“ უწოდა და როდესაც მის ფოტოპორტრეტებს უყურებ, ამ სიტყვების ჭეშმარიტებაში რწმუნდები. გამორჩეულ მხატვარსა და პოეტს გამორჩეული, უჩვეულოდ მდიდრული, დიდებული სილამაზე ჰქონდა, რაც საოცარ ჰარმონიაში იყო მის შინაგან სამყაროსა და ამ სამყაროს გამოხატულებასთან – შემოქმედებასთან.

ერთ ლექსში ესმა ონიანი წერს: „როცა დედოფალი ვიყავი, შუბლზე თვალი მესვა მბრწყინავი, მკერდზე ფეხებამდე დამცემდა ოქრო-ნაქსოვის მდინარე“. ოქრო-ნაქსოვის მდინარეშია გახვეული მთელი მისი შემოქმედება და სახელი, როგორც „ვარ-დის სუნი, ოქროს-ფერი სა-ქართველო...“

მათ შორის, ვინც ესმა ონიანის პიროვნებასა და მხატვრობას უკავშირდება, შეუძლებელია მაშინვე არ გაიხსენო კინგა ნეტმან-მულტანოვსკა, საქართველოში პოლონეთის ელჩის, იაცკე მულტანოვსკის მეუღლე, რომელმაც დიდი

ძალისხმევა გასწია ხელოვანის პოპულარიზაციისა და მისი სახელის, შემოქმედების საზოგადოების ფართო წრეების, ქართველებისა (როგორც უცნაურიც უნდა იყოს) თუ უცხოელების წინაშე წარსადგენად. თვითონ ისინი კარგად იცნობენ საქართველოს, ქართულ კულტურას, ეძებენ ქართულ-პოლონური ურთიერთობების ნებისმიერ ნიუანსს და ცდილობენ საქართველოს პოლონური და პოლონეთს ქართული თანამედროვე ხელოვნება გააცნონ.

შემოდგომაზე, ესმა ონიანის სახელოსნოში პოლონეთისა და საფრანგეთის საელჩოებმა და ალექსანდრე დიუმას სახელობის ფრანგული კულტურის ცენტრმა საზოგადოება მხატვრობის, პოეზიისა და მუსიკის საღამოზე მიიწვიეს. სტუმრებს ირინე ონიანი, კინგა ნეტმან-მულტანოვსკა და საფრანგეთის ელჩის მრჩეველი კულტურისა და განათლების დარგში და, ამავე დროს, ცენტრის დირექტორი ფრანსუა ლორანი მასპინძლობდნენ.

ასეთი ქმედება იმის მაგალითად გამოდგება, თუ როგორ შეიძლება სახელმწიფომ, კერძო პირმა თუ სხვადასხვა უწყებამ ხელოვანს მხარდაჭერა (თუ მატერიალური არა, მორალური მაინც) გაუწიოს, ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც ქართველ ხელოვანზე ქართველთაგანაც ცოტა ზრუნავს.

კინგა ნეტმან-მულტანოვსკა მიიჩნევს, რომ ნებისმიერი ადამიანი საელჩოში (სადაც და რა რანგშიც უნდა მოღვაწეობდეს იგი), როდესაც უცხო ქვეყანაში რაიმეს საინტერესოს აღმოაჩენს, უბრალოდ მოვალეა, სხვა უცხოელებსაც გაუზიაროს, და ყოველთვის ახარებს, როდესაც შეუძლია სხვასაც აჩვენოს ის, რამაც

დააინტერესა და მოხიბლა.

„ყოველი ადამიანი უცხო ქვეყანაში თავისი ადგილების, თავისი გრძნობების, სამახსოვრო პატარა კუნძულებს პოულობს, – ამბობს კინგა ნეტმან-მულტანოვსკა, – მე ასეთი ბევრი და სხვადასხვანაირი კუნძული მაქვს აღმოჩენილი, რომლებსაც მოგონებასავით თან წავიღებ. მაგალითად, ასეთია ყოფილი სასტუმრო „ლონდონი“ (სადაც ხშირად დავდივარ, ვათვლიერებ ინტერიერს, კიბეებს... მინდა შევიგრძნო მე-19 საუკუნის თბილისი)... ჩემი მეხსიერების ჩემოდანით წავიღებ იმ ძალას, იმ ენერგიას, რომელიც საქართველოში არსებობს, და წავიღებ ესმას ნამუშევრებს, სადაც ქართული ხასიათი ძალიან კარგად ჩანს. მათი წითელი ფერი ძალიან ცოცხალი და მრავლისმეტყველია და, როგორც მე ქართველებს აღვიქვამ, მათ ბუნებას გამოხატავს...“

... ესმა ონიანი ჩემთვის მართლა აღმოჩენაა და მინდა, რომ სხვათაც გაიცნოს. ესმა ღირსია, რომ მის შესახებ ლაპარაკობდნენ და იცნობდნენ“.

ამ აღმოჩენის ისტორიას პოლონეთის ელჩის მეუღლე ასე იხსენებს:



ესმა ონიანი

„ისევე, როგორც ყველა უცხოელს, რომელიც რომელიმე ქვეყანაში ჩადის და მის გაცნობას იწყებს, მე და ჩემ მეუღლესაც ბუნებრივად გვაინტერესებდა საქართველოს ახლოდან და, რაც შეიძლება, მრავალმხრივ გაცნობა.

ერთხელ წიგნის მალაზიაში შევედით და ესმა ონიანის ალბომი დავინახეთ. ცხადია, მე მაშინ ქართულად არ ვკითხულობდი და ჩემთვის არც სახელი – ესმა ონიანი (რომელიც ინგლისურად ამოვიკითხე), არაფერს ნიშნავდა. ნამუშევრები დავათვალიერეთ და, ღმერთო, რა მშვენიერი მხატვარი მამაკაციაო – ვთქვით. ალბომი შევიძინეთ, შინ გამოვიქეციეთ და დავინწყეთ თვალიერება. გაოცებული ვიყავით, რატომ იყო წიგნში ქალის ფოტო-პორტრეტები.

დავურეკეთ ჩვენს მძღოლს და ვკითხეთ, ესმა ქალის სახელია თუ კაცისო. რა თქმა უნდა, ქალისო, გვითხრა. შემდეგ ისევე მალაზიაში გავიქეციეთ და მხატვრის შესახებ გამოკითხვა დავინწყეთ. უკვე ვიცოდით, რომ ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ გვაინტერესებდა, სად შეიძლება იყოს ნამუშევრების ნახვა, არსებობდა თუ არა მისი სახელოსნო ან მუზეუმი.

გამეცოდნენ, რომ ესმა ონიანის დამოტიანა, შემოიძლია დავუკავშირდეთ და შეგახვედროთო. ჩვენ, ბუნებრივია, გვინდოდა და ლოდინი დავინწყეთ. ერთი კვირის შემდეგ მალაზიიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, სამწუხაროდ, დამ უცხოების და უცხოელების მიღებაზე უარი თქვაო.

თუმცა მოგვიანებით ეს შეხვედრა შედგა და მას შემდეგ ირინა ონიანი და მულტანოვსკების წყვილი განუყრელ მეგობრებად იქცნენ. პოლონეთის ელჩი და მისი მეუღლე მართლაც ბევრს აკეთებენ, რათა ესმა ონიანი ბევრმა გაიცნოს.

როდესაც იაცეკ მულტანოვსკი ელჩად ოფიციალურად დაინიშნა, ირინა ონიანმა მას ესმას ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარი „ყვავილები ყვითელ ფონზე“ (რომელიც იაცეკ მულტანოვსკის თავიდანვე განსაკუთრებით მოეწონა და რომლისგანაც ესმა ონიანის შემოქმედების მიმართ მათი სიყვარული დაიწყო) აჩუქა.

ირინე ონიანის მიერ გამოცემული ესმა ონიანის ნამუშევრებისა და ლექსების უნიკალური ალბომი (სწორედ ის, რომლის წყალობითაც იაცეკ და კინგა მულტანოვსკებმა ესმა ონიანი აღმოაჩინეს), მისი სურვილით, სხვადასხვა ქვეყნის ბიბლიოთეკებს საჩუქრად გადაეცა, მათ შორის პოლონეთის 12 დიდ ბიბლიოთეკაში გაიგზავნა.

ესმა ონიანი კიდევ ერთხელ და დიდი მასშტაბით დაბრუნდა ჩვენთან. მთავარი ისაა, რომ იგი აღარ ეკუთვნის

მხოლოდ ერთ, თუნდაც ყველაზე ახლოებლ ადამიანს, არც საზოგადოების ვინაო წრეს, არც „ესმისტებს“ (რომელთა რაოდენობა სულ უფრო მატულობს), არც მათ, ვინც „დედოფალს“ ყოველთვის ეთაყვანებოდა, არამედ ეკუთვნის ქართულ კულტურას, რომელსაც ესმა ონიანის მსგავსი შემოქმედი არცთუ ბევრი ჰყავს.

ჯერ კიდევ 2000 წელს აღნიშნავდნენ, რომ ესმა ონიანის გამოფენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართული კულტურის სივრცეში. მომდევნო გამოფენებიც იმ უწყვეტი პროცესის გაგრძელებაა, რომელიც მეოცე საუკუნის 60-იან წლებში დაიწყო. რაც დრო

გადის, უფრო და უფრო იკვეთება და მნიშვნელობას იძენს, უფრო და უფრო ფასეული ხდება ის, რაც ესმა ონიანმა გააკეთა, მაშინ, „როდესაც დედოფალი იყო“, რითაც იცხოვრა და რაც თავის ქვეყანას დაუტოვა.

„იქნებ ესაა, საქართველოს რასაც ვუნოდებთ, რაც ქართველებად კიდევ გვაკავებს, გვაკავებს, ასე ქართველებად ჩავიფერფლებით, გულის ნაზი შეცხადებით სიყვარულის ყვირილში კვდება“, – წერს ესმა ონიანი ერთ-ერთ ლექსში.

კითხვაზე, „რატომ წერთ, რა სარგებლობა მოაქვს თქვენს შემოქმედებას?“ – იგი ნაწილობრივ მაინც ხსნის თავისი შემოქმედების საიდუმლოს, როდესაც აღნიშნავს: „პასუხი ამ შეკითხვებზე ჩვენსავე შემოქმედებაში უნდა მოიძიებოდეს, ისე განყენებულ მსჯელობას აზრი არ აქვს და თუ მაინცდამაინც – პასუხი გაცვითილად ჟღერს – ვნერ იმიტომ, რომ სხვანაირად არ შემოიძლია. რაც შეეხება მეორე კითხვას, თუკი მას თითოეული ჩვენგანის მწერლურ მრწამსზე, დანიშნულებაზე მსჯელობის ბიძგად მივიღებთ, მოკლედ ასე ვიტყოდი: იბადება ადამიანი და მასში მარადიულის ხსოვნა, ერთიანობა უსასრულოობასთან ცინცხალია.

... ჩემი შემოქმედებით სწორედ ამას მინდა შევახსენებდე ადამიანებს, შევახსენებდე რაღაც მივინყებულს, ძირეულს, ძალიან ნაცნობ-ჩვეულებრივს; არ ვაძლევდე მის სულს პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავინწყების საშუალებას“.

სწორედ ამ პირველადის, ბედნიერის, კეთილის დავინწყების საშუალებას რომ არ აძლევს ადამიანებს, ამიტომაცაა ესმა ონიანის შემოქმედება ასეთი – საოცრად მიმზიდველი და მშვენიერი, ამიტომაცაა ასეთი ცოცხალი და ნათელი, მოკამკაშე და სულიერი სიმშვიდის, სიმყუდროვისა და ბედნიერების მომტანი.

**კინგსლი ტაფტის პრემიის ახალი ლაურეატი**

პოეტი როდნი ჯონსი დასახელდა კინგსლი ტაფტის კერძო ფონდის პრემიის ლაურეატად. ჯილდო 100 000 დოლარს შეადგენს. ეს ერთ-ერთი უდიდესი ლიტერატურული პრემიაა აშშ-სა და მსოფლიოში. ჯონსი, ალაბამას შტატის მკვიდრი, ამჟამად ასწავლის ინგლისურ ენასა და ლიტერატურას ილინოისის უნივერსიტეტში – იტყობინება გაზეთი „ნიუ იორკ თაიმსი“.

კინგსლი ტაფტის პრემიის ახალ ლაურეატს მიღებული აქვს კრიტიკოსთა ნაციონალური საზოგადოებისა და მწერალ ჰარპერ ლის პრემიები, იყო პულიცერის პრემიის ფინალისტი.

კინგსლი ტაფტის პოეტური პრემიის მინიჭება 1993 წლიდან დაიწყო. გარდა მთავარი ჯილდოსი, ფონდი ერთ-ერთ პოეტურ-დებიუტანტს გადასცემს 10 000 დოლარს. 2007 წელს ეს პრემია ერგო ერიკ მაკპენის სიეტლიდან.

ეს პრემია ერთადერთი „ასიათასიანი“ პოეტური ჯილდო არ გახლავთ აშშ-ში. კიდევ არსებობს უოლეს სტივენსის პრემია, რომელსაც 1994 წლიდან ყოველწლიურად ანიჭებენ. მისი ლაურეატი 2006 წელს გახდა მაიკლ პალმერი, ნიუ-იორკელი პოეტი და მთარგმნელი.

ფრიდრიხ დიურენმატი

## მთვარის დაბნელება

შუაგულ ზამთარში, ახალი წლის წინა დღეებში, სოფელ ფლიოტიგენში, რომელიც იმ მთის ძირშია შეყუჟული, საიდანაც აღმართი ადის მალალმთიანი ფლიოტენბახისკენ, უზარმაზარი „კადილაკი“ შეგრიალდა. ფართო მუცლით გაიკვალა გზა დათოვლილ შუკაში და ზედ გარაჟთან, სახელოსნოს წინ გაჩერდა.

მანქანიდან ძლივს გადმოვიდა კვადრატულტორსიანი ორმეტრიანი გიგანტი უოლტ ლაჩერი, რომელიც „კადილაკთან“ ერთად ჩამოფრინდა ჩარტერული რეისით კანადიდან შვეიცარიაში, კოტენში. ლაჩერი 65 წლისა იყო, ხვეული ჭალარა თმა და აბურდული ჭალარავე წვერი ჰქონდა, რომელშიც აქა-იქ შერჩენოდა შავი ბლუჯები. ბენვის ქურქი და უნტები ეცვა.

– ჯაჭვები მოიტა! – გასძახა გარაჟის პატრონს ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს და თან დასძინა, ვილი გრაბერის შვილი ხომ არა ხარო?

– ჰო, უმცროსი, – მიუგო გაცხელებულმა ხელოსანმა. უფრო იმან გააოცა, რომ უცხოელი გოლიათი ბერნულ დი-ალექტზე ლაპარაკობდა, თანაც ფლიოტენბახური აქცენტით. გრაბერი ოცდაათი წელია, რაც მოკვდა. ის რა, მამამისს იცნობდა?

– ჰო, ველოსიპედებს არ ყიდდა? – უპასუხა ლაჩერმა.

გარაჟის პატრონმა ეჭვით შეხედა.

– საით გაგინევიათ? – ჰკითხა ბოლოს.

– ზევით, მთებში, – თქვა ლაჩერმა.

ზევით ჯაჭვებითაც ვერ ახვალთ, – ნაბურღუნა გარაჟის პატრონმა. – იმ შტერებმა თოვლის საწმენდ მანქანებს ფული არ შეუგროვეს და ახლა ფოსტაც კი აღარ მოსდით.

– მაინც მოიტა ჯაჭვები, – ბრძანა ლაჩერმა. უნტებიან ფეხებს თოვლზე აბაკუნებდა, ვიდრე ხელოსანი ჯაჭვებს უმაგრებდა საბურავებზე. ფული გადაიხადა, „კადილაკში“ ხვნეშით ჩაჯდა და ზევით, მთებისაკენ აიღო გეზი – გაცდა სახელოსნოებს, გარაჟებს, ციგებიანი ბავშვების გუნდს, სოფლის ბოლო სახლები და ეზოები უკან ჩამოიტოვა, თან უკვე გრძნობდა, რომ მანქანა კუდს იქნევდა. როგორც კი სოფელი გაიარა, სვლას უმატა და მანქანის ფრთა ტელეგრაფის ბოძს გაკრა. ბოძმა დაიჭრია და გადატყდა, „კადილაკი“ კი გასწორდა და ისევ დატყეპნილ გზაზე გამოვიდა. აქედან აღმართი იწყებოდა და ზევით, ტყეში მიდიოდა. ერთ-ერთ მოსახვევში მანქანა მოცურდა, ჯაჭვებმაც ვერ უშველა, გზიდან გადავიდა და ღრმად ჩაეფლო ფხვიერ თოვლში.

ლაჩერი მანქანიდან გამოსვლას ცდილობს, – მეტრიანი თოვლი კარს არ აღებინებს. ბოლოს, როგორც იქნა, გადმოდის, მაგრამ წამში წელამდე ეფლობა თოვლში. გზისკენ მიხობავს, ეცემა, ისევ დგება. როგორც იქნა, მყარ ნიადაგს გრძნობს ფეხქვეშ და ქურქიდან თოვლს იბერტყავს.

ჯიუტად მიარღვევს მშრალ თოვლს, ალაგ-ალაგ გზა საერთოდ არა ჩანს. ფიჭვები უზარმაზარ სიმძიმეს მოუხრია, უფორმო თეთრ მასად უქცევია. ლაჩერი თითქოს მყინვარის ნაპრალში მი-აბიჯებს. ცა ვერცხლისფრად ელავს, ნაპერწკლებს აბნევს. ნაიბორძიკებს, ეცემა, ისევ დგება, თოვლში ხელს აფათურებს, ეძებს, რას ნამოკრა ფეხი და გვამს ხედავს. თოვლს გადაბერტყავს, შეან-



ჯღრღვევს: შუშადქცეული თვალებით უყურებს ბერიკაცი დათრთვილული სახითა და გაყინული წვერით. ლაჩერი გვამს თავს ანებებს, გზას განაგრძობს და პატარა მდელოზე გადის – მზე შავი მთის იქით ეშვება და ფიჭვთა კენწეროებზე სისხლისფერი ათინათები ჩნდება, თუმცა ცა ჯერ ისევ ნათელია, მხოლოდ ხეებქვეშ ჩრდილები მუქი ლურჯი გამხდარა. გზა შველმა გადაუჭრა, მას მეორე მიჰყვა. შეშინებული თვალებით უყურებს. ლაჩერი უახლოვდება. ისიც ადგილს წყდება და ტყეში უჩინარდება. შემდეგ თოვლისგან მიწამდე მოხრილი ბუჩქნარი აღემართება წინ – ლაჩერი ბუჩქებს მიარღვევს და უზარმაზარ თოვლის კაცს ემსგავსება. მეორე მხარეს გასული ისევ იბერტყავს თოვლს, მთელი მთა დასდებია თავზე, მხრებზე, ქურქზე... ირგვლივ ყველაფერი იდუმალ ბინდში დაცურავს – თოვლის ქუდები ფიჭვთა კენწეროებზე, ცოტა ხნის წინათ ბრილიანტებივით რომ ელავდნენ, ახლა სწრაფად იძირებიან ჩამუქებულ ცაში. ერთ ადგილას, ფერდობზე, ლაჩერი წონასწორობას კარგავს, ეცემა და ძირს მისრიალებს, მეორე უზარმაზარ ფიჭვს ეჯახება და ხიდან მთელი ზვავი ეცემა თავზე. თითქმის ნახევარ საათს კარგავს, სანამ ისევ შეძლებს წამოდგომა. უკანასკნელ ძალას იკრებს, პირიდან ცხელი ორთქლის ბოლქვები ამოსდის, ირგვლივ სიბნელემ უკვე ყველაფერი შთანთქა, ლაჩერი თითქოს თოვლის კედელს მიარღვევს და უცებ შვებას გრძნობს.

ფიჭვებმა უკან დაიხიეს, ცაზე ვარსკვლავები ანთია, კაბელა თითქმის ზენიტშია, ორიონს კი სანახევროდ ფარავს დაკბილული ქედი. ლაჩერი კარგად ერკვევა ვარსკვლავთ რუკაში. მის წინ სიბნელიდან კლდის ბუნდოვანი სილუეტი ამოტივტივდება, ცის კაბადონით უშველებელია, ხელისცეცებით მიიწევს წინ, კლდეს გარს უვლის და ისევ გაკვალულ გზაზე გადის – აი, ცეცხლი ინთება, ქურჩის ფარანი ანათებს, სამი-ოთხი განათებული ფანჯარაც ჩანს. გზა გაუნმენდიათ და მარილიც კი მოუყრიათ.

ლაჩერი სოფლის სამიკიტნოში შედის, მას „დათვი“ ჰქვია, ვინრო დერეფანს მიუყვება, ალებს კარს, რომელსაც „დარბაზი“ აწერია: პატარ-პატარა ფანჯრების მწკრივის ქვეშ დადგმულ გრძელ მაგიდასთან სოფელელები სხედან, მათ შორისაა მსუქანი პოლიციელი, სამიკიტნოს პატრონი, მოშორებით, კუთხეში, გენერალ გისანის\* სურათი კიდია, ოთხი მუტრუკი კი იასს\*\* თამაშობს.

\* გისანი, ანრი (1874-1960) – გენერალი, შვეიცარიის არმიის მთავარსარდალი II მსოფლიო ომის დროს

\*\* ბანქოს თამაში

ლაჩერი იმ მაგიდასთან მიდის, რომელიც დიდი გუგუ-ლიანი საათის გვერდით დგას, ქურქის გაუხდელად ეშვება სკამზე და, იქ, გზაზე, ფლიოტენბახის ტყეში, გვაში გდი-აო, ამბობს.

– ეგ ბებერი ებიგერია, – ამბობს სამიკიტნოს პატრონი და სიგარას აბოლებს.

ლაჩერი ბოთლ ბეცის\* უკვეთს. დახლში მდგომი გოგო ყოყმანით იყურება გრძელი მაგიდისაკენ. სამიკიტნოს პატრონი, დაბალი, ჩასუქებული, უსაყულო პერანგსა და გახსნილი ჟილეტში ჩაცმული კაცი, დგება და ლაჩერთან მიდის.

ლიტრი ბეცი? მაგდენი არ გამოვა, – მიუგებს, – 200 გრამი, კი ბატონო. ლაჩერი დაჟინებით უცქერს.

– ამას დამიხედე, შლაგინჰაუფენების ზეპუ მიკიტანი გამხდარა! შემთხვევით თემის თავმჯდომარეც ხომ არა ხარ?

– ერთი უყურე, – გაცეცხას ვერ მალავს მიკიტანი, – მიცნობთ?

– ტვინი გაანძრიე, – მიუგებს ლაჩერი.

– ლმერთო, – წამოიძახებს მიკიტანი, – ლოჰერების ვა-უტი არა ხარ?

– ყოველთვის შტერი იყავი, – ამბობს ლაჩერი, – აბა, სადაა შენი ბეცი? ლიტრი, ხომ იცი!

პატრონი გოგოს თავს უქნევს, მასაც ბოთლი მოაქვს და ლაჩერს ჭიქას უვსებს. ლაჩერიც ისე გადაკრავს, რომ ყინულის ლოლუებიან, სველ ქურქს არ იხდის.

– საიდან მოხვედი, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი? – ეკითხება მიკიტანი.

– კანადიდან, – პასუხობს ლაჩერი და ჭიქას ივსებს.

პატრონიმა მეორე სიგარას მოუკიდა.

– კლერის რა გაუკვირდება!

– კლერი ვინლაა?

– ჰა! ცურბრიუგენების კლერი, – მხრებს იჩეჩს მიკიტანი, – აი, ის, მანი დიოუფუმი რომ წაგართვა.

– ჰო, გასაგებია, – ამბობს ლაჩერი და კიდევ ერთხელ ივსებს ჭიქას, – ცურბრიუგენების კლერი ახლა დიოუფუ მანის ცოლია. სულ დამავიწყდა.

– კლერი შენგან ფეხმძიმედ კი იყო, – აგრძელებს მიკიტანი, – მაგრამ მაინც მანის გაყვა.

ლაჩერი წამით გაშეშდა, მერე კიდევ ერთი გადაკრა.

– მერე, რა გამოვიდა? – კითხულობს ბოლოს.

– ბიჭი. ერთი ორმოცისა იქნება ახლა. აგერ, გენერალ გისანის ქვეშ ზის და იასს თამაშობს.

ლაჩერს იქით არც გაუხედავს.

– კანადაში რას აკეთებდი? – ეკითხება მიკიტანი და სიგარიდან ბოლის რგოლებს უშვებს.

– უოლტ ლაჩერი გავხდით.

– ვაუტ ლა-აჩერი, – ჩაფიქრებული მიკიტანი ხმოვნებს აგრძელებს. – უცნაური სახელია.

– იმათებურად რომ წაიკითხო ლოჰერი, ეგრე გამოვა, – უხსნის ლაჩერი.

– აქ რისთვის მოხვედი? – ეკითხება მიკიტანი, თან გრძნობს, როგორ იღვიძებს მასში უნდობლობა და ეჭვი. რატომ, თვითონ ვერ გაუგია.

– თქვენ ისევე აქ იქელებით ნეხვში? – დამცინავად ეუბნება ლაჩერი. შინაურ არაყს წყალივით სვამს და ოფლიც კი არ ასხამს თავის ქურქში.

\* ვაშლის არაყი

– ე-ეჰ, ამ დასაწავაში ხან წვიმს, ხან თოვს, რას იზამ, – ოხრავს სამიკიტნოს პატრონი. – მომენტი გავუშვით ხელიდან, პროგრესს მხარი ვერ ავუბით, და ბევრი ქვემოთ გადასახლდა, აქ კი მხოლოდ სულელები ჩარჩნენ, ვისაც არ ენალელება, მდიდარია თუ ღარიბი. მასაც მაინცდამაინც არ გაუმართლა. იმაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომ დიდი საქმე არაა ბერნის კანტონის ერთ-ერთი ყველაზე მივარდნილი მთის სოფლის თემის თავმჯდომარე იყო, პირად ცხოვრებაშიც ბედი არ სწყალობდა – მისი პირველი ცოლი, ოქსენბლუტების ემი, ვერა და ვერ ორსულდებოდა. ბოლოს ერთმა ექიმმა უშველა, აპენცელიდან, და სემუ გაუჩნდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, ქალისთვის უკვე გვიანი იყო ეგ ამბავი, და მშობიარობას გადაყვა კიდევ. წლის-თავზე ახალგაზრდა მოიყვანა, ფლიოტიგენიდან, მისგან გოგო ჰყავს, ენი, ცოტა ხნის წინათ კონფორმაცია ჰქონდა, დედა სულ 32 წლისაა, თვითონ კი უკვე მოხუცდა, ველარ აუდის იმ ეშმაკის კერძს, სულ თვალი უნდა გეჭიროს.

ლაჩერი კი არაყს სვამს, ვერ გაიგებ, უსმენს მასპინძლის ლაქლაქს თუ არა.

– კანადაში, – მკაცრად შენიშნა მან, – მთელ თქვენს მთის თემებზე მეტი მინა მაქვს, ერთადაც რომ მოკრიბოთ. ურანი, ნავთობი, რკინა. – შემდეგ ჰკითხა: რამდენი დარჩით აქ?

– თექვსმეტი, – მიუგო მიკიტანმა, – დანარჩენები წავიდნენ.

– მასწავლებელი და პოლიციელი სადაურები არიან? – ეკითხება ლაჩერი.

– მასწავლებელი დედაქალაქიდან გამოგვიგზავნეს, პოლიციელი კი კონიგენიდანაა, – ამბობს მიკიტანი. – თან მეტყვევცაა.

– მასწავლებელი და პოლიციელი სათვალავში ჩასაგდებნი არ არიან, – ამბობს ლაჩერი. – ესე იგი, 14 ოჯახი ხართ. 14 მილიონს მოგცემთ.

– 14 მილიონს? – პირი დაალო მიკიტანმა და სიცილი აუვარდა. – მაგდენი სადა გაქვს?

– მეტიც მაქვს, – მკვახედ მოუჭრა ლაჩერმა.

მიკიტანი შეცბა.

– 14 მილიონი? ისე გვაძლევ? – ეკითხება ჩურჩულით.

– არა, – ამბობს ლაჩერი, – დიოუფუ მანის მოკლავთ.

– დიოუფუ მანის? – მიკიტანი ყურებს არ უჯერებს.

– დიოუფუ მანის. – იმეორებს ლაჩერი.

– მოვკლათ? როგორ? – მიკიტანი დაბნეულია. – ის? – არც კი იცის, რა იფიქროს.

– რას მომამტერდი იდიოტივით, – ეუბნება ლაჩერი. – ოდესლაც დავიფიცე, არ შევარჩენ-მეთქი. ახლა ფიცი უნდა შევასრულო.

მიკიტანი ლაჩერს მისჩერებია გადიდებული თვალებით. – გაგიჟდი.

– ვითომ რატომ? – ეცინება ლაჩერს.

– არა, უბრალოდ ზედმეტი დალიე, – გამოსავალი იპოვნა მიკიტანმა და უცებ გააჟრჟოლა.

– ჩემთვის ზედმეტი არასდროს არაა, – ამბობს ლაჩერი და კიდევ ერთ ჭიქა ბეცის სვამს.

– კლერი მანის უკვე მთლად ბებერი ჰყავს, – ეუბნება ჩაფიქრებული მიკიტანი.

– ფიცი ფიცი.

– შენ მართლა სულ გაგიჟდი, ვოუტ ლაჩერი, – დაბეჯითებით აცხადებს მიკიტანი, დგება, თავისთვისაც მოაქვს არაყი და ისევე ჯდება. – საბოლოოდ გაგიფრენია!

– მაგასაც გავწვდები, – იცინის ლაჩერი.  
 – მაინც ვის უხდი სამაგიეროს? – ეკითხება მიკიტანი და ნელ-ნელა ხვდება, რომ ლაჩერი არ ხუმრობს. – კლერის თუ დიოუფუს?  
 ლაჩერი ჩაფიქრებულია.  
 – დამავინყდა, – ამბობს ბოლოს. – მახსოვს, რომ შური უნდა ვიძიო, მახსოვს, დავიფიცე.  
 – ბოდავ რაღაცას. – მიკიტანი გონს ვერ მოსულა.  
 – შეიძლება. – ეთანხმება ლაჩერი.  
 მიკიტანი უხმოდ სვამს.  
 – 30 მილიონი. – ამბობს ბოლოს ყოყმანით.  
 – 14, – მტკიცედ პასუხობს ლაჩერი, თან არაყს სვამს.  
 – თოთხმეტსაც ჭკვიანურს ვერაფერს მოუხერხებთ.  
 – როდის? – ეკითხება მიკიტანი.  
 – 10 დღეში. – მიუგებს ლაჩერი.  
 – ხვალ თემს შევკრებ, – გეგმებს აწყობს მიკიტანი, – მაგრამ პოლიციელი არ გვინდა.  
 – მიდი, იმოქმედე, – ამბობს ლაჩერი.  
 – თემი არ დათანხმდება, – აცხადებს უცებ მიკიტანი. ლაჩერი იცინის.  
 – დათანხმდება. დიოუფუ მანიც დათანხმდება, ვიცნობ მაგ საცოდავს.  
 ლაჩერი დგება.  
 – ბოთლი ოთახში მომიტანონ.  
 – ფრიდა, მეთოთხმეტე ნომერი მოამზადე, – ბრძანებას გასცემს მიკიტანი. გოგო ისარივით მიფრინავს ზევით, ლაჩერი თვალს აყოლებს.  
 – კარგი გოგოა, ბინგუ კობლერის უფროსია, – ამბობს მიკიტანი.  
 – მთავარია, ტანადაა კარგი, – პასუხობს ლაჩერი და ისიც კიბისკენ მიდის.  
 მიკიტანი უკან მიჰყევბა.  
 – ბარგი არა გაქვს? – ეკითხება.  
 – მანქანაშია, – ეუბნება ლაჩერი, – თოვლში გაიჭედა ფლიოტიგენტან, ტყის პირას, გზიდან გადავიდა ფერდობზე. 14 მილიონიც იქაა. ათასიანებით.  
 ოთახში შედიან. ფრიდა ლოგინს შლის. ლაჩერი ქურქს კუთხეში აგდებს, პატარა ფანჯარას აღებს, ოთახში ქარბუქი იჭრება, ის კი სპორტული კოსტიუმის ამარა დგას – მუქი ლურჯი კოსტიუმი აცვია, ორმაგ ყვითელ ზოლებიანი, უნტებსაც იხდის. კარში ახალგაზრდა კაცი გამოჩნდა, მაღალია, მაგრამ თავის ასაკისთვის ცოტა მსუქანი.  
 – ჩემი შვილია, სემუ, თვრამეტისაა, – აცნობს მიკიტანი ლაჩერს.  
 ლაჩერი სპორტულ კოსტიუმსაც იხდის, ქვეშ ისეთივე ნითელი აცვია, ორმაგ ზოლებიანი, მერე ნითელსაც იხდის, შიშველი მიდის ტუალეტის მაგიდასთან, სადაც უკვე დგას ბოთლი და ჭიქა, ბოთლს ხსნის, სვამს, ოთახი კი ამასობაში თოვლით ივსება. ლაჩერი ძალიან ღონიერია, ნავარჯიშევი, ზედმეტი ქონი არსად მოეძევა, მხოლოდ ხშირი თმა, სხეულს რომ უფარავს, გაჭადარავებია. მიკიტანი კარში დგას, გაცოცხლებული სემუ თვალდაჭყეტილი უყურებს, ფრიდას კი თავი დაუხრია და ახალდაგებულ ლოგინზე საბანს შლის.  
 – გაიხადე, – უბრძანებს ლაჩერი, – მე უქალოდ არა ვწვები.  
 – კი, მაგრამ... – როგორც იქნა, ხმას იღებს სემუ.  
 – გადი აქედან! – უყვირის მამა, ოთახიდან გადის და კარს იჯახუნებს. – წამო!

და გრიალით ეშვება კიბეზე.  
 – გამოშტერებულო! – ისევ უყვირის შვილს. – ცხენები შეაბი და ოქსენბლუტების მექსუს უთხარი, თავისი ორიც მოგაშველოს. ვაუტი ლოჰერის მანქანა თოვლიდან უნდა ამოვართოთ. ვერც კი წარმოგიდგენია, რა შანსი შეიძლება გავუშვით ხელიდან. თემს დაიგლეჯ, რომ შენი ძვირფასი ფრიდა ერთი ღამით არ დაუთმე.  
 ოთხი ცხენი საკმარისი აღმოჩნდა, მართალია, ერთს, ოქსენბლუტებისას, ფეხი დაუცდა, ფერდობს მოწყდა და ხმაურით გადაეშვა ფლიოტენბახის ხეობაში, მაგრამ „კადილაკი“ დილით „დათვის“ ეზოში იდგა. ცა კაშკაშაა, მზე ისე ანათებს, რომ თვალს ჭრის. სამიკიტნოში მაგიდას პატრონის ცოლი, მისი ქალიშვილი ენი და წუხანდელი ლამენათევი, გატანჯული ფრიდა უსხედან. რძიან ყავას მიირთმევენ, მიკიტანიც მიდის და ფინჯანს ივსებს. „კიდევ ვინმეს ითხოვს“, ამბობს ფრიდა და პურზე კარაქს ისვამს. დღეს თავისუფალი ხარ, ეუბნება მიკიტანი, შენ მაგივრად ცოლი დადგება დახლში. „მაგრამ ახლა სხვა უნდა“, პასუხობს ფრიდა და კარაქიან პურს კბერს. მიკიტანი რძიან ყავას სვამს. „რომ იცოდეთ, ლოჰერი ახლა თავის თავს ლაჩერს ეძახის, ვოუტ ლაჩერს“, უხსნის ქალებს. ქალები დუმან. „მაინც რა ხდება?“ ეკითხება ბოლოს ცოლი. „შანსი გაჩნდა, ვეებერთელა შანსი“, ყვირის მიკიტანი. დგება, ხმაურით არბის კიბეზე და კარს ხელს კრავს.  
 ფანჯარა დახურულია, ლაჩერი ლორიან ეროკვერცხს ჭამს და უზარმაზარი ფინჯნიდან რძიან ყავას აყოლებს. ცარიელი ბოთლი იქვე უდგას. მანქანა ამოათრიეს, ეუბნება მიკიტანი. მკვდარი სადღაა? – ეკითხება ლაჩერი. ეგეც ამოიტანეს, მოხუცი ებიგერია, პასუხობს მიკიტანი. რატომ აინტერესებს ლაჩერი მკვდრის ამბავი? რა ვიცი, მხრებს იჩჩავს ლაჩერი, გასაღები მანქანაშია?  
 – მთელი ასხმა, – პასუხობს მიკიტანი.  
 საბარგულიც მაგ გასაღებით იღება, – უხსნის ლაჩერი, – ჩემოდანი მომიტანეთ და კიდევ კარგად იცით, რაც მინდა.  
 მიკიტანი ადგილზე ტრიალდება და კიბეზე კისრისტეხით ჩარბის, მანქანას მივარდება და რამდენიმე წამში ძველი ჩემოდნით ხელში ისევ ზევით ადის, ჩემოდანს პატარა ფანჯარასთან მიდგმულ მაგიდაზე დებს, თავსახურს ხდის და ათასიანების ამდენი შეკვრის შემყურე ადგილზევე შეშვდება. რამდენია აქ? – ეკითხება ჩახლექილი ხმით. ზუსტად 14 მილიონი, – ეუბნება ლაჩერი.  
 – ესე იგი, წინასწარ იცოდი ჩვენ შესახებ ყველაფერი, – როგორც იქნა მიხვდა მიკიტანი.  
 – მე ყოველთვის ვიღებ საჭირო ინფორმაციას, ზანტად წელავს სიტყვებს ლაჩერი.  
 მიკიტანი კარს აღებს. „ენი, ენი!“ – თითქმის ათჯერ იძახის განწირული ხმით, სანამ ქვემოთ ენი გამოჩნდებოდეს შიშისაგან გაფართოებული თვალებით. რა იყო? მოხდა რამე? ეკითხება მამას. ამოდი აქ! როცა გოგო კიბეს აათავებს, ლაჩერის ოთახში შეაგდებს ხელის კვრით.  
 – აი, აი, აი, კიდევ, – უყვირის და ფულის შეკვრებს აჩვენებს, – აი ისიც, შანსი, ახლა გაიხადე და დაწექი.  
 ახლახან არ მქონდა კონფირმაცია? – ეწინააღმდეგება ენი. „ე-ე, მორჩი რა!“ – ეუბნება მიკიტანი, ჰინტერკრაპუნების ხრიგუსთან ხომ მოასწარი უკვე გორაობა, დედაშენი კი მაგას კონფირმაციამდეც აკეთებდა. ენი იხდის, მი-

კიტანი კი ლოგინისკენ ზურგით ტრიალდება და ფულს ითვლის. ზურგს უკან ენის შეყვირება ესმის.

ითვლის და ითვლის, თითოეულ შეკვრაში ათი ცალი ათასიანი კუპიურაა, ფანჯრიდან შემოსული მზის სინათლე თვალს ჭრის, მაინც ითვლის, არა ჩერდება, უკან ენის ხვნემა ესმის. ფანჯრის ქვედა ნაწილს მეზობელი სახლის სახურავი ფარავს და შუშა სარკესავით ირეკლავს ყველაფერს – მასში შიშველი ენის მოცეკვავე ზურგი ჩანს, – ხუთასი ათასი უკვე გადავდე, ფიქრობს მიკიტანი, მაგრამ ახლა ზუსტად უნდა გავიგოთ, სულ რამდენია, უკან ლაჩერის უზარმაზარი სხეული მთასავით წამოიშრება, რიტმულად მოძრაობს, როგორც სისხლისა და ხორცისგან შემდგარი მანქანა. მიკიტანი ითვლის და ითვლის, ენი ყვირის, ის კი ითვლის, უფ, ძლივს, მილიონი, კიდევ 13 დარჩა, ყოველი კუპიურა ხელით უნდა მოსინჯოს. ახლა ფრიდა მოიყვანეთ, ბრძანებას გასცემს ლაჩერი. მოდი კიდევ! – ძლივს ითქვამს სულს ენი. დამაცა, მე შენ გაჩვენებ სეირს, იცინის ლაჩერი. ლოგინი ჭრიალებს, ადგილიდან მოცურდება, კედლიდან გამოჩრქდა და ახლა ოთახის შუაგულში დგას, მიკიტანი ფულს ითვლის, მზე უკვე დასავლეთისაკენ გადაინვერა, შუშები ჩაქრა, ორი მილიონიც შესრულდა. მეტი აღარ შემიძლია, ყვირის ენი. ფრიდას დაუძახეთ, – გაჰყვირის მიკიტანი, ენი კი გაიქცეს და ოქსენბლუტების ოიზიც მოიყვანოს. არაყიც მოაყოლეთ, მიაძახებს ლაჩერი. მიკიტანი ფულს თავს არ ანებებს, მის ზურგს უკან კი ყველაფერი თავიდან იწყება, ჯერ ნელა, მერე სულ უფრო და უფრო სწრაფად, თანაც მარტო ფრიდა კი არა, ენიც იქვეა. ოქსენბლუტების ოიზი მოვა? – კითხულობს მიკიტანი და ფულს დასტებს ერთმანეთზე ახვავებს. დედა ნავიდა დასაძახებლად, ამბობს ენი, თან მძიმედ სუნთქავს, ჰაკერების სიუზისაც მოიყვანს, მიკიტანი კი ითვლის და ითვლის, თითები სულ უფრო ძლიერად უკანკალებს, თუ მოეჩვენება, რომ სათვალავი აერია, შეკვრას თავიდან ითვლის. ბევრი დრო გავიდა, ცა ჩამოქდა, მიკიტანმა შუქი აანთო, მის ზურგს უკან კი კარგა ხანია სიჩუმეა – არც კენესა ისმის, არც ხრიალი, არც ჭრაჭუნი, არც მოცეკვავე ზურგები ჩანს, არც ლაჩერის მთასავით სხეული, ის კი სულ ითვლის და ითვლის. უცებ გაშავებულ ფანჯარაში ისევ აცეკვდა შიშველი ზურგი, ოქსენბლუტების ოიზი თუ ჰაკერების სიუზი, რას გაიგებს, ის კი ფულს თვლის, გარეთ უკვე დაღამდა, უკან კი ყვირილი, კენესა და ხვნემა სულ უფრო ძლიერდება.

უცებ მიკიტანი წამოხტა, ზუსტად 14 მილიონია, იყვირა, ზუსტად, კაპიკი არ აკლია, და კიბზე ჩაირბინა – ქვემოთ, დარბაზში, უკვე მთელი თემი შეკრებილიყო. მიკიტანს ოფლი ღვარად ჩამოსდის, ზუსტად 14 მილიონია, თვითონ დავთვალე, ყვირის მღელვარებისაგან მოგუდული ხმით. რალაცას წამოკრა ფეხი და კინალამ თავზე გადავილო კიბის ბოლო საფეხურზე ჩამომჯდარ სამ კაცს, გრძელ მაგიდასთან მიიჭრა, სადაც სოფლის მწერალი ჰეგუ ჰინტერკრაჰენი ზის, დარბაზი სავსეა, ყველა მაგიდას გლეხები უსხედან.

– ოქმი დაენერო? – კითხულობს ჰეგუ.

– გააფრინე? – ეცა მიკიტანი. – რა უნდა დაწერო, – და შვილს მიუბრუნდა, რომელიც გუშინდელივით მანი იოგუსთან, ოქსენბლუტების მექსუსსა და ჰაკერების მიგუსთან იასს თამაშობს:

– პოლიციელის საქმე მოაგვარე?

– ერთი კალათა ნითელი ღვინო წაველე, – ამბობს სემუ, – დათვრა და ახლა სძინავს.

დავინყო? ამბობს ჰერმენლი ცურბრიუგენი, საქმე იმ საფრთხობელას ეხება, ჩემი დის ქმარს, დიოუფუ მანის, პირადად ჰერმენლი მათი ქორწინების წინააღმდეგი იყო, ყველაფერს სჯობს, მანი აქვე, „დათვის“ უკანა ეზოში გაასალონ და სადმე ფლიოტენბახის მიწაში ჩაფლან, 14 მილიონი 14 მილიონია, ახლა კი ვინმე მასწავლებელ ქალთან გაიქცეს, ემანდ, შემთხვევით, მიკიტნის ცოლის სანახავად არ მოვიდეს, აი, თუნდაც მანი იოგუ, მასწავლებელს ის უყვარს, იოგუმ სთხოვოს, ლექსები წაუკითხოს, რომლებსაც ჩვენი მასწავლებელი წერს.

– მართლა, სადაა მასწავლებელი? – კითხულობს მიკიტანი.

– ეკლესიაშია, ორღანზე უკრავს, ერთი-ორი საათი მაინც დარჩება იქ, – ამბობს ოქსენბლუტების რიოუფუ, ოქსენბლუტების მექსუს ძმა.

კარგი, ახლა, მოდით, დავინყოთ, ამბობს მიკიტანი. ჩემი აზრი ასეთია: ჯერ დიოუფუ მანიმ თქვას, ასეა თუ ისე, დემოკრატია გვაქვს.

რა უნდა ვთქვა, ოხრავს მანი, გამხდარი, ოდნავ მხრებში მოხრილი, რალაცნაირი მობრეცილი ხნიერი გლეხი. მასაც სჭირდება ფული, როგორც ყველას ამ სოფელში, მასეთი სულელი კი არ არის, რომ ეგ არ ესმოდეს, თუნდაც სიცოცხლის ფასად დაუჯდეს, ეს სიცოცხლაც უკვე დიდი ხანია ძველებურად აღარ ახარებს, ასე რომ, შეუძლიათ შეიკრიბონ და ბოლო მოულონ, რაც უფრო ჩქარა, მით უკეთესი, თუნდაც ახლავე, როგორც ჰერმენლი ცურბრიუგენმა თქვა. მანი თავის ადგილზე ჯდება. მამაკაცები ჩაფიქრებულები სხედან და უხმოდ წრუპავენ ნითელ ღვინოს.

უკან მიმაქვს ჩემი სიტყვები, აი, „საფრთხობელა“ რომ გინოდე, ამბობს ცურბრიუგენი. მანი პატიოსანი კაცივით მოიქცა, ახლა ისლა დაგვრჩა გადასანყვეტი, ვინ ჩაარტყამს ნაჯახს უკანა ეზოში.

უცებ კიბის თავიდან გოგონას წკრიალა ხმა გაისმა, ვოუტ ლაჩერი ამბობს, ყველაფერი ღამით უნდა მოხდეს, უახლოესი სავსე მთვარის დროს. კიბზე შიშველი დგას ჰინტერკრაჰენების მარიანლი, ვინც ახლოსაა, დამორცხვებული თვალს არიდებს, ის კი უკვე ლაჩერის ოთახში გაუჩინარდა.

– არა უშავს გოგო გყავს, – იკრიჭება მიგუ ჰაკერი და მწერალს თავს უქნევს.

– მოკეტე! – უღრენს მწერალი, თან „ბრისაგოს“ უკიდებს, – ვითომ სხვა არავინ ყოფილა ზევით. სემუ კარტს არიგებს და ამბობს, ჩემ საცოლეს ახლა ძალით ველარ მოგლეჯ ვაუტი ლოჰერს, ლოჰერი ქვია, არაფერი ლაჩერი არ არის. სოფელი სულ გაგიჟდა, ისეთი რამეები ხდება, აქამდე გერმანულ წიგნებში თუ წაიკითხავდი, ან ისეთებში, სურათებიანებში, თამბაქოს კოსკში რომ იყიდება. კარტს ჩახვდავს და რომელღაც მოთამაშეს ეუბნება: შენი სვლაა!

– ესე იგი, სავსე მთვარეს უნდა ველოდოთ, – ამბობს მიკიტანი, – თორემ ახლა რომ მოვკლათ, ჩემ ფეხებს მივიღებთ.

– როდის იქნება სავსე მთვარე? – ჩახლეჩილი ხმით კითხულობს ვილაც ადამ და ევას დროინდელი თეთრთმინი ბერიკაცი, უწვერულია და ისეთი დანაოჭებული სახე აქვს, 100 წლისა მაინც იქნება.

– რა ვიცი, – პასუხობს მიკიტანი, ლოჰერმა ჯერ თქვა – ათ დღეშიო, ახლა ამბობს – სავსე მთვარეო. რას გაიგებ?!

– სავსე მთვარეც კვირას იქნება, ამ კვირას კი არა, შემდეგ კვირას, და ზუსტად 10 დღეც გავა, – ამბობს მოხუცი და ღვინოს სვამს, – ჩვენი საქმე ცუდად იქნება – ვაუტი ლოჰერმა ზუსტად გათვალა, როდის იქნება სავსე მთვარე, თანაც პირველი ახალი წლის შემდეგ, მაგრამ მეც შტერი არა ვარ, ვიცი, რაც ჩაიფიქრა.

ჰერმენლი ცურბრიუგენი დამდურულივით წამოიჭრება ფეხზე. ჩვენც ვიცი, რომ ნობი გაისგრაზერმა ყოველთვის ყველაფერი ყველაზე უკეთ იცის და ყველგან ეშმაკი ელანდება, მაგრამ მას, ჰერმენლის, ეგ ფეხებზე ჰკიდა!

– ფულს ხელსაც არ ვახლებ, – გაჯიუტდა ბერიკაცი, – ათიანსაც არ ავიღებ.

– მით უკეთესი, – სახეში მიახლის ლუდი გაისგრაზერი, მისი ღვიძლი შვილი, რომელიც სამოცდაათისა მაინც იქნება. მას მეტი ერგება, ბერიკაცს კი შეუძლია ჩაძალდეს, რასაც დიდი ხანია უსურვებს მთელ ოჯახს – შვილს და შვილიშვილებს! და რვა გაისგრაზერიანი მაგიდა ერთხმად ყვირის: ჩვენ მეტი დაგვჩრება!

დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვება.

– ახლა მე ვიტყვი, – ეუბნება ბერიკაცი შვილს.

შვილი კი იცინის, სჯობს, გაჩუმდე, თორემ წავალ ობერლოტი – კოფენის პრეფექტთან და ვეტყვი, ვისგან ჰყავს მის დას ორი გონებასუსტი ნაბიჭვარი და ვინ დააორსულა მისი უმცროსი ქალიშვილი; თუ ვინმეა ამ ქვეყნად ცოდვილი, პირველ რიგში ბებერი ძალი ნობი, ჩვენ კი მანის იმიტომ ვკლავთ, რომ მილიონი გვჭირდება.

– კიდევ ვინმეს ხომ არ უნდა რამის თქმა? – კითხულობს მიკიტანი და შუბლიდან ოფლს იწმენდს.

– მოვრჩეთ. – ამბობს მანი და მაგიდებს შორის გზას მიიკვლევს კარისაკენ. – დროებით. – და გარეთ გადის.

სამარისებური სიჩუმე ისადგურებს.

– ვინმე უნდა მიუჩინოთ მანის, რომ არ გაიქცეს, ორი კაცი სჯობს, კიდევ უკეთესი იქნება, თუ დარაჯები ერთმანეთს შეცვლიან, – ამბობს ოქსენბლუტების მექსუ.

ჰო, კარგი იქნება, ეთანხმება მწერალი.

ისევ სამარისებური სიჩუმე.

კიბის თავზე სახეგაბრწყინებული ფრიდა გადმოდგა, ისიც მარიანლისავით შიშველია, და ერთი ბოთლი ბეცი მოითხოვა, თან გაქაფული ცხენით მძიმედ სუნთქავს.

მიკიტანმა უბრძანა სემუს, არაყი მოეტანა და კმაყოფილი სახით ჩამოჯდა შუშებიანი დასაკიდი კარადის ქვეშ, რომელშიც მოჭიდავეთა ფერაინის\* – გაერთიანება) ვერცხლის თასი დგას. ეს ფერაინი დიდი ხანია აღარ არსებობს, ასე რომ, მათი თემის უკანასკნელი მოჭიდავე, ოქსენბლუტების რიოუფუ, ფლიოტიგენელ სპორტსმენებს ეჯიბრება ხოლმე.

ბინგუ კობლერი მეხდაცემულივით უყურებს ფრიდას და ენის ბორძიკით ამბობს: – ეს ხომ ჩემი შვილია?!

სემუ კი გალანტური ჟესტით აწვდის თავის შიშველ საცოლეს ბოთლს, და თემი აპლოდისმენტებით აჯილდოებს – მან ხომ წვლილი შეიტანა საერთო საქმეში. ფრიდა ზევით არბის.

\* გერმ. Verein

ჩამონოლილ სიჩუმეს მხოლოდ რეს შტირერი არღვევს – ნითელცხვირა, მსუქანი, ყასბისხელებიანი გლეხი. იგი ერთ ნერტილს მიშტერებია და ამბობს: ისე უნდა ვქნათ, რომ ყველას უბედური შემთხვევა ეგონოს, – მანი ფიჭვის ძირას დავსვით და ფიჭვი წაეპეცითო.

– ნიფლის ქვეშ, – აიტაცა მწერალმა. – ბლუტლის ტყეში რომაა, ის სჯობს. რამდენი ხანია ეკლესიას ახალ კოჭს შევპირდით სახურავისთვის, ნიფელი კოჭისათვის გამოდგება.

მაშინ წინასწარ უნდა გადავხერხოთ, ნახევრამდე მაინც, ჩაფიქრებული პასუხობს მიკიტანი, თორემ ხათაბალა იქნება.

მაგას მე და მექსუ ვიზამთ, ამბობს ოქსენბლუტების რიოუფუ.

– ნაჯახს ვინ ჩაარტყამს? – კითხულობს კობლერი.

– ყველანი! – გადანყვეტილებას იღებს მიკიტანი და კითხულობს: – აბა, ვინაა თანახმა? ყველა ხელს ნევს ბებერი გაისგრაზერის გარდა.

ნობი პოლიციაში რომ წავიდეს... მაგრამ მიკიტანი აზრის დასრულებასაც კი ვერ ასწრებს. თუ ჯოჯოხეთში მოხვედრა გადაგინყვეტიათ, ხელს არ შეგიშლით, მკვახედ მოუჭრა მოხუცმა.

აი, კიდევ რა, – ამბობს მიკიტანი, – კინალამ დამავინყდა, მოხუცი ებიგერი მერე დავასაფლავოთ, თორემ ხალხი მოგროვდება, ხომ იცით, ებიგერებს ბევრი ნათესავი ჰყავთ ფლიოტიგენში და სხვაგანაც.

– ეგ არაფერი, გვამი ქვასავითაა გაყინული, კუბოშიც ჩავასვენეთ, რათა მელიებმა არ შეჭამონ, – ამბობს ებიგერების ფრიდა.

მიკიტანმა ის-ის იყო დააპირა, სხდომა დახურულად გამოეცხადებინა, რომ კარში მსხვერპლი გამორჩდა და თქვა, კიდევ ერთხელ კარგად მოვიფიქრე ყველაფერიო, თან ნითელუჯრედებიანი ცხვირსახოცით მოინმინდა ცხვირი.

ყველა გაოგნებული, გაყინული სახით მისჩერებია. აქვე უნდა მოვუღოთ ბოლო, – ფიქრობს მიკიტანი, მაგრამ ისიც დადამბლავებულივით გაშემებულა.

მანი აკურატულად კეცავს უზარმაზარ უჯრულა ცხვირსახოცს, ისევ კარში დგას, მაღალი, მოხრილი, გვერდმონგრეული. სავსე მთვარე იქით კვირასაა, მანამდე კი, შაბათს, ობერლოტიკოფენში სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გახსნაა, – ამბობს იგი, – მინდა წავიდე და ჩემს ბიჭებს, იოგუსა და ალექსს, ვურჩიო, რა იყიდონ იმ ფულით, ჩემში რომ აიღებენ. დიდი ხანია ვფიქრობ, ახალი ბოსელი და ტრაქტორი რომ მქონდეს, კარგად იქნებოდა საქმე. მანი ჩუმდება და დარცხვენილი იყურება.

ახალგაზრდა გაისგრაზერი ნერვულად იცინის, ჰერმენლი ცურბრიუგენი კი არაყს გადაკრავს: არ ვიცი, არ ვიცი, ბუტბუტებს იგი. ახლა უკვე მიკიტანმა და მწერალმაც სტაცეს ხელი არაყს. თემის თავმჯდომარე გადანყვეტილებას იღებს:

– შაბათს ყველანი ერთად წავალთ ობერლოტიკოფენში.

წავიდნენ კიდევ. გარიჟრაჟზე გაუდგნენ გზას ფაფუკ თოვლში, მთიდან ფლიოტიგენისაკენ დაემგნენ. დიოუფუ მანი მიკიტან ზეპუ შლაგინჰაუფენსა და რიოუფუ ოქსენბლუტს შორის მიაბიჯებდა, ამ უკანასკნელმა ცოტა ხნის წინათ ბრიენცში მოჭიდავეების შეჯიბრზე ბოლოდან მესამე ადგილი დაიკავა. ფლიოტიგენში ობერლოტიკოფე-

ნის მატარებელში ჩასხდნენ, თან მანი სულ იდაყვებით ჰყავდათ გაჭყლეტილი. ვერსად გაიქცევა, ხვალ სავესე მთვარეა.

სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე უღვაშიანი, მელოტი, პატარა კაცუნა დაატარებთ. ნითელი და მწვანე უჯრედებიანი „მოტლანდიურის“ კოსტიუმი აცვია.

– ბენო ფონ ლაფრიგენი, – გაეცნო მოსულელებს კაცუნა და ქუსლი იატაკს დაჰკრა. – შვეიცარელი გახლავართ, მაგრამ საზღვარგარეთ ვცხოვრობ.

ფონ ლაფრიგენს ისინი ჯერ საზეიმო ღონისძიებებისთვის განკუთვნილ მდინარეზე გაჰყავს, სადაც „მარმარილო“ კვარცხლბეკზე პლასტმასის ძროხა დგას, მის წინ კი სოფლის მუსიკოსების კაპელა უკრავს, შემდეგ ექსპონატებს უჩვენებს – ულტრათანამედროვე ბოსლებს, სადაც უკვე ნამდვილი ძროხები არიან.

ფონ ლაფრიგენი ხელეხს იქნევს, ფლიოტენბახელებს გარშემო იკრებს. დანვრილებით უხსნის, როგორ უნდა მოუარო მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს თანამედროვე მეურნეობაში. რამდენიმე მეთოდი არსებობს: პირუტყვი შეიძლება დაბმული ან აშვებული გყავდეს, აქედან გამომდინარე, ბოსლებიც სხვადასხვანაირი შეიძლება იყოს: უბრალო სადგომებით, სექციებითა და ღია ცის ქვეშ მოწყობილი სადგომებით. გარდა ამისა, ახალი ბოსლის მშენებლობისას ისიც უნდა გაითვალისწინო, რომ იგი სხვა პირუტყვისთვისაც შეიძლება გამოიყენო. ამისთვის ძვირადღირებული რეკონსტრუქცია არ უნდა დაგჭირდეს.

– ეს ვინ ყოფილა, – ბურტყუნებს ჰერმენილი ცურბრიუგენი.

ასე რომ, ფერმერი, რომელიც თავისი მეურნეობის სრულყოფასა და მოდერნიზაციაზე ზრუნავს, უკეთ შეეგუება ბაზრის ცვალებად კონიუნქტურას, აგრძელებს ფონ ლაფრიგენი, თან ჰალსტუხს ისწორებს. ბოსლები, სადაც ძროხები დაბმული ჰყავთ, ყველაზე გავრცელებულია ევროპაში. პირუტყვი რამდენიმე რიგად დგას, ბოსლის სიგანე კი ისე უნდა გაითვალისწინო, რომ შუაში თავისუფლად გაიაროს დამცლელმა მანქანამ, რომელსაც ფურაჟი შემოაქვს და ბაგაში ყრის.

– თვითონ ყრის, – აღფრთოვანებული იმეორებს მანი. – ეგეთი ურიკა მეც უნდა ვიყიდო.

– ბევრს ნუ ლაპარაკობ, – სისინით ცრის კბილებში მის ზურგს უკან მდგომი მისი შვილი იოგუ.

ნაკელის გატანა აქ ხელითაც ხდება და ავტომატურადაც, უხსნის ფონ ლაფრიგენი. სექციული ბოსლები ყველაზე იაფი ჯდება, რადგან პირუტყვი ერთ ან რამდენიმე ბოქსშია მოთავსებული.

– ძროხამ ერთი კუდი რომ ასწიოს, ეს „ფონი“ ნაკელიდან ველარც ამოვა, – ამბობს მიგუ ჰაკერი.

მოსახმარად გამზადებული ნაკელი გაზაფხულსა ან შემოდგომაზე გააქვს ფრონტალურ ტვირთშიდს, ანუ გრეიდერს, წარბს არ იხრის ლაფრიგენი და თოვლივით თეთრი აბრეშუმის ცხვირსახოცით იხოცავს ცხვირს; შრომითი დანახარჯები უმინშენელოა, მხოლოდ ახალი თივა უნდა დაუყარო, პირუტყვი საგანგებოდ გამოყოფილ ბოქსში უნდა მოწველო, სადაც მწველი ძროხები დგანან და მათი მდგომარეობის შესაბამისი კონცენტრაციის საკვებს იღებენ.

– კონცენტრირებული საკვები, ალექს, – ამბობს მანი. – აუცილებლად უნდა შეიძინოთ. – და, მიკიტანსა და ოქ-

სენბლუტების რიოუფუს შორის გაჭყლეტილი, ისევ მისდევის „უცხოელ“ შვეიცარელს.

სექციები ძირითადად სახორცე ჯიშებისთვისაა განკუთვნილი, ამბობს ლაფრიგენი და ყველანი ახალ ბოსელში შეჰყავს. ძროხა ზმუის, ყრუდ ისმის დარტყმის ხმა. ღია ცისქვეშ მოწყობილი მანუჟი პირუტყვის სადგომის ყველაზე მარტივი სახეობაა; მეტეოროლოგიური თვალსაზრისით ყველაზე ხელსაყრელი მხარე ღიაა, ასე რომ, ასეთი ბოსელი ხელს უწყობს პირუტყვის თავისუფლად მისვლას საკვებ ბაგებთან, ეზოში. ისევ ისმის ძროხის ზმუილი და დარტყმის ხმა. დაბმული პირუტყვისთვის განკუთვნილი ბოსელი კი, აი, ასეთი, როგორც ესაა, სიგრძით განიჩქევა – არსებობს გრძელი, საშუალო და მოკლესადგომიანი ბოსლები.

– გთხოვთ, აქეთ მობრძანდით.

ისევ ზმუილი, ისევ დარტყმის ხმა

– ღმერთო ჩემო, ისევ ჩაირთო, – ოხრავს ოქსენბლუტების მექსუ.

ლექცია ბოსელში გრძელდება. ნაკელის გატანის მექანიზებულ საშუალებათა გამო უფრო ხშირად მოკლესადგომიანი ბოსლები გამოიყენება, რომელთა სიგრძე 10-20 სანტიმეტრით აღემატება ცხოველის სხეულის სიგრძეს, უკანა მხრიდან, იატაკიდან ოდნავ დაბლა, სანაგვე ღარი, რომელიც საგანგებო ტრანსპორტით იწმინდება, ან თოკიანი ჯალამბარი ქაჩავს, ან მცირეგაბარიტიანი ერთღერძიანი ტრაქტორი.

– საოცარია, – აღტაცებას ვერ მალავს მანი.

ნაკელის გატანის მეორე მეთოდი ისაა, უხსნის ფონ ლაფრიგენი, რომ პირუტყვის ექსკრემენტებს, რომლებიც იატაკზე დაფენილ თივას, ნახერხსა და საკვების ნარჩენებს შეეერევა, ბიძგებით მიაჩრებენ ჯაჭვიან კონვეიერამდე, რომელიც ნარჩენებს ორმოში ყრის. მაგრამ ბოლო წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება ნაკელის ჩარეცხვით გატანის მეთოდი. ის ნაკლებ შრომატევადია, საერთოდ არ მოითხოვს სადგომში იატაკზე სპეციალურ ფენას. უშუალოდ სადგომს ცხაური ესაზღვრება – „აქეთ, თუ შეიძლება“ – მის ქვეშ კი დრენაჟია მოთავსებული, რომელიც ბოსლის ფარგლებს გარეთ რეზერვუარს უერთდება.

კარგი იქნება, თვითონ ეგ ჩარეცხვის ვინმემ ნაკელთან ერთად, – ამბობს ჰერმენილი ცურბრიუგენი, მაგრამ ფონ ლაფრიგენს შვეიცარიელ მთიელთა დიალექტი არ ესმის.

შარდი და ექსკრემენტები რეზერვუარში ჩაედინება, აგრძელებს იგი. ცხოველი უკვე თივაზე კი არა, პლასტიკატის, ხის, ან კერამიკულ იატაკზე წევს. ძალიან გამარტივებულია ბოსელში სისუფთავის დაცვა, ისევე, როგორც სხვადასხვა დაავადებათა გამომწვევი მიკროორგანიზმებსა და პარაზიტებთან ბრძოლა. რძის წარმოებაც უფრო ჰიგიენურ პირობებში ხდება.

ძროხებზე ამდენს კი ლაპარაკობს, მაგრამ ალბათ თხას და ხბოს ერთმანეთისგან ვერ არჩევს, ამბობს ჰეგუ ჰინტერკრაჰენი.

ბოსლის მექანიზაციის გარდა, – ჭკუას არიგებს ფონ ლაფრიგენი, – არანაკლები მნიშვნელობის მქონეა ნაკელის გატანისა და დამუშავების პრობლემა, რადგანაც ბოსლის ხელით დასუფთავება ძალიან ბევრ შრომას მოითხოვს, თანაც მთლად სასიამოვნო ოპერაციებს არ განეკუთვნება, უპრიანია, როდესაც მასა თავისით ჩაედინება რეზერვუარში. მასა ფენებად იშლება – მძიმე ნაწილაკები

ფსკერზე იღეკება, უფრო მსუბუქები კი ეგრეთ ნოდებულ მცურავ ფენებს წარმოქმნის, ამიტომ რეზერვუარის შიგთავსი უნდა აირიოს. ამისათვის კი მექანიკური მეთოდები არსებობს: პნევმატური და ჰიდრაულიკური.

ეს ყველაფერი კარგი, – ამბობს მიკიტანსა და ოქსენბლუტს შორის მოქცეული მანი, მაგრამ ახლა მას ტრაქტორის ნახვა სურს, ტრაქტორი ხომ მისი ოცნებაა, უტრაქტოროდ ბოსლის პრობლემას ვერ გადაჭრის.

– თუ ასეა, აქეთ მობრძანდით, – ამბობს ფონ ლაფრიგენი, პლასტიკატის ძროხასა და მუსიკოსებს გვერდს უვლის და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის პავილიონში შეუძღვება, სადაც მამაკაცთა გუნდი მღერის.

– ტრაქტორი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო მანქანაა თანამედროვე ფერმერულ მეურნეობაში, – დაიწყო ფონ ლაფრიგენმა ახალი მოხსენება და შუბლი მოინმინდა, რადგან მზიდი ფუნქციის გარდა, იგი მექანიკური ენერჯის წყაროცაა.

– ცოტა მაინც მესმოდეს ეს ოხერი გერმანული! – ბრაზობს რეს შტირერი, – ნეტავ რატომ გვიგზავნიან ვილაც უცხოელებს. ცხოვრებაში არ გამოიგია, შვეიცარიელს „ფონ ლაფრიგენი“\* ერქვას, – ხმამალლა, სრულიად მოურიდეზლად აცხადებს გაისგრაზერების ლუდი, ბებერმა გაისგრაზერმა კი, რომელიც მაინც წამოვიდა ყველასთან ერთად გამოფენაზე, ნაიბუზღუნა, შვეიცარიის საქმე დიდი ხანია უკვე ცუდადააო.

ენერჯია ე.წ. ამძრავი ღვედების საშუალებით გადმოდის სიმძლავრის ლილვიდან, რომლებიც გადაცემათა კოლოფიდან გამოდიან, აგრძელებს ფონ ლაფრიგენი. თანამედროვე ტრაქტორი 3 ასეთი ამძრავითაა აღჭურვილი – ორი გადაცემათა კოლოფის ბოლოშია, ქუროს ქვეშ, იქიდან ლილვის მეშვეობით ენერჯია მანქანას მიეწოდება, მესამე კი სიჩქარეთა კოლოფის წინა ნაწილშია და სამკალ მანქანას ამძრავებს.

– ზუსტად მინდა ვნახო, ოღონდ ისეთი, ფლიოტენბახისათვის რომ გამოდგეს, – ამბობს მანი, რიოუფუ და მიკიტანი აღელდნენ და უფრო მაგრად მოუჭირეს ხელი, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს მანქანების დათვალიერება, რომლებსაც შეუძლიათ გუთნები და სხვა, მთის რელიეფის პირობებში საჭირო მონყობილობანი გასწიონ.

\* ნაწილაკი „ფონ“ მხოლოდ გერმანიაში გამოიყენება



მხატვარი კარლო ფაჩულია

– აი, რა უნდა იყიდოთ, – ეუბნება მანი შვილებს, იოგუს და ალექსს, და ფლოტენბახელები გამოფენას ტოვებენ.

ობერლოტიკოფენის სადგურის გზაზე სამიკიტნო „ბერი“ მდებარეობს, მაგრამ მასში ალპიურ ნაციონალურ კოსტიუმთა ადგილობრივი კავშირი ასწლიან იუბილეს იხდის, ასე რომ, ისინი „შვეიცარიის კონფედერაციის მოქალაქეში“ შედიან, იქიდან „ლომში“ მიდიან, მერე ყველა „მთას“ ჩამოივლიან – „ქალწულს“, „ბლუმლიზალპს“, „ვილდშტრუბელს“, დაბოლოს „ველურ კაცშიც“ შეიხედავენ. ყველგან ყველა ადგილი დაკავებულია, თანაც უკვე მატარებელზე აგვიანდებათ, მაგრამ მაინც კიდევ ერთხელ შეიხედავენ „ბერში“. კავშირის თავმჯდომარის ცოლი, ქრისტინე ელიგი, ტერასაზე გამოსულა სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და მთელი ქუჩის გასაგონად უყვირის, აქეთ მოდითო, რეს შტირერი, რა თქმა უნდა, მივიდა და ცოტა ხანში ყველანი დიდ დარბაზში ცეკვავდნენ. სემუ, მიგუ ჰაკერი და ჰერმენლი ცურბრიუგენი ცოფიანებივით ხტოდნენ, რეს შტირერიც არანაკლებად ირჯებოდა. მანის კი, რომელიც ისევ მიკიტანსა და რიოუფუს შორის იჯდა, წინ წითელი ღვინო ედგა ლიტრიანი ბოთლით და განძრევას ვერ ბედავდა, გულწრფელად უკვირდა მსუქანი შტირერის ასეთი მოქნილობა. და როდესაც ქრისტინემ გვერდით ჩაუარა და ჰკითხა, რას დამჯდარხართ მაგ კედელთანო, მიკიტანმა უპასუხა, არაფერია, ისე, უბრალოდ მანი რალაც კარგად ვერ

არის, ისინიც მეგობარს ხომ არ მიატოვებენო.

– გაგიმარჯოს, დიოუფუ, – ეუბნება მიკიტანი და ჭიქას მალლა სწევს.

– კლერი როგორაა? – ეკითხება ქრისტინე.

– არა უშავს, – პასუხობს მანი.

ცოტა ხანში მეზობელი სამიკიტნოდან რამდენიმე ქვემოფლიოტიგენელი მუტრუკი გადმოვიდა, მათ შორის ჰინტერკრაჰენების ემის ნაბიჭვარიც ერია, მიტელლოტიკოფენიდან. ყველანი კარგად შეზარხომებულები იყვნენ და, რა თქმა უნდა, მალე ჩხუბიც აუტეხეს ობერლოტიკოფენელებს – ალპიურ ნაციონალურ კოსტიუმთა კავშირის წევრებს. „ბლუმლიზალპიდან“ უნტერლოტიკოფენელები მოიჭრნენ საშველად და ერთი ამბავი ატყდა: ვილაცამ ოქსენბლუტების რიოუფუს ლუდის კათხა მოარტყა თავში, ის კი არც განძრეულა, სისხლიც არ მოუნმენდია შუბლიდან.

„ოღონდ პოლიცია არ მოვიდეს“, – ფიქრობდა რიოუფუ, „ოღონდ პოლიცია არა!“

მაგრამ საქმე კიდევ უარესად შეტრიალდა. მეორე სართულის პატარა დარბაზიდან კანტონების საბჭოს წევრი ეტი ჩამოვიდა, აქაურებისთვის ის, მართალია, უბრალოდ ჰერდუ ეტი იყო, რადგანაც ობერლოტიკოფენში დაიბადა და გაიზარდა, მას ადგილობრივი თემის თავმჯდომარე ემილ მიუტერლი და მთავრობის წევრი შაფროტი მოყვნენ. უნტენ, მიტელ და ობერლოტიკოფენელები\* გაშეშდნენ – ასეთი პატივი ჯერ არასდროს არ ღირსებიათ. რას გაჩერდით, მიდით, განაგრძეთ, ჩაიქნია ხელი პარლამენტის დეპუტატმა ეტიმ და ერთსულოვანი ხარხარი გამოიწვია.

– მაგარია ეტი! – გაისმა შეძახილები ქვემო დარბაზიდან და ყველანი თავთავიანთ ადგილებზე დასხდნენ.

იუბილე გაგრძელდა. პარლამენტის დეპუტატი, თემის თავმჯდომარე და მთავრობის წევრი კი, თითქოს განზრახ, მიკიტნის, რიოუფუს და მანის პირდაპირ დასხდნენ. მათ, როგორც საპატიო სტუმრებს, პირადად „ბერის“ პატრონი ემსახურებოდა – ბოთლი „დეზაელი“ შეუკვეთეს. მთავრობის წევრმა – გლეხური შესახედაობის, ორმოციოდენ წლის უზარმაზარმა კაცმა, რომელიც სინამდვილეში კანტონის ყველაზე წარმატებული ადვოკატი და გაქნილი პოლიტიკოსი იყო – მის წინ მსხდომ სამეულს მიმართა, სადაურები ხართო.

– ეგ სამიკიტნო „დათვის“ პატრონია ზევით, ფლიოტენბახში, – ამბობს მიუტერლი და შლაგინჰაუფენზე უთითებს, თანაც უკვირს, რადგან ცხოვრებაში პირველად ხედავს, რომ მხიარული მიკიტანი მთელი საღამო ხმისამოუღებლად ზის კუთხეში, თუმცა საერთოდ არ ეზარება ლაპარაკი.

– აჰა, ესე იგი, ძვირფასი სტუმრები ფლიოტენბახიდან არიან, ჰო-ო, გამოგია, ჩვენთან დეპარტამენტში ლაპარაკობდნენ, ფლიოტენბახელებმა გზის განმენდაზე უარი თქვესო, ეშმაკმა დალახვროს, ასეთი სიჯიუტე პირველად მესმის.

– ეგ ჩემი საქმე არაა, – როგორც იქნა, ხმას იღებს მიკიტანი, თან შიშისაგან გული მისდის – ემანდ მანიმ რამე არ თქვასო, – სულელები კი არა ვართ, ფოსტის ავტობუსი საფოსტო დეპარტამენტს ეკუთვნის, თოვლის გამწმენდი მანქანაც მთავრობამ უნდა უზრუნველყოს.

– გზა მხოლოდ დეპარტამენტისათვის კი არ არის, პირველ რიგში, თემს სჭირდება, – შეეკამათა შაფროტი.

– უგზოდაც მშვენივრად ვართ, – მოუჭრა მიკიტანმა. ბატონ შაფროტს გაეცინა: თუ ასეა, დიდხანს მოგიწევთ თოვლში ჯდომა, თქვენი გულისათვის გზას კანტონის ხარჯზე ვერ გავწმენდო, მაგრამ უცებ გაბრაზდა და დაემუქრა, გზას გავაწმენდინებ და ანგარიშს თქვენ გამოგიგზავნიო, თანაც ჯარიმიანადო.

პარლამენტის დეპუტატ ეტის გაეცინა და ფლიოტენბახელებს ჭიქები შეუვსო, თანაც კიდევ ერთი „დეზაელი“ შეუკვეთა. – შაფროტის ადგილზე რომ ვიყო, როგორც სახელმწიფო პირი, რომელიც სოციალურ სამსახურს წარმოადგენს, მთის თემის გლეხებთან საქმეს არ დავიჭერდი, – ამბობს იგი, – არ უნდათ გზა – ნუ უნდათ, ისე რომ ვთქვათ, არც არაფრად სჭირდებათ. ეგენი ხომ ნამდვილი მთიელები არიან, ისე ცხოვრობენ, როგორც საუკუნეთა

წინათ და მადლობა ღმერთს, აბა ობერლოტიკოფენი სჯობს, ყოველ ბორცვზე საბაგირო რომ ადის? ემილ მიუტერლის, აი, გვერდით რომ ზის, საერთოდ ლიფტის გაყვანა უნდა მთაში, მწვერვალამდე, გენიალური იდეაა, ისე, რა გიკვირთ? გიდეები ათასობით ტურისტს დაათრევენ იქ და რამდენი გადაიჩეხა უფსკრულში, განსაკუთრებით თუ მარტო მონდომა მწვერვალზე ასვლა, ახლა ეგ მოდამია – ვისაც ედჰორნზე ფეხი დაუდგამს, თავი რაღაც ჰგონია.

– როდის აქეთაა პროგრესის მოწინააღმდეგე გახდი? – ჰკითხა ეტის აშკარად შემცბარმა თემის თავმჯდომარე მიუტერლიმ.

– არც არასდროს ვყოფილვარ, – მიუგო დეპუტატმა, – მაგრამ ირგვლივ ყველა ფულზე ფიქრობს, შვეიცარიელებს ფულის, კომფორტის, ტურიზმისა და სხვა მსგავსი ღირებულების გარდა საერთოდ აღარაფერი ახსოვთ. იცი, რამდენს შოულობს ნებისმიერი შვეიცარელი კახპა ტურისტებში? გიმნაზიის მასწავლებელზე გაცილებით მეტს! და თუ რამდენიმე მთიელს არა სურს ოქროს კერპის გარშემო იცეკვოს, თავისი ტრადიციების, ცხოვრების წესის შენარჩუნება უნდა და თავისი მთების სილამაზეს უფრთხილდება – მართლაც, რა შეიძლება იყოს თოვლში ჩაფლულ სოფელზე ლამაზი! – იმ წამსვე მთავრობა მიახტება რეპრესიებით. ახლა კი უნტერლოტიკოფენელებს მივხედოთ, თორემ ისევ იჩხუბებენ.

სამი საპატიო სტუმარი დგება და მიდის. „დათვის“ პატრონმა აშკარად შვეებით ამოისუნთქა, იმ წამსვე ძვირის „დეზაელის“ ბოთლი შეუკვეთა, მერე კიდევ ორი, მერე კიდევ ყავა და შნაპსი და სულ თვითონ გადაიხადა.

უკვე თენდება, როდესაც ისინი პირველ მატარებელზე სხდებიან და ფლიოტიგეში ჩადიან, თავისივე მთის ძირას. როდესაც კარგად განმენდილ ქუჩაზე ეკლესიისაკენ მიაბიჯებენ, მათ წინ უეცრად პასტორის ფიგურა აისვენება.

– თქვენი სიჯიუტის გამო, ფულს რომ არ იხდით თოვლის გასაწმენდად, მეც ფეხით მიწვევს ზევით ასვლა, თვეში ერთხელ მაინც ხომ უნდა წაგიკითხოთ საკვირაო ქადაგება, – ეუბნება იგი.

– სამაგიეროდ, დღეს ნიფელს ნავაქცევთ და ახალი ძელი გვექნება ეკლესიის სახურავისათვის, – სწრაფად პასუხობს მიკიტანი.

– საღვთო საქმეა, ღმერთი სამაგად გადაგიხდით! – გული აუჩუყდა პასტორს. დღეს იგი განსაკუთრებული გულმოდგინებით შეასრულებს თავის მისიას, ყველა ოჯახს ჩამოივლის ფლიოტენბახში, ნახავს, როგორ არიან მისი ყოფილი მონაფეხები – შლაგინჰაუფენების ენნელი, ოქსენბლუტების ელზელი, ჰაკერების სიუზელი და ჰინტერკრაჰენების მარიანლი. რა კარგი, ღვთისმშობიმი გოგონები არიან, თანაც „დათვიმც“ შემოივლის, იმ კერძსაც გასინჯავს, მენიუში „ხორცი ბერძნულად ქოთანში“ რომ დაურქმევიათ, საღამოთი კი ერბოკვერცხს გეახლებათ, დრო ბევრი აქვს, დღეს ხომ სავსე მთვარეა, წინასწარ უხარია, რომ წარმოიდგენს, როგორ დაბრუნდება უკან მთვარით განათებულ გზაზე.

პასტორი გლეხების ჯგუფს შეუერთდა და მათთან ერთად განაგრძო გზა. გაიარეს სოფელი, აქედან ფლიოტენბახისკენ მუდმივი თოვლით დაფარული გზა იწყება. პასტორი მიკიტანს ამოსდგომია გვერდში, ამ უკანასკნელსა და ოქსენბლუტს შორის პატიმარივით მიჩანჩალებს ფიქ-

\* გერმ. unter, mittel, ober – ქვემო, შუა და ზემო ლოტიკოფენი

რებში ნასული მანი. ვერ გაუგია, რატომ არ ენდობიან – ის ხომ ყველაფერზე დათანხმდა. პასტორიც ჩაფიქრებული მიაბიჯებს – დღეს გაუმართლა, ისე, ეს მთის თემები რა გახდა, ღმერთო, ნამდვილი გოლგოთაა, იქაურები ძალიან პრიმიტიულები არიან, მაგრამ ახლა თითქოს გამოჩნდა შანსი, პოპულარობა მოიპოვოს მათ შორის. საქმე ისაა, ეს დოგმატიკოსი ვუნდერბორნი ძალიან ამაცობდა იმით, რომ ერთხელ ემისვილში საყვარელ მოძღვრად აღიარეს. სადმე კი არა, ემისველში, იმ მიყრუბულ, ფანატიზმამდე რელიგიურ სოროში, და თუ ვინმეს სურს მისი შემცვლელი იყოს, ხალხში პოპულარული უნდა გახდეს, თანაც სასურველია – უშუალოდ მაღალმთიან სოფლებში, ასეთია მისი პირობა.

უკვე ტყეში შევიდნენ, მიკიტანი კი სულ იმაზე ფიქრობს, რა მოუხერხოს პასტორს, ეშმაკმა დალახვროს მაგის ქადაგება, კიდევ კარდაკარაც რომ აპირებს სიარულს, ვინმეს ერთი ზედმეტი სიტყვაც რომ დასცდეს, გათავებულისა საქმე, მილიონებს სამუდამოდ უნდა დაემშვიდობონ, მიგუ ჰაკერი კი იმასაც ფიქრობს, პასტორს ხეობაში ხომ არ გადავუძახოთ, არავინ არაა ხმის ამომღებო.

დათოვლილი ფიჭვთა ტოტებში მზის სხივები აღწევს. პასტორს უსაზღვრო ბედნიერების გრძნობა ეუფლება. მისი „სიხარულის ფუნდამენტი“, ოთხტომეული, რომელიც ახლახან გამოვიდა, მართლაც ახალი სიტყვაა თეოლოგიაში, როგორც ნიდერჰაუერმა დაუნერა რეცენზიაში, ზარების რეკვით გვაუწყებს მესამე ათასწლეულის დადგომას. ნიდერჰაუერი სათვალავიდან ამოსაგდები არაა, მაგრამ XX საუკუნის უკანასკნელი თეოლოგიური ამოცანა – ბარტის და ბლოხის\* ინტეგრაცია, შემდეგ კი მათი და სხვა თეოლოგთა – დოროთეა ზელეს, ზელტერმანის და გლოიბერიჰის – ჰეგელის ნიაღვი დაბრუნება – სწორედ მან გადაჭრა, მან, პატარა მთის სოფლის ფლიოტიგენის პასტორმა, არა, ვუნდერბორნი მის იგნორირებას ველარ გაბედავს.

– ღმერთი მართლა არსებობს თუ არა? – კითხულობს მოულოდნელად მანი და ჩერდება.

რიოფუფუ ოქსენბლუტიც გაჩერდა, პასტორიც, მხოლოდ მიკიტანი მიაბიჯებს ისევ, ფიქრობს, თითქოს ჰაკერების მიგუს აზრები ამოიცნო, ფლიოტენბახის ხეობაში ხომ არ გადავავადოთ პასტორი, მერე ვიტყვი, ფეხი დაუცდაო; მაგრამ უეცრად იგრძნო, რომ მარტო მიდის, მოიხედა და ელა ეცა – მანის ნინ მისი სულელური კითხვით გაოცებული პასტორი დგას.

XX საუკუნე დასასრულს უახლოვდება, გლეხები კი საერთოდ ვერ ერკვევიან თეოლოგიაში, – აღნიშნავს სამწუხარო ფაქტს პასტორი, – მას კი ავალებენ, ამ ნეანდერტალელებში პოპულარობა მოიპოვოს.

გლეხებმა პასტორის გარშემო მოიყარეს თავი. აი, ახლა ალაპარაკდები მანი, კარნახობთ ალღო, და თუმცა ფლიოტენბახამდე კიდევ ერთი საათის გზაა, ხვდებიან, რომ პასტორი ახლავე უნდა მოიცილონ თავიდან. თვალეები ციებიანებივით უელავთ.

მაგრამ პასტორი უკვე შეუდგა საქმეს, თუმცა ნაკლები ქრისტიანული მოთმინებით, ვიდრე სასურველი იყო. – გლეხო, – დაიწყო მან. – რა გქვია – ლოჰერი, ოქსენბლუტი

თუ რამე სხვა – ვერ ვიმახსოვრებ, ვინ ვინ არის, ანკი ვინ დაიმახსოვრებს თქვენ უცნაურ სახელებს, როგორც რუსულ რომანებში – სერიოზულად მეკითხები მაგას?

არა, მას, როგორც პასტორს, ამდენის მოთმენა აღარ შეუძლია. იქნებ ზლაპარიც მოგიყვე, როგორ ზის ალპებში – ვეტერჰორნზე, ბლუმლიზალპზე, ფინსტერაარჰორნზე, ან იქნებ ედჰორნზე – თეთრწვერიანი მოხუცი და სამყაროს განაგებს? საქმე სიხარულშია, გლეხო, თუ ის შენშია, ნუ სვამ სულელურ ბავშვურ შეკითხვებს. აი, სადგურიდან მოდიხართ, მხიარულები, ბედნიერები, ობერლოტიკოფენში კარგი დრო გაატარეთ, მანამდე კი სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ისიამოვნეთ, მე ასე წარმომიდგენია, მაგრამ როგორც კი პასტორი დაინახეთ, სიხარული სადღაც გაქრა – მისმა დანახვამ მარადიული კითხვები გაგახსენათ. მაგალითად, არსებობს თუ არა ღმერთი, მართლა იყო თუ არა იესო ძე ღვთისა, მართლა აღსდგა თუ არა მკვდრეთით, და ჩვენც თუ აღვსდგებით ოდესმე, ადამიანი კი ცუდ გუნებაზე დგება, როდესაც ასეთ რამეებზე ფიქრობს. ხოლო როდესაც რამე ლამაზს, ჩვეულებრივსა და უბრალოს ხედავს – ლამაზ ქალს, ახალშობილ ხბოს ან ამ მშვენიერ ტყესა და სავსე მთვარეს, მას სიხარულის გრძნობა მოიცავს, აი ასე უნდა გვესმოდეს ქრისტიანული რწმენაც, ეს სიხარულია, განსახიერებული სიხარული, ყველა ეჭვი თავისთავად ქრება, ყველა კითხვა უაზრო ხდება სიხარულის წინაშე.

ვიდრე პასტორი ლაქლაქს განაგრძობდა, სიხარულს ფუნდამენტსა და სხვა მისთანებს უწოდებდა, მიკიტანს მართლა დაეუფლა ეს გრძნობა – ბრწყინვალე იდეა მოუვიდა თავში. შეჩერდა, სხვებს ჩამორჩა და მიგუს ხელი გაუყარა, რომელიც ისევ პასტორის ხეობაში გადაგდების შესაძლებლობაზე ფიქრობდა.

– მიგუ, – ეუბნება მიკიტანი. – პასტორი ისე დაიქოქა, მანის სიტყვასაც არ ათქმევინებს. ახლა სოფელში უნდა გავვარდეთ და ისე ვქნათ, რომ ეკლესია ცარიელი დახვდეს, კაციშვილი არ უნდა იყოს იქ.

მიგუ მიუხვდა და ტყვიასავით გავარდა, გაოცებულ გლეხებს გვერდით ჩაუქროლა, „სიხარულის“ თეორიაში ნასულმა პასტორმა კი ვერაფერი შენიშნა.

როდესაც სოფელს მიუახლოვდნენ, მანიმ პასტორს მადლობა გადაუხადა განმარტებისათვის და თავისი ეზოსკენ გადაუხვია, რომელიც ოქსენბლუტების მეურნეობას ესაზღვრებოდა. გლეხები დაიშალნენ, მხოლოდ პასტორი და მიკიტანი დგანან „დათვის“ წინ.

– აბა, დროა, – ამბობს პასტორი, – ეკლესიაში უნდა წავიდე, დედაკაცები და გოგოები მელოდებიან, კაცები დღეს არ მოვლენ, მესმის, მესმის, მეც ადამიანი ვარ, – მაგრამ უცებ სიტყვა გაუწყდა: სამიკიტნოს კარში გოგო შეძვრა და არც კი მიესალმა პასტორს.

– ჰაკერების სიუზელი არაა? – კითხულობს გაოცებული პასტორი.

არ ვიცი, არ შემიხვდავს, პასუსს თავს არიდებს მიკიტანი.

კი, ნამდვილად ჰაკერების სიუზელია, ამბობს პასტორი, მისი საყვარელი მოწაფე, რამაც საკმაოდ გააკვირვა – რა უნდა ნესიერ გოგოს სამიკიტნოში, როდესაც წირვი იწყება? მაგრამ ახლა უნდა იჩქაროს, მრევლი ელოდება, თუმცა უკვე წინასწარ უხარია, რომ ქადაგების მერე აქ შემოვიღის და ბერნულად მომზადებულ ხორცს მიირთმევს.

\* ბარტი, კარლი (1886-1968) – შვეიცარელი თეოლოგი; ბლოხი, ერნსტი (1885-1977) – გერმანელი ფილოსოფოსი

ამ სიტყვებით პასტორმა ეკლესიისაკენ გასნია, რომელიც შტირერის ეზოსა და „დათვს“ შორის განმარტოებით იდგა. ზღურბლზე ფეხი შედგა თუ არა, გაოცებისაგან გაშეშდა – ეკლესია ცარიელია, მხოლოდ ორღანთან, ქოროზე ასევე გაოცებული სოფლის მასწავლებელი ფროილან კლაუდინა ცეპფელი ზის.

რა ხდება, რატომ არავინ ჩანს, ზარებიც რატომ არ რეკენ (ახლალა მიაქცია ყურადღება)? – კითხულობს პასტორი.

– თუ ასე ძალიან გსურთ იცოდეთ, გეტყვი, – პასუხობს მის ზურგს უკან მდგომი მიკიტანი, – მაგისტრის გამოგყევით, რომ აგისნათ: ეკლესია იმიტომაც ცარიელი, რომ თემმა პასტორთან საერთო ენა ვერ გამოიხატა. აი, გზად, მანამ რომ იკითხა, ღმერთი არსებობს თუ არაო, ბატონმა პასტორმა მიუგო, რომ ეს სულაც არაა მნიშვნელოვანი და საერთოდ ეგ მანის საქმე არაა, მანის საქმეა ეგეთ რამეებზე ფიქრს თავი დაანებოს და მხოლოდ სიხარულს განიცდიდეს; არა, მათ, მთიელებს, ეგ ხელს არ აძლევს. რასაც ბატონი პასტორი ქადაგებს, მათთვის ცარიელი სიტყვებია, მათ კი ისევ ძველებურად სურთ მოისმინონ მათთვის ჩვეული ამბები უფალ ღმერთზე, იესო მაცხოვარზე, მკვდრებით აღდგომაზე, თორემ, აბა, რისი იმედი უნდა ჰქონდეს, მაგალითად, მას, მიკიტანს, როდესაც სიკვდილის დრო მოუვა, ან თუნდაც მანის, უცებ შეშის ჩეხვის დროს თავზე ფიჭვი ან, გნებავთ, კიდევ უკეთესი, წიფელი რომ დაეცეს? მოკლედ, თემი სხვანაირ ქადაგებას ითხოვს, თორემ ყველანი კათოლიკობას მიიღებენ, და თუ ბატონ პასტორს თვითონ არა სწამს ღმერთი, აღარც მას აღიარებენ მოძღვრად, ამიტომაცაა ეკლესია ცარიელი, ხოლო მიკიტანი კი, როგორც თემის თავმჯდომარე, წვრილად მისწერს ამას ყველაფერს კონსისტორიას. მიკიტანი პასტორისაკენ ზურგით ტრიალდება და თეთრ ბინდში იკარგება.

წამით პასტორს მოეჩვენა, რომ ახლა გული წაუვიდოდა, რა თქმა უნდა, ვუნდერბორნის გამო, რომლის კათედრის დაკავებაზე ასე ოცნებობდა. ამ ოცნების აღსასრულელად ცდილობდა პოპულარობა მოეპოვებინა გლეხებში. მაგრამ პასტორი უცებ მოეგო გონს და ფროილან კლაუდინა ცეპფელს სთხოვა, სამოსის ჩაცმაში მოემხმარე, რადგან დიაკონიც, როგორც ჩანს, წასულაო, და როდესაც ფროილან კლაუდინამ სამოსი მიანოდა და ზევიდან საყელოც შეუკრა, პასტორი კათედრაზე ავიდა, ბიბლია გადაფურცლა და ჩახლეჩილი ხმით დაიწყო ქადაგება:

– დღეს „საქმენი მოციქულთადან“ წავიკითხავთ. თავი 23-ე, მუხლი 26-ე: „კლავდიუს ლისიუსი ღირს მმართველს ფელიქსს – გიხაროდენ!“

ძვირფასო მერხებო, ორღანო, ქოროვ, ძვირფასო სარკმლებო, კედლებო, კამარებო და თაღებო, ჩემო საყვარელო ცარიელო ეკლესიაგ! ამ სიტყვებით წერილი იწყება. კლავდიუს ლისიუსი მისი ავტორია, ფელიქსი – ადრესატი, „გიხაროდენ!“ კი მისალმებაა. მაგრამ ახლა რომ დაგინყოს ახსნა, ვინ იყო კლავდიუსი, ვინ – მმართველი ფელიქსი, ან ვის გამო დაინერა ეს წერილი – ეს წერილი კი მოციქულ პავლეს შესახებ მოგვითხრობს – უაზრობაა, რადგან არც ერთთან არაფერი გესაქმებათ, მართლაც, საიდან უნდა იცოდეთ თქვენ, ქვის კედლებმა და ხის ძელებმა, ვინ იყო ეს ხალხი, მაგრამ ახლა თქვენზე, ძვირფასო სკამებო, როგორც სხვა დროს კვირაობით, ჩემი საყვარელი მრევლი

რომ იჯდეს, მათ კი დააინტერესებდათ ეს ამბავი, რადგან ოდითგანვე ასე იყო – აქ, მუდმივად ამ მთებში ჩამსხდარ სოფლებს მხოლოდ მეორეხარისხოვანი ამბები აინტერესებთ და ყველაზე მნიშვნელოვანი ავინყდებათ: ის კი არ არის მთავარი, წარსულ საუკუნეებში რა ხდებოდა, არამედ რაც ცოცხალია ან და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, რაც ამ გლეხუჭების ტვინებისთვის მიუწვდომელია, არსთა არსი, რასაც შენ ახლა გრძნობ, ცარიელო ეკლესიაგ. „გიხაროდენ!“ – შენ ამას ხელშესახებად გრძნობ, სიხარულს განიცდი, რომ ამ გლეხუჭების მყრალი სუნი აღარ გინამლავს ჰაერს, თქვენ კი, ძვირფასო მერხებო, მათი სქელი უკანალები აღარ განვებათ, თქვენ, კედლებო, არ ზანზარებთ მათი ხვრინვისაგან, შენ კი, ჩემო ორღანო, მათ უსმენო, უნიჭო სიმღერას ბანი არ უნდა მისცე.

შენ თავისუფლება მოიპოვე, ცარიელო ეკლესიაგ, და რადგანაც შენ, როგორც ხე, ქვა, ლითონი და შუშა, მინის მტვერი ხარ, ამიტომ კლავდიუს ლისიუსსაც შეგიძლია გაუგო, ამ წერილის ავტორს, ათასისთავ კლავდიუს ლისიუსს, და იმ მიზეზსაც მიხვდე, რამაც კალმის ხელში ალება აიძულა, მოციქულ პავლესაც გაუგებ, ადრესატსაც – მმართველ ფელიქსს, – ისინი ხომ დიდი ხანია მტვრად იქცნენ, მეც ადრე თუ გვიან მინა გავხდები, ეს გლეხებიც, თუმცა ისინი უკვე დიდი ხანია მტვერი არიან, მაგრამ ჯერ ვერ გრძნობენ.

და რადგანაც მტვერი მტვერს ყოველთვის გაუგებს, ჩვენ ადვილად ვცნობთ ერთმანეთს. ერთმანეთში ვირეკლებით, როგორც სარკე სარკეში, და რწმენაც ერთი გვაქვს – მმართველს უნდა უხაროდეს, თანაც არა აქვს მნიშვნელობა, რა ჰქვია მას, ფელიქსი, როგორც ეს „საქმენი მოციქულთაში“ წერია, თუ ღმერთი, ან სამყარო. მთავარია, რომ ყოველ ქვიშის მარცვალს, ხეს, ქვას, ქვეწარმავალს, ნადირს თუ ადამიანს, დედამიწას, მზეს, ირმის ნახტომს თუ სხვა გალაქტიკებს უხაროდეთ, გესმის, უხაროდეთ!

აი, ამიტომაც უნდა გავატაროთ ეს წუთისოფელი სიხარულში, ჩემო ცარიელო ეკლესიაგ, რადგან ჩვენ მხოლოდ მტვერი ვართ, ქვიშის მარცვლები, რომლებიც სხვა ასეთივე ქვიშის მარცვლებმა შვეს, და ჩვენი სიცოცხლე დროის პანანინა მონაცვეთით განიზომება – რამდენიმე წლით თუ თვით, თუ საათით ან წამით, ან ზოგიერთი მიკროორგანიზმით, რომელიც ქვიშის მარცვლის მემილიონედი ნაწილია, წამის მემილიონედი ნაწილით! ყველა არსებისათვის ერთი ფუნდამენტი არსებობს – სიხარული, რადგან მხოლოდ სიხარული არა სვამს უაზრო კითხვებს, არ იქელება ეჭვებში, არც ნუგეში სჭირდება, იგი ყველაფერზე მაღლა დგას – გიხაროდენ! ამინ.

ამ სიტყვებით ფლიოტიგენელი პასტორი ხმაურით კეჭავს მძიმე ბიბლიას, ღირსეული იერთი ჩამოდის კათედრიდან, შედის სადიაკონეში, სამოსს იხდის, კეცავს, იქვე დებს და გარეთ გამოსული კლაუდინა ცეპფელს შეეჯახება.

მასწავლებელ ქალს უზარმაზარი თვალები აღფრთოვანებისაგან უელავს. – აჰ, პასტორი შეუდარებელი იყო, – ამბობს იგი, თან ენა ებმის, მან მთელი ქადაგება თავიდან ბოლომდე მოისმინა. პასტორი კლაუდინა ცეპფელს უყურებს და თანდათან ბოლმით ივსება – მთელ სამყაროზე, ვუნდერბორნზე, საკუთარ ცოლზე, რომელიც აქაურია, და ერთხელ თითქმის კი არ გაუნძრევია, რომ ქმრის პოპუ-

ლარობას ხელი შეუწყოს – ვის რაში სჭირდება მისი სულელური კურსები და ლექციები ქორწინებასა და ოჯახის შესახებ?

პასტორმა ორივე ხელი სტაცა კლაუდინა ცეპფელს, თავისკენ მიიზიდა – „გიხაროდენ!“ – და ვნებიანად დაუნყო კოცნა: ზეგ მისი ცოლი კონიგენში მიემგზავრება თავისი ლექციების კურსით ცოლ-ქმრული ერთგულების შესახებ; და პასტორმა ისე იღრიალა, რომ ხმა მთელ სოფელს მოედო – „ხომ ვაჩვენე სერი!“; მერე გაოგნებულ და უზომოდ ბედნიერ კლაუდინა ცეპფელს ხელი გაუშვა, ეკლესიიდან გავარდა, „დათვს“ გვერდით ჩაუქროლა და ფლიოტენბახის ტყისკენ გაქანდა, მხოლოდ ერთხელ მოიხედა უკან, სოფელს მუშტი მოუღერა და იყვირა – „გიხაროდენ!“

ზღურბლზე მდგომი მიკიტანი სარკასტულად იცინის. – როგორ მოვიცილეთ თავიდან! – ამბობს, დარბაზში ბრუნდება და სემუს ეკითხება, ზევით, ლოჰერთან ვინააო. ისევე ფრიდა, პასუხობს შვილი უკმაყოფილო სახით.

მერე რა, როგორც კობლერის შვილი, რამხელა მემკვიდრეობას მიიღებს, ნუ სულელობ, ლოჰერთან ყველა ინვა, ენიც და ბევრი სხვაც.

ამ სიტყვებით სემუს ბეცის ბოთლს აწვდის, ჰა, წაუღებ ზევით, პოლიციელსაც არ აწყენს ერთი-ორი ბოთლი „ალჟირული“, რომ ღამით ხელი არ შეგვიშალოს, მადლობა ღმერთს, სავსე მთვარე ამალამაა, მალე ყველაფერი დამთავრდება, ალბათ ყველა ცოტათი ღელავს, იმიტომ სხედან შინ და გარეთ ცხვირსაც არ ყოფენ, ნახე, იასის სათამაშოდაც არავის შემოუხედავს.

შუადღე დადგა, დღის მეორე ნახევარი დაიწყო, დრო უსაზღვროდ გაიწელა, ბოლო არ უჩანს, ცა ლილისფერია, ჰაერი არ იძვრის, მხოლოდ კოსმიური სიცივე ჩამონოლილა და ერთხელ მთებში შორს რაღაცამ დაიგრუხუნა – ხეობაში ზვავი ჩამოწვა. დაახლოებით 5 საათზე მანი დაბრუნდა, სასეირნოდ იყო წასული, ჩვეულებრივად ეცვა, საკვირაოდ არ იყო გამოწყობილი, არც ჰალსტუხი ეკეთა, არც ქუდი ეხურა, უკან რეს შტირერი და მისი ვაჟი შტიუფუ მოჰყვებოდნენ. მანიმ ჯოხი თავისი სახლის კართან ააყუდა, სამზარეულო გაიარა, სასტუმრო ოთახში შევიდა, სადაც იოგუ და ალექსი უხსდნენ მაგიდას, ფანჯარასთან კი მისი ცოლი კლერი იდგა და შორეულ ტყეს გასცქეროდა. ბებერი შტირერი სახლის წინ მერხზე ჩამოჯდა, ახალგაზრდამ კი სახლს შემოუარა და უკანა გასასვლელთან დადგა პოსტზე.

– ჩანჩქერისკენ გავისეირნე, – ამბობს მანი, – თითქმის სულ გაყინულა, მზე კი ცოლენფრატს მოეფარა, უზარმაზარი, წითელი იყო.

– ესე იგი, ერთი-ორი დღის შემდეგ ისევ თოვა დაიწყება, – ამბობს ალექსი, იოგუ კი დამცინავად შენიშნავს, ბატონ მანის პალტო უნდა ჩაეცვა, თორემ გაცივდებაო.

– „ბატონობით“ რატომ მომმართავ? – ეკითხება მანი.

– იმიტომ, რომ მამაჩემი ვაჟი ლოჰერია, – პასუხობს იოგუ.

ესე იგი, ვაუტომ ყველაფერი დაფქვა, მიმართავს მანი ცოლს. ცოლი დუმს, იოგუ კი მაგიდიდან დგება – უზარმაზარი, ჩვეულებრივ კეთილი და გულუბრყვილო სოფლელი ბიჭი, ახლა კი ბრაზისაგან სახე მოქცევია.

ისიც მითხრა, ყვირის გაცოფებული იოგუ, რომ როდესაც ლოჰერისგან დაორსულდი, შე ძროხავ, და მან კანადა-

ში შემოგთავაზა წასვლა, იმის მაგივრად, რომ დათანხმებულიყავი, მანის გაჰყევი ცოლად. არადა, ახლა იოგუს, ნესით, კანადაში მილიონები უნდა ჰქონდეს, აქ კი არ უნდა ეგდოს უფასო მოჯამაგირედ მამინაცვლის სახლში! უფულობის გამო ცოლიც კი ვერ მოუყვანია!

– ახლა ხომ მიიღებ მილიონს, – ეუბნება მანი. არა, აქ, მთაში ცხოვრება იოლი ნამდვილად არაა, მათი სახლიც მართლაც ერთი უბადრუკი ქოხმახია, მაგრამ ახლა ყველაფერი შეიცვლება, მეურნეობაც წელში გაიმართება – თანამედროვე ბოსელიც ექნებათ, ტრაქტორიც, არა მარტო კლერის, იოგუსა და ალექსს, მთელი სოფლის ყოფაც უკეთესისკენ შეიცვლება.

– სულაც არ მაძლევს ხელს, ჩემი მილიონი ალექსს გავუწვანო, – აცხადებს იოგუ. ფული მისია და არავითარი თანამედროვე ბოსელი და ტრაქტორი არ უხსენოს არავინ! ის კანადაში მიემგზავრება ლოჰერთან ერთად, რამენაირად მოელაპარაკება და ერთ-ორ მილიონს კიდევ დასცინცლავს. ბოლოსდაბოლოს, მამაა!

– მართალი ხარ, – როგორც იქნა, ხმა ამოიღო ალექსმაც. – ეს სასოფლო-სამეურნეო საიხლებები სისულელეა, მაგრამ ჩემ ნახევარ მილიონს მაინც არ დავთმობ! ის, მართალია, უკვე 38-ისაა, მაგრამ ნახევარი მილიონით ქალაქში კარგად მოეწყობა.

– რა მილიონი, რის ნახევარი მილიონი, – ამბობს მანი, – მილიონს მთელი ოჯახი მიიღებს. მესამედი – კლერის, მესამედი – იოგუს, მესამედი – ალექსს.

– კაპიკსაც არ ავიღებ მაგ ფულიდან, – მოულოდნელად ამბობს ცოლი, მაგიდას გარშემო უფლის და ქმარს თვალეში აცქერდება – თუმცა სოფლურმა შრომამ ქალი ოდნავ მოტეხა, თავის ასაკთან შედარებით მაინც ახალგაზრდულად გამოიყურება, თმები სულ გათეთრებია, მაგრამ კარგი აღნაგობა და ჯანმრთელი შესახედაობა აქვს.

– იმიტომ გამოგყევი მაშინ ცოლად, დიოუფუ მანი, რომ წესიერი ბიჭი იყავი და ჩემთან ყოფნა გინდოდა, მიუხედავად იმისა, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. უკვე მაშინ ვხვდებოდი, რომ ლოჰერის ნდობა არ შეიძლებოდა. ხომ დარწმუნდით, რომ მართალი ვიყავი? გგონიათ, იმიტომ მოვიდა აქ, რომ შური იძიოს? არა, აქ გასართობად მოვიდა, უბადრუკი, საცოდავ ხალხს დასცინის, ხომ იცი, ყოველთვის ზემოდან გვიყურებდა. უხარია, რადგან იცის, რომ ახლა მთელი სოფელი ერთმანეთს წავეკიდებთ, აი, როგორც იოგუ და ალექსი. ზოგ ოჯახში იმდენი ბავშვია, ვერ დათვლი – მაგალითად, გაისგრაზერებთან, ზოგან, ვთქვათ, შტირერებთან, სულ ორი სულია. ასე რომ, აი, რას გეტყვი, მანი – აქ მალე ჯოჯოხეთი დატრიალდება. შენ მოგკლავენ, მერე ერთმანეთს მგლებივით ყელში სწვდებოან. ეჰ, რა აზრი აქვს ჩემს ლაპარაკს! რადგან განშორების დრო დადგა, მინდა გითხრა, მანი – როგორი პატიოსანი ადამიანიც იყავი, ისეთი დარჩი, ხომ ხედავ, არ ვტირი და არ მოვთქვამ, რომ მალე წიფელს წააქცევენ ბლუტლის ტყეში, მაგრამ ერთს გეტყვი: ღმერთო ჩემო, რამდენს ვშრომობდით, მეც, შენც, ბიჭებიც, მე, ალბათ ყველაზე მეტს, მაგრამ როგორც კი ის არამზადა გამოგვეცხადა კანადიდან თავისი მილიონებით, რა იღონე? მსხვერპლად ეწირები... ვის? რისთვის? რას მოგცემს ეგ ფული? ხომ არ გგონია, სოფელს რამე სიკეთეს მოუტანს? ვერ ხედავ, ჯერ კაპიკიც არ მიუღიათ, უკვე ჭკუიდან გადაცდნენ და გაირყვენ, და არა მარტო ქალები!

შენ ხომ აქ ყველა ბილიკი იცი, რატომ არ უშველე აქამდე თავს? პოლიციელთან რატომ არ წახვედი? ან „ბერში“ ამოგეღო ხმა, ობერლოტიკოფენში, ხომ იჯექი პარლამენტარის, მთავრობის წევრისა და თემის თავმჯდომარის პირდაპირ? რატომ არ იყვირე: „ხალხო, 14 მილიონის გულისთვის მკლავენ!“ პასტორსაც არაფერი არ უთხარი! თუმცა ტყეში უკვე გვიანი იყო, საცოდავს იმწუთასვე ხეებში გადაადგებდნენ. იცი, რატომ ზიხარ გულხელდაკრეფილი? მაგასაც გეტყვი, იმიტომ, რომ მთელი ცხოვრება თანამედროვე ბოსელსა და ტრაქტორზე ოცნებობ! ახლა ხომ დარწმუნდი, რომ არავის სჭირდება შენი ბოსელი და ტრაქტორი, არც იოგუს, არც ალექს, არც არავის! ყველას ფული უნდა. აღარაფერი გეშველება, დიოფუფუ მანი.

– კარგი, დედაკაცო, – ამბობს მანი, – რას იზამ, თუკი ასე გამოვიდა.

კარში მიკიტნის ფიგურა აისვეტა. – დროა, – თქვა მან, მერე რიოფუფუ ოქსენბლუტს მიუბრუნდა, რომელიც ზურგს უკან ედგა, და ახლა იმას მიმართა, ყოველი შემთხვევისათვის აქ დარჩიო.

– მშვიდობით, – ეუბნება მანი ცოლს.

ცოლი არ პასუხობს.

რიოფუფუს გარდა ყველა გარეთ გადის, „დათვის“ გვერდით ჩაუვლიან, გაყინულ ფლიოტენზე გადადიან, მანერენის ტყეში შედიან. ბალცენჭუბელზე მთვარე გადმოდგარა, ედჰორნისკენ მიცურავს, რომელიც მხოლოდ მანერენის ტყიდან ჩანს. ისეთი სინათლეა, თითქოს დღეაო. როგორც კი ტყე მთის ფერდობზე იწყებს აცოცებას, გზა ძნელდება, ფხვიერი თოვლი სიარულში ხელს უშლით, ძლივს მიინევენ წინ, ბლუტლისკენ, სადაც უზარმაზარი ნიფელი დგას. ფლიოტენბახელებმა წრე შემოარტყეს ხეს, ყველას ნაჯახი უჭირავს ხელში, პირიდან ორთქლი ამოსდით.

– ნახევრამდე მაინც თუ გადახერხეთ? – კითხულობს მიკიტანი.

– ჰო, დღეს ნასადილევს ყველაფერი გავაკეთეთ, – პასუხობს ოქსენბლუტების მექსუ.

– მანი, აქ დაჯექი, – განკარგულება გასცა „დათვის“ პატრონმა.

მანი მთვარით განათებულ მხარეს თოვლს ტკეპნის და ნიფლისკენ ზურგით ჯდება.

– დაიწყეთ, – ისევ ბრძანებას იძლევა მიკიტანი, და ჰაკერების ხრიგუს და გაისგრაზერების ლუდის ნაჯახები ნიფელს ეძგერება. ქვასავით მაგარმა ხემ პირველი დარტყმები აისხლიტა, ექო შორს, მთებში მიიკარგა, მაგრამ ნაჯახის პირი ნელ-ნელა სიღრმისაკენ მიიწევს, ახლა ბინგუ კობლერი და რეს შტირერი იქნევენ ნაჯახებს, მიკიტანმა კი უცებ შენიშნა, რომ მანი ტუჩებს ამოდრავებს.

მიკიტანმა ნიშანი მისცა, კობლერმა და შტირერმა ნაჯახები დაუშვეს. მიკიტანი მანისკენ იხრება და ეკითხება, რამე ხომ არ გინდაო.

– მთვარე, – პასუხობს მანი.

– მთვარე? – გაოცებული შესცქერის მიკიტანი. – რა სჭირს მთვარეს?

შემდეგ ნაჯახიან კაცებს მიმართავს:

– განაგრძეთ.

– არ ვიცი, – ლულულულებს ბინგუ, რესი კი ამბობს:

– ერთი მთვარეს შეხედე.

მიკიტანი თავს სწევს.

– რალაც მთლად მრგვალი არ არის, – ამბობს შენუხებულო.

– ერთი ნაჭერი აკლია, – ჩურჩულებს მის ზურგს უკან სემუ.

მიკიტანს უცებ გონება გაუნათდა.

– ეს ხომ მთვარის დაბნელებაა, ყოველ თვეს ხდება ხოლმე.

– პირველად ვხედავ, – ჩურჩულებს ჰერმენლი ცურბრიუგენი.

რა თქმა უნდა, როდის იყო ისინი მთვარესა და ვარსკვლავებს უყურებდნენ, იცინის მიკიტანი. ყოველ საღამოს მასთან, სამიკიტნოში სხედან, შინ კი ისეთი მთვარალები მიდიან, მთვარე ვის ახსოვს. არადა, მთვარის დაბნელება ძალიან ხშირად ხდება, და სულ რამდენიმე წუთს გრძელდება, პირადად მას ყველის თავის მეოთხედისნაირი მთვარეც უნახავს.

– მთლად მასეც არ უნდა იყოს საქმე, – ოხრავს ბინგუ, – ნახე, კიდევ პატარავდება.

ყველა ხმისამოულებლად შესცქერის მთვარეს, ამ დროს ტყიდან მოჩვენებასავით გამოდის მოხუცი გაისგრაზერი, თითქოს მინას არ ეხება, ისე მიცურავს მთვარის შუქში, რომელიც ყოველ წამს სულ უფრო მკრთალი ხდება.

– გაიგეთ ახლა, ცხვრებო, რატომ გაცდუნათ ვაუტი ლოჰერმა თავისი მილიონებით, – ახითხითდა ბოროტად მოხუცი, – იმიტომ, რომ ამაღამ მთვარე გასკდება, ნახეთ, როგორი ცეცხლი უკიდია შიგნიდან, დუღს, როგორც ქვაბი, ახლავთ თვითონაც დარწმუნდებით. ასეთი რამე ადრეც მინახავს, მაგრამ კვირადღეს არასდროს არ დამთხვევია. ამაღამ მთვარის ნაწილები ჩამოცვივდება დედამინახვე, ყოველი ნაგლეჯი ევროპისხელა მაინც იქნება, და სამყაროს დასასრულიც დადგება. ამიტომაც არიგებს ლოჰერი თავის მილიონებს, იცის, რომ აღარ დასჭირდება.

მოხუცი შეშლილივით ხარხარებს, მისი ვაჟი, ლუდი კი, უყვირის:

– მოკეტე!

ბინგუ გამწარებული ურტყამს ნიფელს ნაჯახს, მას რესიც უერთდება, ორივე რალაც ვოჯოხეთური სიჯიუტით მუშაობს, ემშაკეულ, მონოტონურ რიტმში.

– გაჩერდით! – ყვირის ზარდაცემული მიკიტანი. – მთვარე გაქრა!

ორი ნაჯახი ძირს დაეშვა, რესი და ბინგუ ცაში იყურებიან.

– არ გამქრალა! – ამბობს შტირერი. – უბრალოდ ზედრალაც უანგისფერი გადაეფარა.

– ეს მზეა. – პასუხობს ბინგუ კობლერი.

– მე მგონი, ავსტრალიაა, – უსწორებს ცურბრიუგენების სემი. – მგონი, სკოლაში გავიარეთ.

– სისულელეა, – აცხადებს რესი. – დედამინა მრგვალია, ერთდროულად აქაც და იქაც ვერ იქნება, თორემ ეგ ავსტრალიელები დიდი ხანია მთვარეზე ისეირნებდნენ, არა, უაზრობაა

ფილოტენბახელები დგანან და მონუსხულებივით უყურებენ ცას.

მთვარე ბინდში იძირება, ჯერ უანგისფერია, მერე ნელ-ნელა მოყვითალო-ყავისფერი ხდება, გარშემო ვარსკვლავები უფრო ძლიერად კამკამებენ, ისეთი ვარსკვლავებიც აენთენ, ადრე რომ არ ჩანდნენ, და ბოლოს მთვა-

რის დისკო წყლულებით დაჭმულ, გავარვარებულ თვალს ემსგავსება. ბოროტად დასცქერის მენამულ თოვლს და მასზე მდგომ გლეხებს. მათი ნაჯახთა პირები ნითლად პრიალებს, თითქოს სისხლითაა შეღებილი.

– დაიკარგე აქედან, მანი, – ღრიალებს მიკიტანი, – წა-დი!

მუხლებზე ეცემა და: – „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცა-თა შინა!“ – იწყებს ლოცვას, ფლიოტენბახელებიც ბანს აძ-ლევენ: – „წმინდა იყავნ სახელი შენი!“

მხოლოდ ბებერი გაისგრაზერი გორავს თოვლში და ყვირის, მთვარე ახლა გასკდება, ჩირქი გადმონთხევა და ყველაფერს წალეკავს, დღე განკითხვისა მოახლოვდა; გი-ჟივით ღრიალებს, ხარხარებს, ყმუის...

– „მოვედინ სუფევა შენი!“ – ლოცულობენ გლეხები.

მანი კი თითქოს ვერც კი მიხვდა, რომ თავისუფალია, ისევ ისე გაუნძრევლად ზის ნიფლის ძირას, ცას უყურებს, სადაც ცეცხლისფრად ელავს პატარა ნაპერწკალი.

– მთვარე გამოჩნდა! – ყვირის ჰერმენლი ცურბრიუგე-ნი – მთვარე!

გლეხები ფეხზე წამოიჭრნენ, ყველას სიხარულის შე-ძახილი აღმოხდა მკერდიდან. შიში წყვდიადთან ერთად ქრება, ცაზე კი პატარა ნაპერწკალი ნელ-ნელა ისევ ძველ, კეთილ, მრგვალ მთვარედ იქცევა.

– დასცხეთ! – ყვირის მიკიტანი, და რესი და ბინგუ ძლიერი დარტყმებით ხეს აზანზარებენ, მანი გაუნძრე-ვლად ზის თოვლში, რომელსაც ნელ-ნელა გადასდის ჟრუ-ანტელისმომგვრელი წითელი ელფერი: აი, ბინგუსა და რესს ლუდი და ხრიგუ შეენაცვლნენ, მთვარე სულ უფრო უხვად აფრქვევს სხივებს, ვარსკვლავები ქრება, ახლა შინტერკრაპენის და ბებერი ცურბრიუგენის ჯერია, მერე ებიგერის, ფეზერის, ბოდედლმანის, ბოლოს კი ყველა გლეხი, მიკიტნის ჩათვლით, რიგ-რიგობით იქნევს ნაჯახს; ბლუტლის ნიფელი შეირხა და თოვლში წაიქცა, მთვარის უზარმაზარი დისკო – მრგვალი, ალერსიანი, რძისფერი, როგორც დაბნელებამდე იყო – რბილ ვერცხლისფერ შუქს ფენს დედამინას.

ხის ქვეშიდან უნდა გამოვართოთ, ბლუტლის ნიფელი ისეთი მძიმეა, ფუსფუსებს მიკიტანი, მანი სულ აიზილა, ნამდვილი ფაფა გამოვიდა. დილის 8 საათზე მიკიტანს დი-დი იმედგაცრუება ელის – ლაჩერი არანაირ ინტერესს არ ავლენს გვამის მიმართ, ისედაც მჯერა, ამბობს, რომ მანი ნიფლის ქვეშ მოჰყავა. რაში სჭირდება გვამის ყურება?

ლაჩერი პირველად გამოვიდა თავისი ოთახიდან მას მერე, რაც ზამთრის წყვდიადიდან შემოაბიჯა „დათვის“ დარბაზში. მას ბუნვის ქურქი და უნტები აცვია, გრძელ მაგიდას უზის, რძიან ყავას სვამს უზარმაზარი ფინჯნი-დან, მის პირდაპირ კი ფრიდა და ენი სხედან. მიკიტანს ეჩ-ვენება, რომ ლაჩერს ხელები უკანკალებს, რალაც ცუდად გამოიყურება, მოტეხილია, გაფითრებული, ჭალარაც მო-ემატა.

– ფული ზევით დაგტოვე, – ამბობს ლაჩერი.

მიკიტანი გრიალით არბის კიბეზე, კარს გლეჯს, პატა-რა მაგიდაზე ისევ ისე დევს ჩემოდანი, ხმაურით ხდის სა-ხურავს, ფული ადგილზეა. ლაჩერის ლოგინში მისი ცოლი წევს.

მანი ნიფლის ქვეშ მოყვა, ბლიუტლიში, ეუბნება მიკი-ტანი, თან თვალს ვერ წყვეტს ფულის შეკერებს, ეკლესი-ისთვის ახალი ძელი გვჭირდებოდა.

ჰო, მესმოდა ნაჯახის ხმა, ამთქნარებს ლიზეტა.

მიკიტანი გაშტერებული უყურებს ფულს, მერე თვლას იწყებს – ათი ათასი, ათი ათასი, ათი ათასი, არა, აქ რალაც წესრიგში ვერაა, ათი ათასი, ცხრა ათასი, კიდევ ცხრა ათა-სი, ათი ათასი, რვა ათასი.

– ქალებმა აიღეთ თითო კუპიურა? ყველამ ათას-ათა-სი აგვაცალეთ?!

ლიზეტა იცინის:

– ჩვენც ხომ ვლირვართ რალაცად, თუ ხელს არ გაძ-ლევეთ, მაშინ ჩვენც გვაქვს თვალები და ენა.

მიკიტანი ჩემოდანს კეტავს, თავის საძინებელში მი-აქვს, მაგრამ უცებ ახსენდება, რომ ცოლს მეორე გასალე-ბი აქვს და ჩემოდნიანად დარბაზში მიდის.

ლაჩერი არსად ჩანს

– ვაუტი სადაა? – ეკითხება მიკიტანი ენის.

– არ ვიცი, – პასუხობს გოგო.

– ნაღი სამზარეულოში, ჭურჭელს მიხედე, – უბრძანა მამამ.

– არც იფიქრო, – შეეკამათა გოგო. – რა ჭურჭელი, რის ჭურჭელი.

მაშინ მიკიტანი ფრიდას ეცა ღრენით, გეყო უსაქმე-რობა, საქმე არა გაქვსო? ის კი პასუხობს, რომ საერთოდ მიდის აქედან – ის ხომ მილიონერის ქალიშვილია, უახლო-ეს მომავალში კი კიდევ ერთი მილიონერის რძალი გახდე-ბა, რადგან სემუს მიყვება ცოლად. ასე რომ, მუშაობას აღარ აპირებს.

მიკიტანს ოფლი წურწურით ჩამოსდის, ფანჯრიდან ხედვას, როგორ გაცურა თოვლში უზარმაზარმა „კადი-ლაკმა“.

მანქანა სოფელს გაცდა და თავქვე დაეშვა, კლდე-სთან. იქ, სადაც გზა ტყეში შედის, ლაჩერი მოკლული მანის ცოლს დაენია. თითქმის ორმოცი წელი გავიდა მას შემ-დეგ, რაც უკანასკნელად ნახა ცურბრიუგენების კლერი. კლერის ხელში ჩემოდანი უჭირავს. „კადილაკი“ ჩერდება. კლერი გზას განაგრძობს. ლაჩერი მუშას სწევს და ყვირის:

– ეი, კლერი, მოდი, დაჯექი.

კლერი ჩერდება, ლაჩერს აკვირდება და ნელა წარ-მოთქვამს:

– კარგი, რაკი მეპატიყები, ვაუტი ლოჰერ...

კარს ალებს, ჩემოდანს უკანა დასაჯდომზე დებს, თვი-თონ ლოჰერის გვერდით ჯდება და ამბობს:

– ისე გამოიყურები, თითქოს ასი წლისა მაინც იყო.

– ორივე დავბერდით, – ეუბნება ლაჩერი. – საით გაგი-წევია?

– ობერლოტიკოფენში, სამუშაოს ვეძებ, – პასუხობს ქალი.

მანქანა ნელ-ნელა ეშვება დაღმართზე.

ფლიოტენბახის ხეობის დასაწყისში ლაჩერმა მკვეთ-რად მოუხვია, ბორბლებმა ინივლეს და მანქანა ირიბად გაჩერდა შუა გზაზე. ლაჩერმა ძრავი გამორთო. გაშტერე-ბული იყურება წინ.

– კლერი, – უთხრა პაუზის შემდეგ, – შენ დამიმალე, რომ ორსულად იყავი.

– მე და მანის დაქორწინება გვინდოდა, ეგ ჩვენი სა-ფიქრებელი იყო და არა შენი, – უპასუხა ქალმა.

– მანის ეგ არ ადარდებდა? – ჰკითხა ლაჩერმა.

– ბავშვი ბავშვია, – მიუგო კლერი.

ისევ დუმილი. ბოლოს ლაჩერი ამბობს:

– რაც იყო, იყო, ალბათ ასე უკეთესიცაა, შენ მანის ცოლი გახდი. მე და შენ ერთნაირები ვართ, ასე რომ, ერთმანეთს არ შევეფერებით. – ჯერ ქურქს იხსნის, მერე ელვას ლურჯ და წითელ სპორტულ კოსტიუმებზე და მკერდს აჩენს. – ისევ მომიჭირა, ისევ ისე მტკივა, როგორც ამ ექვსი თვის წინათ, – ლაჩერი საზურგეს ეყრდნობა, ხელები უღონოდ აქვს ჩამოყრილი. – ცოტა ხანია, რაც გამოვეწერე საავადმყოფოდან. ინფარქტი მქონდა.

ორივე დუმს.

დათოვლილ ფიჭვებს ზევით ცა რძისფერია, ალაგ-ალაგ ღრუბლებში სხივები აღწევს, მაგრამ მზე არ ჩანს.

ლაჩერი ნელ-ნელა იზღვს მკერდს მარჯვენა ხელით.

– გამოგიტყდები, მაშინ, სოფლიდან რომ გავიქეცი, ძალიან გაბრაზებული ვიყავი, მაგრამ ბრაზმა აქვე, ტყეში გადაიარა, ძალიან მომინდა ყველაფერი მიმეტოვებინა – აქაურობაც, ეს ქვეყანაც, ეს უაზრო, სულელური ევროპაც. და აი, იქ, ოკეანის გადაღმა, მდიდარი კაცი გავხდი, ნუ მკითხავ, პატიოსანი თუ უპატიოსნო გზებით. არასდროს მიფიქრია მაგაზე, არც ქალებზე მკითხო, დამპალი ატლანტიკის იქით რომ მყავდა, არც ვაჟზე მკითხო, მას მთელი ჩემი ქონება დარჩება, თუმცა ჩემზე ასჯერ უარესი არამზადაა. თქვენ და თქვენი მიყრუებული მთის სოფელი კი დიდი ხანია დავივიწყე, სიმართლე რომ გითხრა, რაც ფლიოტიგენი დავტოვე, აღარც გამხსენებია, თქვენ ყველანი უკვალოდ გაქრით ჩემი მეხსიერებიდან.

ისევ პაუზა, ლაჩერი ძლივს ამოძრავებს მარჯვენა ხელს – მარცხენა დადამბლავებულივით ჰკიდია – ძლივს სწევს ქვევით შუშას, მანქანა ცივი და ნესტიანი ჰაერით ივსება, მის გვერდით – ბებერი, დაჩაჩანაკებული კაცის გვერდით – მჯდომი ქალი კი საოცრად ახალგაზრდად გამოიყურება.

– შიგ გულში მჩხვლეტს, – ამბობს გულგრილად. – მკერდიდან ნიკაპამდე ყველაფერი მტკივა. მარცხენა ხელი მხრიდან თითებამდე მტეხს.

ისევ ჩუმდება, გვერდით მჯდომი ქალი კი გაუნძრევლად ზის, თითქოს არაფერი გაუგია.

– მერე კი ინფარქტი მქონდა. – განაგრძობს ლაჩერი. – ისეთი ძლიერი არა, როგორც ახლა, მაგრამ მაინც... იქ რომ ვეგდე ლოგინში, საავადმყოფოში, უცებ ჩვენი სოფელი წარმომიდგა თვალწინ, უშუალოდ ვინმე კი არა, მთელი სოფელი... აი, ეს ტყე... მერე ცნობები შევაგროვე, შევიცარიის კონსულთან წავედი. მერე აქ ჩამოვფრინდი და ციურისხის ბანკის ერთ-ერთი ანგარიშიდან 14 მილიონი მოვსხენი.

ლაჩერი ისევ ჩაფიქრდა.

– სიკეთის ჩადენა მინდოდა. მინდოდა დაგხმარებოდი, რა არის ჩემთვის 14 მილიონი? მაგრამ როგორც კი მიკითხნა მითხრა, რომ მაშინ ჩემგან იყავი ორსულად, ბრაზმა კინალამ დამახრჩო და პირობა წამოვაყენე – იცი, რაც – მანი უნდა მოეკლათ. ისე შენ უნდა მომეკალი, მაგრამ მაგდენზე ბრაზი და რისხვა არ მეყო, ამიტომ მანიმ აგო პასუხი ყველაფერზე. მაგრამ ახლა რომ ვიხსენებ იმ საღამოს „დათვში“, აღარ ვიცი, მართლა ასე მნიშვნელოვანი იყო ეს ყველაფერი ჩემთვის? მე მგონი, უბრალოდ სიცოცხლის წყურვილი დამეუფლა, რადგან როდესაც სიცოცხლე გწყურია, განადგურების სურვილი გიპყრობს, მარტო ქალებით ხომ არ ამოინურება ცხოვრებისეული ინტერესები. ვინ აღარ იყო ჩემთან, ზევით, იმ ათ დღეს, რომ

ერთი-ორი ათასი გამოეცინცლა ჩემგან, მიმიფურთხებია მათთვის, არც ის მანალელებს, ვინ მოკლეს და ვინ არა. ვინც უნდათ, ის მოკლან, გვამს მაინც არ შევხედავდი, სულ არავინ რომ არ მოეკლათ, მაინც მივცემდი იმ ფულს.

ლაჩერი დადუმდა. დიდი შავი ფრინველი ჩამოფრინდა ფიჭვიდან და მანქანაზე დაჯდა.

– ადრეც მოსულან ჩემთან ყვავები, – ამბობს ლაჩერი და კარს ალბებს, შავი ფრინველი მარჯვენა მკლავზე აჯდება, რომელიც საჭეზე აქვს ჩამოდებული.

– სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე რომ წავიდნენ, მაშინ უნდა განმეცხადებინა შენზე ფლიოტიგენში, – ამბობს კლერი.

– მაგრამ ხომ არ წახვედი, – იცინის ლაჩერი.

კლერი ხმას არ იღებს.

– მაშინ მანის პატივისცემას დავკარგავდი, – ამბობს ბოლოს, ლაჩერი კი გულგრილად პასუხობს: რალა აზრი აქვს ამაზე ლაპარაკს, მანი მაინც მკვდარიო.

კლერი ისევ დუმს, ცოტა ხანში კი მასავით გულგრილად მიუგებს:

– ახლა კი საკუთარი თავის პატივისცემა დავკარგე.

– დიდი ამბავი, – იცინის ლაჩერი. – მე არასდროს ვცემდი პატივს ჩემს თავს.

ფრინველი მანქანის კარზე გადახტა.

– დროა, უნდა წავიდე, – ამბობს კლერი. – თორემ ობერლოტიკოვენის მატარებელზე დამაგვიანდება.

ლაჩერი არ პასუხობს.

ყვავმა ფრთები გაშალა და დილის რძისფერ ნისლში დაიკარგა. ოდნავ თოვს.

კლერი მანქანის კარს ალბებს, უკანა დასაჯდომიდან ჩემოდანს იღებს, თოვლში ეფლობა, დიდხანს წვალობს, ბოლოს გზაზე გადის და ქვევით ეშვება, ისიც ნელ-ნელა ქრება ნისლში. მდელივთე გადის, მერე უზარმაზარი ნაძვების ხშირ ტყეში შედის, ჰაერში თოვლის ფანტელები ცეკვავენ, თითქოს მიწაზე დაშვება არ სურდეთ, უზარმაზარნი, მსუბუქნი, პეპლებს თუ ყვავილების ფურცლებს გვანან. დროდადრო ჩემოდანი ერთი ხელიდან მეორეში გადააქვს. ფლიოტიგენში რომ შევიდა, თოვა შეწყდა. ეკლესიას განზე ჩაუარა, აი, სადგურიც, მატარებელი კი ახლახან გავიდა.

კლერი ბილეთს ყიდულობს და მწვანე მერხზე ჯდება, სასიგნალო ზანზალაკის მელოდიური წკარუნი ისმის, ოთახიდან სადგურის უფროსი ბერჩი გამოდის:

– ქალბატონო მანი, შემდეგი მატარებელი საათსა და ათ წუთში გავა. მანამდე გაიყინებით და გაცივდებით.

– არასდროს ვცივდები, – პასუხობს კლერი. მართლაც ძალიან აცივდა, ის კი გაუნძრევლად ზის. მაღალი ძაბვის გადაძვინებულ ხაზის ერთ-ერთი ბოძიდან ყვავი დაჰყურებს, ძლივს მოჩანს უზარმაზარი ედჰორნის შავ ფონზე.

სადგურზე პასტორი მოვიდა თავის ცოლთან ერთად, ისევ ზანზალაკის წკარუნი ისმის, ობერლოტიკოვენიდან მომავალი სამგზავრო მატარებელი ტყით დაფარულ ფერდობს გარს უვლის, სადგურზე ჩერდება, კონდუქტორი პლატფორმაზე ჩამოდის, ყვირის „ფლიოტიგენი!“, პასტორი ცოლს კოცნის, ქალი მატარებელში ჯდება, სადგურის უფროსი კვერთხს აღმართავს, მატარებელი დაიძრება, კონდუქტორი ისევ ვაგონში ხტება, პასტორი ცოლს ხელს უქნევს, მოტრიალდება, კლერი მას ხედავს, მისალმება უნდა, მაგრამ მერე გადაიფიქრებს და თავის გზაზე მიდის.

ეკლესიის საათმა 10 დაჰკრა. სკოლიდან ბავშვების შე-  
დახილები ისმის, დიდი დასვენება დაიწყო, შავი ფრინველი  
ფლიოტენბახის ტყისკენ გაფრინდა.

იქ, ზევით, ფლიოტენბახის ტყეში დარჩენილი ლაჩერი  
ნელ-ნელა გონს მოდის. შუშები ჩანეული აქვს, მანქანა  
თოვლითაა სავესე, პალტოც, სპორტული კოსტიუმიც და-  
თოვლილი აქვს. რაღაც წუთს აცნობიერებს, რომ ძალიან  
სცივა, პირიდან კი რაღაც თბილი, მოტკბო და შავი სითხე  
გადმოსდის, მაგრამ ტკივილს აღარ გრძნობს, პირიქით,  
საოცარი სიმშვიდე ეუფლება. ხელი მექანიკურად სინჯავს  
გასალებს, ძრავა ღმუის, ლაჩერი ავტომატურ გადამ-  
რთველს ავლებს ხელს, ვერც აცნობიერებს, რას აკეთებს.  
მანქანა ჯერ უკან დაიძრა, მერე წინ გავარდა, ოდნავ  
გვერდით აიღო გეზი და თოვლის ბარიერი გაარღვია,  
ფერდობზე ჩაცოცდა, უხმოდ ჩაეფლო ღრმა, ფაფუკ თოვ-  
ლში, და იქვე დარჩა უზარმაზარი ნაძვების გარემოცვაში.  
უცნაური შუქი ახვევია გარს, თითქოს თოვლიდან იღვრე-  
ბა და გარემოს ეფინება.

გზიდან სიმღერის ხმა ესმის: „მთვარე ამოდის, ცაზე  
ვარსკვლავი კიაფობს!“ გაცოცხლებული ლაჩერი ფიქრობს,  
უკვე ღამეა და ნეტავ ვინ დადის ამ თოვლშიო. არადა, სულ  
ცოტა ხნის წინათ დილა იყო, ზუსტად ახსოვს, მასთან,  
მანქანაში ვიღაც იჯდა, მაგრამ ვინ, აღარ აგონდება.

ზევიდან ისევ ისმის ქალის ხმა, ლაჩერს კი ეჩვენება,  
თითქოს სიმღერამ ფრთები შეისხა და შორს გაფრინდა,  
მერე ისევ მიუახლოვდა და დაუსრულებელ რითმებში ჩა-  
ძირული, მიწყდა კიდევც.

ერთი რამ დაგვრჩა დასამატებელი: გაუნმენდავ გზა-  
ზე, დათოვლილ ტყეში სიმღერ-სიმღერით ფლიოტიგენი-  
საკენ მიმავალ კლაუდინა ცეპფელს უკანა გზაზე უცნაუ-  
რი თავგადასავალი გადახდა. ფეხით აღარ მოუწია დაბ-  
რუნება, რომ რამდენიმე გაკვეთილი ჩაეტარებინა ფლო-  
ტენბახელი ბავშვებისათვის. როდესაც იგი გარიჟრაჟზე,  
ასე დილის 8 საათზე, ჩუმად გამოძვრა პასტორის სახლის  
უკანა კარიდან (არაქათგამოცლილ პასტორს კი ამ დროს  
მკვდარივით ეძინა) და ტყე-ტყე წავიდა სახლისკენ, მხო-  
ლოდ ერთი რამ ადარდებდა – ვინმემ არ დამინახოსო, და  
ამის გამო კინალამ უბედურებას გადაეყარა: გზაზე უზარ-  
მაზარი თოვლის საწმენდი მანქანა მილოღავდა, უკან ბენ-  
ზინის ცისტერნიანი მანქანა და მარილით დატვირთული  
საბარგო მანქანა მიჰყვებოდა. გარშემო ჭიანჭველებივით  
ფუსფუსებდნენ ნარინჯისფერ სპეცტანსაცმელში ჩაცმუ-  
ლი მუშები. თოვლის საწმენდმა მანქანამ თოვლის უზარ-  
მაზარი მასა გადაყარა გზიდან, კლაუდინა ცეპფელს მოუ-  
ლოდნელად მთელი ზვავი დაატყდა თავზე და უეჭველად  
გაიგუდებოდა, პარლამენტის დეპუტატი დოქტორი ეტი  
რომ არა, რომელიც მთავრობის წევრი შაფროტიან ერთად  
მოდიოდა „ლენდროვერი“. იგი მძიმე ტექნიკის ქარავანს  
მიჰყვებოდა უკან და, როგორც მშობლიური კუთხის პატ-  
რიოტი, ოპერაციას ხელმძღვანელობდა და მუშებს ამხნე-  
ვებდა; სწორედ მან შეამჩნია მასწავლებელი ქალი და უბე-  
დურის ამოთხრა ბრძანა. კლაუდინა ცეპფელი რაღაცას  
ლულულულებდა დილის მატარებელზე, რომლითაც ვითომ  
ფლიოტიგენში ჩამოვიდა. ცოტა ხანში პლედში გახვეული  
ქალი „ლენდროვერში“ იჯდა პარლამენტის დეპუტატსა  
და მთავრობის წევრს შორის და ზევით, მთაში მიგრია-  
ლებდა. მართალია, ნელა მიდიოდნენ, რადგან ზემდღავრ

მანქანასაც კი უჭირდა დიდი ხნის გაუნმენდავ თოვლთან  
გამკლავება და ისეთ ბგერით ეფეტებს გამოსცემდა, გე-  
გონებოდა, მთებიდან ზვავი მოდისო, გზიდან გადასული  
„კადილაკი“ კი სულ დაფარა მის მიერ გადაყრილმა თოვ-  
ლმა, მით უმეტეს, რომ ისედაც ნახევრამდე თოვლში იყო  
ჩაფლული. მაგრამ როგორი ძნელიც უნდა ყოფილიყო  
თოვლთან და ყინულთან ბრძოლა, თანაც ხელახლა დაწყე-  
ბული ნალექის პირობებში, რომელიც ექსპედიციას უკანა  
გზაზე უარეს სირთულეებს უქადდა, მაინც ჩაალწიეს სო-  
ფელში, რომლის მცხოვრებნიც უკლებლივ შეკრებილიყ-  
ვნენ ეკლესიის მოედანზე, გამოფხიზლებული პოლიციე-  
ლის ჩათვლით. ამ უკანასკნელს უკვე ერთი კვირაა დღის  
სინათლე არ ენახა და ახლა ძლივს გამობობლებულიყო  
ლოგინიდან. ყველა პირდაღებული ათვალეიერებდა არნა-  
ხულ ტექნიკას. ასე რომ, კლაუდინა ცეპფელი შეუმჩნე-  
ვლად შეძვრა სკოლის შენობაში, თან უხაროდა, რომ კლას-  
ში არც ერთი ბავშვი არ დახვდა. ამასობაში პარლამენტის  
დეპუტატი დოქტორი ეტი, რომელსაც იქვე, გვერდით, გა-  
ცისკროვნებული სახით მთავრობის წევრი შაფროტიც ედ-  
ვა – „დათვის“ პატრონთან მივიდა, რომლის გარშემო  
ცხვირპირჩამომტირალი გლეხები შეჯგუფულიყვნენ, ხე-  
ლი ჩამოართვა და განაცხადა, დღემდე იმ უდიდესი შთა-  
ბეჭდილების ქვეშ ვიმყოფები, რომელიც ჩემზე ფლიოტენ-  
ბახელების ურყევმა სურვილმა მოახდინა – თავიანთი  
მთიანეთი ხელუხლებელი შეინარჩუნონო. იგი ამის მოწმე  
პირადად გახდა ობერლოტიკოფენში, „ბერში“ მოწყობილი  
დღესასწაულის დროს და, როგორც პარლამენტის წევრმა,  
გარკვეული ზომებიც მიიღო: მიაჩნია, რომ საზოგადოების  
და საზოგადოებრივი ფონდების უშუალო მოვალეობაა,  
მეგობრული დახმარება გაუწიონ ფლიოტენბახელებს შვე-  
იცარიის კონფედერაციის სახელით, და მთიელთა ცხოვ-  
რების მკაცრი პირობები ოდნავ მაინც შეამსუბუქონ,  
ამისთვის მან, ეტიმ, საქმე აღარ გადადო და კვირა დილით  
პირდაპირ ლოგინიდან გამოათრია შვეიცარიის კონფედ-  
ერაციის ფედერალური საბჭოს წევრი, რომლის კომპეტენ-  
ციაში მსგავსი საკითხების გადაჭრა შედის, სასწრაფოდ  
შეკრიბა მსხვილ სადაზღვევო კომპანიათა დირექტორები  
და განუცხადა, რომ ფლიოტენბახი ერთადერთი ადგილია  
შვეიცარიის მთიანეთში, რომელიც ჯერ არ ნაუბილავს  
საბაგიროებს და სხვა, ტურისტული ინდუსტრიისთვის  
ტიპურ ნაგებობებს, და რომ იქაურობამ ჯერ კიდევ შეი-  
ნარჩუნა თავისი ბუნებრივი ეკოლოგიური ნონასწორობა,  
ალპურ მდელოებზე კი თხილამურებით უნდა ახვიდე, რომ  
მერე სრიალ-სრიალით დაემვა ქვევით და სამთო-სათხი-  
ლამურო სპორტში წარმატებების დემონსტრაცია მოახ-  
დინო, ამიტომ ძალაუხებურად გვიჩნდება აზრი, რომ სწო-  
რედ აქ უნდა აიგოს დიდი ხანია შვეიცარიელი ხალხის სა-  
კეთილდღეოდ ჩაფიქრებული ზამთრის გამაჯანსაღებელი  
კურორტი – გამაჯანსაღებელი ცენტრებით, უახლესი  
ტრენაჟორებით აღჭურვილი სპორტული დარბაზებით,  
სათხილამურო ტრასებით, დახურული საცურაო აუზე-  
ბით, სასტუმროთა კომპლექსებით, საავადმყოფოთი და,  
შესაძლოა, რამდენიმე მცირე საბაგირო გზით მათთვის,  
ვინც ჯერ ბოლომდე არ გამოჯანმრთელებულა და დიდ  
დატვირთვას ვერ გაუძლებს. რა თქმა უნდა, სასწრაფოდ  
უნდა დაიწყოს ფლიოტენბახზე გამავალი შოსეს მშენებ-  
ლობა, რომელიც ავტობანს შეუერთდება, მოკლედ, ასე-  
თია ჩვენი პროექტი, მით უმეტეს, რომ საჭირო თანხები –

10 მილიონი კონფედერაციისგან, 5 – კანტონისგან და 25 – სადაზღვევო კომპანიებისგან – უკვე სახეზეა და დიდი ხანია დამტკიცებულია პარლამენტისა და მთავრობის სხვადასხვა ინსტანციებში, მხოლოდ ადგილი უნდა შეგვეჩერია, და, აი, დღეს ამ მიყრუებულ სოფელს უდიდესი პერსპექტივა უჩნდება.

ამ სიტყვებით დეპუტატმა დაასრულა თავისი გამოსვლა, რომელმაც სულ სხვა რამის მომლოდინე ფლიოტენბახელებში დიდი აღელვება გამოიწვია – მათ ხომ საკუთარი თავი უკვე სასამართლო დარბაზში, განსასჯელთა სკამზე წარმოედგინათ. სიჩუმე ჩამოვარდა, რომელსაც

კიდევ უფრო აძლიერებდა ყვავის ჩხავილი. და, აი, შლაგინჰაუფენს, „დათვის“ პატრონს, სახე გაუნათდა, თვალბეზე ცრემლი მოადგა, მაგრამ მას სულაც არ რცხვენოდა ამ ცრემლისა. სიხარულით გადაუხადა მადლობა დეპუტატს, უბრალო, გულიდან ამოსული სიტყვებით მიმართა, თანაც რატომღაც უკვე „შენობით“ ელაპარაკებოდა:

– ეტი, მიილე ჩვენი მადლიერების სიტყვები. როგორც იქნა, ღმერთმა გადმოგვხედა.

გერმანულიდან თარგმნა ნინო სილაგაძე

შვეიცარელი მწერალი

ფრიდრიხ დიურენმატი (1921-1990) კრიტიკოსებმა დიდი ხანია XX საუკუნის ლიტერატურის კლასიკოსთა რიცხვს მიაკუთვნეს. მისი რომანები, მოთხრობები, ესეები მრავალ ენაზეა თარგმნილი, ხოლო პიესები უდიდესი პოპულარობით სარგებლობს თეატრალურ სცენებზე. სხვადასხვა წლებში ქართულ ენაზე ითარგმნა მისი ნაწარმოებები „ავარია“, „მოსამართლე და მისი ჯალათი“, „ალთქმა“ და „ბერძენი ეძებს ბერძენს“.

ფრიდრიხ დიურენმატი ზემო ალპებში, ბერნის კანტონის მაღალმთიანი სოფლის პასტორის ოჯახში დაიბადა. იქვე ახლოს, კიდევ უფრო პატარა და მიყრუებულ სოფელში XIX საუკუნის შვეიცარიული ლიტერატურის კორიფე იერემია გოტჰელფი ცხოვრობდა. დიურენმატის მშობლიური სოფელი შემდარებით ცივილიზებული იყო – მას საკუთარი თეატრალური დარბაზიც კი ჰქონდა, სადაც ადგილობრივი სკოლის მასწავლებლის ნაწარმოებები იდგებოდა, და სადგურიც, საიდანაც მატარებლები ბერნსა და ლუცერნში მიდიოდნენ. ამ ჩაკეტილმა სამყარომ, რომელიც საკუთარი, პატრიარქალური კანონების მიხედვით ცხოვრობდა, დიდი გავლენა მოახდინა მწერლის შემოქმედებაზე. 40-იანი წლების დასაწყისში დიურენმატი ლიტერატურასა და ფილოსოფიას სწავლობდა ბერნისა და ციურიხის უნივერსიტეტებში, ამავე პერიოდს ეკუთვნის მისი პირველი მოთხრობები.

მეორე მსოფლიო ომმა უდიდესი დალი დაასვა დიურენმატის მსოფლმხედველობას. „მე ქრისტიანული მორალის ატმოსფეროში ვიზრდებოდი.“ – ისე ეხსენებდა იგი. სამყაროს წყობა შეურყეველი ჩანდა, რელიგია, ზნეობა, პატრიოტიზმი და პოლიტიკა თითქოს ჰარმონიული იყო, მაგრამ ომმა უღმობლად დაამსხვრია ეს მოწესრიგებული რეალობა. ახალგაზრდა მწერალი მტკივნეულად აღიქვამდა შვეიცარიის იმდროინდელ პოლიტიკას, რომელსაც იგი, როგორც ორმაგ თამაშს, ისე აფასებდა: ქვეყანა ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა და, ამავე დროს, თავისუფლად ატარებდა თავის ტერიტორიაზე გერმანულ ემელონებს, რომლებიც იტალიაში მიდიოდნენ, სასაზღვრო დაცვა კი ხშირად უკან აბრუნებდა გერმანიიდან გამოქცეულ ებრაელებს, რომლებიც შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკებში ხვდებოდნენ.

თავის მაშინდელ მდგომარეობას მწერალი მოგვიანებით 60-იანი წლების სტუდენტურ ამბოხებებს ადარებდა. ამბოხების ეს მოტივი დიურენმატის შემოქმედებას აგრეთვე უფროს თაობასთან, პირველი მსოფლიო ომისდროინდელ მხატვრულ ტრადიციასთან – ექსპრესიონიზმთან – აახლოებს. მეორე მხრივ, მის პროზაში გამაყვებული გაურკვეველობა, ბუნდოვანი მოტივები და მიზეზები რომანტიზმსაც მოგვაგონებს, რომლის აღორძინების მცდელობებს არაერთხელ ჰქონდა ადგილი XX საუკუნის ლიტერატურაში. დიურენმატის ორიგინალურ პროზას თავისი წინამორბედები ჰყავს მსოფლიო ლიტე-

მთარგმნელისაგან

რატურაში. ეს, რა თქმა უნდა, XIX საუკუნის კლასიკოსები კი არ არიან, არამედ ჯონათან

სვიფტი და ექსპრესიონიზმის მათემატიკური, პოეტი და დრამატურგი ფრანკ ვედეკინდი.

თავის ნაწარმოებებში დიურენმატი მოგვითხრობს რეალობასა და ადამიანის გონებაში დამკვიდრებულ მითებს შორის არსებულ დისპარმონიაზე, გაყინული, ცხოვრებას მონყვეტილი იდეოლოგიების მავნებლობაზე, რომელთა გამო უამრავი სისხლი იღვრება. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ დიურენმატი ხშირად აკრიტიკებდა თავის ესეებში საბჭოთა კავშირის საგარეო თუ საშინაო პოლიტიკასაც და მიესალმებოდა 80-იანი წლების გარდაქმნის და საჯაროობის პროცესებს, თუმცა მათ წარმატებით დასრულებაში ეჭვი ეპარებოდა. მწერალი არაერთხელ უბრუნდებოდა აგრეთვე ხელისუფლების ანონიმურობის თემას.

ერთპიროვნული მმართველის მაგიერ დღეს ადამიანი უსახური სახელმწიფო მანქანის წინაშე აღმოჩნდა. „ანტიგონეს საქმეს კრეონის მდივნები წყვეტენ“, – ამბობდა მწერალი.

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დიურენმატის შემოქმედებაში ცოცხლდება და ახალ, თანამედროვე დატვირთვას იძენს ანტიკური მოტივებიც (მოთხრობები „მინოტავრი“, „პითიას სიკვდილი“...). საერთოდ, დიურენმატის პროზაში ხშირად იგრძნობა ისტორიის სუნთქვა – მოულოდნელი ფორმით წარმოგვიდგება ბიბლიური თუ მითოლოგიური სახეები: ჰერაკლე, მინოტავრი, ბაბილონის გოგოლი, უძლევი შვილი...

იგი ატომური შეიარაღების უდიდესი მონინალმდევე იყო და, ამავე დროს, ალბათ ერთ-ერთი პირველი მწერალი, რომელმაც სერიოზულად წამოჭრა თავის ნაწარმოებებში ეკოლოგიური პრობლემები.

არსებობს მოსაზრება, რომ დიურენმატის გმირები უსიცოცხლონი არიან და მარიონეტებს მოგვაგონებენ. კურტ ვონეგუტი ასე აფასებდა მის შემოქმედებას: „იგი ძვირფას შვეიცარულ საათსა ჰგავს, რომლის მექანიზმი სრულყოფილია და აღტაცებას იწვევს... დიურენმატის ნაწარმოებებში მხოლოდ ერთი ცოცხალი არსებაა – თვითონ მწერალი.“

ალბათ, ამერიკელ მწერალს მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ.

ფრიდრიხ დიურენმატის შემოქმედება საოცრად ნაყოფიერია. 1981 წელს, მწერლის 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამოცემული მისი კრებული 37 საკმაოდ სქელტანიან ტომს მოიცავს. მის კალამს ეკუთვნის ისეთი ცნობილი ნაწარმოებები, როგორებიცაა რომანები „მართლმსაჯულება“, „ალთქმა“, ნოველები „ძალი“, „მეამბოხე“, „ზამთრის ომი ტიბეტში“, მოთხრობები „გვირაბი“, „ვილატი“, „ქალაქი“, „მცველის ჩანაწერები“, „მოხუცი ქალბატონის ვიზიტი“ და მრავალი სხვა.

მოგვიტყვი, ჯელსომინა!

დუქნიდან კინისკვრით გამოგდებული მთვრალი ძამპანო, რომელსაც ბრწყინვალედ თამაშობდა ენტონი ქუინი, ბარბაცით მიაბიჯებს უკაცურ, წყვდიადში გახვეულ პლიაჟზე. გაუხდელად შედის ზღვაში. დაიხრება, პეშვს ივსებს წყლით და გახურებულ პირისახეს იგრილებს. მერე ბრუნდება ნაპირზე. მიმედ სუნთქავს. პიჯაკის სახელოთი იმშრალეხს სახეს. ჩაჯდება ქვიშაში და წყვდიადს მიაშტერდება. მარტოოდენ ზღვის ტალღების დგაფუნი არღვევს სიჩუმეს.

ძამპანო თანდათან წყნარდება. მთვრალი კაცის ალგზნებას ენაცვლება ნამთვრალევის ჩლუნგი სიმშვიდე. რომელიღაც ეზოში შუახნის ქალი სარეცხს ჰფენდა და ჯელსომინას საყვარელ მელიოდის ლილინებდა. ეს სიმღერა საიდან იცითო? – ეკითხება ძამპანო. თურმე ჯელსომინასგან მოუსმენია. საყვირზე სულ ამას უკრავდაო.

ძამპანო შეიტყობს, რომ ჯელსომინა მომკვდარა. მოხეტიალე ცირკის არტისტს ახსენდება თავისი ასისტენტი – დაბეჩავებული და დათრგუნული ქალი, მისი უანგარო სიყვარული. ახსენდება მისი ყოველი სიტყვა, ნაბიჯი, ცრემლი, ლიმილი. დიდხანს შეჰყურებს ვარსკვლავებით მოჭედულ ზეცას და თავის სიცოცხლეში პირველად აქვითინდება. და მეორდება გაცვეთილი ჭეშმარიტება – ადამიანი იღვიძებს პირუტყვში.

ფედერიკო ფელინი გვარწმუნებს, რომ ჯულიეტა მაზინას მიერ შესრულებული როლებიდან ყველაზე მკაფიოდ ჯელსომინა გამოხატავდა მსახიობის ჭეშმარიტ ბუნებას. როდესაც რეჟისორი ამ სახეს ძერწავდა, თურმე თავად ჯულიეტას არსს ეყრდნობოდა. მისი ბავშვობის დროინდელი ფოტოსურათების გავლენის ქვეშ მოქცეულა და ჯელსომინას ათი წლის ჯულიეტა მაზინას ნიშან-თვისებანი მიაწერაო. რეჟისორი გადაჭრით მოითხოვდა თავისი მეუღლისგან: ჯულიეტა, ნურაფერს თამაშობ, იყავი ის, რაცა ხარო.

ფელინის სიტყვით, ჯელსომინა მოტყუებული უმანკოების სიმბოლოა და ჯულიეტა ამ როლს იდეალურად შეესაბამებოდა – მიამიტი და სუფთა სულისა. ცხოვრებაში ყოველთვის ელოდა საამურ სიურპრიზს და თუკი სიურპრიზი უსიამო გამოდგებოდა, მასში რალაც შინაგანი მექანიზმი ამუშავდებოდა, რომელიც ნებას არ აძლევდა – შოკსა და ტანჯვაში ჩავარდნილიყო. ტკივილს მიაყენებდი მის გულს, მაგრამ სულს ვერაფერს დააკლებდიო.

ფედერიკო ფელინის „გზამ“ (La strada) უზომო პოპულარობა მოიხვეჭა. ნიუ-იორკში ფილმი შეუსვენებლივ გადიოდა მთელი სამი წლის მანძილზე. ფილმმაც და ჯულიეტა მაზინამაც არაერთი ჯილდო დაიმსახურეს, მათ შორის – „ოსკარიც“.

ჯელსომინას სახელს არქმევდნენ თოჯინებს, სუნამოს, შოკოლადს და ვინ მოთვლის, კიდევ რას... არაერთმა



ჯელსომინა – ჯულიეტა მაზინა

რესტორანმა და სუპერმარკეტმა მოირგო სახელად „La strada“, თუმცა გზაზე არ მდებარეობდნენ. და გზაზე ვინც მდებარეობდა, იმათთვის ხომ პირდაპირ მისწრება იყო.

ქალები დედამიწის ყოველი კუთხიდან წერილებს სწერდნენ იტალიელ კინოვარსკვლავს და თავიანთ ჭირ-ვარამს უზიარებდნენ. ყალიბდებოდა ჯელსომინას თაყვანისმცემელთა კლუბები.

ფელინი თავის მეშუარეობში აღნიშნავს, რომ 80-იანი წლების დამდეგს რომს დანაშაულთა ტალღამ გადაუარა. ქალებს აფრთხილებდნენ, მხარზე გადაკიდებული ჩანთები აღარ ეტარებინათ, ხოლო სხვა ფასონის ჩანთები მაგრად ჩაებლუჯათ ხელში. მაგრამ ჯულიეტა მაზინა ჯიუტად იდგა თავისაზე – ეს ერთადერთი ჩანთაა, რომელშიც ყველაფერი ეტევა და უმაგისობა არ შემოძლიაო. ერთხელაც იუველიტთან

წასულან ჯულიეტას ბეჭდების შესაკეთებლად. მიჰყვებოდნენ ქუჩას და ჯულიეტა გატაცებით ლაპარაკობდა რალაცას. ჩაუქროლათ მოტოციკლმა. ზედ ორნი ისხდნენ. ერთი მათგანი გადმოიხარა და ჩანთა ჩამოჰგლიჯა მხრიდან ჯულიეტას. ქალმა შეჰყვირა, ფედერიკო გაეკიდა გაქანებულ მოტოციკლს. ამბობს, ალბათ, გაცოფებულ კენგურუს ვგავდიო. საერთოდ არ ეჭაშნიკებოდა ხოლმე ყურადღების ცენტრში ყოფნა, მაგრამ ეს აღარ ასსოვდა და მთელი ქვეყნის გასაგონად ღრიალებდა: ქურდი დაიჭითო. თურმე რომელი ავარებიც აჰყვანენ: ქურდი, ქურდი დაიჭითო. და ვითომდა მისდევდნენ ქურდს.

ფელინი პოლიციელს გადააწყდა და უამბო, რაც მოხდა. პოლიციელიც მოტოციკლზე იჯდა, მაგრამ არც კი უფიქრია, გაჰკიდებოდა ქურდს. ფელინიმ რომ შესჩივლა, ჩემს ცოლს ჩანთა ნაჰგლიჯესო, ასეთი პასუხი მიიღო: მე რა უნდა ვქნა? იცით, ყოველდღე რამდენ ჩანთას იპარავენ რომში?

გაბითურებულნი და შეურაცხყოფილნი ვიყავითო, წერს ფელინი.

მეორე დღეს ფელინიმ თავისი სახლის სადარბაზოსთან თვალი მოჰკრა ვიდაც საეჭვო ტიპს. ირონიულად შენიშნავს, ასეთები ანტონიონის ფილმებში გვხვდებიანო. კედელს მიყუდებული ტიპი ვითომდა კითხულობდა გაზეთს, რომელიც თავდაყირა ეჭირა ხელში.

– ფედერიკო, – მიმართა ძველი ნაცნობივით, – გავიგე, რომ ჯულიეტასთვის ჩანთა მოუპარავთ.

ბევრი რომ აღარ გაავარძელოთ, მომდევნო დღეს ცნობილ ბარში დაუნიშნეს შეხვედრა და ხელუხლებლად მიართვეს მოპარული ჩანთა. ფელინის ფული შეუთავაზებია მადლობის ნიშნად, მაგრამ უარი მიუღია. გავიდა კიდევ ერთი დღე და ჯულიეტა მაზინამ ფოსტით მიიღო ბარათი, სადაც ორად ორი სიტყვა ეწერა:

„მოგვიტყვი, ჯელსომინა!“

აშერიკაში აზონა თაჰი

ნახევარ საუკუნეზე მეტი გასულა და ეს ამბავი ლამის მთელ თბილისს ისე კარგად ახსოვს, თითქოს ავერ გუშინნინ მომხდარაო.

ვისხედით „დინამოს“ სტადიონის აღმოსავლეთ ტრიბუნაზე საბავშვო ბილეთებით (ხრუშჩოვამდელი ორმანეთიანი ღირდა ანუ ორი ესკიმო) და უნდილად ვუყურებდით უიმედოდ წაგებულ თამაშს. ივლისის მზე უმონყალოდ გვაჭერდა და დარდს გვიათკეცებდა. ერთად აღებულ კრწანისსა და ვატერლოოს ვესწრებოდით.

ჩვენები მშობლიურ ქალაქში, საკუთარ მინდორზე, სამარცხვინოდ აგებდნენ ჩვენზე მეტად დაჩაჩანაკებულ მოსკოვის „სპარტაკთან“. მაჭრი დასასრულს უახლოვდებოდა; ექვსით ერთი იყო სტუმრების სასარგებლოდ. აღარც ისინი იკლავდნენ თავს და აღარც მასპინძლები.

ჩვენმა ნუგზარმა, ჩვენი ყოჩი და სიამაყე რომ იყო, ველარ აიტანა მომაკვდინებელი დუმილი და ენად გაიკრიფა. დაბოლმილებს დანა პირს არ გვიხსნიდა, საცაა ავცრემლდებოდი და, ალბათ, იფიქრა, ესენი თუ არ გავამხიარულე, მსახიობად რას გამოვდგებო (აკვნიდანვე ოცნებობდა მსახიობობაზე).

აილო და ცხელზე ცხელი ამბავი გვიამბო: ბიჭებმა თავიანთი გასაჭირი „დინამოს“ უზენაეს გულშემატკივარსა და მფარველს ლავრენტი პავლოვიჩს შესჩივლეს – ასეო და ასეო, მსაჯები თავზე გვიშვრებიან, მესამე ადგილზე წინ პროსტა არ გვიშვებენო. პავლოვიჩს ახალგაზრდობაში თურმე ფეხბურთის თამაში ნაყვარება და კარგადაც გამოსდიოდა. ეჰ, ფეხბურთს რომ გაჰყოლოდა, სულ ჩემპიონები ვიქნებოდით!

ჰოდა, გულზე მოხვედრია ბიჭების ჩივილი, მაგრამ უთქვამს, ამდენ რუსებთან მე რას გავალო. მერე ბრძნულად ურჩია: თქვენ ათი თავით მაღლა უნდა იდგეთ მაგათზე და ფეხებსაც ვერ მოგჭამენო.

სხვა რა გიჭირთ და რა გილხინთ, ჩამომიყაჭეთ, თქვენი მონა-მორჩილი ვარო. აი, რუსი მწვრთნელი გნებავდათ და სოკოლოვი მოგართვითო. მაი სოკოლოვი კაი რუსი არ ყოფილაო, შეჰბედეს ბიჭებმა. თქვენი მოსაწონი რუსი ჯერ არ დაბადებულაო, გაბრაზდა პავლოვიჩი და დასძინა: კაი რუსი ჩემთვის ვერ მიპოვინა და თქვენ საიდან დაგიხატოთ?! სხვა რა გიშველოთ, გულახდილად მითხარით, ჩემი ნუ გეშინიათ, არ გიბოზებთო. მიბრძანეთ, ვინ ავნიო და ნუთ-

ში ავენეო. მაგრამ რომელი ერთი ავნიო, ყველა რომ ავნიო, ვილას უნდა ეთამაშოთო?

საშა კოდუა გვაჩუქეთო, მუხლმოყრილი შეევედრნენ. საშა კოდუა რომ დავიადოთ, ეგრევე დამკაში გავალოთ. სად თამაშობს და მაგადანშიო. კაი ბატონო, ჩემზე იყოსო – ეშმაკურად გაიღიმა პავლოვიჩმა.

ნუგზარი დედას იფიცებდა, ეს შეხვედრა ნუხელის გამართულა კრემლში და ტოჩიტორ მიამბესო. დავუჯერეთ (დედას ტყუილად დაიფიცებდა?), თუმცა ერთი-ორმა იაზვამ არ დაუჯერა – სიაბანდი ვინმეა, ზღაპრებს ახეთქებსო.

წინა რიგში სამი ჯიშიანი ვაჟკაცი იჯდა. ყველაზე ჯიშიანი რომელიც იყო, ნუგზარს მოუბრუნდა და მამაშვილურად დატუქსა: შე ნაბიჭვარო, რეებს მიედ-მოედები, რას ატრაკუნებ, თამაშის ყურებას რატომ მიშლიო?

ნუგზარი განცვიფრებამ შეიპყრო და თავაზიანად შეეპასუხა: ჩემო ბატონო, თეატრში ხომ არ ბრძანდებით, თამაშის ყურებას ჩემი ლაპარაკი რანაირად გიშლითო?

კვლავ მამაშვილურად დაარაგეს: შე მართლა ნაბიჭვარო, გეუბნები, ხელს მიშლი-მეთქი და თუ არ გაჩუმდები, იცოდე, გამოგინერო.

რას გამოგინერთო? – თავაზიანად ჰკითხა ნუგზარმა. რას გამოგინერ და ქოთსაო – იყო პასუხი.

ნუგზარმა ენა მუცელში ჩაიგდო, ერთხანს დუმდა, მერე სული მოითქვა და ისევე გააჭენა: ამ ფარჩაკებს საშა კოდუა კი არა, გიორგი სააკაძე რომ წამოდგეს, ისიც კი ვერ უშველისო.

ყველაზე ჯიშიანი ვაჟკაცი (ოცდაათი წლისა იქნებოდა) მყისვე მობრუნდა და ისეთი თხლიშა ნუგზარს (თორმეტი წელი შეუსრულდა იმ ზაფხულს), ცხრათავიან დევს ნააქცევდა.

ნუგზარი შეცბუნდა. თავს ზრიალი გაჰქონდა, ცრემლი მოადგა თვალეში, მაგრამ არ ატირებულა და იმ ვაჟბატონს შესძახა: თქვენ აქ ამერიკა ხომ არ გგონიათო?!

გაგონილი ჰქონდა, რომ ამერიკაში ზანგი ბავშვების დისკრიმინაცია სუფევდა და ასე წარმოედგინა: მშიერმწყურვალებს აწვალდნენ და აწამებდნენ; სულ ორიანებს უწერდნენ, სკოლიდან რიცხავდნენ, ხოლო ციხეები გადაჭედილი იყო გარიცხულ მოწაფეთა მშობლებით...

ქრონიკა

16 მარტს ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში ჟურნალისტ მანანა დუმბაძის წიგნის „საქართველოს სიმფონიური კვარტეტი“ პრეზენტაცია გაიმართა.

გამოცემა მიეძღვნა მუსიკოსთა (კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ოთარ ჩუბინიშვილი, ნოდარ ჟვანია) ერთად მოღვაწეობის 40 წლის იუბილეს.

ბუნებრივია, წიგნის წარდგენა მუსიკოსთა სამშობლოში ყოფნას დაემთხვა, როგორც ცნობილია, ისინი ევროპაში მოღვაწეობენ.

ევროპული სიზუსტე და ქართული აჩქარების შეუსაბამობა ამ ღონისძიებამაც გამოაჩინა. ოდნავ შეგვიანებულნიც შემოსწრებულელებით აღმოჩნდნენ სახელდახელო კონცერტზე, სიმებიანმა კვარტეტმა წვეულთათვის რომ გამართა და საზეიმო განწყობილებაც აამაღლა.

მანანა დუმბაძემ, იუმორითაც სასიამოვნოდ დაჯილდოებულ რომ აღმოჩნდა, წარდგინება თვითონ წარმართა და ითხოვა, გამოთქმულიყო შეფასება მის ნაშრომზე, ცხადია, იმათგან, ვისაც ნაკითხული ჰქონდა წიგნი.

მრავალრიცხოვან თავშეკავებულთა შორის პროფესორმა მარიკა ლორთქიფანიძემ ითავა სიტყვა. ოღონდაც ავტორის სტილურ მიგნებებზე ამჯობინა საუბარი. თანაც მიუთითა იქ დამსწრე ჟურნალისტებს, საკუთარ ნაშრომებზე მეტი პასუხისმგებლობით მოჰქიდებოდნენ.

სიტყვებით გამოვიდნენ აგრეთვე მუსიკოსი თამაზ გომელაური და პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.

კვარტეტის წევრებმა მაღლობა გადაუხადეს მანანა დუმბაძეს მათი ნაღვანის გულითადი წარმოჩენისათვის.